

652
1995



ISSN 0134 3459



ԵՏՈՍԵ

II Ն
④
1-3, 4-6

1-3

1995

ქროსი

გამოცემის 87-ე წელი

1-3

იანვარი-ივნისი

რა მშვენიერი ზღვა გვაქვს, აჭარა,
რა მომავალი, ძვირფასი ბედით...
ქალაქი — ჩვენი ქვეყნის ფანჯარა
აღმოსავლეთით და დასავლეთით.



გ ა თ შ ი

ლიბრარბურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-კოლმეიური
შურობალი

საქართველოს მხარალთა კავშირისა და აჭარის ორგანიზაციის
ორგანო

ხარედაქციო კოლეგია:

რეზო ამაშუკელი
ვანტანგ ახვლედიანი
ზურაბ გორგინიძე
მამია ვარშანიძე
(პასუხისმგებელი მდივანი)
შოთა ზონიძე
დავით თედორაძე
თეიმურაზ ლანჩავა
ალექსანდრე სამსონია
რამაზ სურგანიძე
ამირან ხაბაზი
ფრიდონ ხალვაში
დავით ხახუტაიშვილი
რევაზ ჯაფარიძე
ჯემალ ჯაყელი

ნომერი გააფორმა ბ. ლომაძემ.

შუკნაღის ამ ნომრის რედაქტორია მამია ვარშანიძე.

რედაქციის მისამართი: ბათუმი, მელიქიშვილის ქ. № 21, ტელ. 8-88-71

გადაეცა წარწერის 11.05.95, ხელმოწერილია დასაბეჭდად 27,7,95,
ქაღალდის ზომა 60X90¹/₁₆, პირობითი ნაბეჭდი თაბახი 12,09 საადრიცხვო
საგამომცემლო თაბახი 12,3, შეკვეთია № 256, ტირაჟი 200.

ქ. ბათუმის № 1 სტამბა, იბერიის ქ. № 91.

ალექსანდრე ჩხაიძე

ჩემი წილი საუკუნე

შავნოხიანაძის კაცის ფიქრები

20594

ჩემს ბიბლიოთეკაში ვეღარ აღმოვაჩინე „სკკპ (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“, რომელიც ათეული წლების მანძილზე სამაგიდო წიგნად ითვლებოდა ყველასათვის, მეძროხეობის ფერმის გამგე იყო იგი თუ სწავლა-განათლებით დაყურსული აკადემიკოსი. ანკეტიკებში, დახასიათებებსა და რეკომენდაციებში აუცილებლად უნდა აღნიშნულიყო, რომ განუხრელად იმდღეებ პოლიტიკური ცოდნის დონეს, ჩაბმული ხარ პოლიტგანათლების ქსელში, სადაც სასწავლო წელი, როგორც წესი, ყოველთვის ორგანიზებულად იწყებოდა და ასევე ორგანიზებულად მთავრდებოდა.

პოლიტსწავლების ყველა ფორმაში მთავარ წიგნად „მოკლე კურსი“ ითვლებოდა. მე, როგორც უმადლესდამთავრებული, უმადლესი ფორმის წრეში ვიყავი გაერთიანებული, „ისტმატსა“ და „დიმატს“ ვეუფლებოდი. მერამდენეჯერ, რატომღაც ყველაზე უფრო ის დამამახსოვრდა, მარქსს და ენგელსს ჰეგელის ფილოსოფიიდან რაციონალური მარცვალი რომ აუღლიათ, ხოლო ჩენჩო გადაუყრიათ. ჯერ ჩუმ-ჩუმად, შემდეგ თანდათან უფრო ხმამაღლა, ასეთი ხუმრობა გაჩნდა: ხომ არ აჯობებდა, მარქსს და ენგელსს ჩენჩო დაეტოვებინათ, ის რაღაც მარცვალი კი ქარისთვის გაეტანებიათ.

სულ არაფერი მისწავლია პოლიტგანათლების ქსელში და მარქსიზმ-ლენინიზმის ლექციებზე-მეტეკი, რომ ვთქვა, ნამდვილად არ ვიქნები მართალი, ზოგი რამ ახლაც მაბსოვს და მომწონს კიდევ, მაგალითად, რომ „ყოფიერება განსაზღვრავს ცნობიერებას“, რასაც საგნებით ვინაობებ, თუმცა, უნდა გამოვტყდე, ზუსტად არ ვიცი, ვისი ნათქვამია ეს, — მარქსის, ენგელსის, ლენინის თუ არა;

გაგრძელება. დასაწყ. „ჭორობი“, 1993 № 3, 4, 5, 6; 1994, № 1, 2, 3, 4, 5, 6.

საპარტფელოს
მ რ ო მ წ უ ლ ი
ბ ი ბ ლ ი ო ტ მ ე კ ა



სტალინის — ნამდვილად არაა, მას უფრო სხვა მეთოდები აქვს და ადამიანთა გაცნობიერებისათვის. შეიძლება რომელიმე ბრძოლა დაგვიტოვა ეს ნააზრევი ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე. ან კიდევ, ვისაც არ ვკითხვ, ვერავინ მითხრა, ვის ეკუთვნის ეს მოწოდება — „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“ თითქმის ყველას ახსოვს, რომ ამ სიტყვებით მოთარღვება „კომუნისტური მანიფესტი“, მაგრამ, ვინ განალაგა ეს ოთხი სიტყვა ასეთნაირად, მარქსმა თუ ენგელსმა, არავინ იცის. ორ-ორი სიტყვა მოდის თითოეულზე. თუმცა, არა თუ მისი ავტორი, დღეს ეს ლოზუნგი სერთოდ აღარავის ახსოვს, მსოფლიოს პროლეტარებს კი ეს ერთი დღეც წაართვეს სოლიდარობისათვის, წითლად რომ იყო აღნიშნული კალენდარში. პირველი მაისი მაქვს მხედველობაში.

მაგრამ მე, ალბათ, რამდენადმე გადავუხვიე თემას, მხოლოდ ნუ გაგიკვირდებათ, ეკონომიკურ პრობლემებზე მინდა გესაუბროთ. ჩემი პოლიტსწავლებლაც ამიტომ მოვიგონე, მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსებსაც ამიტომ შევეხმიანე, ვინაიდან ჩვენი ცნობიერება უშუალოდაა დაკავშირებული ყოფიერებასთან, ესე იგი, ყოფა-ცხოვრებასთან, ესე იგი, ეკონომიკასთან.

მე რომ პოეტად დავბადებულყავი, ალბათ, ალტაცებით წარმოვთქვამდი ვარიტომულ სტრიქონებს, რომ, როგორც კი გავახილვე თვალი, ჩენს წინ ვადაიშალა უკიდევანო და თვალწარმატცი, ზღაპრული ილუმინაციებით აღსავსე სამყარო, მაგრამ, რა ვქნა, მე — დაბადებიდანვე გამოუწვროვებლმა პროზაიკოსმა — თვალის გახეილისთანავე დაგინახე... პურის წიგნაკი და ამ წიგნაკით აღებული 400 ვრამი ქამისფერი პური (შემდეგ შევიტყობ, რომ იმ წლებში მოუსაველიანობა ყოფილა უკრაინაში). ავადმყოფ ბავშვებს ერიებო ჯერ თეთრ პურს უწერდნენ, ხოლო შემდეგ — წაშლებს. თავად მე თეთრი პური პირველად ვიგემე, როცა ბავშვებმა თამაშის დროს ქვიშაში ოქროს კბილი ვიპოვეთ და „ტორგისინის“ მაღაზიაში მივიტანეთ, სადაც ერთი თავი ძეხვი და ერთი „ბუხანკა“ საოცნებო პური მოგვცეს. ახლაც მახსოვს იმის გემო.

სიტყვა „ეკონომიკა“ მის მნიშვნელობაზე უფრო ადრე სიღარიბის სინონიმად შემოვიდა ჩვენს ცხოვრებაში, — „ეკონომიურად უჭირსო“, „ეკონომიური შესაძლებლობა არა აქვსო“ — ამიტომ, ცოტა არ იყოს, მიკვირდა, ერთი ჩვენი მეზობელი, რომელზეც ამბობდნენ, ეკონომისტად მუშაობსო, ჩვენსავეთ გაჭირვებულად რომ ცხოვრობდა. თუმცა ისეთი მეზობელიც გვყავდა, რომლის შვილიც დილ-დილობით კაკაოს და კარაქიან თეთრ პურს მიირთმევდა. ეს, რა ჯეშა უნდა, გვეჩაბრებოდა, მაგრამ უფრო ის გვბოლბა-



და, დედამისი ჩვენთან თამაშს რომ უშლიდა, მთელი ქუჩის გონად გადმოსაბებდა აივნებიდან, ზურიკო, შვილო, ამოდი, დალიეო. კინოს უყული რომ არ გვექონდა, ესეც ეკონომიკასთან იყო დაკავშირებული, მამის ნახმარ პიჯაკს უფროსი ძმა რომ გაცვთა და შემდეგ წენ გადმოგილოცავდა, ისიც.

ასეთ ყოფას თითქოს უნდა განესაზღვრა ჩვენი ცნობიერება (თუმცა ეს თუხისი მაშინ ჩემთვის, რა თქმა უნდა, არ იყო ცნობილი), პროტესტი ან უკმაყოფილება მაინც გამოეწვია, მაგრამ ხდებოდა პირიქით, კაცობრიობის ასალი ერის — სოციალიზმის მშენებლები რატომღაც აღტაცებული იყვნენ ასეთი ბედნიერი და საამური ცხოვრებით, მშობლიური კომუნისტური პარტიის ვარშემო დარაზმულეები მტკიცე ნაბიჯებით მიემართებოდნენ კიდევ უფრო უკეთესი მომავლის და საბოლოო მიზნის — კომუნიზმისაკენ.

მეორე საუკუნის მიწურულის გადასახედიდან ჩვენ არასოდეს გვიცხოვრია ნორმალურად. კარგად ცხოვრებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. საბჭოთა ბაღის აბსოლუტური უმრავლესობა მეტ-ნაკლებად არსებობდა (ახლა — მით უმეტეს) არაშრობითი შემოსავლით, პირდაპირ თუ ვეტყვი, ქრთამებით, ქურდობით, რაც თითქმის დაშვებული იყო არაათფიციალურად. აბა, სხვანაირად როგორ უნდა გაეტანა თავი სანიტარს ნომინალური ხელფასით, თუ არა — ავადმყოფის ნასუფრალით, ან კიდევ გასტრონომის გამყიდველს, მაქარს ან კარაქს თუ არ გააყოლებდა ხელს.

ანექტებისადმი ჩემი დამოკიდებულების შესახებ ბევრჯერ საკაროდ მოიქვამს და დამიწერია მისი უაზრო თუ უზნეო კითხვების გამო. რადიოკომიტეტში რომ ვმუშაობდი და მეზღვაურთა გადაცემას ვხელმძღვანელობდი, გაჩნდა აზრი, რომ ერთ-ერთ საზღვარგარეთელ რეისში გავყოლოდი საქართველოს სწავლის რომელმე გემს, რანდენიმე ათეულკოთხეიანი ანექტა მომცეს შესავსებად. იქამდე რომ მივედი, თქვენი მეუღლის მამა სად იმყოფება, ხოლო, თუ ცოცხალი არაა, მისი საფლავის ადგილმდებარეობა და ნომერი მიგვითითებო, გრაფაში ჩავწერე, ის ადამიანი, რომელსაც მაშინ არც ვიცნობდი, თქვენ დააპატიმრეთ, დახვრიტეთ, საფლავის ადგილს და ნომერს მე შევითხებით-მეთქი! ამის შემდეგ, თავის თავად ცხადია, ჩემი საზღვარგარეთელი რეისი აღარ შემდგარა.

განსაკუთრებით მანერვულეობდა, უზერხულ მდგომარეობაში მაგდებდა კითხვა, ვიყავი თუ არა პასუხისგებაში, როდის და რისთვის. არადა, მართლა ვიყავი პასუხისგებაში, 1946 წელს, ხუთი წლის პირობითი სასჯელი მომინაჯეს, მაგრამ თუ ამ ხნის მანძილზე რაიმე დანაშაულს არ ჩავიდენდი, შემდეგ ნასამართლევად აღარ

ვითვლებოდი. იურისტობას რომ ვეუფლებოდი, უპირველეს ყოვლისა, ამ საკითხით დავინტერესდი, ასე რომ, ანკეტის სინდისის ქენჯნის გარეშე შემეძლო მეპასუვნა, რომ პასუხისგებაში არ ვყოფილვარ. მაგრამ იყო სხვა, დაუწერელი კანონებიც. ერთხელ ხელმძღვანელ პარტიულ ორგანოში, გამომიძახეს და ძალიან სერიოზულად მისაყვედურეს, რომ პარტიას დაეუმაღლე ასეთი ფაქტი ჩემი ბიოგრაფიიდან. კანონის ჩვენება, რომ მე ნასამართლეად აღარ ვითვლებოდი, იურისტის დიპლომის გამოჩენა ყურად არ იღეს, ჩვენ ჩვენი კანონი და კოდექსი გვაქვსო.

დღეს ჩემი ცხოვრების ეს ეპიზოდი აღარავის ახსოვს, არც არავის აინტერესებს, მე თუ მოგეცემა ზოგჯერ ხუმრობით ნაცნობ-მეგობართა ვიწრო წრეში, სადღაც გამოვაქვეყნე კიდეც, მაგრამ ახლა რატომღაც ძალიან მომიწია, თვალი შემეგვლო სისხლის სამართლის კოდექსის იმ მუხლიათვის, რომლითაც ჩვენ მაშინ ხუთწლიანი პირობითი სასჯელი გამოგვიტანეს.

„ჩვენო“, მიტომ ვამბობ, რომ ორნი ვიყავით, მერხის მეგობართან ერთად, რომელიც შემდეგ სახელოვანი ექიმი გახდა, ორდენები და საპატიო წოდებები დაინსახურა. მოსკოვში დაეაპირეთ გამგზავრება სწავლის გასაგრძელებლად. მილიციაში საშვი იყო ასაღები, რისთვისაც გარკვეული თანხა უნდა გაგვეღო. თანაც კიდევ — გზისა და დედაჩალაქში ცხოვრების ხარჯები. გადავწყვიტეთ, თითო ყუთი დაფნა წაგვეღო თავის გასატანად, მაგრამ ჩვენი კომერციული აქცია ადგილზევე ჩაიფუშა, ბათუმიდან გასვლამდე, იმავე მილიციამ დაგვაკავა, ქრთამი რომ აიღო ჩვენგან საშვის მისაღებად, საქმე სასამართლომდე მივიდა. მახსოვს, ჩვენმა დამცველმა, შემდგომში ცნობილმა დრამატურგმა ვალერიან კანდელაკმა სიტყვა წარმოთქვა პროცესზე, ძველ რომში დაფნა დიდების გვირგვინი იყო, როგორ შეიძლება ამისათვის ასეთი ნიჭიერი, იმედის მომცემი, სწავლას მოწყურებული ახალგაზრდების დიქსაო. კანონში რომსა და დაფნის გვირგვინზე არაფერი იყო ნათქვამი, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 142-ე მუხლში კი გარკვევით ეწერა, რომ ჩვენ ქმედებას სპეკულაციის ცდა ეწოდება და იგი ისჯება ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთით. ციხეში ჯდომა პირობითი სასჯელით რომ შეგვიცვალეს, ესეც დიდი პატივისცემა იყო, მეტად გავლენიანი პირების ჩარევის წყალობით. თუმცა პროკურორმა გააპროტესტა სასამართლოს ეს განაჩენი და შემდეგ რამდენიმე თვის განმავლობაში ვიმალებოდით, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, სანამ მოსკოვში უმადლესმა სასამართლომ საბოლოოდ არ დაამტკიცა სასამართლოს გადაწყვეტილება.



როგორც უკვე მოგახსენეთ, ძალიან მომინდა ერთხელ კიდევ გადამეკლო თვალი იმდროინდელი კანონმდებლობისათვის დღევანდელი დღის გადასახედოდან. უპირველეს ყოვლისა, გამაოცა, რომ ქართული კოდექსები სიტყვა-სიტყვით გადმოთარგმნილია რუსული დედნებიდან. აბსოლუტურად იგნორირებულია ამა თუ იმ ერის ბასიათი, ტრადიციები, წეს-ჩვეულებანი. ჩვენმა სახელოვანმა მუსიკოსმა ანხორ ერქომაიშვილმა მიამბო ერთხელ: ანსამბლი „რუსთავი“ ავსტრიაში მიემგზავრებოდა საერთაშორისო ფოლკლორულ ფესტივალში მონაწილეობის მისაღებად. მოსკოვის საბავომ ხანჯლები არ გაატანა იმ მოტივით, რომ ხანჯალი „ცივი იარაღია“ და თვითმშრისავში მისი შეტანა სასტიკად აკრძალულია. რამდენი არ უმტკიცეს, რომ ხანჯალი, უპირველეს ყოვლისა, „ცივი იარაღი“ კი არა, ქართული ეროვნული სამოსელის ატრიბუტიაო, საბავოს წინოწიკების გული ვერაფერმა შთააღებო. კითხვაზე, რომელ უფროს წინს შეეძლო გადაეჭრებოდა ეს ხელოვნურად შექმნილი პრობლემა, საბავოს ცვლის უფროსმა, ალბათ, ანსამბლის ეროვნულობის გათვალისწინებით მიუგო: „აბრატიტეს კ ლაფრენტი პავლოვიჩო“. სტალინთანაც შეეძლოთ გეგზავნათ, მაგრამ, ალბათ, ჯერ კიდევ ეშინათ მისი.

რუსულიდან გადმოთარგმნილი სისხლის სამართლის კოდექსის 142-ე მუხლს, მართლმსაჯულების უმაღლესი ორგანოების დადგენილებებს, ინსტრუქციებსა და კომენტარებს, აგრეთვე 1953 წელს გამოცემულ „იურიდიულ ლექსიკონს“ რომ გადაავლე თვალი, გავკოცდი, — ყველგან „სპეკულაცია“ განმარტებულია, როგორც რევოლუციის მიერ დანაშაულო ბურჟუაზიული კლასის ზრახვების გამოვლინება, სოციალისტური სახელმწიფოს ეკონომიური ძლიერების ხელყოფა. ამის გამო სასტიკად აკრძალება და ასევე სასტიკად ისჯება კერძო მალაზიების გახსნა, როგორც მშრომელი მასების ყვლეფას საშუალება. მიუხედავად იმისა, რომ სპეკულიაციის ძირითადი აზრი საქონლის იაფად ყიდვა და უფრო ძვირად გაყიდვა და ამ გზით ფულის მოგებაა, კანონი იმ შემთხვევაშიც მკაცრი და უკომპრომისოა, როცა, ეგრეთწოდებული, სპეკულანტი საქონელს ყიდის სახელმწიფოს მიერ დადგენილ მტკიცე ფასებში, ან კიდევ უფრო იაფად! 1928 წელს მიღებული ეს კანონი 1946 წელსაც ძალაში იყო, ჩვენ რომ გაგვასამართლეს. კიდევ კარგი, ხუთი წელი რომ გვაკმარეს მაშინ, ისიც — პირობითად! კარგად გადავრჩენილ ვართ.

განსაკუთრებით უცხოელ იურისტებს უკვირდათ, ისეთი ქმედება, როგორიცაა ყიდვა-გაყიდვა და ამ გზით ფულის მოგება, რა-

ტომ ითვლებოდა დანაშაულად და რატომ ისჯებოდა ასე მკაცრად, საერთოდ, რას ნიშნავდა ეს სიტყვა — „სპეკულაცია“?

დიდი ხნის წინათ, იტალიაში ტურისტული მოგზაურობის დასაწყისში დროს, რომის სასტუმროსთან ერთ პატარა დუქანს შევეჩვიეთ. პატრონი რუსულს ამტკრევდა და იმიტომ. ახლაც მახსოვს მისი სახელი, ოტელო ჰევიოდა. მაშინ ბოლონიის ლაბადები იყო მოდაში. ერთ დღეს დავინახე, რომ რამდენიმე კაცი ამ ლაბადებით მანქანას ტვირთავდა. ესენი ბერძენი სპეკულანტები არიანო, ვვითხრა ოტელომ. გაგვიკვირდა, თქვენთანაც არიან სპეკულანტებიო! არაო, ისეთი სპეკულანტები არ არიან, თქვენ რომ გგონიათ, ესენი ჩემთან თითო ლაბადს 1.500 ლირად ყიდულობენ, საბერძნეთში კი 1700-ად ყიდიან, მაშინ, როცა მათ მაღაზიებში ორი ათასი ლირსო. უცხოეთში, როგორც წესი, ხელზე ნაყიდი საქონელი არ შეიძლება მაღაზიის ფასზე ძვირი ღირდეს. ან კიდევ ბაზარში, როცა დილით რადიოთი გამოგიცხადებენ, დღეს ესა და ეს პროდუქტი ამდენი ღირსო, გაბედავ და უფრო ძვირად დააფასებ!

გარდაქმნის პირველ წლებში გამოჩენილი ამერიკელი ეკონომისტი, აკადემიკოსი, ნობელის, პრემიის ლაურეატი, რუსი გრაფების შთამომავალი, ლეონტიევი, პეტერბურგში მიუწვევიათ და უთხოვიათ, თქვენი ცოდნა და გამოცდილება მშობლიურ კუთხეს მოახმარეთ. ლეონტიევს, უპირველეს ყოვლისა, ბაზრები მოუნახულებია და გაეკვირვებია, რომ პეტერბურგში კილოგრამი ხორცი 100 მანეთი ღირდა, ხოლო 300 კილომეტრით დაშორებულ შის ყოფილ მამულში — 50 მანეთი. უკითხავს, რატომ იქ არ შეიძენთ ხორცს და აქ არ გაყიდით, ამით ხომ ორივე მხარე მოიგებსო. აკადემიკოსისათვის აუხსნიათ, რომ ეს დანაშაულია, რასაც სპეკულაცია ჰქვია და ხუთწლიანი პატიმრობით ისჯებაო. ყოვლისმცოდნე აკადემიკოსი განცვიფრებულა და საოქმელი მოკლედ მოუჭრია, სანამ თქვენ ბევრი სპეკულანტი არ გეყოლებათ, არაფერი გეშველებათო. ამდგარა და წასულა ის კაცი უკან, თავის ამერიკაში.

საქართველოს მართლმსაჯულება დღესაც რუსული კოდექსების ქართული თარგმანებით ხელმძღვანელობს. ამიტომ სპეკულაციის მუქალი იქაც და ჩვენთანაც საერთოდ ამოღებულია, ვინაიდან დღევანდელი ეკონომიკა, საბაზრო ურთიერთობა, მიზნის აგებულება პრინციპებზე, რასაც არც თუ შორეულ წასულში სპეკულაცია ჰქვიაოდა და საკმარად მკაცრად ისჯებოდა.

ძალიან ხომ არ გავაიდებალურე სპეკულანტის როლი ჩვენს ეკონომიკაში? მთავარი მაინც ისაა, ყოველივე ამას დღეს ხუმრობით რომ ვიგონებ და უკვე აღარაა აუცილებელი, ანკეტაში ან აგტო-

ბიოგრაფიაში ჩავწერო ჩემი ცხოვრების ეს კრიმინალური ეპიზოდი. მაგრამ მაინც საჭიროდ ჩავთვალე, იგი შემეტანა წიგნში „ჩემი წილი საუკუნე“, ერთმა კოლეგამ კი, მისთვის ჩვეული იუმორისტულ ნახევრადოფიციალურ სუფრაზე განაცხადა, თუ ვინმე დისერტაციას დაიცავს საბაზრო ეკონომიკის თემაზე, თქვენი დამსახურებაც უნდა აღინიშნოს, ვინც იდეჟით ქართული ბიზნესის სათავეებთანო.

მაგრამ თურმე სახუმაროდ სულ არ მქონია საქმე. ამაში დაერწმუნდი, როცა ერთ დღეს თბილისში ჩავაკითხე ჩემს შემნახველ ბანკს, სადაც ათეული წლების განმავლობაში მისხალ-მისხალ გროვდებოდა მომავალი სარჩო-საბადებელი — ჩვენში თუ საზღვარგარეთ დადგმული პიესებიდან გადმორიცხული საავტორო პონორარი. ეს ბანკი მდებარეობდა რუსთაველის თეატრსა და სასტუმრო „თბილისს“ შორის. ვიცოდი, რომ იგი დაინგრა იმ ტრაგიკულ დღეებში, სურვილიც არ მქონდა ჩამეკლო რუსთაველის პროსპექტზე. კითხვა-კითხვით მივაგენი ჩემი ბანკის ახალ ადგილ-სამყოფელს. იმ დროისათვის მანეთი უკვე კუბონით იყო შეცვლილი, მაგრამ, ალბათ, ფსიქოლოგიურად ჯერ კიდევ არ ვიყავი მზად, რომ სახელმწიფოსათვის თითქოს საიმედოდ მიბარებულნი მანეთების ნაცვლად, რომლითაც შემძლო მეყიდა ბინა, მანქანა, ავეჯი, ნაწილი კიდევ იმ დღისათვის შემომენახა, რომელიც ყველას გველის ჩემი მშობლიური ბანკი მომითვლიდა ახლადმოჭრილ ტკიცინა კუპონებს, რომლებითაც ერთ ქათამსაც ვერ იყიდდი ყოფილ საკონსულტაციო ბაზარში.

ბავშვობიდან მსმენია, რომ კაპიტალის სამყაროში, სადაც ბატონობს ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაციის მგლური კანონები, სწორად კოტრადებიან ცალკეული კერძო ფირმები და კომპანიები, ასევე ცალკეული კაპიტალისტები, მაგრამ ვერ წარმოვიდგენდი, რომ მეც ჩემი მშობლიური ბანკი სახელმწიფოს სახელით ბოდიშსაც არ მომიხდიდა სიტყვის გატენისათვის, ჩემი ვაკოტრებისათვის. მართალია, ერთმა ვიცე-პრემიერმა ქვეყნის მთავარ გაზეთში გამოაქვეყნა, მეანაბრებებს 12-ჯერ გავუზრდით შემოტანილ თანხასო, მაგრამ მეორე თუ მესამე დღესვე იმავე გაზეთმა მოგვაწოდა მთავრობის განცხადება, ნაადრევად მოგვივიდა დაბრება, ცოტა კიდევ უნდა გვადროვოთო. თანაც არც ამჯერად მოუხდიათ ბოდიში.

არა, ნამდვილად კარგი წესი აქვთ იაპონელებს — ხარაკირი, თავად რომ გამოაქვთ განაჩენი საკუთარი თავისათვის, მუცელს რომ იფატრავენ რაღაც დანაშაულის ან გამოუვალი მდგომარეობის გამო. მაგრამ ვინ არის დამნაშავე? ეს კითხვა აწუხებს ყოველ ჩვე-



ნგანს, მათ შორის — მეც. ამას არკვევს გაუთავებლად ჩვენთვის ლამენტის, უამრავი მაკონტროლებელ-დამსჯელი ორგანო, არის ჩემი გაკოტრების მიზეზი, ყოფილი თუ ახლანდელი პრემიერ-მინისტრი, ეროვნული ბანკის დღევანდელი თუ გუშინდელი პრეზიდენტი, რომელიმე კომერციული ფირმა თუ რამდენიმე ათეული მოხალისისაგან შეკონსტრუირებული პარტიის ამბიციური ლიდერი? ეს ჩემმა უფროსმა და უკვდავმა კოლეგამ — უილიამ შექსპირმაც ვერ გაატყვია, თავის ერთ გმირს რომ ათქმევინა — „მაგრამ მსაჯულები ვინ არიან?!“

ძალზე რიტორიკული კითხვაა, არა? შეიძლება რამდენადმე უხერხულიც, ვინაიდან ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს კრიმინალთან, როცა პიროვნება კი არ ძარცავს მეორე პიროვნებას. ან სახელმწიფოს, თუმცა ასეც ბევრჯერ ყოფილა.

მაგრამ ვგაძნობ, კვლავ გადაუხვევე თემას. მცირე ხნით ისევ დავშვავთ ცოდვილ დედამიწაზე და მივხედოთ საკუთარ პრობლემებს, ოჯახს, პირად შემოსავალ-გასავალს, როგორ გავიტანოთ თავი თვიდან... „თვიდან თვემდეო“, მინდოდა მეთქვა, მაგრამ, ეს ვამოთქმაც თანდათან ამოვარდა ჩვენი ლექსიკონიდან, რადგან თვის ბოლოს უწყისით გამოწერილი ჩემი გასამრჯელო 20 ცენტია, ხოლო მინისტრის ხელფასით ნახევარ კილოგრამ სულგუნს ვერ იყიდი. არადა, იმ ოჯახზე, სადაც ჩემი ამხანაგი ზურიკო დილდილობით კაკოს და კარაქიან თეთრ პურს მიირთმევდა, მეზობლები ამბობდნენ, მინისტრივით ცხოვრობენო.

მაგრამ ხელფასი არასოდეს არ ითვლებოდა ჩემი და ჩემი ოჯახის საარსებო წყაროდ. ძირითადად ლიტერატურული საქმიანობით ვირჩენდით თავს. ბევრს ასე ჰგონია დღესაც. ახალ ეკონომიკურ ურთიერთობას ვერაფრით ვერ აუბა მხარი შემოქმედებითმა ინტელიგენციამ, როგორც ჩვენ გვეძახიან, თუმცა ეს კოლექტიური წოდება, პირადად მე, ძალიან მესამუშება, რადგან, ალბათ, ბევრ ჩვენგანს არც შემოქმედებასთან და არც, მით უმეტეს, ინტელიგენტობასთან არავითარ კავშირი არა გვაქვს. არც თეატრის მოღვაწეთა კავშირში ხართ ყველა მოღვაწეო, ვაიფიქრებს ან ჩაიჭირაქილებს ვინმე, და მართალიც იქნება. ან კიდევ, შეიძლება, თუ არა, მწერალი დეპუტატის სავარძელში იჯდეს და ოპოზიციაში ედგას ხელისუფლებას? თუმცა ეს სულ სხვა თემაა, სხვა საუბრის საგანი.

ეროვნული დამოუკიდებლობა თანდათან ეროვნულ კარჩაქეტილობად გადაიქცა. ყოველგვარი კონტაქტი შეწყდა კოლეგებთან, როგორც საზღვარგარეთ, ასევე, მათ დღეს რომ უწოდებენ, ყოფილი საბჭოთა კავშირის ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებთან. ისიც



კი არ ვიცა, ცოცხლები არიან, თუ არა; ასევე — მათაც; შინ მისულ
 ლი, ჩვეულებისამებრ, პირველ რიგში, თვალს შეკავლავ საფეხურებზე
 ყუთს, რომელიც ყოველთვის რაღაც ახალი ამბის მომტანი იყო
 ჩემთვის, მაგრამ ახლა იგი თვეობით ცარიელია. როგორც ჩანს, ქა-
 რთული თეატრი როგორმე ძლებს ჩემი დრამატურგის გარეშე.
 ისევ პროზა, პუბლიცისტიკა მამლებინებს. ალბათ ასევე განაპი-
 რებებს ამას, ცხოვრებისეული შთაბეჭდილებები გაუზიაროსხვებს,
 რა ხდებოდა მენს გარეშემო ამ მშულოთვარე მეოცე საუკუნეში. ამი-
 ტომ დავწერე „ჩვენებურები“ — თურქეთში მცხოვრებ თანამე-
 მამულეებზე, „ერთხელ... ჩვენში თუ საზღვარგარეთ ნანას-განც-
 დილზე, ეს ავტობიოგრაფიული წიგნიც — „ჩემი წილი საუკუნე“.

მაგრამ... ეს „მაგრამ“ ისეთი სიტყვაა, რომლის შემდეგ რაღაც
 არ გამოდის, საქმე იწლება, ჩანაფიქრი არ ხორციელდება, მოწი-
 ნააღმდევის კარში გოლი არ გადის და ასე შემდეგ; არც წიგნი გა-
 მოდის; მე როგორღაც ბედმა გამიღიმა, ახლანდელი ჩვენი პრემი-
 ერ-მინისტრი, ბატონი ოთარ ფაცაცია ზუგდიდის ქალაქის კომ-
 ბინატს რომ ედგა სათავეში, მაშინ შემიწყო ხელი, მეგობრებიც
 დამეხმარნენ, სასტამბო-საგამომცემლო ხარჯებიც ჯერ კიდევ არ
 აღწევდა ასტრონომიულ ციფრებს, ასე რომ, ორივე წიგნმა შედა-
 რებით ადვილად იხილა დღის სინათლე, მაგრამ... ისევ „მაგრამ“,
 საქმე ისაა, რომ „ჩვენებურები“ რომ დაისტამბა, მანეთი ჯერ კი-
 დევ მანეთობდა და იგი 5 მანეთად შეფასდა. კუპონი რომ გამოჩნ-
 და, მთავრობამ დაგვაიძუდა, თქვენ არ ინერვიულოთ, კუპონი მალე
 რუსულ მანეთს განდევნის და ქართველები მთლად დამოუკიდებ-
 ლები გახდებიან. ასეთი დაპირების იმედით ჩემი ხუთმანეთიანი
 „ჩვენებურები“ ხუთ კუპონად შეფასდა, ხოლო საბოლოოდ როგ-
 ორ დამთავრდა ეს ფინანსური ჭიდილი, ყველას კარგად მოგეხსენე-
 ბათ, კუპონით დღეს ნიახურსაც ვერ იყიდი ბაზარში. რა შემოსა-
 ვალს მომცემდა „ჩვენებურები“, თავად განსაჯეთ.

„ერთხელ...“ რომ დაისტამბა, კუპონს ჯერჯერობით, კიდევ
 ედგა სული, ამიტომ იგი 300 კუპონად შეფასდა. რა თქმა უნდა,
 ამ თანხიდან ნაწილი მიჰქონდა სავაჭრო ორგანიზაციას, წიგნი თა-
 ვის თავს მინც გამოიყიდდა, მაგრამ... თუ რატომ ისევ „მაგრამ“,
 ჩვენს ყოველდღიურ საყოფაცხოვრებო ეკონომიკაში საკმაოდ კა-
 რგად გათვითცნობიერებულ მკითხველი, ალბათ, მიმიხედება.

„ერთხელ საქართველოს ტყვევიზია ეწვია ბათუმს. ჩემთან შე-
 ხედრა ისურვეს. მხოლოდ პოლიტიკის გარეშე-მეთქი, ამ პირობ-
 ით დავთანხმდი. კი, ბატონოო, ჩვენ ხომ მუსიკალური რედაქციი-
 დან ვართო. ვაგუზიარე მათ ჩემი დილექტანტური მოსაზრებანი

მუსიკაზე. ზოგიერთი კუროთზიც გავიხსენე. წამყვანმა, ინტერვიუს
რომ იღებდა ჩემგან, კედელზე ერთი ნახატი შეამჩნია, ვიანტიკა
შვილმა რომ მათავაზა იმ დღეებში. ერთ ნახარეს ტულეტის ქალ-
ლდი ეხატა მინაწერით, რომ მისი წონა 130 გრამია და ღირს 2.000
კუპონი, ხოლო მეორე მხარეს — ჩემი წიგნი „ერთხელ“... წონით
— 200 გრამი, ფასი — 300 კუპონი. ეს რას ნიშნავს? აი, ამ
დღეშია ჩვენი მწერლობა-მეთქი. არც მიფიქრია, რომ ანას გამო-
იყენებდნენ ვადაცემაში. არადა, უჩვენეს ტელევიზიით. არც ერთ
ჩემს პიესას არ ჰქონია ასეთი წარმატება. მირეკავდნენ, ქუჩაში მა-
ჩერებდნენ, წერილებსაც მწერდნენ, გადაცემის გამეორებას მთი-
თხოვდნენ. კინოსტუდია „აჭარამ“ რომ ჟურნალი გამოსცა, „მარ-
ჯი“, იქაც გამოიყენეს ის ნახატი. შემდეგ მხატვარმა რამდენიმე
შესწორება შეიტანა. ტულეტის ქალალდის ფასი 2.000-დან ჯერ
ხუთად, ხოლო შემდეგ 12 ათასად გადააკეთა. ახლა შეიძლება მე-
ტიც ღირს. ჩემი წიგნის ფასი კი უცვლელია და დარჩა — 300 კუ-
პონი.

პიესიდან პიესამდე, წიგნიდან წიგნამდე ჟურნალ-გაზეთებში
გამოქვეყნებული პუბლიკაციებით ივსებოდა საოჯახო ბიუჯეტი, მაგ-
რამ ერთ სრულად, არამწვენიერ დღეს გაზეთის თრ გვერდზე
დაბეჭდილ ამ წიგნის ერთ თავში მიღებული ჰონორარით ის გაზ-
ეთიც კი ვერ შევიძინე კიოსკში, ერთ დროს 2 კაპიკი რომ ღირ-
და, ხოლო ჟურნალ „ჭოროხში“ აღებული ნახევარი მილიონი კუპ-
ონი ერთ ცალ „სოსისსაც“ არ იყო, საერთოდ, უარი განვაცხადე
ჟურნალ-გაზეთებიდან გასამრჯელოს მიღებაზე.

ბათუმში დღეს ყველაზე პოპულარული საგაჰრო ობიექტი
„ხოფის ბაზარი“ა, სადაც, რა გინდა, სულ და გულო, რომ არ
იშოვებოდეს, ისევე, როგორც ნამდვილ ხოფის ბაზარში, რომელ-
იც, რამდენადაც ცნობილია, მეზობელ თურქეთში მდებარეობს.
ერთ დღეს, როცა „ხოფაში“ რალაცის შესაძენად გავედი, უცებ
ბარტყრული ექსპერიმენტის ჩატარების სურვილი გამიჩნდა, ერთ-
ერთ ფარდულში შეგედი და გამყიდველს ჩემი წიგნი შევთავაზე,
რომელიმე საქონელში გაგიცვლი მეთქი. ბატონი ისმეთი (ასე გამე-
ცნო ფარდულის პატრონი, ხულოდან ვარო), ცოტა არ იყოს, დაი-
ბნა, ან ეს „ჩემი წიგნი“ რას ნიშნავდა, ან მისი გაცვლა რომელიმე
საქონელში, თითოეული მილიონები რომ ღირდა! მაგრამ მაინც
სიტრთხილვ გამოიჩინა, შეიძლება მე ის კაცი ვიყავი, ვისაც მისი
ფარდულის აღება ან სხვა რამ ამდაგვარი ადმინისტრაციული ლო-
ნისიძების გატარება ევალებოდა. თავდაპირველად „ჩემი წიგნი“
— ალბათ, ეგნატე ნინოზვილის ან პარმენ ლორიას ნაწარმოები



ეგონა, მაგრამ უკანა ყდაზე ჩემი ფოტო რომ დაინახა, სულ გაფრთხილებული
 ჯდა და მხოლოდ იმის თქმა მოახერხა, რას ინებებთ, ბატონო?
 ამ ჩემ წიგნს ერთ სიგარეტში გადაგიცვლი-მეთქი. ბატონმა ისმე-
 თმა ერთი ბლოკი „ელემი“ მომაწოდა. ერთი კი გავიფიქრე, ჯანაბ-
 ას ექსპერიმენტი, აიღე ეს სიგარეტი, დაუტოვე წარწერით: შენი
 300-კუბონიანი წიგნი და გაუყევი გზას-მეთქი, მაგრამ უკან და-
 ხევა აღარ შეიძლებოდა, ექსპერიმენტი ბოლომდე უნდა მიმეყვანა,
 თანაც უკვე გარშემო ხალხი შეგროვდა, ნაცნობებიც და უცნობ-
 ებიც. არა, ბლოკი მე არ მითხოვია, ერთი სიგარეტი-მეთქი. ისმეთ-
 მა ბლოკი გახსნა და კოლოფი მომაწოდა. კიდევ უფრო დავუხუხს-
 ტე, კოლოფი კი არა, ერთი ღერი მეთქი. ასე და ამრიგად, მე მის-
 გან მივიღე ერთი ღერი სიგარეტი, რაც დავაფიქსირე წიგნზე წა-
 რწერით და სამახსოვროდ გადავეცი ბატონს ისმეთს. შეიძლება
 ცოტა არანორმალურადაც ჩამთვალა. ალბათ, შინ მისული, მდგეგ-
 ბოდა ამ ამბავს, სოფელშიც აიტანდა, თუ როგორ გაუცვალა ერთ-
 მა გიჟმა მწერალმა ერთ ღერ სიგარეტში თავისი წიგნი. მე კი ბა-
 რტერულ ექსპერიმენტში მოგებული კომერსანტის სიამაყით ვტო-
 ვებდი „ხოფის ბაზარს“, ვინაიდან ის ერთი ღერი სიგარეტი 2.000
 კუბონამდე ღირდა, ჩემი წიგნი კი — 300 კუბონი. ესე იგი, ერთი
 კი არა, შეიძლია წიგნი უნდა მიმეცა ბატონი-ისმეთისათვის. ეს მაშ-
 ინ. დღეს კი სიგარეტი სამჯერ გაძვირდა. ასე რომ, ერთი ღერი
 „ელემი“ რომ შევიძინო, ოცი ცალი წიგნი უნდა „გადავიხადო“. ამით
 შეიძლება კომერციულ საიდუმლოებას ვამხელ, მაგრამ, სა-
 მადეეროდ, ის წეხვედრა ზოფის ბაზარში ბატონ ისმეთთან არასო-
 დეს დამავიწყდება, როგორც ჩვენი ცხოვრების, ჩვენი ისტორიის
 ნაწილი. ალბათ — მასაც.

მაგრამ ეს მხოლოდ ზოგიერთი ფრაგმენტია ჩემი, როგორც
 ბონესმენის, კომერსანტული საქმიანობისა, უფრო მთავარზე გი-
 ამბობთ შემდეგ თავში.

ზ ი ზ ბ რ ი ა ნ ა

ანუ

**ამბავი ჩემი თავბრულამხვევი კომერსანტული
 კარიერისა 3 მანეთიდან — მილიონამდე**

თუ როდის როგორ აღმოვაჩინე პირველად საკუთარ თავში
 კომერსანტის ნიჭი, ამის თაობაზე ერთხელ უკვე ვუამბე მკითხვე-
 ლებს ჩემს დოკუმენტურ წიგნში — „ჩვენებულები“, როგორ ვი-
 ვაპრე სტამბოლის ცნობილი დახურული ბაზრის — ყვეფალი ჩა-

როის“ ლაბირინთებში, ისე დავახვიე ტარაბუა ერთი მღაწის პიტრონს, რომ წაგებით მომყიდა საქონელი — ვერცხლით მოსთხოველი ქალის მოღური სვიტერი. მაგრამ მაშინ ამას მაინც სულსკობის ელფერი ედო, ამჭერად კი საქმე ეხება სერიოზულ კომერციულ ოპერაციას, რომელიც შეიძლება კრახით დამთავრდეს, კიდევ უფრო მეტი, სისხლის სამართლის რომელიმე მუხლიც მომისადაგონ.

უკანასკნელი რამდენიმე ათეული წლის მანძილზე თავსა და ოჯახს ძირითადად პიესების წერით და წიგნების გამოცემით ვარჩენდი. წარსულ დროში იმითომ ვამბობ, რომ დღეს პიესა აღარავის უნდა, ყოველ შემთხვევაში, თეატრებს უჩემდრამატურგიოდ გააქვთ თავი, რაც შეეხება წიგნის გამოცემას, ჩემი ბოლო ნაწარმოები „ერთხელ...“, როგორც უკვე ვითხარით, ერთ კონა ნიახურად ფასობს. (თუმცა ბაზრიდან მოსული ქალიშვილი მისწორებს, ნიახური უფრო ძვირი ღირს) — ახალი წიგნის გამოცემა რომ დავაპირე და სტამბის, გამომცემლობის თუ სავაჭრო ორგანიზაციებისათვის გადასახდელი ხარჯები შევაჯამე, გამოირკვა, ქალაქის გაყიდვით სამჯერ მეტი ფული შემიძლო ამეღო. ვიდრე დაბეჭდილ წიგნში.

ახალ ფასებთან ერთად გაჩნდა ახალი სიტყვები — საბაზრო ეკონომიკა, თავისუფალი ვალუტა, პრივატიზაცია, ბარტერი, ბიზნესი... (ერთი ჩემი ნაცნობი ისე ჩავიდა საფლავში, „ბიზნესი“ სალანძღავი სიტყვა ეგონა). ჩემს პიესას ვიგონებ, „ჩინარის მანიფესტს“, მარცხნაროვმა, რომ დადგა მოსკოვის სცენაზე, საზღვარგარეთაც წარმოადგინეს. 18 წლის ახალგაზრდა თვითონ თხოვს რაიონის მაშინდელ ხელმძღვანელს, კოლმეურნეობის თავმჯდომარედ დამნიშნეთო. მოხდა სასწაული და მართლა დანიშნეს (ფორმალურად — აირჩიეს). სოფელ ჩინარის ახალგაზრდა თავკაცს არასრულ საშუალო სკოლაში შეძენილი არითმეტიკული ცოდნა ეყო იმისათვის, რომ დაედგინა, გლენს საკუთარ ბაღ-ვენახში სამჯერ მეტი მოსავალი მოჰყავდა, ვიდრე იმავე ფართობზე კოლმეურნეობაში. არავისთვის უკითხავს, არსად არ შეუთანხმებია, ადგა და მთელი მიწები გაუნაწილა გლენებს. ათი წლის წინათ არც მეგონა, რომ თურმე პიესას ეწერდი პრივატიზაციაზე, თუმცა ეს სიტყვა მაშინ გაგონილიც არ მქონდა.

ერთხელ კულტურის სამინისტროში შეგვეკრიბეს ჭკუის საკითხავად, ახალ პოლიტიკურ-ეკონომიკურ ვითარებასთან დაკავშირებით, ყოფილი სტალინის, ყოფილი რევოლუციის მუზეუმში რა ვახსნათო. სხვადასხვა წინადადება წამოაყენეს, ზოგიერთი ისეთი, ერთ-ორ წელიწადში ისევ გასაუქმებელი რომ ვახდებოდა. ჩემი



ჯერი რომ დადგა, ვთქვი; კაზინო გაგხსნათ-მეთქი. ერთი პატრონი მული ქალბატონი ისე გაწითლდა, წესიერ საზოგადოებაში უცქიროს სიტყვა რომ წამოგდებდა ადამიანს. ალბათ სხვა რამ იგულისხმა ამ სიტყვაში; ახლაც თვალს მარიდებს, რომ მხედება.

ყველა ეს სიახლე, უპირველეს ყოვლისა, ეკონომიკასთან, ფულის შოვნასთანაა დაკავშირებული. ახლა ვიშკით, „აეროტას“ ზაღვის შემდეგ საზოგადოება ორ ანტაგონისტურ კლასად რომ დაეყავით, — მდიდრებად და ღარიბებად, ექსპლუატატორებად და ექსპლუატირებულებად, წითლებად და თეთრებად... მოსკოვის ერთ თეატრში მიხეილ ზადორნოვს შეეხვედი, საქვეყნოდ ცნობილ მწერალ-სატირიკოსს. მაშინ მომიყვა: ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელი არაკი: პუტერბურგში მოუსწრო რევოლუციამ მოხუც გრაფინიას, ცნობილი დეკაბრისტის შვილიშვილს. ერთ დღეს გარედან ხმაური შემოესმა, ერთადერთ შემორჩენილ მოახლეს უთხრა, გაიხვედი, რა ხდებოა. რევოლუციაა, გრაფინია, ხალხი დემონსტრაციანზეა გამოსული. რა უნდათო. უნდათ, მდიდრები რომ არ იყვნენო. საოცარიათ, უთქვამს გრაფინიას, ჩემი დეკაბრისტი ბაბუა სულ იმაზე ოცნებობდა, ღარიბები არ იყვნენო.

ჩვენთან წესიერი გზით ფულის შოვა ძნელია, უწესო გზით — საშიში. უცებ გასამდიდრებლად ან ლატარეაში უნდა მოიგო ექვსციფრიანი, თანხა, ან კიდევ „ბოლევ ჩუდესში“ — „მერსედესი“; ან პარიზელმა ნათესაგმა ანდერძით დაგიტოვოს მილიონი შვეიცარიის ბანკში (რაც ფანტასტიკის სფეროს განეკუთვნება), ან კიდევ, ღამით შინ დაბრუნებულმა, შენი სახლის კარებთან დოღარებით გატენილი ჩანთა იპოვო და ტელევიზიაში არ მიხვიდე გამოსაცხადებლად (რაც შვეიცარიის ბანკში ნაანდერძვე მილიონზე უფრო რეალურია).

კომუნისტის ყოფილ მშენებელთა ძირითადმა მასამ ნათელი მომავლის მისაღწევად უფრო პრაქტიკული გზა გამოიხატა, — სახლებს ძირი გამოუთხარა, სარდაფები დუქნებად აქცია, ქუჩებში მაგიდები გამოდგა და პრიმიტიულ-ბარტერული მანიპულაციებით თურქეთიდან ჩამოზიდული, საბჭოთა ვაჭრობის ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, ნაირ-ნაირი ფართო მოხმარების საქონელი გამოაფინა. რადგან საბაზრო ეკონომიკას სახელმწიფო ვეღარ განაგებს, სპეკულაციას ბიზნესი დაერქვა, ხოლო ხელისუფლება სიტუაციას ვერ ფლობს, ამ, ეგრეთ წოდებული, ფართო მოხმარების საგნებს ისეთი, თითქმის ასტრონომიული, ციფრები დააწერეს, რომ ჩემი ჯამაგირის პატრონი, არა თუ ყიდვას, ფასების კითხვასაც ვერ გახედვას.



რადგან ყველა ჩემი პიესა ცხოვრების კარნახით იწერებოდა (ყოველ შემთხვევაში, ასე მიაჩნდათ კრიტიკოსებს), იმედით ვიყავი, ერთ მშვენიერ დღეს, როგორ მიკარნახებდა ცხოვრება თავისა და ოჯახის რჩენის ვზევსა და საშუალებებს, თქვენ წარმოიდგინეთ, მართლაც ასე მოხდა.

ჩვენს უბანში კოლბვაჭრობის პატარა ფარდულია. ჩემი ძველი ნაცნობი ამირანი განაგებს იქაურობას. კოლბერატიული ვაჭრობის ძირითადი პრინციპი ყველასათვის ცნობილია, სადღაც და ვიღაცისაგან სასურსათო პროდუქტები ისე იაფად უნდა შეიძინო, რომ შემდეგ შენც მოიგო, თან კიდევ საკოლმეურნეო ბაზარს კონკურენცია გაუწიო. მართალია, ეს პრინციპი ზოგჯერ ირღვევა, მაგრამ ნოულოდნელად სტუმარი რომ გეწვევა ან ბაზარი გეშორება, ამირანთან შეიძენ ზოგიერთ პროდუქტს. ერთ, უკვე შემიძლია თამამად ვთქვა, მართლაც რომ მშვენიერ დღეს, ამირანის მღაზის თარღზე შენთხვევით თვალი მოგკარი ჩვეულებრივ ნახევარლიტრიან მინის ქილებს, რომლებშიც თეთრ სითხეში მწვანე მარცვლები იდო. ვიცოდი, რომ არსებობს მწვანე ზეთისხილიც. მიგემნია კიდევ, მაგრამ ასეთი დელიკატესი ამირანის ფარდულის თარღზე საიდან უნდა გაჩენილიყო, ვერ წარმომედგინა! ეს რა არის-მეთქი. ყოველ შემთხვევასათვის, ვიკითხე. ტყემალიაო, რომ მოთხრა, ყოველგვარი ინტერესი გამიქრა ამ არცთუ ისე ფართო მოხმარების საქონლისადმი, ბავშვობიდან კბილის მოკვეთით რომ დამამახსოვრდა. ახალივითაა, ხარჩოს უხდება ძალიანო, უფრო რეკლამის თვალსაზრისით შემომთავაზა ამირანმა. მაინც ვიფიქრე, ერთორ ქილას ავიღებ, იქნებ მომიწონონ ოჯახში-მეთქი. ფასი ვიკითხე და, სამი მანეთია რომ მოთხრა, არ ვიცი, საიდან, ალბათ, ზეციურნა ძალამ ამოატივტივა ჩემს გონებაში პირველი კომერციული იდეა — ჰიპოთეზა. ორიოდვე კვირის წინათ, ოფიციალურად გამოცხადდა, ათშაურიანა „ბორჯომის“ ბოთლი დღეიდან ხუთი მანეთი ღირსო. თუ მთავრობას ბოთლები გაუჭირდა, მინის ქილები ვითომ რატომ უნდა ჰქონდეს თავზე საყრელად! აგერ, ბატონი ამირანი — ტყემლით ხავსე ქილას სამ მანეთად მთავაზობს. ხომ შეიძლება სულ ცოტა ხანში მინის ქილაც „ბორჯომის“ ბოთლივით გაძვირდეს? გულისცემამ რომ მიმატა, ამისათვის ყურადღება არ მიმიქცევია, ვუთხარი, ერთი ყუთი მომეცე-მეთქი. ამირანმა გაკვირვება ვერ დამალა, ყუთში 24 ქილია, ამდენი რად გინდაო! ეს მე ვიცი-მეთქი, ვუპასუხე ბუნდოვნად, მაგრამ მრავალმნიშვნელოვნად და ჯიბეზე ვავიკარი ხელი.



საქლში ჩემი წენაძენით გამოჩენამ ისეთივე ცხოველი ინტერესი გამოიწვია, როგორც ყოველმა გაუხსნელმა ყუთმა, რომელსაც თეორიულად შეიძლება იდო ჩინური ხორცის კონსერვი, შედეგებული რძე, ბულგარული კომპოტი ან სხვა რამ დეფიცითური პროდუქტი. სანამ ქალიშვილი ყუთს გახსნიდა, მე, ყოველ შემთხვევისათვის, მეორე ოთახში ვავედი ვითომ ახალი გაზეთების გადასათვალიერებლად. მთელი ჩემი ყურადღება მიპყრობილი იყო სამხარეულოსაკენ, საიდანაც მალე შემომესმა ქალიშვილის გაოცებული შექახილი, ეს რა გიქნიაო! ყუთით რომ დამადგა თავზე, ამდენი ტყემალი რად გინდოდაო, მართალია, ჩემი კომერციული იდეა—პიპოთეზა შესამჩნევად გაფერმკრთალდა, მაგრამ ისტიბარი მაინც არ გავიტყხე და ამირანის ნათქვამი შევაგებე, ახალივითაა, ხარჩოს უხდება ძალიან-მეთქი. მერე, ამდენიო, — მრავალმნიშვნელოვნად იკითხა, რაც იმასაც ნიშნავდა, ხარჩო, უპირველეს ყოვლისა, ხორციდან კეთდებაო.

4
5
80

იმ ყუთისათვის ადგილი არაფრით არ გამოიჩნა. იდო დერეფანში ჩემთვის ნერვების ასაშლელად, სხვებისათვის — ირონიული ღიმილის და ხუმრობის საგნად. ყველას ფეხებში ებღანდებოდა, ერთ-ორგერ კისერი კინალამ მოვიტყხე. არც მეზობლებისათვის დასარიგებლად შემეტებოდა. ბაზარშიც კი წავედი ახალი ხორცის საყიდლად, რომ ერთი ქილა ტყემალი მაინც გაგვეხარჯა. მას შემდეგ ამირანის დუქანთან ჩავლას ვერიდებოდი. ჩემი კომერციული დებუტის იდეა თანდათან სულს დაფავდა. მაინც ყოველდღე ვაფაციცებოთ ვუსმედი რადიოს, ტელევიზორს, იქნებ რადიოს მოეკრა ყური-მეთქი. გაზეთებსაც უკანასკნელ სტრიქონამდე ვკითხულობდი. მე სრულებით არ მაინტერესებდა სხვა ახალი ამბები, ბუში გაიმარჯვებდა საპრეზიდენტო არჩევნებში თუ კლინტონი, როგორ ჩატარდა რუსთაველის თეატრის გასტროლები ესპანეთში, სად ითამაშებდა მარადონა ახალ სეზონში... მთელი ჩემი კონცხა ერთი პრობლემით იყო დაკავებული... და ოი, საკვირველებაც, ერთ, მართლაც რომ მშვენიერ დღეს, უფრო სწორად, დილას რადიომ გამოაცხადა ვაქრობის სამინისტროს ბრძნული გადაწყვეტილება, ამიერიდან ნახევარლიტრიანი მინის ქილა 6 მანეთი ეღირებოდა. მე რადიოკომიტეტში მიმუშავია და ვიცი, ჰაერში გადაცემული ცნობა არ ითვლება სრულფასოვან დოკუმენტად, ამიტომ მთელი დღის განმავლობაში ხმას არ ვიღებდი, სანამ საღამოს ტელევიზიით, „მაცნეში“ არ გამოაცხადეს, 0,5 ლიტრის მოცულობის მინის ქილა ამიერიდან 6 მანეთი ღირსო. ეს ოჯახის წევრებმაც მოისმინეს, მაგრამ მე არ ვიმჩნევდი, მხოლოდ მრავალმნიშვნელოვნად ვიღიშებოდი, მეორე დღეს პრესაში რომ გამოქვეყნდა იგივე

2 „ქორთხი“, № № 1-3

საქართველოს
ბიბლიოთეკა



და რამდენიმე გაზეთი გავშალე ერთდროულად, უმაღლესი ვიცე-პრეზიდენტი როგორ ამალდა ოჯახში ჩემი ავტორიტეტი. იმ თითქმის უხელო ლეხელი ყუთისათვისაც გამოიძებნა უფრო ღირსეული ადგილი. მე უმაღლესი ამირანის მალაზიას მივაშურე... მაგრამ უკვე არც ერთი ტყემლიანი ქილა თაროზე აღარ იდო; დაიტაცესო, მოთხრა, შეიძლება თვითონ გადაინახა. მოგვიანებით, მაგრამ, ალბათ, მასაც გაუჩნდა კომერციული იდეა, საღამოს დავიანგარიშე დებეტ-კრედიტი. გამოირკვა, რომ ტყეპალი უფასოდ დამრჩა, თან კიდევ თითო ქილაზე 3 მანეთი მოვიგე. ეს იყო ჩემი, როგორც ბიზნესმენის, პირველი გამარჯვება. მეორე დღეს ზარჩო კიდევ უფრო გემრიელი მომეჩვენა.

ასლა მთავარზე, თუ როგორი თავბრუდამხვევი სისწრაფით წარიმართა ჩემი შემდგომი კომერსანტული კარიერა, სამხანეთიანი აქტივიდან — მილიონამდე. ყველაფერი დაიწყო იმით, რომ ერთ დღეს სამსახურში ტელეფონმა დარეკა და რკინიგზელისათვის დამხასიათებელი საქმიან-გაბრახებულ-კატეგორიული ტონით მამაკაცის ხმამ მიცნობა, თქვენს სახელზე ერთი ვაგონი შეიფერია მოსული და გაიტანეთო. ეს ისე მოულოდნელი იყო ჩემთვის, რომ გაკვირვებაც ვერ მოვახერხე. შევეცადე მხოლოდ დამეზუსტებინა, რას ნიშნავდა — „თქვენს სახელზე“. უფრო პასუხმა გამოაცა, — აჭარის თეატრის მოღვაწეთა კავშირის სახელზეო. ჩვენი შემოქმედებითი ორგანიზაციის ახლანდელი სახელწოდება ბევრმა არც იცის, ძველებურად თეატრალურ საზოგადოებას გვიწოდებენ; არადა, რკინიგზელმა ზუსტად დაგვასახელა! თუმცა უმაღლესი მივხვდი, რაშიც იყო საქმე! სახლში ტელეანტენის დადგმისას სახურავზე ერთი შიფერი გავვიტყდა; ნაცნობ-მეგობრებს ჩამოვუარე, მაგრამ ვერსად ვიშოვე. ალბათ ასლა ვიღაც მესუმრებოდა, მთელი ვაგონი შიფერი ჩამოვივიდაო. ამიტომ მოკლე და ირონიულად ვუბასუხე „ვითომ რკინიგზელს“, აუცილებლად გაგიტან-მეთქი. როგორც კი ყურმილი დავდე; ეს ამბავი მაშინვე დამეფიქცა. სანამ... მესამე თუ მეოთხე დღეს იმავე ხმამ, ამჯერად კიდევ უფრო მკაცრად, მიცნობა, თქვენს სახელზე კიდევ ჩამოვიდა ერთი ვაგონი შიფერი და რატომ აგვიანებთ დაცლასო. ეს უკვე ხუმრობას აღარ ჰგავდა. თბილისშიც დავრეკე ყოველ შემთხვევისათვის. საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირს, არც ყოფილ საბჭოთა და არც ახლანდელ კავშირში, არავისათვის შიფერი არ დაუკვეთავს. ესე იგი, მე არაფერი არ მევალებოდა, არც იმ ორი ვაგონი შიფერის მოკლავატრონობა და არც ნერვების აშლა. მაგრამ კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო. ისევე გაისმა ტელეფონის ზარი რკინიგზის სატვირ-



თო სადგურიდან, კიდევ მოვიდა თქვენს სახელზე ერთი ვაგონი შიფერიო. სახლე ის იყო, რომ ტვირთის გაუტანობისა და ვაგონების მოცდენისათვის უკვე იმდენი ჯარიმა შეეწერათ, ჩვენი კავშირის მთელი წლის ბიუჯეტი არ ეყოფოდა. ვთხოვე ჩვენი საწარმოო კომბინატის დირექტორს, მისულიყო რკინიგზელებთან ვითარების გასარკვევად, მალე დაბრუნდა, ყველაფერი სწორადაა, შიფერი ჩვენს სახელზეაო, თან დაუმატა, დღეს მეოთხე ვაგონს აყენებდნენ ჩიხშიო. ცოტა გავბრზდი კიდევ, ვერ აუხსენი რკინიგზელებს, ჩვენ არავითარი შიფერი არ გვითხოვია არავისათვის და საიდანაც გამოავსავნეს, ისევ უკან დაუბრუნონ-მეთქი. ჩიმკენტში ტვირთის არავინ დააბრუნებსო, ამისნა ასეთ საქმეებში ჩემზე უფრო გამოცდილმა კომბინატის დირექტორმა. რუკას დაგხედე, ჩიმკენტი ყაზახეთში იყო, სადაც ჩინეთის საზღვართან. მეც კი მცხვდი, რომ თთხი ვაგონის უკან დაბრუნება ვაცილებით მეტი დაჯდებოდა, ვიდრე ამ ვაგონებით ჩამოტანილი შიფერი. პატრიოტული გრძნობაც გაჩნდა, მშობლიურ ქალაქში დარჩენილიყო ეს ტვირთი. შიფერი რომ დეფიციტური სამშენებლო მასალაა, ეს უკვე თავად ვიწვნიე, რადგან ერთი ცალი ვერ ვიშოვე საკუთარი სახლის სახურავისათვის. არადა, ბათუმური წვიმების სეზონი იწყებოდა, და ახლადგარემონტებული ოთახის ქერს საფრთხე ემუქრებოდა. ბევრი ფიქრის შემდეგ მივედი იმ დასკვნამდე, რომ ის ოთხი ვაგონი შიფერი რომელიმე სამშენებლო ორგანიზაციისათვის უნდა გადაეცა თავისი ჯარიმით, რომელიც, ალბათ, ყოველ საათში იზრდებოდა. მაგრამ ვისთვის? რადგან ვაგონები ჩვენს სახელზე იყო მოსული, რაიმე ხათაბალაში არ გავხვეულიყავი! ამიტომ ერთ ჩემს მეგობარს დავურეკე მთავრობაში, ასე და ასე, ჩვენი კავშირის სახელზე ოთხი ვაგონი შიფერია მოსული ჩიმკენტიდან, შენ მშენებლობას ხელმძღვანელობ და მიხედე ამ საქმეს-მეთქი. გადაირია სიხარულით, ფეხი არ დაძრა ადგილიდან, ახლავე ჩემი მუსიკი მოვა შენთანო. რამდენიმე წუთში მოვიდა მთავრობის წარმომადგენელი, რომელსაც ჩავაბარე ოფიციალური წერილი ოთხი ვაგონი შიფერის გადაცემის შესახებ. („შეცდომით მივიღეო“, რატომღაც ამომალეგბინეს). ცოტათი გულს მომეშვა, თუმცა იმაზე ფიქრი მაინც არ მასვენებდა, ვინ იყო ჩიმკენტიდან გამოგზავნილი შიფერის ნამდვილი პატრონი. ამ საქმის გამოცდილი სპეციალისტები, რომელთაც სამშენებლო მასალების საშოვნელად ზღვით, ჰაერით და ხმელეთით გადასერილი ჰქონდათ ქვეყანა ყველა გრძედით და განედით, გაოცებული ხელებს შლიდნენ, ჩავდივართ ადგილებზე, ხელშეკრულებებს ვდებთ, საფასურს წინასწარ ვუხდით, რა თქმა უნ-

და, ზედმეტსაც, მაგრამ მაინც გვიგვიანებენ ტვირთის გამოგზავნას. ასეთი რამ ჯერ არაფერი შეგვხვედრილა! უფრო გამოცდილნი ვართ, ვიდრე რწმუნებდნენ, ბოლოს მაინც გამოჩნდება ნამდვილი პატრონიო. ზოგიერთები კიდევ ამ ოპერციას მაფიას უკავშირებდნენ, ზოგი კიდევ — მიწისძვრას, ავარიას და სხვა ასეთ გაუთვალისწინებელ მოვლენებს; შეიძლება აღარც გამოგზავნი და აღარც მიძღები აღარ არიან ამ ქვეყნადო.

მე რომ მეგონა, ამ დავიდაბას მოვრჩი-მეთქი, მაშინ დაიწყეთ მთავარი მოვლენების განვითარება. ტელეფონის ზარით ამიკლეს სახლში და სამსახურში. მირეკავდნენ მინისტრები, სამშენებლო ორგანიზაციების ხელმძღვანელები, დირექტორები, — გავიგეთ, შიფერი. მივიღიათ და ჩვენც გვიწილადეთო. მე ვარწმუნებდი მათ, რომ არავითარი შიფერი არ მიმიღია, მძვინვარე შეცდომა, რომ ის ოთხი ვაგონი ახლა მთავრობის ხელშია და მას მიმართეთ-მეთქი. არ ვიცი, დავაჯერე ისინი თუ არა, ალბათ, ვერა, რადგან. მას შემდეგ არც ერთი ხეირიან სალამს აღარ მაძღვეს; ერთმა-ორმა ისიც კი მაგრძობინა, თუ რაიმე იყო საჭირო, ჩვენც არ შევირცხვენდით თავსო.

ოჯახშიც გამინაწყენდნენ. სიძე ერთ პატარა სამშენებლო თუ სარემონტო ორგანიზაციას ხელმძღვანელობს, მასალის უქონლობის გამო სანახევროდ უსაქმოდ არიან, რამდენჯერმე წამომაკუდრა, რა იქნებოდა, ერთი ვაგონი მაინც მოგეცა ჩვენთვის, თუ კაპიკს გავაკეთებდითო.

მალე დამირეკეს მატერიალურად რესურსების სამინისტროდან, ვისაც ის ოთხი ვაგონი შიფერი გადასცეს, რა ღირს ცალიო. ვუთხარი, ის შიფერი უკვე ჩემი კი არა, თქვენია და ფასიც თქვენ დაადეთ-მეთქი, ალბათ მალე ფოსტით საბუთები მოგივა, სადაც მონაცემები იქნება და მაშინვე გვაცნობეთო. მართლაც მივიღე საქმოდ სქელი პაკეტი საბუთებით, ციფრებით და პროცენტებით, რასაც ვერც თავი გავუგე და ვერც ბოლო. მე მხოლოდ ერთი რამ მაინტერესებდა, სინამდვილეში ვის ეკუთვნოდა ის ოთხი ვაგონი შიფერი, ვინ იყო ნამდვილი პატრონი. საბუთებში სწორედ ეს არ იყო აღნიშნული. როგორც დავპირდი, მივედი სამინისტროში, უფრო იმის იმედით, რომ იმ ერთ ცალ შიფერს მაინც მომცემდნენ, ამდენი ხანი რომ დავეძებდი. არც მინისტრი დამხვდა ადგილზე და არც მისი მოადგილე. სამაგიეროდ დამხვდა ყოვლისმცოდნე საქონელმცოდნე თუ მომმარბეებელი. სახელად, ლიოვა, რომელმაც მაცნობა, საწყობში არც ერთი ცალი შიფერი არა აქვს, რკინიგზის სადგურიდან პირდაპირ ორგანიზაციებში შევიტანეთო. მაშინ

გავიგე პირველად, რომ თითოეულ ვაგონში 2,300 შიფერი იღო, ესე იგი, ოთხ ვაგონში — 9,200, ჩემთვის კი, ვინც ნაშოვნის შიფერთაც ნახევარი ბათუმი გადაიხურა, ერთი ცალი არ აღმოჩნდა, ლიოვამ, ალბათ, წყენა შემატყობ, ჯიბის კალკულატორი ამოიღო, რაღაც დაინგარინა, გაყო, გაამრავლა, თუ გამოაკლო, და ვითომც არაფერი. ისე გამომიცხადა, პირადად თქვენ 60 ათასი მანეთი გეკუთვნითო. არც ერთ პიესაში ან წიგნში არასოდეს ასეთი თანხა არ მიმიღია. ამიტომ ლიოვას ფრთხილად შევეკითხე, რას ნიშნავდა ეს — „პირადად თქვენ“? თქვენი ორგანიზაციის სახელზე გადაირიცხება 60 ათასი მანეთით, დააზუსტა ლიოვამ. მაინც და მაინც არ გავძლიანებულვარ, რადგან იმ დღეებში თბილისიდან მიღებული მქონდა გიგა ლორთქიფანიძის წერილი, ეკონომიკურ სიძნელეებთან დაკავშირებით თქვენს განყოფილებას ველარ დავაფინანსებთ და როგორმე თვითონ უნდა ირჩინოთ თავიო. ეს 60 ათასი მანეთი, თუ მართლა კანონიერად გვეკუთვნოდა, მთელი წელიწადი გვეყოფოდა სარჩოდ. ლიოვამ დამამშვიდა, წესია ასეთი, რადგან ის შიფერი თქვენგან მივიღეთ, რეალიზებული თანხიდან გარკვეული პროცენტი კანონით გეკუთვნითო. თქვენ ამ შემთხვევაში ბროკერი ხართო. ლამაზად ეღერდა, მაგრამ მაინც ვერ დავმშვიდდი, სანამ უცხო სიტყვათა ლექსიკონში არ ჩავიხედე, თანაც ოთხი წლის წინათ გამოცემულში, თორემ საბჭოთა პერიოდის დროინდელში „ბროკერიც“ „ბიზნესმენივით“ იტყებოდა, განმარტებული, როგორც კაპიტალიზმის გადმონაშთი. შავით თეთრზე გარკვევით ეწერა — „ბროკერი მონაწილეობს ორ მხარეს შორის, როგორც შუამავალი, კლიენტების ხარჯზე, რისთვისაც იღებს გარკვეულ ანაზღაურებას“. ამან ცოტათი დამამშვიდა.

ცოტა იმან შემათქმნა, ჩემი კანონიერი (ამ სიტყვას განსაკუთრებით ხაზგასმით აღვნიშნავ) 60 ათასის გარდა, კიდევ ნახევარი მილიონი რომ გადმოგვირიცხეს იმ მოტივით, ჩვენთვის ამ შიფერის პატრონი თქვენს ორგანიზაციაა, ეს თანხა იმ ქარხანას გადაურიცხეთ, ვინც ის ოთხი ვაგონი გამოგიგზავნათო. არც ის მომეწონა, დეფექტური აქტი რომ შეუდგენიათ, ათასი ცალი შიფერი დამტვრეული და არასტანდარტული აღმოჩნდაო. ნამეტანი ხომ არ მოგივიდათ მეტი. ეკვი რომ გამოვთქვი, ასე ხდება საერთოდ, ყველაფერი კანონიერადაა გაფორმებულიო. შემდეგ ერთმა ახლობელმა, ასეთი ოპერაციების სპეციალისტმა, შემომაპარა, მეტი გეკუთვნოდა, თანაც არამართო გადმორიცხვითო. მაგრამ ამისთვის უნდა დავაფინანსებო აღარ მიმიქცევია, რადგან ჩემს ქესატ ანგარიშზე უც-



ებ ღვთის წყალობით 60 ათასი მანეთი გაჩნდა. წარმოებულა ბინსოცბანკის მმართველის ბატონ ირაკლი ქართველიშვილის გაცემა, თეატრის მოღვაწეთა კავშირის სახელზე ასეთ უჩვეულ თანხას — ნახევარ მილიონ მანეთზე მეტს რომ გაატარებდა.

მთელი ეს ოპერაცია თითქმის ორ თვეს გავრძელდა. ამ ხნის განმავლობაში სულ ველოდი, ბოლოს და ბოლოს, გამომეცხადება ჩემკენტიდან გამოგზავნილი შიფერის პატრონი და კანონიერ პრეტენზიებს წარმომადგენს-მეთქი. თუმცა მე, რომ იტყვიან, თავი ქუდში მქონდა, რადგან მთელი ეს აქცია მთავრობის უშუალო სანქციით ჩატარდა. რაც შეეხება იმ 60 ათას მანეთს, ლიოვას ნათქვამი მინისტრმა და მისმა მოადგილემაც დამიდასტურეს — კანონიერად გეკუთვნის და უბატონოდ ხმას ვერავინ გაგცემსო.

თავდაპირველად შევეჭვდები, რასაც ვცვები, იქნებ არ დამიგერონ-მეთქი, ამიტომ კიდევ ერთ ქვესათაურად მინდოდა მიმეწერა — „ნამდვილი ამბავი“, მაგრამ შემდეგ გადავიფიქრე, ვინაიდან ვასახელებ სავსებით რეალურ პირებს, თანაც საკმაოდ მაღალი რანგის ხელმძღვანელებს, რომელთა იმედითაც განვახორციელებ მთელი ეს ოპერაცია. ერთ-ერთმა მათგანმა გამამხნევა კიდევ კომერცია — ეს რისკიაო. მაგრამ რასაც ახლა ვიამბობთ, მართლაც დაუჯერებლად მოგეჩვენებათ.

იმ დღეს ისევ დარეკა ტელეფონმა, ისევ რკინიგზიდან და ისევ შიფერის თაობაზე. ამჯერად უკვე ჩემკენტიდან კი არა, ყარაგანიდან მიგზავნიდნენ სამ ვაგონ შიფერს! სატვირთო სადგურის ჩინში ყველა დაინტერესებულ ორგანიზაციას ჰყავს თავისი მსტორები. ისევ ატყდა რეკვა. სამინისტროებიდან, ტრესტებიდან, ქარხნებიდან, ხალხის მოგზავნა. მაშინ უარი გვითხარი შიფერზე, ახლა მაინც დაგვითმე ერთი ვაგონიო. ისევ ამიმხედრდა ოჯახური ოპოზიცია. ქალიშვილს სიძეს რომ მიემხრო, უმცირესობაში აღმოვჩნდი და გადავეცი სიძის ორგანიზაციას ორი ვაგონი. მხოლოდ, ყველაფერი წესიერად იყოს-მეთქი, ჩემი აზრით საკმაოდ მკაცრად გავაფრთხლე. ერთი ვაგონიც ძველ კომპანიონებს გადავეცი მატერიალური რესურსების სამინისტროდან. მორიგი აქცია უკვე გატეხნილი გზით წარიმართა. თეატრის მოღვაწეთა კავშირის პირადი ანგარიში საკმაოდ დამრგვალდა, ხოლო შიფერის მომწოდებელი ორგანიზაციებისათვის გადასარიცხავმა თანხამ თითქმის მილიონს მიაღწია.

შვიდი ვაგონი, ესე იგი, 16 ათასი ცალი შიფერის ნამდვილი პატრონი კი არა და არ ჩანს. ისე, ღმერთო, მაპატიე და, ზოგჯერ გავიფიქრებ, ნეტავ საერთოდ არ გამოჩნდებოდეს-მეთქი. იმ მი-

ლიონის გავზავნასაც არ ვჩქარობ მაინც და მაინც. კომპანიონებმა მოვილაპარაკეთ, იქნებ საგანგებოდ მივავლინოთ ჩვენი კაცი ჩემ კენტსა და ყარაგანდაში, ადვილზე რომ გაერკვას ვითარებაში, — ვინაა და ვის რა ეკუთვნის. მომავალი თანამშრომლობის შეთავაზებასაც ვაპირებთ, ორივე (თუ სამივე, ოთხივე...) მხარისათვის ხელსაყრელი პირობებით. ცოტას ამოისუნთქავენ ჩვენი კავშირიც და თეატრებიც, ზოგიერთები იმასაც მირჩევენ, ის მილიონი გავასესხო, ან რომელიმე კომერციულ ბანკში დავაბანდო. პატრონი თუ გამოუჩნდება (სულ ცოცხლო, არც ეს მინდა), პროცენტები მაინც დავგრჩება.

აი, მთელი ისტორია ჩემი თავბრუდამხვევი კომერციული კარიერისა, რომლის ყოველი სტრიქონი აბსოლუტური სიმართლეა... ჰო, კინლამ დამავიწყდა, „ჩემი შიფერით“ ნახევარი ქალაქი გადაიხურა, მე კი ის ერთი ცალი ვერა და ვერ ვიშოვე, არადა, უკვე დაიწყო ბათუმური წვიმები და ვედროებს ვამზადებ ჰერკვეშ დასადგმელად.

უკანასკნელი მონოლოგი

მე მათ ხშირად ვხვდები, თითქმის ყოველდღე, — ქუჩაში, ზღვისპირა პარკში, გაზეთის კიოსკებთან, ლხინის თუ! ჭირის სუფრაზე, — სხვადასხვა თაობის და სხვადასხვა რანგის ხელმძღვანელებს, დღეს უკვე „ყოფილებს“! რომლებიც საერთო სახელით გაათანაბრეს, ბრალდებასაგით რომ ჟღერს, — „ფუნქციონერები“, თუმცა, „უცხო სიტყვათა ლექსიკონში“ ეს სიტყვა საკმაოდ უწყინრადაა განმარტებული: „ფუნქციონერი — ზოგიერთ ქვეყანაში პარტიული და პროფკავშირული აპარატის მუშაკი, აქტივისტი, რომელიც ასრულებს გარკვეულ ფუნქციას, მოვალეობას“. ყოველი ადამიანი რაღაც მოვალეობას ასრულებს. ამ ქვეყნად, მეც. — მათ შორის; ამიტომ მეც ფუნქციონერი ვიყავი. ახლაც ვარ. მრავალი წლის მანძილზე სულსა და გონებაში, ჩვენს გენებში გამჯდარი უდიდესი და უმძაფრესი განცდა, შიში, — არც თუ ადვილი ამოსაძირკვია.

მე ადამიანებთან ყოველთვის მქონდა ურთიერთობა, სამსახურებრივი თუ პირადული, როგორც პარტიის წევრს, როგორც ჟურნალისტს, როგორც ბათუმელს, მე ვესწრებოდი დახურულ თუ ღია კრებებს, პლენუმებსა და კონფერენციებს, ყრილობებს და ბიუროს სხდომებს, ვწერდი, თუ როგორი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში, კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით ტარდებოდა პარტიულ-პროფკავშირულ-კომკავშირული ფორუმები.

ბევრი რამ არ მჯეროდა, მაგრამ მაინც ვწერდი, ვინაიდან ეს ჩემი სამსახური იყო, თუ გნებავთ, თავის გატანის საშუალება, გაორებული ცხოვრების ერთი მხარე. მეორე ცხოვრება კი იმდროინდელი საკუთარ ჭერქვეშ, საკუთარ მაგიდასთან, სადაც ვწერდი სრულიად საწინააღმდეგოს, ვიდრე ხუთიოდე წუთის წინათ მოსმენილ ჩემს რადიოგადაცემაში — „საბჭოთა საარჩევნო კანონი ყველაზე დემოკრატიულია მსოფლიოში“. ვწერდი თითქმის უიმედოდ, რადგან ძალიან საეჭვო იყო, რომ პიესა იხილავდა თეატრალური რამპის შუქს.

ერთმა ნაცნობმა, რამდენიმე „ყოფილთან“ მოსაუბრე რომ დამინახა, გვერდით გამიხმო და, ყოველი შემთხვევისათვის, ხმადაბლა მითხრა, მთელი ცხოვრება ამით ებრძოდი, რა გაქვთ ახლა ერთმანეთთან საერთო. როგორ არა გვაქვს, ერთ ქალაქში ვცხოვრობთ-მეთქი, მერე კიდევ, მე არავის ვებრძოდი, პირიქით, მე მათ ვიცავდი. თუ ვინმეს ვებრძოდი, უპირველეს ყოვლისა, საკუთარ თავს. თუმცა, იმ კრებებს, კონფერენციებს ან ბიუროს სხდომებს რომ არ დავსწრებოდი, შეიძლება ვერც ვერაფერი დამეწერა. ზოგჯერ სწორედ ხელმძღვანელზე იყო დამოკიდებული, იხილავდა თუ არა დღის სინათლეს ესა თუ ის წიგნი ან პიესა. შეიძლება ისინიც ჩემსავით ფიქრობდნენ, მაგრამ, რომ იტყვიან, ჩვენ სხვადასხვა წონით კატეგორიაში გამოვდიოდით, მე მეტი უფლება მქონდა ხმის ამოდლებისა, მევალებოდა კიდევ, როგორც მწერალს, როგორც ჟურნალისტს, შემოქმედებითი ინტელიგენცია რომ გვექვია, სხვადასხვა დროსა თუ ეპოქაში ადამიანის სულის ინჟინრებს, მომავლის მხვერავებს, შორსმსროლელ ქვემეხებს, „მეოთხე ხელისუფლებას“ რომ გვეძახდნენ.

უმრავლესობა ყოველთვის ღუმდა. ასე იყო ყოველთვის. შექსპირის ერთი ტრაგედია ამ სიტყვებით მთავრდება — „ხალხი კი ღუმს“, ღუმილი ზოგჯერ უფრო მეტი ბოროტებაა, ვიდრე დანაშაულის ჩადენა. არ უნდა გეშინოდეს მტრისა; უარეს შემთხვევაში, მას შეუძლია მოგკლას, გეშინოდეს გულგრილობისა... მაპატიეთ, საკუთარი პიესის ციტირება დავიწყე; ჩემი კოლეგა — ჟურნალისტის მონოლოგიდან.

თუნდაც ეს პიესა — „როცა ქალაქს სძინავს“. იგი შეიძლება არც დადგმოლიყო მაშინდელი ხელმძღვანელობის გადამწყვეტი სიტყვის გარეშე, ძალიან მოკლედ სიუჟეტი მინდა შეგახსენოთ: ახალგაზრდა მშენებელი პროტესტის ნიშნად გადის პარტიიდან. საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის ოჯახში მეგობრების სამხიარულო შეხვედრა თავისებურ სამსჯავროდ, აღსარების ღამედ



გადაიქცევა, თუ რა, ვინ იყო მიზეზი ახალგაზრდა კაცის პარტიიდან გასვლისა, ყოველი მათგანი სათითაოდ აღმოჩნდება საბრალდებო სკამზე, მათ შორის მასპინძელიც — პარტიის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი, ბევრი დააფრთხო მაშინ ამ პიესამ. მოსკოვის ერთ-ერთ თეატრში მითხრეს, თქვენ ამით ერთ კაცს კი არა, მთელ პარტიას ასამართლებთო. კარგად გაგაგიათ, მაღლობელი ვარ-მეთქი.

ბათუმის თეატრში პიესას დგამდა ახალგაზრდა რეჟისორი დათო ხინიკაძე, აქაც იგრძნობოდა მღელვარება, მით უფრო მას შემდეგ, ვილაცამ სიფხინლე რომ გამოიჩინა და პარტიულ ორგანოებს აცნობა, ანტიპარტიული სპექტაკლი მზადდება თეატრშიო. პიესის მთავარი გმირის პროტოტიპს — პარტიის საქალაქო კომიტეტის მაშინდელ პირველ მდივანს ოთარ მელქაძეს ვთხოვეთ, პრემიერამდე ენახა სპექტაკლი. იგი მოვიდა თეატრში, დაესწრო გენერალურ რეპეტიციას და პირდაპირ გამოგვიცხადა, ამ დღეებში პარტიული კონფერენცია ტარდება და პირველი სპექტაკლი დელეგატებს ვაჩვენოთო.

კონფერენციის ჩატარებისა და დელეგატებისათვის სპექტაკლის ჩვენების შემდეგ პარტიის საოლქო კომიტეტის მაშინდელმა პირველმა მდივანმა აღექსანდრე თხილაიშვილმა ერთ-ერთ თავის გამოსვლაში სპექტაკლიდან ის ადგილი მოიშველია, მთავარი გმირი რომ ამბობს: ჩვენ, ხელმძღვანელებს, ყოველდღე, ერთდროულად შემოგვცქერის ასი ათასი ადამიანი, თანაც ჩვეულებრივი თვალბზით კი არა, გამადიდებელი შუშით. მიკროსკოპით... ყოველი ჩვენი შეცდომა — პარტიის შეცდომაა, ჩვენს საქციელზე, ყოველ ჩვენს ნაბიჯზე დამოკიდებულია ხელისუფლების ავტორიტეტი.

ასეთმა მხარდაჭერამ განაპირობა, უპირველეს ყოვლისა, რომ ბათუმური სპექტაკლისათვის მის ავტორს და დამდგმელ რეჟისორს სახელმწიფო პრემია მიენიჭათ.

მაღე „როცა ქალაქს სძინავს“ დაიდგა თბილისის ორ სცენაზე — მარჯანიშვილისა და გრიბოედოვის სახელობის თეატრებში, რესპუბლიკის სხვა ქალაქებში.

მიუხედავად იმისა, რომ პიესა დაიდგა საქართველოში, დამტკიცდა ყველა ინსტანციაში, რეკომენდაცია მიეცა ქვეყნის თეატრებში დასადგმელად, მაინც ვღებულობდი ბარათებს, რომ ამა თუ იმ ქალაქში შეჩერდა რეპეტიციები, საჯაროდ ჩვენების უფლება არ ღართეს უკვე მომზადებულ სპექტაკლს... ერთი თეატრიდან, ვიგონებ, ალმა-ატიდან, შემატყობინეს, — სპექტაკლის გაშვების ნებას მოგცემთ, მაგრამ მხოლოდ პარტიული ყრალობის შემდეგო. როგორც ზოგიერთმა ჩემმა ახლობელმა თეატრის ხელმძღვანელმა

და რეესორმა მითხრა, ისინი თავიდან არწმუნებდნენ ადგილობრივ ხელმძღვანელებს, რომ ყველაფერი, რაც აღწერილია ამ პეცკაკში, ხდება საქართველოში, პერსონაჟები ქართველები არიან, შემდეგ უკვე მზა სპექტაკლში, როგორც მოსალოდნელი იყო, ადგილობრივი ხელმძღვანელები ხედავდნენ საკუთარ საქმეებს, საკუთარ თავს, რაც აფრთხობდა მათ. ჩემი კოლეგები სხვა რესპუბლიკებიდან მთხოვდნენ აფიშებს, პროგრამებს, რეცენზიებს იმის დასამტკიცებლად, რომ პიესა ნამდვილად დაიდგა საქართველოში, ერთმა მთავარმა რეესორმა მომწერა, ჩვენმა მდივანმა მკითხა, შევარდნაძემ თუ იცის ამ პიესის შესახებო.

როგორღაც თბილისში, ქართველ მწერალთა ყრილობაზე, შევხვდი მოკოვიდან მოვლინებულ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგეს, ამხანაგ შაუროს. სწორედ წინა დღეებში ერთ-ერთი პიესის დადგმის თაობაზე არასასიამოვნო ცნობები მივიღე მოსკოვიდან, ლენინგრადიდან. ცხელ გულზე ამხანაგ შაუროს შევეფეთე და ვკითხე, მითხარით, რამდენნაირი პარტია და ხელისუფლება არსებობს ჩვენს ქვეყანაში-მეთქი, რაშია საქმეო, დამიბრუნა კითხვა. საქმე ისაა, რომ ჩემს ახალ პიესას საქართველოში უძღვნიან პარტიულ ყრილობას, ხოლო მოსკოვსა და ლენინგრადში მისი დადგმა აუკრძალეს თეატრებს, როგორც ანტიპარტიული ნაწარმოები-მეთქი. შაურომ რაღაც ჩაინიშნა ბლოკნოტში. მალე პიესა დაიდგა მოსკოვის პუშკინის სახელობისა და ლენინგრადის კომისარჟევსკაიას სახელობის თეატრებში, არ ვიცი, ამხანაგ შაუროს დახმარებით თუ თეატრების დაჟინებული მეცადინეობით. ამის შემდეგ პიესამ უფრო ადვილად გაიკვლია ვზა რუსეთის, ბალტიისპირეთის, შუა აზიის თეატრებისაკენ.

საზღვარგარეთაც დაინტერესდნენ ამ პიესის პრობლემატიკით: პოლონეთიდან მთარგმნელებმა ფინალის შეცვლა მთხოვეს. პიესაში მთავარი გმირი, პარტიის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი სერგო ხავთასი იმ ძილვატეხილი ღამის შემდეგ დილით მიდის სამსახურში, რომ გამოასწოროს შეცდომა, საერთოდ, ახლებურად წარმართოს თავისი ცხოვრება და საქმიანობა. პოლონელები მთავაზობდნენ, რომ სერგო ხავთასი უნდა გადადგეს, რადგან მას უკვე აღარა აქვს უფლება უხელმძღვანელოს ხალხს. შევთანხმდით. ვარშავის ტელეთეატრმა მთელ პოლონეთს უჩვენა სპექტაკლი. როგორც იქაური გაზეთები აღნიშნავდნენ, ქართული პიესა შესანიშნავად მოერგო პოლონეთში შექმნილ განახლების პროცესს, რის შე-

მდეგაც ხელისუფლებას სათავეში მთვიდა „სტალინისტი“ და მისი ლიდერი ლეხ ვალენსა.

გრაბრედოვის თეატრს ვახლდი გასტროლებზე მოსკოვსა და რიგაში. იქაური თეატრების ხელმძღვანელები, ეურნალისტები, მსაყურებლები გვეციოთებოდნენ, თქვენთან საბჭოთა ხელისუფლება აღარ არისო?

ძალიან დამწყდა გული, რომ ამ პიესის მიხედვით ცენტრალურ ტელევიზიაში გადაღებული ფილმი არ გავიდა ეკრანზე, დიდ-ად საჩინათოა, მით უმეტეს, ასეთი უხარმახარი ტელეაუდიტორიისათვის, — მთავარმა რედაქტორმა კუხნეცთვმა (რომელზეც დაბეჭიოთებით ამბობენ, სტალინის ციმბირელი შვილიაო) ასე დაასაბუთა ცენტრალური ტელევიზიის გადაწყვეტილება:

— ტელევიზიით გადაღებულ ამ სპექტაკლს ხალხი მიიღებს როგორც ერთგვარ საჩქციას და მეორე დღესვე მთელს კავშირში ათასობით ადამიანი გამოცხადდება ქალაქკონებში, რაიკომებში და მდიხებს მაგიდაზე დაუდებენ პარტიულ ბილეთებს. მით უფრო, რომ მათ ექნებათ ამის საბაბი, ყველგან ხდება ასეთი ამბები, თქვენს პიესაში რომაა ნახსენები.

არადა, ისეთი შესანიშნავი მსახიობები შეარჩია რეჟისორმა ლებედევმა. — არმენ ჯივარხანიანი, ალექსანდრე ლაზარევი, ანატოლი რომაშინი, ვლადიმერ გორობეცი, ნინა ნემოლიაევა.

რამდენიმე წლის შემდეგ საქართველოს ტელევიზიამ მოსკოვიდან გამოითხოვა ეს ტელეფილმი, ერთხელ გადასცა კიდეც, მაგრამ ყველაფერს თავისი დრო აქვს.

პარტიის საოლქო კომიტეტიდან მაცნობეს, ყიული შარტავას დაურეკავს და უთხოვია, ჩხაიძე თბილისში რომ ჩამოვა, აუცილებლად მინახულოსო. მას პირადად არასოდეს შევხვედრებოვარ, პარტიის ცენტრალურ კომიტეტში ისეთ დარგს ხელმძღვანელობდა, რომ ურთიერთობა არ გვექონია. თეატრალურ საქმეებთან დაკავშირებით იმ დროს ხშირად მიხდებოდა თბილისში ჩასვლა. დაურეკე, ახლავე გელოდებითო. მისალმებისთანავე ისეთი საუბარი გაიმართა ჩვენს შორის, თითქოს დიდი ხნის ნაცნობები ვიცავით. მან ბევრი რამ იცოდა ჩემს შესახებ, რამდენიმე სპექტაკლი ენახა თბილისის თეატრებში. ჩვენი შეხვედრის მიზეზიც სწორედ ეს იყო. თითქმის ყველა თქვენს პიესაშია გამოყვანილი პარტიული თუ საბჭოთა ხელმძღვანელი, კონფლიქტური სიტუაციები ცხოვრებისეულია, პრობლემური, ხომ არ შეგვექმნა ამ პიესებიდან ტელეფილმების სერიალი, ტელევიზიის ხელმძღვანელობამ თანხმობა განაცხადა. ამ საქმეს სათავეში ჩაუდგება გოგი ჭავთარაძე, რომელსაც თითქმის

ყველა ეს პიესა აქვს დადგმული.

ასეთ წინადადებაზე აბა რომელი ავტორი იტყოდა უარს, მაგრამ მე მაინც მოვაგონე ბატონ ქიულის, რომ ჩემს პიესაში პარტიული თუ საბჭოთა ხელმძღვანელები მთლად სახარბიელოდ არ გამოიყურებიან და ამას როგორ შეხედავს პარტიის ცენტრალური კომიტეტი-მეთქი, სწორედ ესაა საინტერესო თქვენს პიესებშიო. თან დაინტერესდა, ახალი ხომ არაფერი გაქვთო. რამდენიმე თემიდან მისთვის თითქოს ყველაზე საჩოთირო შევარჩიე, — ვმუშაობ პიესაზე, რომლის მთავარი გმირი, პარტიის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ფინალში აღიარებს თავის შეცდომას თუ დანაშაულს და საკუთარი სურვილით ტოვებს თანამდებობას-მეთქი. მეგონა, ეს ცოტას შეაფიქრიანებდა, მაგრამ მითხრა, ძალიან კარგი თემა შეგირჩევია, თუკი ეს პიესა მოესწრება, ბოლო ფილმად შევიტანოთ სერიალში.

სამწუხაროდ, რესპუბლიკაში პოლიტიკური ვითარება შეიცვალა. გოგი ქავთარაძემ მხოლოდ ერთი პიესა გადაიღო — „ღღის წესრიგშია ერთი საკითხი“, ისიც დაუმონტაჟებელი დარჩა და შეიძლება ჯერ კიდევ ინახება საქართველოს ტელევიზიის არქივში.

ამ შეხვედრით ვიგონებ ღირსეულ მამულიშვილს ქიული შარტავას.

მანამდე ეს პიესა, „ღღის წესრიგშია ერთი საკითხი“, დაიდგა მარჯანიშვილის თეატრში. პიესის სიუჟეტი მთავრად ასეთი იყო: ერთ-ერთი მდინარიდან ქალაქში გაჰყავთ წყალსადენი. ყველამ იცის, რომ ქალაქი წყალს ვერ მიიღებს, მაგრამ მშენებლობა მაინც გრძელდება, იხარჯება ფული, მასალა, რაც მთავარია, წყალში იყრება ადამიანების შრომა, ამ სიტყვის ყველანაირი მნიშვნელობით. მშენებლობის უფროსი ასრულებს დავალებას, მეტი მას არაფერი აწუხებს. რაიკომის მდივანმა იცის, რომ დროებითაა გამოგზავნილი ამ რაიონში და მისი წასვლის შემდეგ თუნდაც ქვა-ქვაზეც აღარ დარჩენილა. მეორე ხელმძღვანელი მზადაა შეაჩეროს მშენებლობა, მაგრამ უკვე დახარჯული მილიონებისათვის პასუხისმგებლობის შიშით პირში წყალი აქვს დაგუბებული. მოხუცმა ტყის მცველმა გერასიმე გარაყანიძემ ყველაფერი ეს იცის, მაგრამ, ცხოვრებას განრიდებული, ერთ ხანს ღუმის, შემდეგ ყოველივეს აცნობებს ახალგაზრდა ჟურნალისტს, რომელიც ხელმძღვანელობასთან შეუთანხმებლად ადგილობრივი რადიოთი გადასცემს სიმართლეს წყალსადენის შესახებ. ამან დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია, მოსახლეობა შეშფოთდა, მშენებლები გაიფიცნენ, ხელმძღვანელები დაფრთხნენ...



პრემიერის გამოშვება შეყოვნდა. ამასობაში შეიცვალა რესპუბლიკის ხელმძღვანელობა, რამაც რამდენადმე გაანელა პრობლემის სიმწვავე, მაგრამ სპექტაკლმა მაინც გამოაწვია გარკვეული ინტერესი.

ერთ დღეს ბათუმში დამირეკეს, რომ ხეალისათვის აუცილებლად უნდა ვყოფილიყავი თბილისში, სპექტაკლზე, ეს ისე კატეგორიულად იყო ნათქვამი, რომ ჩაუსვლელობა არ შეიძლებოდა. დილით თეატრში ვიყავი. ბატონმა დოდო ალექსიძემ, რომელიც იმ დროს მარჯანიშვილის თეატრს ხელმძღვანელობდა, მითხრა, რომ პარტიის ცენტრალურ კომიტეტში მიმდინარეობს მეტად მნიშვნელოვანი პლენუმი, რომლის მონაწილეებიც დღევანდელ სპექტაკლზე აპირებენ მოსვლასო.

საღამოს თეატრთან ავტობუსების მთელი კოლონა შეჩერდა... უცნაური სანახავი იყო, როგორ უხერხულად გადმოდიოდნენ საზოგადოებრივი ტრანსპორტიდან რაიკომის მდივნებზე, უდიდესი ორგანიზაციების ხელმძღვანელები, მინისტრები, დეპუტატები, ცენტრალური კომიტეტის მუშაკები, ისინი არაფრით ჰგავდნენ თეატრში საზეიმო განწყობილებით მოსულ მაყურებლებს.

რას გვიპირებთო, მკითხა ერთმა ნაცნობმა რაიკომის მდივანმა. იგი რატომღაც შეშფოთებული მომეჩვენა. რას უნდა გვიპირებდეთ, ახალ სპექტაკლს გიჩვენებთ-მეთქი. ასევე შეკითხებოდნენ სხვებიც, მათ შორის ბათუმიდან ჩამოსული ხელმძღვანელები, რომელთაც სხვა საფიქრალიც ჰქონდათ, ჩვენზე ხომ არაა რამე პიესაწილი!

შემდეგ ვაირკვა, რაშიც იყო საქმე: სხდომა რომ დამთავრებულა, შევარდნაძეს გამოუცხადებია, ახლა ჩვენ ყველანი ერთად ავტობუსებით გავემგზავრებით მარჯანიშვილის თეატრში, სადაც ულის წესრიგში დგას ჩვენი საკითხიო.

ბევრმა არც იცოდა ასეთი სახელწოდების პიესას არსებობა. ამიტომ შეეჭვდნენ, პირველი მდივანი თეატრში ხომ არ აპირებს პლენუმის გაგრძელებასო. ცეკას წინ რომ ავტობუსები დაგვახვედრეს, საეტაპოდ გამზადებულებად ჩავთვალეთ თავიო, სცადა გახუმრება ერთმა ხელმძღვანელმა.

სპექტაკლის დაწყების წინ ბატონმა დოდომ მომძებნა და მითხრა, რადგან პიესა სინქრონულად არ ითარგმნება, შევარდნაძემ თქვა, ავტორი დაუჯდეს გვერდით ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანს. კოლბინს და თარჯიმნობა გაუწიოსო. მე, რა თქმა უნდა, კატეგორიული უარი განვაცხადე და ქანდარის ბოლო რიგში მივიმაღლე, სადაც კაციშვილი ვერ მიპოვიდა.

ხეზოდან დავინახე, როგორ დაჯდა მესამე რიგში შევარდნაძესა

და კოლბისს შორის კულტურის მინისტრი, ჩვენი სახელობანი
კომპოზიტორი ოთარ თაქთაქიშვილი, როგორც ჩანს, მან იცინა
თარჯიმნობა.

მანამდე რამდენჯერმე მენახა სპექტაკლი, ამიტომ ამა თუ იმ
სცენაზე, რეპლიკაზე წინასწარ ველოდი მაყუწვების რეაქციას,
მაგრამ... დარბაზი დუმდა. ისეთი სიჩუმე იდგა, რომ ზოგჯერ გარ-
კვევით ისმოდა ბატონი ოთარის თარჯიმანი და შევარდნაძის გუ-
ლიანი სიცილი.

პირველი მოქმედების შემდეგ ბატონმა დოდომ გაოცებით
უთხრა შევარდნაძეს, ესა და ეს სცენა სულ ტაშებით მიდის, იუ-
მორიც ბევრია სპექტაკლში, რა მოუვიდა ამ ხალხს, რატომ ყველა
დუმს, თითქოს ვერაფერს ხედავენ და არაფერი ესმითო?!

შევარდნაძეს გაეღიმა:

— ყველაფერს კარგად ხედავენ და კარგად ესმით. სწორედ
ამიტომ სხედან ასე გაოგნებულები. ისინი ახლა ხვალინდელ დღე-
ზე ფიქრობენ, პლენუმი რომ გაგრძელდება, ამთვან უმეტესობას
ალბათ მოუხდება პოსტების დატოვება, სპექტაკლიც ამაზეა და სა-
მხიარულოდ არა აქვთ საქმე.

სცენიდან კი ისმოდა, მოხუცი ტყის მცველი რომ ეუბნებოდა
რაიკომის პირველ მდივანს: — ძნელი დასაჯერებელია, ბატონო,
რომ თქვენისთანა ადამიანი ვერ ხედავდეს, რაც გარშემო ხდება,
რომ სულ ტყუილია ის წარმატებები და გამარჯვებები, ჩვენ რომ
ვბატავობთ მთავრობას ჩვენი წყალსადენის მშენებლობასავით.
თავსაც ვიტყუებთ და სხვებსაც ვატყუებთ. თუმცა ხალხი სრულე-
ბითაც არ ტყუვდება, ძალიან კარგად ხედავს ყველაფერს და თან-
დათან რწმენას კარგავს ყველაფრისადმი, რისკენაც მოვუწოდებთ,
რასაც ვპირდებით. რწმენადაკარგული კაცი კი, თქვენ ჩემზე კარ-
გად მოგეწინებათ, საქმისათვის არ გამოდგება, განსაკუთრებით
იმ საქმისათვის, ყველა კანონში, წესდებასა და პროგრამაში, ყველა
ლოზუნგზე რომ გვიწერია. პოდა, თუკი ყოველივე ამას ხელმძღვა-
ნელი ვერ ხედავს, იგი არ შეიძლება ხელმძღვანელი იყოს, ხოლო
თუ ხედავს და თვალებს იბრმავეებს, მაშინ თვითონაა ბოროტმოქ-
მელების მონაწილე.

დღეს ვის გაუკვირდება, სცენაზე იხილოს პარტიული ბილე-
თის დატოვება, მშენებელთა გაფიცვა, სასამართლო პროცესზე უმ-
აღლესი რანგის ხელმძღვანელის გამოძახება, გლეხებისათვის მიწე-
ბის დარიგება, მაგრამ მაშინ... თუ პიესის გატანა, თითოეული ეპი-
ზოდის, პერსონაჟის, ფრაზის შენარჩუნება დაკავშირებული იყო
უძილო ღამეებთან, გულისხმეთქვასთან, როცა, ვერც მიაგნებდი,

სად წყდებოდა შენი ბედი. „არსებობს აზრო“, გეტყოდნენ და ამით მოავრდებოდა ყველაფერი. ასეთ დროს სამთავრობო მხარე დაქვრა ბევრს ნიშნავდა. საბედნიეროდ, იყვნენ ისეთი ხელმძღვანელებიც.

აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია თითქოს უწყინარმა პიესამ სასკოლო ცნობებიდან — „თავისუფალმა თემმა“. ზოგიერთმა სახალხო განათლების მუშაკმა ვაბედულად ნათქვამ მართალ სიტყვად ჩამითვალა იგი, ზოგმა კიდევ — პასკვილად. რა თქმა უნდა, პიესის მომავალი ბედისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა თბილისის სცენაზე მის წარმოდგენას, მით უფრო, რუსთაველის თეატრში. პირველ სპექტაკლზე მოწვეული იყვნენ, პედაგოგები, სკოლის დირექტორები, განათლების სამინისტროს წარმომადგენლები, სპექტაკლი დამთავრდა თუ არა, პირველი წამოდგა, ჩემთან მოვიდა, ყველას დასაჩაბად გადამხვდია და პრემიერა მომილოცა საქართველოს განათლების მინისტრის მოადგილემ ნუგზარ ფოფხაძემ. ეს უკვე სამინისტროს აზრს ნიშნავდა.

შემდეგ „თავისუფალი თემი“ დაიდგა ბევრ თეატრში და მრავალ ენაზე. რიგის ანდრეი უპიტის სახელობის აკადემიურმა თეატრმა, ვიო არტმანეს ინიციატივით, მიმიწვია მეასე სპექტაკლზე. მასხოვს, მაშინ ლატვიის განათლების მინისტრი გამეხუმრა, ვადმოდიო ჩვენთან სამუშაოდ და ერთად ჩავატარეთ სასკოლო რეფორმა. უპიტის თეატრმა ეს სპექტაკლი ბერლინში ჩაიტანა, ხოლო შემდეგ იგი დადგა გერმანიის ერთ-ერთი ქალაქის, სტენდალის თეატრმა. საიდანაც იქაური სკოლის მოსწავლეებმა მომწერეს, ვიმსჯელებთ თქვენს პიესაზე, ჩვენი თეატრის სპექტაკლზეც და მადლობასთან ერთად უნდა გითხრათ, მთლიანად ვართ ჩვენი თანატოლი ქართველი მეგობრის — ცირა გელოვანის მხარეზეო.

რალაც მიზეზის თუ გარემოების გამო, რაც უმთავრესად პოლიტიკასთან იყო დაკავშირებული, ბევრი რამ გვეკრძალებოდა, ამის თქმა არ შეიძლება, ამის დაწერისაგან თავი უნდა შევიკავოთო. რამდენჯერაც არ დავწერდი, რომ ქობულეთის რაიონში კერძო სექტორიდან უფრო მეტი ციტრუსოვანთა ნაყოფი ჩაბარდა, ვიდრე საკოლმეურნეო ბალებიდან; რედაქტორი ან ცენზურა ულაპარაკოდ გადასახავდა სტრიქონებს, ხომ შეიძლება ჩვენმა მტრებმა გამოიყენონ, რა საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვებაზეა ამის შემდეგ ლაპარაკიო.

ეს პრობლემა თანდათან მომავალი პიესის სიუჟეტურ ქარგად გადაიქცა. ზოგიერთი საკითხის დასაზუსტებლად ჩავედი ქობულეთში, სადაც მაშინ პარტიის რაიკომის პირველ მდივანად მუშაობდა

ბონდო ჯიქია. რამდენიმე მონაცემის გაცნობის შემდეგ, დაიწყო
ნდი, რომ ამ მხრით რაიონში კიდევ უფრო გაუარესებულია მდგომარეობა,
ესე იგი, კიდევ უფრო დაქვეითებულია სოციალისტური მეურნეობის
სიცოცხლისუნარიანობა, რაიონის კერძო სექტორში — საკუთარ ბაღში
გლენს ხუთჯერ მეტი მოსავალი მოჰყავდა. ჩემი მომავალი პიესის
გმირი, 18 წლის ახალგაზრდა კაცი, მიდის რაიონის მდივანთან და
თხოვს მას დანიშნოს სოფელ ჩინარის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ.
ასეც მზნდა. ეს ახალგაზრდა თავმჯდომარე იწვევს საერთო
კრებას და ადგენს, მიწა მთლიანად განაწილდეს
გლეხებზე. ჩინარში გაუქმდა კოლმეურნეობა, ამან, რა თქმა
უნდა, მთელს რესპუბლიკაში შეშფოთება გამოიწვია.

აი, ასე მქონდა წარმოდგენილი მომავალი პიესა, რომელსაც
დავარქეი „ჩინარის მანიფესტი“. მაშინ მე არ ვიცოდი, რომ თურმე
ვწერდი პიესას პრევატიზაციაზე: ბონდო ჯიქიამ მითხრა, მოდი,
შენ პიესა დაწერე, მე კი ამის შესახებ სიტყვით გამოვალ მომავალ
პლენუმზეო. მაშინ ვერც ბონდო ჯიქიას გამოსვლამ გადაჭრა ეს
პრობლემა, ვერც იმან, რომ პიესა წარმოადგინეს ისეთ პრესტიჟულ
თეატრში, როგორც მოსკოვის ლენინური კომკავშირის სახელობის
თეატრი, ხოლო იგი დადგა ისეთმა სახელოვანმა რეჟისორმა,
როგორც მარკ ზახაროვმა. მას შემდეგ თითქმის 15 წელი გავიდა,
დღეს უკვე შიშების პრევატიზაცია სოფლის მეურნეობის აღმავლობის
ერთადერთ გზადაა მიჩნეული, მაგრამ საქმე ლაპარაკს მაინც არ
გასცილებია. სამახსოვროდ დამრჩა მხოლოდ საპრემიერო აფიშა,
რომელზეც მარკ ზახაროვმა ჩამოწერა: „პატივცემულ ალექსანდრე
ვლადიმერის ძე! მარქსისა და ენგელსის „კომუნისტური მანიფესტის“
შემდეგ თქვენი პიესა ყველაზე უკეთესია, რაც აღმოჩნდა ჩვენს
განკარგულებაში...“ და ასე შემდეგ.

შემდეგ „ჩინარის მანიფესტი“ დაიდგა სხვა თეატრებში, საზღვარგარეთაც,
მაგრამ ქალაქ გორკში... მხოლოდ აქაურ თეატრს აუკრძალა
(თუ „ურჩია“) პარტიულმა ხელმძღვანელობამ პიესის ჩვენება,
რადგან იმხანად გორკში ცხოვრობდა მოსკოვიდან გასახლებული
ანდრეი სახაროვი და ქალაქში აფიშების გამოჩენა, სადაც სიტყვა
„მანიფესტი“ იქნებოდა, მიზანშეწონილად არ მიიჩნიეს. აი,
ასეთი პოლიტიკური სიფხიზლე გამოიჩინეს გორკელმა იდეოლოგებმა.
აღბათ ამიტომ არ მიმიწვიეს დახურულ ქალაქში პრემიერაზე,
შერისხული ავადმეაკოსი ანდრეი სახაროვი სპექტაკლზე არ
მოიყვანოსო. არადა, სიმართლე გითხრათ, ვაპირებდი ამას.

როგორც უკვე მოგახსენეთ, „ჩინარის მანიფესტის“ დაწერა
ქობულეთის რაიონის პირველ მდივანთან ბონდო ჯიქიასთან შეხ-



ვედრის შემდეგ, გადაწყვიტე, ხოლო რაც შეეხება პიესას „სამი-
დან. ექვსამდე“, იგი იწერებოდა ბათუმის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარის — გურამ ემირიძის და მისი პირველი მთადგილის, როს-
ტომ დოლიძის კაბინეტში, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით,
მოხოვნელთა მიღების დროს. ეს იყო პიესა გაკოტრებულ საბჭო-
თა ხელისუფლებაზე, ვინაიდან იმ დროს თავმჯდომარესთან მო-
დის დაახლოებით თხუთმეტი ადამიანი, თავიანთი პრობლემებით,
საჩივრებით, გულსიტკვილით, იმედით, მაგრამ იგი ვერც ერთ
საქიითს ვერ წყვეტს, რადგან არა აქვს ამის არც საშუალება და
არც უფლება.

ბოლოსაც ჟურნალ „თეატრს“ შევთავაზე ეს პიესა, მაშინდე-
ლმა რედაქტორმა პენრიხ ბოროფიკმა შემომითვალა, პიესასთან
ერთად დავბეჭდოთ მისი მთავარი გმირის ცოცხალი პროტოტიპის,
თქვენი აღმასკომის თავმჯდომარის წერილით. გურამ ემირიძე
დამთანხმდა, თუმცა, ფიქრობ, მისთვის არც თუ ისე ადვილი იყო
ასეთი გადაწყვეტილების მიღება, თუნდაც იმ სცენის გამო, როცა
აღმასკომის შენობას მოადგებიან საბავშვო ბაღის აღსასრდელები,
და თავიანთ გამგესთან ერთად გაიძახიან, „ძირს თავმჯდომარეო“.

პიესა რუსთაველის თეატრში უნდა დაედგა რობერტ სტუ-
რუსს. მთავარი როლი შეესრულებინა — ეროსი მანჯგალაძეს,
მაგრამ სწორედ იმ დღეს პირველი რეპეტიცია რომ უნდა ჩატარე-
ბულიყო, სცენაზე ეროსის ცხედარი ესვენა. შემდეგ „სამიდან ექვ-
სამდე“ დადგა აგრეთვე აწგანსვენებულმა ჩემმა მეგობარმა ბადრი
კობახიძემ, ხოლო თავმჯდომარის როლი განასახიერა ელიშერ მა-
ღალაშვილმა.

მოსკოვის ერმოლოვას სახელობის თეატრში პიესა დადგა მისმა
ხელმძღვანელმა ვლადიმერ ანდრეევმა, რომელმაც შეასრულა აგ-
რეთვე მთავარი როლი. სპექტაკლის პირველი მაყურებლები იყვნენ
საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხიდან მოსკოვში, თათბირზე ჩა-
მოსული ორასზე მეტი აღმასკომის თავმჯდომარე მათ შორის, გუ-
რამ ემირიძეც. ბატონმა გურამმა მიაშობ, რომ სპექტაკლს დიდი
წარმატება ზედა, თავმჯდომარეებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი პიე-
სის ავტორს. ერმოლოველებმა მალე ეს სპექტაკლი ბერლინში
ჩაიტანეს.

ბულგარეთის ქალაქ რუსეში დადგმული „სამიდან ექვსამდე“
გნახე ამ ქალაქის შერთან ერთად. სპექტაკლის შემდეგ მან მოთხრა,
იქნებ გავეცეცალა სავარძლებიო. დარწმუნებული ვარ, თქვენ შე-
სანიშნავად გაწევდით მერობას, მაგრამ, სამწუხაროდ, მე ვერ
დავწერ ასეთ პიესასო, მით უფრო, ვერ განვასახიერებ სცენაზე

ჩემს თეატრალურ კოლეგას, როგორც ამას აკეთებს ჩვენი სტუდენტობა. მართლაც, შესანიშნავი თავმჯდომარე ვნახე ქალაქ რუსეთსა და თეატრის სცენაზე.

ქურნალ „თეატრს“ და მის რედაქტორს უნდა ვუმადლოდე, რომ პიესამ „სამიდან ექვსამდე“ შორეულ ჩინეთში ჩააღწია, პეკინსა და შანხაიში დაიდგა, იქაც მაყურებლისა და სპეციალისტების ცხოველი ინტერესი გამოიწვია..

ერთხელ მეგობარმა დამირეკა, ამბობ, ამა და ამ საათზე, რადიოსადგურ „თავისუფლებას“ მოუსმინეო. მეტი არაფერი უთქვამს. ასეთ თემაზე ტელეფონით გრძელი საუბარი არ იყო სასურველი. დამით მიფუჯეჭი ტრანზისტორს. გადაცემას ახშობდნენ, მაგრამ უკვე არც ისეთი თავგამოდებით, როგორც წინათ, ჯერ დიქტორმა თქვა, როგორც დაგბირდით, წუხანდელ გადაცემას ვთავაზობთ განმეორებითო, და სათაური ასე გამოაცხადა, — „ქურნალ „თეატრში“ გამოქვეყნებული ქართული დრამატურგის ერთი პიესის გამო“. სწორედ ის ნომერი იყო, „სამიდან ექვსამდე“ რომ დაიბეჭდა. სანამდე მაულწევია! უფრო იმან გამააკვირვა, რა ზუსტად ვაიგებს ოკეანესგაღმელმა მიმომხილველებმა პიესის დედაწი, მისი მამხილებელი პათოსი, პერსონაჟთა ხასიათები, ამა თუ იმ სიტუაციის არსი! მე მგონი, უფრო ღრმად და ზუსტად, ვიდრე ზოგიერთმა ჩვენმა თეატრმა. მაგრამ, ცოტა არ იყოს, შემადიქტიანა, შემაშფოთა კიდევ. დიქტორმა რომ თქვა: პიესაში ნათლად ჩანს, რომ ხელისუფლების უმპლესი ორგანო, ქალაქის მმართველობა ყოვლად უძლური და უუფლებოა, არ ძალუქს გადაწყვიტოს არც ერთი პრობლემა, რომლებითაც ერთი დღის განმავლობაში თავმჯდომარეს მიმართეს ადამიანებმა, ესე იგი, ვერ გამოხატეს და ვერც იცავს ხალხის ინტერესებს. ხოლო ყველაფერი, რაც პიესაშია ასახული, სიმართლე რომაა, ამას ადასტურებს თვით რეალური ბათუმელი თავმჯდომარე, რომლის წერილიც ქურნალმა „თეატრმა“ გამოაქვეყნა პიესასთან ერთად. გადაცემას ალბათ ისმენდნენ სხვებიც, მათ შორის იმ თეატრის ხელმძღვანელები, რომლებიც მომავალში ვარაუდობდნენ პიესის დადგმას, ტელევიზია კინოსტუდია, სადაც აპირებდნენ მის ეკრანიზაციას, აგრეთვე ზოგიერთი ზემდგომი ორგანოსა და ორგანიზაციის წარმომადგენლები, რომელთაც მაშინ ჯერ კიდევ ჰქონდათ უფლება, გადაეწყვიტათ მხატვრული ნაწარმოების ბედი. თუმცა არამდენადმე დამამედ გადაცემის დასკვნითმა ნაწილმა: ასეთი მამხილებელი პიესის გამოჩენა, თეატრების დაინტერესება, პოპულარულ ქურნალში მისი გამოქვეყნება, ალბათ იმის შედეგია, რომ საბჭოთა კავშირში

ცხოვრების გარდაქმნა იწყებაო.

მართლაც, არც ამ გადაცემას, არც ვინმე სხვას, არ შეუშლონ ხელი პიესის შემდგომი სიცოცხლისათვის. იგი კიდევ დაიდგა ქვეყნის სხვა თეატრებში, საზღვარგარეთ, შეიქმნა კინოფილმი.

• ყველა თანამედროვე პიესას, ამდაგვარ საჭირობოტო და, რბილად რომ ვთქვათ, საზოგადოებრივ პრობლემებზე, სცენაზე გასვლამდე დასამტკიცებლად საკმაოდ რთული გზა უნდა გაევილი. — თეატრი, სამინისტრო, ცენზურა, ზომელსაც იმ დროს უწყინარი სახელწოდება ჰქონდა — „მთავლიტი“. სიფრთხილეს თავი არ სტკივავო, ზოგჯერ არაოფიციალურად პიესა ხელმძღვანელ პარტიულ ორგანოებში იგზავნებოდა. ერთხელ უშიშროების კომიტეტიც ჩაერია საქმეში, რესპუბლიკურ კონკურსში გამარჯვებული ჩემი პიესა „მომავალ შეხვედრამდე“ მარჯანიშვილის თეატრში მიიღეს დასადგმელად. ვილაცამ პოლიტიკური სიფხიზლე გამოიჩინა, შეიძლება — თეატრიდანაც, პირდაპირ უშიშროებას აცნობა, ჩვენთან დისიდენტური სპექტაკლი იდგმებაო. რეპეტიციები შეჩერდა. მე სასტუმრო „თბილისში“ ველოდი პასუხს. რა თქმა უნდა, ვღელავდი. ერთ დღით გიგა ლორთქიფანიძემ დამირეკა და მისთვის ჩვეული იუმორით მითხრა, ინაურმა შემომითვალა, პიესას გაგაშვებინებთ, ოღონდ ავტორი დაგვაჭერინეთო, რეპეტიციები განახლდა. შემდეგ ვნახე უშიშროების კომიტეტიდან დაბრუნებული პიესის ეგზემპლარი, მასში წითელი ფანქრით იყო ჩაზგასმული სტრიქონები. ერთი ვლენი რომ აფრთხილებს თავმჯდომარეს, ნუ გადაგვიდგები, თორემ მალე არჩევნები იწყება, ჩვენი სოფლიდან ხუთასი ხმა რომ დაგაკლდეს, ვაშავდებიო, რაზეც თავმჯდომარე პასუხობს, თქვენი ხმები ქორწილებისათვის შემოინახეთ, მე ერთი კაცის ხმაც მეყოფაო. ის „ერთი კაცი“, რა თქმა უნდა, რაიკომის მდივანი იყო. იმ დროს ჯერ კიდევ არ იყო სასურველი ასეთი კრიმინალური აზრების წარმოთქმა სცენიდან.

დღესაც არ ვიცი, სად და ვისმა სიტყვამ გადაწყვიტა ჩემი პიესის „ქარის წისქვილის“ ბედი, რომ იგი არ დადგმულიყო რუსთაველის თეატრის სცენაზე. სერგეი იურსკი საგანგებოდ ჩამოვიდა ბათუმში რუსულ ვარიანტზე სამუშაოდ, რომ შემდეგ იგი მოსკოვის სახელგობის თეატრში დაედგა, მაგრამ იქაც უხილავმა ძალამ გადაუღობა გზა მოსკოვის სცენისაკენ. მხოლოდ კარგა ხნის შემდეგ, როცა პიესამ რამდენადმე დაპკარგა აქტუალობა, იგი დაიდგა მარჯანიშვილის თეატრში სხვა სახელწოდებით — „ჩემი ეიფელის კოშკი“.

მოსკოვის ხელი საზღვარგარეთაც წვდებოდა. აქედან იგზავნ-



ბოდა. სარეკომენდაციო სიები, თუ რომელი პიესა შეიქმნებოდა დადგმულიყო ამა თუ იმ ქვეყნის თეატრებში. მაგრამ უცხოეთში იყვნენ „ურჩი“ თეატრალური მოღვაწეები, რომლებიც ეძებდნენ სხვა გზებს, კითხულობდნენ თეატრალურ ყურნალებს, უშუალოდ უკავშირდებოდნენ ავტორებს. ასე აღმოჩნდა „ხიდი“, „როცა ქალაქს სძინავს“, „თავისუფალი თემა“, „სამიდან ექვსამდე“, „ჩინარის მანიფესტი“ და სხვა პიესები საზღვარგარეთ. საავტორო უფლება და დაცვის სააგენტოს თავისი წარმომადგენლები ჰყავდა ყველა ქვეყანაში, რომლებიც ფიზიკად ადევნებდნენ თვალყურს საბჭოეთის პიესის გამოჩენას უცხოეთის სცენაზე.

პოლონეთში თითქმის ერთდროულად ორ თეატრში მზადდებოდა „ხიდი“ — ლოძში და კრაკოვში. მოსკოვიდან გამგზავრების წინ ვარშავიდან დამარეკეს მთარგმნელებმა. პიესის ჩვენება აკრძალეს და ამ საქმეში მოსკოვის ხელი ურევიაო. ერთადერთი ორგანიზაცია, სადაც უფლება მქონდა მივსულიყავი, საავტორო უფლებათა დაცვის სააგენტო იყო. ჩემმა მეგობარმა, დრამატურგმა ლეონიდ ზორინმა დამარბია, როგორ უნდა მოვეცეულიყავი, რომ ყველაფერი დამოკიდებული იყო ჩემს პრინციპულობასა და ბრძოლისუნარიანობაზე. სააგენტოს ერთ-ერთი ხელმძღვანელის კაბინეტში, რომელიც, როგორც შენდევ გავიგე, „კაგებეს“ ყოფილი გენერალი გამოდგა, წარმოვთქვი მეტად ემოციური მონოლოგი, რომ, თუ პოლონეთში „ხიდის“ ჩვენება ჩაიშლება, ამის გამო, უპირველეს ყოვლისა, ერთ ამბავს ატეხენ იქაური თეატრები, ყურნალისტები, მეც არაფრის წინაშე არ დავიხვე უკან, დღესვე ვაცნობებ საქართველოს წარმომადგენლობას მოსკოვში, პირადად დავურეკავ შევარდნაძეს, თუ საჭირო დარჩა, გავმართავ პრეს-კონფერენციას მოსკოვში აკრედიტებული უცხოელი ყურნალისტებისათვის... კიდევ რაღაც ვთქვი. ტყუილი თუ მართალი. ვერ ვიტყვი „კაგებეს“ გენერალი ძალიან შევაშინე-მეთქი, მაგრამ, ასე იყო თეისე, სიტუაცია შეიცვალა. პოლონეთში გავემგზავრე. ლოდის სპექტაკლი ვნახე, მაგრამ მეორე პრემიერა მაინც შეფერხდა იმ მოტივით, რომ იმხანად კრაკოვში ხიდი ჩანგრეულა. მაინც მადლობელი ვარ იმ „კაგებეს“ ყოფილი გენერლისა. ხომ შეეძლო თავის ერთი გაქნევით გადაეწყვიტა ჩემი-ბედი? რომელი დისიდენტი მე ვიყავი, უცხოელი ყურნალისტებისათვის პრეს-კონფერენცია გამემართა ან თბილისში შევარდნაძისათვის დამერეკა.

ჩვენს ურთიერთობას ყველა დროის ხელმძღვანელებთან, უპირველეს ყოვლისა, საფუძვლად ედო საქმე, რასაც ერთად ვემსახურებოდით, ამ შემთხვევაში, — თეატრი. იმპრ. შეგნება, რომ მხო-

ლოდ კულტურას შეუძლია ადამიანების სულიერი ამაღლება, ერთ-ერთი სულისკვეთებით მათი შეგავშირება.

ამიტომ იყო, ქობულეთის ზღვის სანაპიროზე სახლი რომ გა-
მოჩნდა, მისი დასაკეთების მსურველი კი ძალიან ბევრი იყო,
რადგომის მაშინდელმა პირველმა მდივანმა იური უნგაძემ უპირა-
ტესობა თეატრს მიანიჭა, ის შენობა თეატრის მოღვაწეთა კავ-
შირს მიაცუთვნა. პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველმა
მდივანმა ალექსანდრე თხილაიშვილმაც ჩვენ დაგვეპირა მხარი, ასე
გაჩნდა დასვენებისა და შემოქმედებითი საქმიანობის კიდევ ერთი
კერა.

კომერციული ფირმები, ერთობლივი საწარმოები კერძო სავა-
ჭროები სოკოებივით რომ მომრავლდნენ, თავისუფალი შენობები
სანათლის საძებარი შეიქმნა. ვინ არ მოუგზავნეს მაშინდელ ვიცე-
პრემიერს, აგროსამრეწველო კომიტეტის თავმჯდომარეს სულიკო
ინაიშვილს, რომ მათი შენობის ნახევარსარდაფული სართული ჩა-
ეგდოთ ხელში, მაგრამ საკმარისი აღმოჩნდა ჩვენი ერთი სიტყვა,
რომ არჩევანი თეატრზე შეჩერდა, თეატრზე, სადაც ბატონი სულ-
იკო და მთელი მისი ოჯახი ყოველთვის სასურველი და საპატიო
სტუმრები არიან.

ამ შენობაში რეკონსტრუქციისათვის, სათანადო ავეჯით, ინვე-
სტარიტ, ელექტრომონოწყობილობათ აღსაჭურვავად დიდად იზარუნ-
ეს მთავრობის მაშინდელმა თავმჯდომარემ გურამ ჩიგოგიძემ, ბევ-
რი საწარმოო ორგანიზაციის ხელმძღვანელებმა, მათ უნდა ვუმა-
დლოდეთ, რომ დღეს აქ მსახიობის სახლია, კაფე-ბარი და, რაც
მთავარია, საყმაწვილო თეატრ-სტუდია, რომლის სპექტაკლებმა
განაცვიფრა ყოვლისმცოდნე და ყოვლისმნახველი თეატრალები,
უცხოელი სტუმრები. წელს აქედან 6 ნიჭიერი ქალ-ვაჟი გაემგზავ-
რა სასწავლებლად თბილისის თეატრალურ ინსტიტუტში.

თეატრის მოღვაწეთა კავშირის დღევანდელი ადგილ-სამ-
ყოფელიც ხელმძღვანელობის ყურადღებით მივიღეთ. ერთ-ერთ
სამშენებლო ორგანიზაციას დაავალეს მისი წესბრუნეში მოყვანა. სამ-
კაციანი ბრიგადა დილ-დილობით ცხადდებოდა „ობიექტზე“, მიიხ-
ედ-მოიხედავდნენ, შემდეგ კი მთელი დღე სადღაც იკარგებოდ-
ნენ. ალბათ მე არ ვცაყვი მათთვის სარფიანი კლიენტები. ასე გრძე-
ლდებოდა კარგა ხანს. ერთ დღეს ვდგევარ ჩემი სამსახურის წინ,
ქუჩაში შორიახლო ჩემი ბრიგადა დგას, მაგრამ, როგორც ვატყობ.
დღესაც არ აპირებენ მუშაობას, ამ დროს ჩამოიარა ვახტანგ პაპ-
უნიძემ, მაშინდელმა პირველმა მდივანმა, ხელი ჩამომართვა, ერთ-
მანეთი მოვიკითხეთ და ბატონმა ვახტანგმა გააგრძელა გზა პარ-

ტიის საოლქო კომიტეტისაკენ. სულ ორი წუთი. თუ გაგრძელდა ჩვენი შეხვედრა, მაგრამ, შევატყვევებ ბრიგადის წევრების დამხმარეებს დებულება ჩემდამი. რამდენადმე შეიცვალა. მიგხვდი, ჩემი ავტორიტეტი ამაღლდა. სანამ ისინი ჩემთან მოვიდნენ, უცებ გაჩნდა მცირე დრამატურგიული სიუჟეტი. შეწუხებული სახე მივიღე. რაო, მკითხეს მშენებლებმა, რაოდა, ჩვენს მდივანს თბილისში შევარდნაძე შეხვედრია, მე ვუკითხივარ, როგორ არისო, იმ პიესაზე მუშაობა თუ დაამთავრაო. ბატონ ვახტანგს უთქვამს, ჩხაიძეს სამსახურისათვის შენობა მივეციო პარტიის საოლქო კომიტეტის გვერდით და ახლა უფრო ახლოს ვიქნებითო. შევარდნაძეს უთქვამს, პარტიულ კონფერენციაზე რომ ჩამოვალ ბათუმში, აუცილებლად ვინახულებო, ალბათ ჩვენთანაც შემოვივლის, და როგორ არ მინდა აქაურობა ასე დავახვედრო-მეთქი, კიდევ უფრო გავიფუჭე ხასიათი. როდისაა კონფერენციაო, მკითხა ბრიგადირმა. ერთ კვირაში-მეთქი, და შევედი გაურემონტებელ შენობაში. ამის შემდეგ, ცხადია, რაც სამ თვეში არ გაკეთებულა, ერთ კვირაში მოესწრო, რა თქმა უნდა, არავითარი კონფერენცია არ ჩატარებულა, არც არავის უუკითხავთ თბილისში და არც არავინ ჩამოსულა ბათუმში ჩემს სანახავად. ბატონ ვახტანგს რომ ვუამბე ყველაფერი, ბევრი იცინა, თუ მომავალშიც ასეთი კარგი საქმისათვის რამეში გამოვადგები, გამომიყენეო.

მე მათ ვხვდები თითქმის ყოველდღე, ზამთარ-ზაფხულს, უფრო ხშირად, ზღვისპირა პარკში, პენსიონერთა ხეივანში. ცხოვრებამ, ეამთა სვლამ გაათანაბრა ისინი, თითქოს ერთმანეთს ჰგვანან, მაგრამ მაინც არის განსხვავება. მათ შორის, უპირველეს ყოვლისა, განვლილი გზით, აზროვნებით, იმის მიხედვით, რა დროში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. ერთმა მათგანმა, შედარებით ახალი ტიპის „ფუნქციონერმა“, მითხრა, 50-იანი და 80-იანი წლების ხელმძღვანელებს შორის უფრო დიდი განსხვავება იყო, ვიდრე ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორისო. არადა, ყველანი ერთი პარტიის — კომუნისტური პარტიის წევრები იყვნენ.

ზოგიერთი მათგანი იშვიათად თუ ჩაივლის ამ ხეივანში, ზოგიც საერთოდ ვერ იდებოდა ხალხში გამოჩენას. ყველა ერთნაირად ვერ ეგუება ახლებურად ცხოვრებას, მდგომარეობის პრივილეგიების დაკარგვას. არ ვგულისხმობ მხოლოდ ვრცელ კაბინეტს, რამდენიმე ტელეფონს, პერსონალურ მანქანას, მაღალ ხელფასს, კიდევ სხვა მრავალ სიკეთეს და უპირატესობას. აქეთ რომ მოვდიოდი, ერთი ყოფილი მინისტრი დავინახე, (თანაც — ვაჭრობის მინისტრი), პურის რიგში იდგა, სადღაც — ბოლოში. თანაც ძალიან შეეჭვება,

შეხვედებოდა თუ არა იმ დღეს ყოფილ მინისტრს კუთვნილი უფლებები.

ერთმა ისიც მითხრა, ღირდა კი ამ პრივილეგიებისათვის სხვა მრავალ ცხოვრებისეულ სიტუაციაში და სიკეთეზე უარის თქმა, ყველაფრისათვის და ყველას მაგივრად პასუხისმგებლობა, შეიძლება მართლა დამნაშავეს, მაგრამ მაინც შეინანოს, ნაცნობის თუ მეზობლის დაჯისათვის ნერვიულობა, შენზე უფროსების წინაშე ქედის მოხრათ.

ზოგჯერ წყენას ისიც იწვევდა, რომელიმე წამოწყებული საქმის დამთავრებას რომ არ დაგაცლიდნენ, შენი შემცვლელი კი არაფრით არ იყო შენზე უკეთესი, ზოგჯერ — პირიქითაც. ხმაბლდა შეიძლება ამას არ ამბობენ, მაგრამ, ალბათ, ეამაყებათ, რომ მათ დროს გაკეთდა ეს ხეივანი, ის შადრევანი, ბავშვთა ბატარა სამყარო, რუსთაველის ქუჩაზე აშოლტილი პალმები, თვალსა და გულს რომ ახარებს, კინო-თეატრი, დელფინარიუმი, სტადიონი, სკოლა და საწარმო. კიდევ ბევრი რამ. რა თქმა უნდა, მეტის გაკეთება შეიძლებოდა, უფრო უკეთესად, გონივრულად და საიმედოდ, სხვებზე რომ არ ყოფილიყვნენ დამოკიდებულნი, უსიტყვოდ მორჩილნი და შემსრულებელნი, რაც პარტიულ დისციპლინად ითვლებოდა.

ზოგიერთი მათგანი აღარაა ამ ქალაქში, მაგრამ მათ აქ ვაბატარეს თავიანთი ცხოვრების ნაწილი, შეიძლება საუკეთესო წლები. დღეს ისინი მოგონებებით არიან დაკავშირებული ამ კუთხესთან, ალბათ საამაყო აქვთ და სანანებელიც. თავად განსაჯონ. ზოგიერთი მათგანი აღარაა ამ ქვეყნად. მადლობა ვუთხრათ, რაც კარგი უკეთებიათ, თუკი რამ შეცდათ. ნებისთინ თუ უნებლიეთ, ვიყოთ მიმტევებელნი, დმერთმა შეუზღოს ყველას. ჩვენც.

ზღვასთან ხმელეთი მთავრდება, მაგრამ სიცოცხლე გრძელდება, ყველაფერი წარმავალია ამქვეყნად — სიმდიდრეც, ძალაუფლებაც, რჩება მხოლოდ საქმე, რომელიც ვაკეთებთა ხალხისათვის, შენი ქვეყნისათვის, ჭა კიდევ მოგონება; ნუ ვიქნებით უმადურები, სულ ცოტა სჭირდება ადამიანს; ყურადღება, გამხნეგება, ვაჩუქოთ, ერთმანეთს სიტბო, ღიმილი. დმერთს კალთა დაუბერტყავს ჩვენზე, იუმორის ნიჭი და გრძნობა მოუცია. აქ, ამ ხეივანში, ხშირად გაისმის მახვილი სიტყვა, ფრთიანი ფრაზა, ანეკდოტი... ზოგი რამ აქ მოსწენილი, წიგნში შემიტანია, სტენდინაც გვითქვამს. სულ ახლახან ჩავინიშნე ნიმუში რაიკომებისდროინდელი ზემო აქარის ფოლკლორიდან, არჩილ ბერიძე რომ ყვებოდა. ერთი კაცი საზღვრისპირა სოფლის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ უნდა აერჩიათ. მაშინდელი წესისამებრ ანკეტა მისცეს შესავსებად, კით-

ხვაზე, ვინმე ახლობელი ხომ არ გყავთ საზღვარგარეთო, თანამედროვეობის კანდიდატს ჩაუწერია, ჯამუში და კოტიაო. სხდომამდე არავის მიუქცევია ყურადღება ამისათვის. მდივანი გამოგზავნილი კადრებიდან იყო და ამიტომ გაკვირვებია, ამ ჯამუშა და კოტიას გვარები არა აქვთო? ასე ვეძახით ყველათ, უთქვამს. ასე ახლობლებში არიან თქვენთვის? — მარტო ახლობლები კი არა, მთელი ჩვენი ოჯახის მარჩენლები არიანო. მალე გაბრკვა, რაშიც იყო საქმე — კამეჩი და მისი ზაქი საზღვარგარეთ გადასულან; თურქეთში. რამდენიმე დღეა, თურმე, მთელი სოფელი ეძებს, ჩვენს და თურქ მესაზღვრეებსაც აცნობეს, მაგრამ ჯამუში და კოტია ვერაფრით ვერ აღმოუჩინიათ. ამის გამო ოჯახი ძალიან დამწუხრებული ყოფილა. კიდევ კარგი, რაიკომის მდივანი იუმორის მოყვარული აღმოჩნდა. ის კაცი კოლმეურნეობის თავმჯდომარედ აირჩიეს.

... ზღვისპირა ხეივანში კვლავ ვხვდები ამ რთულცხოვრებაგამოვლილ ადამიანებს, რომლებიც არც „ყოფილებია“ და არც „ფუნქციონერები“, ისინი ამ ქალაქის, ამ კუთხის ბატრონები იყვნენ და ახლაც არიან, ისე, როგორც ყოველი ჩვენგანი, ვისაც ფეხი გვიდგას აქაურ მიწაზე — ჩვენი საქმეებით და შეცდომებით, სიამაყითა და სინანულით, ჩვენი ცოდვა-მადლით.

მათ შივეუძღვენი ბოლო პიესა, რომლის სახელწოდებითაც ეს თავია დასათაურებული — „უკანასკნელი მონოლოგი“.

ვინ იცის, იქნებ ეს წიგნიც ჩემი უკანასკნელი მონოლოგია,

(გაგრძელება. იქნება)

მიწვლო კეისარს კეისრის

პავლე ინგოროვას 100 წლისთავზე.

რა ცოტა უნახავს დარები, *
 მისთვის სულ პირქუში ცა იყო,
 გაიღო სამოთხის კარები,
 ბოლოქამს ეღირსა — გაიღო.
 სიკვდილმა მოგლიჯა ბოქლომი,
 სიკვდილმა სიცოცხლედ ქცეულმა,
 აღსავსე სულიერ ოქროთი
 დღეიდან არ ივლის ეულად.
 დაფასდა, რა გვიან დაფასდა,
 ვულოცავთ ცხოვრებას აწინდელს
 შეხედება თეთრწვერა საბასაც,
 რუსთაველს, მერჩულეს, მთაწმინდელს.
 და აჰა, მოვიდა დღე ისიც;
 მიეზლო კეისარს კეისრის!

მემატიანე

ნელი ღუმბაძეს.

სხვაზე დიადი შენი სულია,
 სხვაზე მაღალი შენი ჭერია,
 როცა ამ სოფელს ეთხოვებოდა,
 შენ ლადოს მაჯა ხელში გჭერია.
 არც ამაშია რამე სადაო,
 თუ შენი გული მეტად ხმაანებს,
 დიდი პოეტის ერთგული დაო,
 მისი ცხოვრების მემატიანევ!

ამ პატარა ქალს...

ამ პატარა ქალს მისოდენა
წიგნი რომ მიაქვს,
ეს ჩვენი ერის სინდისია — შოთას წიგნია.
ჩემს თვალში უფრო შეემატა
ამ გოგოს ეშხი;
მას საქართველო უკავია პატარა ხელში.

ღმერთმა იცის...

ზღვისებრ სუნთქვა,
ზღვისებრ შფოთვა
ყოფილიყო იოლი,
ქვეყნად ბევრი იქნებოდა,
შოთა, გალაკტიონი...
ღმერთს არ უყვარს ხელის გაშლა
ზოგავს ჩვავს და ბარაქას,
მთების ენით მხოლოდ ვაჟა,
ვაჟა ალაპარაკა.
ღმერთმა იცის, რა რად ხატოს
რა თეთრად და რა ქუფრად,
მისცა ვაჟას, მისცა ტატოს
მასი ენა საუბრად.
მისცა შოთას და ილიას,
არც აკაკის დააკლო, —
ენა ღმერთის ბოძებული,
ღმერთთან სალაპარაკო.

ერთი პატარა გულია

ერთი პატარა მდინარე
ჩაგვიდოდეს გზაში... —
— ვერ გამოვედი უხადოდ, —
ამას გეტყვოდი მაშინ.

ერთი პატარა გორაკი
იყოს შუა აღმართული,
გეტყვოდნ, „ვერ ამოვალო,
დამელლებათ გული“...
მაგრამ ჩვენს წორის, ლამაზო,
არც მთაა, არცა — დღე,
ერთი პატარა გულია,
მე ამ გულს შემოგვევლე!..

ენვერ ხაბაძის საიუბილეოდ

რაც ვაყამ უთხრა მესხიშვილს,
არ დასინმრია ბარე ორს:
„ვნებათ რაზმებში იბრძოდნი,
უსისხლოდ სისხლი დვარდო“.
გედის ფრთით წერდა რუსთველი
სასიყვარულო პოემას.
შენ რაც რომ ხანჯლით დაწერე,
ვარსკვლავად ცას გამოედა.
ასე დაიპყარ მსოფლიო
ლამაზმანების გოგმანით,
არცა თუ ვინმე დასჭერი,
არცა თუ ვინმე მოჰკალი,
ძმაო, ასაკმა დაგვთოვა
და ძველ სურათებს დავტყერით,
ლამაზო ბეჭი მახსოვხარ,
შავ ხუჭუჭი თმის ჩამჩქერით...
დე, ავსულს დღესაც აფრთხოზდეს
ეს შენი ხედვა ქორული...
შენი მარადი ძეგლია
„განდაგანა“ და „ხორუმი“...
ამისთვის გიკრავს დღეს მკერდში,
ამისთვის მოგემზიანა,
შენი „დიდ-ნენე“ — აჭარა,
და საქართველო მთლიანად!

მირზა შაფი და ნიკოლოზ ბარათაშვილი

1845 წელს განჯიდან თბილისს ჩამოვიდა აზერბაიჯანელი პოეტი მირზა შაფი, იმავე წელს განჯას წაეიდა ნიკოლოზ ბარათაშვილი.

ერთი განჯის მგზავრა არის,
ერთს თბილისში ეჩქარება,
არ არიან შარიანი,
ბედი მაინც ეშარებათ,
უთხრას ეინმემ მირზა შაფის:
— სად იჩქარი, რა იმედით?
ტატო განჯას წაეიდოდა,
თბილისში რომ იყოს ბედი?
ჩაუარა ტატოს მირზამ
ისე, როგორც უცხომ უცხოს,
ერთს განჯამ და ერთს თბილისმა
ძაღლის კვერი გამოუცხო...
ვინმემ მაინც უთხრას ტატოს,
თუ სურს ბედთან გატოლება,
განჯაში რომ ბედი იყოს,
მირზა შაფი დატოვებდა?
იცის ტატომ, იცის მირზამ:
ყოფა კეთილს ეშარება...
გენიოსთა ბედის ცისკარს
ამოსვლა არ ეჩქარება.
და ამისთვის შესვეს შხამი,
დღეს კი ჩვენკენ იჩქარიან,
იციან, რომ ბნელა ღამე
შორეული ცისკარია.

შენი შავი თმები მიყვარს

შენი შავი თმები მიყვარს,
ჩემსას უკვე დაათოვა...
ქვეყნად ცეცხლად რომ არ იყოს,
შენა ეშხი გამათბობდა...

შენი ნორჩი გული მიყვარს,
ჩემი უკვე გაიცვითა,
ცოტა ადრე მოსულიყავ,
სიყვარულიც დაიკვდიდა.
წყაროს წყნარი ლიკლიკი ხარ,
გადმოჩქეფი, ა, იმ მთიდან,
ალიონის შიკრიკი ხარ,
მე გიცქერი დაისიდან,
ძველთაგანვე წესად თქმულა:
მსგავსი მუდამ მსგავსს უხდება,
მე სანაცვლოს ხომ არ ვითხოვ,
რომ მიყვარდე, მაქვს უფლება!

ხვალ დილით ისევ მოვალ ამ ბაღში...

დადინხარ ბაღში შევთმავაშლილი
და მგოსანს ლექსის გამიჩენ საბაბს,
წითელი კაბა შევ თმის დასცინის,
შავი თმა დარდობს შენს წითელ კაბას.
დამერწმუნები, ალბათ, ამაში:
დღეს არ ვფიქრობდი ლექსის დაწრას.
ხვალ დილით ისევ მოვალ ამ ბაღში
შენი კაბის და თმების საცქერად...

უკანასკნელი ღამე

ხინოს

ჩვენა დიდი ხნის ქორწილი
დღეს უნდა მექცეს გოდებად.
სიცოცხლე — ჩემთვის მოძღვნილი
სულ მალე დაბოლოვდება...
კინ დავმოს გრძნობის მონობა?
სიყვარული ხომ ღმერთია,

მაგრამ პოეტის ცოლობა
თავგანწირვაზე მეტია...
ან რა მასალათ აივოს
შენეულ ტრფობის კარავი?
ჩემს წუხილს ბევრი გაიყოფს,
მაგრამ ჩემს უღელს — არავინ..

* * *

წიგნების ხვავზე გული თუ მტკივა,
ყველაფერს სწონის მკითხველის ნდობა
მე დავასახლე ლექსში მუდმივად
ქალის ეშხი და ახალგაზრდობა.



ც ი მ ც ი მ ა

(ფანტასმაგორია)

ეს ის დრო იყო, ფიქრის საგარძელში უნდა ჩავმჯდარიყავი და შემატყობინეს — ციმციმა უკანასკნელ დღეშია და შეიძლება ვერც მიუსწროო ცოცხალს.

სააგადმოფოდან გაწერილი დამხვდა.

— წასულია მაგ ბიჭის საქმე, დიდხანს ვეღარ ვაატანს... ეჰ, რა მამა ჰყავდა?! — მითხრა დაცვის უფროსმა მიხაკო სუნდაძემ, — ნაშუადღევს წაიყვანეს სახლში.

შინ მივაკითხე ციმციმას.

— სად არის? — ვკითხე როგორღაც დაბნეულმა.

— აქაა, აქ... — მითხრა ბაბუამისმა, — ციმციმამ ზომ გაჩუქა წიგნები, რატომ არ წაიღე?

— მეჩე წავიდე... ახლა ციმციმა მინდა ვნახო:

— ეჰ, შვილო... — ატირდა მოხუცი, — ამანაც უნდა ვაგვასწროს, როგორც ვხედავ... შემოდი, შემოდი... — ოთახში შემიძღვა და კედელს მიეყრდნო.

ოთხი კედელი და კიდევ სიცარიელე, რომელიც ასე ავსებს ციმციმას ოთახს.

— ნეტა რა ხდება?! მიმაღავენ რაღაცას... აღარაა, ალბათ, ციმციმა. მოვლენ სანებრღსადგურიდან, ჩაატარებენ დენინფექციას და ოთახიც გაიწმინდება, ამოიწმინდება ციმციმას სული... მკვდარია ალბათ, — გავიფიქრე კიდევ და მზერა კარისკენ გამექცა.

ვიღაც-ვიღაცებმა (ალბათ მეზობლებმა), — ოთხი მაგიდა შემოიტანეს. ერთმანეთს მიუერთეს. ერთმა, ყველაზე ხნიერმა, თეთრი ზეწრები გადააუარა მაგიდებს.

→ რა ხდება, ვანო ბიძია? — ვკითხე ციმციმას ბაბუას.

— ციმციმას ასე სურს...

— ნეტა რა ხდება? — ხმას უხვბლივთ ავუწიე.

— ხდება, შვილო... დამშვიდდი, თუ შეგიძლია, — დამიყვავა ვანო ბიძიამ, — ასე იწეება ციმციმამ... კვდება... — ცრემლი შეიწმინდა და აქვითიანდა. მხარზე ჩამომეყრდნო.

— ვენერა ბიცოლა?

— საავადმყოფოში წაიყვანეს...? — ციმციმა მოიყვანეს და იგრ
გაიყვანეს!

— ციმციმას რა ჭირს?

ვანო ბიძას ჩემი ეს კითხვა აღარ გაუგონია, გადართულიყო უკვე თავის ფიქრებში.

რა ხდებაო, ისევ ვიკითხე.

ვილაცამ, თითქოს და გაბრაზებულმა, ისე მიპასუხა:

— ციმციმამ უნდა იცეკვოს!

— მერე და... სად შეუძლია ციმციმას ცეკვა?! გუშინ ფეხზე ძლივს იდგა.

— ეს გუშინ იყო — მითხრეს... — დღეს კი სხვა დღეა...:

ოთახში ციმციმას მკურნალი ექიმი შემოვიდა, ვერ მიცნო.

— როგორაა? — მე ვკითხე.

— არის, და... აღარ იქნება მალე, — თქვა და წიოიწყინა, — ვინ ხარო, უნდოდა ეკითხა. მივუხვდი.

— ციმციმასთან ვარ. — თქვენს გარდა სხვამაც მითხრა, ცუდადააო...

— მართლა კარგად ცეკვავდა? — ყასიდად იკითხა ექიმმა.

— ცეკვავდა?! — თუ ვინმე ცეკვავდა, ციმციმა ცეკვავდა! — წამოვიძახე ბრაზმორეულმა.

— ცეკვის მასწავლებლებს არ ეყვარებოდით... — ჩაფიქრდა ექიმი.

— არ უყვარდათ... ისე არ ცეკვავდა, როგორც მათ უნდოდათ და ასწავლიდნენ...

— ხელოვანი ყოფილა თურმე... — თავისთვის ჩაილაპარაკა მკურნალმა, — ვან გოგი რომ გაგიგონიათ? არც იგი ხატავდა ისე, როგორც ასწავლიდნენ და დიდი მხატვარიც ამიტომ გახდა!

— მაგრამ ციმციმა...

— ცეკვის წრიდანაც კი დაითხოვეს... — ვიგონებ გულისტკივილით. — ახლა სად შეუძლია?!

— კარგე იქნებოდა მასტიმულირებელი გაეკეთებინა... ცეკვის წრიდანაც კი დაითხოვესო, ამბობდით...

— გარიცხეს და აღარც სკოლაში გამოჩენილა მთელ თვეს... — შვიდი ნოემბერი ახლოვდებოდა.

— ვისმენ, ვანავრძე... — თითქოს თავისთვის, ისე ამბობს ციმციმას მკურნალი.

— დემონსტრაციაზე... დღესასწაულზე იცეკვა... იმისთანა ცეკვა მე არ მინახავს... ციმციმას ცეკვა იყო! ვერაგინ მოუშალა,

ისე უცებ მოხდა ყველაფერი! თავისი ცეკვა იცეკვა! — თვალეზზე ჩაახვედნე ექიმს.

— მერე?

— ნებათავე არავისაყან აუღია, ჩვენთან უნებართვოდ როგორ შეიძლება... თვითონ მისცა თავის თავს ამის უფლება... ციმციმას არც ბავშვობაში ეშლებოდა რაზე...

— მერე, მერე? — თავი ჩემკენ მოაბრუნა მკურნალმა ექიმმა.

— მთავრობამ ტაში დაუკრა, ციმციმას უყრავენ ტაშს! კი არ ცეკვავს, არამედ დაფარფატებს ბეპელასაგით... ციმციმ გადადიოდა ადგილიდან ადგილზე. ციმციმაც ამიტომ დაარქვეს. ცეკვის ჯადოქარს ეძახდნენ მერე დიდ ანსამბლში.

— დედაქალაქშიც უცეკვია, დიდ ანსამბლში?

— მაგრამ ერთ ადგილზე რა გააჩერებდა? მისი ცეკვა იმპროვიზაცია იყო, მხოლოდ თავისი ცეკვის ცეკვა წყურთდა. ანსამბლში კი სხვა ცეკვაც უნდა ეცეკვა, ეს კი აღარ უნდოდა ციმციმას. დიდი ანსამბლიც მიატოვა და ჩვენს ზღვისპირა ქალაქს დაუბრუნდა, მოხუც ბებისასა და ბაბუსს. დედ-მამა ადრე დაეხოცა, ოცდაჩვიდმეტმა ჩაიხვია. ოცდაჩვიდმეტის საკირეში აღმოჩნდა ორივე.

— თბოლი ყოფილა თურმე... რატომ არ ვიცოდი? ამაზე რომ არაფერი უთქვამს ჩემთვის ციმციმას? — წყენა დაეტყო მკურნალი ექიმის ხმას.

— ორივე რვაბილიტირებულია ახლა, — ჩაეილაბარაკე.

— დღეს კი უკანასკნელი ცეკვა აქვს ციმციმას... — თქვა მკურნალმა ექიმმა და ფიქრმა წაიღო. — კი ვარჩენთ ჭლექს, მაგრამ ავადმყოფმაც უნდა მოინდომოს, ამას კი, ვერ ვიტყვი, სიცოცხლე არ უყვარდესო, მაგრამ რომ არ უფრთხილდება!

— ციმციმა! — თქვა ვიღაცამ და ოთახში სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა.

დამინახა და ხელი ამიწია, ძმას გაუმარჯოსო. ჯორჯოზე დაჯდა, მხრებში გაიშალა და თეთრი უძიროები წამოიცივა. წამოდგა და ჩვენკენ გამოიხედა. თვალის ჩამოკრა.

...თეთრი უძიროები თეთრ მაგიდაზე დატრიალდნენ და შედგნენ უცებ.

ისევ გამოხედა ციმციმამ. დაწმენდოდა თითქმის ყოველთვის ამღვრეული ლურჯი თვალები.

თითქოსდა რაღაც სასწაული უნდა მოხდეს!

„დიდი დღევანდელი დღე!“ — გულში ვამბობ.— მგონი დგება, ანდა უნდა დადგეს ის წამი, როცა უნდა დაიძრას რაღაც, დაიძრას მღუშმარე ლევასავით და ამ ძალას აწი ველარაფერი შეაჩერებს.

ციმციმაც შედგა ცერებზე და ადგილზე გაიყინა. მეც გამეყინა
ნა სული და გაჟქვავდი.

მერე მოეშვა უცებ და თითქოს თავისთვის, ისე ჩაილაპარაკა:
— ფარდები ჩამოუშვით, — ითხოვა, — სინათლემ რომ არ შემოაღ-
წიოს... ჩემი კამოდიდან სასთლები გამოიღე. შვიდივე... — მე გა-
დმოძახა, — თქვენ კი... თეთრი ზეწარი მომიტანე... — ასანთის კოლო-
ფი ჰქონდეს იქნებ ვინმეს...

მივეციტ ციმციმას, რაც კი ითხოვა... მეზობლებმა ფარდები
ჩამოუშვეს და ოთახშიც ჩამობნელდა.

ციმციმამ სანთლები აანთო და თავის საცეკვაო წრე-მოე-
დანზე ჩამოარიგა. თვალები უბრწყინავდა, სახე კი სანთლებივით
ჩამოღვენთოდა.

— შეიკრა ჯადოსნური წრე... სინათლის წრე... — აჩურჩულდა
ციმციმა:

თეთრ ზეწარში გამოეხვია.

„სინათლის წრეში ციმციმა... სანთელი ციმციმა... ნეტა
ვინ აანთებს, წამოანთებს ციმციმას?!“ — გავიფიქრე უნებლიეთ.

თეთრ ზეწარში გახვეული სანთელი — ციმციმა წელში გას-
წორდა და ისევ შედგა ცერებზე. სიმივით გაჭიმულიყო.

„არ გაწყდეს!“ — ანაზღად წამომეჭრა ფიქრი.

და აცეკვდა ციმციმა.

ფრიალებს ზეწარი — თეთრი სამოსელი... ანთია შვიდი სან-
თელი, ციმციმებს შვიდი ალი.

თეთრ სამოსელში გახვეული ჩამომხმარი სანთელი — სხეული
სხარტია და ელასტიური. ჯადოქარი თუაო გუნებაში გავიელვებ-
დათ.

შედგა ჯადოქარი მოულოდნელად და მისი ფიქრიანი მხერაც
შენიჩერდა სულში.

ფიქრი მისი ლურჯი თვალებიდან გამოდიოდა. გამოიწველა
ბოლოს მთლიანად და უსასრულობას მივივით გამოება.

ის უხილავი ძაფი მარტო მე შევნიშნე და ციმციმამაც თავი
დამიჩნია. ეს ძაფი ცეკვის ჯადოქარსა და უსასრულობას შორის
ასე იღუმალ გაბმულიყო.

დაწყებულა უკანასკნელი ცეკვა.

მეც ციმციმას სულის ნაწილად მიხდა ვიქცე.

შედგა-მეთქი ცეკვის ჯადოქარიო და... ჰობაო, შეჰკივლა
უცებ.

ისევ აფრიალდა თეთრი სამოსელი.

აალებული შვიდი სანთელი და ჯადოქარი ცეკვის.

შვიდი სანთელი თეთრ სარეცელზე, ალაგ-ალაგ ლაქა-ჩრდი-

ლები რომ დაჰკრავს.

აალებულ სანთელთან მიიჭრება, ჯადოქარი ცეკვის. ჩაცუცქდება, რაღაცას წახურჩხულებს და გასწორდება წელში. შვიდჯერ შემოთუელის სანთელს აალებულს და მერე მეორე სანთელს აუცუცვლებს.

ძალია ჯადოქარი ცეკვის, დაქრის თავის თეთრ სცენაზე და... არა, არ ქრებიან აალებული სანთლები.

შემოთუელის ამ სანთელსაც (შვიდჯერ), წამოფრისდება რომ ისევ შედგეს ცერებზე.

და როცა მესამე სანთელსაც შემოთუელის, ხველა აუტყდება ცეკვის ჯადოქარს. შეშინებული მიუცუცქდება აალებულ სანთელს და რაღაცას ისე შესთხოვს, უფალოს, რომ შექალაქდებენ ხოლმე.

წავიკითხე მისი სულის სურვილი — ნატვრა: — ნუ ჩამიქრები, ჩემო სულო და სანთლის ალიც სწორდება წელში.

შემეკრა სუნთქვა.

ცეკვის ჯადოქარი ქანდაკად ქცეულიყო. თეთრ სამოსელსაც კი აღარ ურჩევდა სიო.

„დაე მოვკვდე, მაგრამ ნუ ჩამიქრება სული — სანთლის“, ამოვიკითხე ცეკვის ჯადოქრის თითქოს და მეორე სურვილი — ნატვრა.

თვალს ააყოლებს სანთლის ალის რხევას და:

გაუძლო სანთელშიც! აღარ ჩამქრალა.

გაჭრა მლოცველის ლოცვამ!

თვლები უციმციმებს ცეკვის ჯადოქარს. აჰა, შემობრუნდა ჩემკენ.

მიცინის!

თეთრ სამოსელზე წითელი წინწკლები შევნიშნე.

„...ეს მაშინ... ჩაცუცქულმა რომ ჩაახველა ყრუდ“, — გვეფიქრე და ფიქრიანი მხერა თეთრ სცენას შემომავლე.

თეთრ სცენაზე, კი წითლად შეწინწკლული სამოსელი დაფრისალებდა ისევ.

ეს მეშვიდედაც შემოთუარა ვადარჩენილ სანთელს და გაღიმებულმა მეოთხე სანთელს მიაწურა.

ისევ ჩაცუცქდა სანთელთან და ვიგრძენი თუ როგორ უფეთქავს გული ცეკვის ჯადოქარს, ვიგრძენი მისი სულის იღუმალება, სანთლის აღში რომ გადადიოდა.

„თუ არ ჩამიქრი, მეც ვიცოცხლებ!“ — ფიქრობენ სცენაზე და კვლავ გაიშლება სანთლების ალით განათებული თეთრი სიციცხლე. შეწინწკლული ოდნავ.

„ნეტავი არც მეოთხე სანთელი ჩაუქრებოდეს?!“ — ვოცნებობ ჩემთვის.

სცენაზე კი ცეკვავს და ცეკვავს ჯადოქრის სული, რა ნაზი და სათუთი სული ჰქონია თურმე!

ჩქარობს, უკვე აღარც მოჩანს მისი უძირობა, მხოლოდ თეთრ სამოსელს ვხედავ აფრიალებულს, ოქროსფრად რომ გაბრწყინებულა სანთლების შუქზე.

თეთრი თოვლივით თეთრი სამოსელი, აქა-იქ წითლად შეწინწკლულა.

თავისუფალია ხორცისაგან ცეკვის ჯადოქარი, სულია უწონადი, მხოლოდ მოფარფატე სული და ეს სული სიცოცხლის საგალობელს მღერის...

ისევ ჩაცუტქულა ცეკვის ჯადოქარი და დავინახე იგი მოდუნებული და დადუმებული. სახეჩამოსანთლულს ღურჯ თვალბში შვიდივე სახთლის ალი უკამკამებდა და ამ თვალბში ივითებოდა ტკივილი უჩვეულო.

აჰა, უკან დარჩა სანთელი მეოთხეც და ისევ გავიგოხე ყრუ ჩახველება. სუნთქვა შეკვროდა სულს მოცეკვავებს. და მეც შევკავებ სუნთქვა. ((უნებლიეთ).

კვლავ აფრიალდა თეთრი, მაგრამ უფრო შეწინწკლული სამოსელი აალებული.

მოცეკვავე (ამღერებულა) სული ფეხსაც აღარ აკარებს თეთროვან სცენას, იმასაც წითლად დაწინწკლულს... შეწინწკლულს ჰეპელასავით: დაფარფატებს სანთლის ირგვლივ.

სანთელი — ყვავილი!

ნელი სით არწევს ასე მინაზებული ყვავილის სულს.

შემოუარეს ამ მინაზებულ სულსაც და ვერ დაეფარე მე სიხარული.

ამღერებულ სულს აალებული ყვავილის ფერი (სანთლის ალი) უცინციმებდა ღურჯ თვალბში.

ხველა... გაბმული ხველა და ამღერებულმა სულმა ხელი მიიღო მკერდზე.

„ბავშვობაში თეთრი ბლუზა მიყიდა ბებიკომ, ისიც ასე მქონდა შეწინწკლული“, — წავაკითხე ამღერებულა სულს ფიქრი და გავითავცხე.

ცეკვავს. ცეკვავს ამღერებულ სული, მღერის მასში აქლერებული და მოკანკალე სიმი. დაფრინავს ჰაერში თეთრ იატაკს აწვავტილი სული.

... მეექვსე, უკანასკნელსწინა მოკიფე სანთელი:...

თვალი მოვეკარი მომდიმარ სახეს. სახე კი არა ღიმილი იყო იგი; სული, სული ხარობდა! ხარობდა აალებული, ამღერებული სული, ირწეოდა ლერწამივით და არ კი ტყდებოდა.

შემოუარეს, ერთხელ, შემოუარეს მეორედაც აალებულ სანთელს და ისევ აუტყდა ხველება სულს ამღერებულს. შეკრთა და აცახცახდა.

— ცოდვაა... — წამოცდა ერთს.

— არ შეაჩეროთ, — ამოიგინა მეორე ხმა, — ნუ მოვკლავთ უღროდ... თავისით უნდა გაილიოს.

— სისხლი! — შეცბა მესამე და ზურგი შეაქცია შეწითლებულ სცენას.

შევხედე სულს ამღერებულს. ცალ მუხლზე წამოჩოქილიყო და თავისთვის ბუტბუტებდა რაღაცას. მთელი ყურადღება სანთლისკენ მივბერო, მაგრამ მე მაინც ამოვიკითხე ამღერებულ სულის ნატვრა-ფიქრი: არ ჩამქრალიყო ნეტა სანთელი, სადღაც ორდობეში არ მიმკვდარიყო ამღერებული სული.

და ისევ გადარჩა ყვავილი აალებული.

აღარ გამქრალა სანთელი და აღდგა ამღერებული სულიც.

წითლად შეღებილიყო სამოსელი მისი — თეთრად შეწინწკლული, თეთრად შეწინწკლული წითელი სამოსელი: ყაყაჩოს თესლივით მიჰნეოდა თეთრი წინწკლები წითელ სამოსელს.

„მე ასეთი ბლუზაც მიყიდა ერთხელ ჩემმა ბებიამ“, — ვკითხულობ ამღერებული სულის ფიქრს და ისიც გაცდა ამასობაში მეექვსე აალებულ სანთელს.

მეშიდღე, აალებული სანთელი — ყვავილი, ხოლო, მეშიდღე ყვავილი — სანთელი.

სადაცაა ჩამოიდგენთება და მიინაგლება.

ანთია სხვა სანთლებიც და ბრწყინავენ სოცრად შეწითლებულნი, თეთრად შეწინწკლული სცენიდან ამოსულნი თითქოს.

ამღერებული სული კი ციმ-ციმ, სიფრიფანა სულის ნათებით უახლოვდება მეშიდღე სანთელს. სანთელი სიცოცხლეა მისი და ამღერებული სულიც რაღაცნაირი მოკრძალებით გარს შემოუვლის სანთელს — სიცოცხლეს. ალი სულია ამ სანთელ-ყვავილის, სული ჭეშმარიტი და მოკრძალებული სულიც თეთრად შეწინწკლული ყოველნაირად ცდილობს სიცოცხლე გაუხანგრძლივდეს ყვავილს — სინათლეს.

სულის სიკვდილი?!

გააჩრეოლებს ამღერებულ სულს და მყისვე დადგება, შედგება და წელი სიოც დაიჩხვება.



„ვაიმეო, წამოიძახებს სული ამღერებული — და მოეკვებება მუხლები, სუნთქვაც შეეკვრება ქანდაკადქცეულს.

ცალფეხზე შემდგარი ამღერებული სული!

„ნუ ჩამიქრები, ნუ ჩამიქრები და სანაცვლოდ ამისა წაიღე სული ჩემა“ — ღაღადებს ამღერებული სული-ყვავილი და სინათლეს მომეტებულად აციმციმდება.

„ვაიგონა, შეისმინა ამღერებული სულის ვედრება!“ — აღმო-მხდა უნებლიეთ და მომინდა ამღერებული სულივით ავცახცახე-ბულიყავი.

სანთელი კი შორეული ვარსკვლავივით აციმციმდება და ცე-კვავს ამღერებული სული, ცეკვავს თვალებგაცისკროვნებული.

ერთი წრეა დარჩა, შემოსავლელი, მხოლოდ ერთი წრე და როცა ეს წრეც აითვალა ამღერებულმა სულმა, ხველება აუტყდა გაუთავებელი. სისხლმა შედრევიანივით ამოხეთქა ფილტვებიდან და სულ გადააწითლა სცენა თეთრადყოფილი.

ამღერებული სული კი ცეკვა-სიმღერას განაგრძობს.

სადაცაა მოიხაზება რალაც, შეიკვრება რალაც დიადი, მაგ-რამ...

სანთლებს შუა ჩამდგარა ამღერებული სული.

აღარ მოძრაობს?

მაგრამ როდემდე გაგრძელდება ასე?

ეს განუშეორებელი წამიც და ააწყდება ამღერებული სული სცენას. და ეს იქნება უკანასკნელი გაფრენა... გაფრენა ფიქრის! უკანასკნელი წამი!

შეოწნო იგი ამღერებულ სულს, ეს ის წამია, ზე რომ წა-მოაგდებს სულში მიძინებულ იდუმალებას და ცხელ კვიშასავით შეასუნთქავს სახეში.

შვიდი სანთელი და მათ შორის აფრიალებული წითელი, აქა-იქ თეთრად შეწინწყლული ამღერებული სული. განწმენდილია იგი ცოდვათაგან ყოველთა. სანთლები კი იძირებიან თითქოს, იკა-რგებიან სიწითლეში...

სადაცაა ჩამოწვება იდუმალი ღამე — წყვილიადი.

შვიდი სანთელი და... ცეკვავს სისხლივით წმინდა სული და ისმის შეგუბებულო, ყრუ ხველება.

მარადი სული!

ამოანთხია მარადმა სულმა უცოდველი სისხლი, გათავისუფლ-და, დაკარგა წონა და აცდა თეთრად შეწინწყლულ სცენას. იგი სულაა, რომელიც აღარ მღერის უკვე, მაგრამ კანკალებს ჰაერში. აკანკალებული სიმფონიაა წითელი სული, მარადი სული, მა-

გრამ::: სანთლებსაც უნდა მივხედოთ ერთხელ!
სინათლეში შთასულა შვიდივე და ბუუტავენ ძლივსა, მა-
გრამ არ ბნელა.

შვიდი ბაწია, მოწითალო-მოყვითალო წერტილი კვამლში გა-
ხვეული, მაღლა მიიკლავება მოლურჯო კვამლი და უფერულდება
წყვდიადში. არის რაღაც იდუმალი შეერთება უერთდებიან ერთ-
მანეთს რაღაც-რაღაცეები, რათა შეიკრას ერთი მთლიანი.

სამოსელა წითელი, თეთრად შეწინწყლული — მარადი სუ-
ლი.

წრება წითელი ფერი და აღარც თეთრი წინწყლები მოჩანან
შქშქ.

უნდა დასრულდეს რაღაც!

დაეფინება სცენას სამოსელი იგი და...

გაკვირონებ უკანასკნელ ამოსუნთქვას და ძრწოლა აძიტანს.

— დაიღია, გაქრა... — გაგარჩიე მკურნალი ექიმის ათრთო-
ლებული ხმა და აუტანელი დუმილიც ჩამოწვა.

დუმილი წყვდიადში!

დუმილსა და წყვდიადს ვუერთდებით ყველა და ყველაფერი.
შემაკრთო ჩემშივე დაგუბებულმა ყრუანტელმა.

სუნთქვაც აღარ მინდა! მეხუთება სული...


ჩამოაწვეთებს წყვდიადი დუმილს... წყვდიადს — დუმილია...

— ჩვენ დავაჩქარეთ მისი სიკვდილი::: — ხალვლიახია მკურნა-
ლი ექიმის ხმა.

— აწ ვედარასდრთს შემომხედება გზაში ციმიცინა... ვედარ მო-
მესალმება ტკბილი ღიმილით, — ვამბობ და დარდს მივენდობი.

— როგორ ფიქრობთ, ჰუმანურია ჩემი საქციელი: სიკვდი-
ლის უფლება რომ მივეცი ავადმყოფს? — აკითხავს მკურნალი ექი-
მი და ფიქრი წაიღებს.

მაგრამ სიკვდილიცაა და სიკვდილიც...



ისწავლეთ ქალი!

ყოველ ენქიდუს ჰყავს მისი შამხათ
და ყოველ სამსონს მისი დალილა,
გმირს გულზე ტრფობით ასვამდა დამღას
ქალი, რომელიც არც შესწავლილა!

ქალი აგებდა ციბე-ქალაქებს
და რაც დაინგრა ქალის ბრალია,
ისტორია კი ტყუილს ლაქლაქებს,
ქალი არავის შეუსწავლია.

ვინც ვაშვით ყველა, ხომ ქალმა გვშობა,
ვინც მოკვდა ყველას, ხომ ქალი გლოვობს?
ისწავლეთ ქალი!
სხვა ყველა შრომა
თამაში არის ბოლოსდაბოლოს.

ყოველ ენქიდუს ჰყავს მისი შამხათ
და ყოველ სამსონს მისი დალილა,
გმირს გულზე ტრფობით ასვამდა დამღას
ქალი, რომელიც არც შესწავლილა!

* * *

ნაკვერჩხალი ნეკერჩხლის,
გარეთ ქარი ვერაგი.
გახსოვთ არჩალ მეკეში,
გმირი „გველის პერანგის“.
ნაკვერჩხალი ნეკერჩხლის,
კვამლი ცეცხლის პერანგი,
მოდის არჩილ მეკეში,
წინ უღაბნო ვერაგი.

* * *

ბუხარო, სახლის გული ხარ,
ანთიხარ, ელავ, ანათებ,
ზამთარში გაზაფხული ხარ,
ზაფხულში ზამთარს გვანატრებ.

* * *

ბუხარი მარადი ძრავია ოდის,
ძრავი მოხდენილი, მარჯვე და ყოჩაღი.
გუგუნებს ცეცხლი, ცად კვამლი ამოდის,
მერმისში მიჰყავს ქართული ოჯახი.

* * *

ფიქრიანია ცეცხლი და
რაღაც სხვა კიდევ... ვერ ვთქვი...
თმა-წვერში ბრწყინავს ვერცხლი და
დამწვარი დროის ფერფლი.

* * *

დედამიწამ ამოიოხრა მთები.

* * *

ჩანჩქერი კლდის სიცილია.

* * *

ბედნიერი ხარ, ლელიანო:
სასალამურე ლერწმებად იზრდებიან შენი
შვილები.

ბედის სურათები

გათენის ბინდა, ნაბიჯების შორეული ხმა მიჩუმებულ ქუჩაში დაუდაფებივით მოიწევს... ნისლეულში მომავალი ადამიანი მხარზე გადებული ყვითელი მოგრძო საგნით მოძრავი ჯვარის სილუეტს ჰგავდა.

ახლოდან: კაცი მაღალი, გამხდარი, ოღნაეწინწახრილი, ზურგზე კუბო: შეჩერდა გზაჯვარედინთან. გახედა ქუჩებს. წინ ძელზე ეწერა: „საითაც წახვალ, ვერ აირიდებ, შენი სათრევია!“ აქეთიქიდან ნიღბები ეხატა: მწუხრისა და მომღიმარის... გადაახარა: დააკვირდა, შუბლი მოიჩრდილა. ჩიბუნს მოუყიდა კაცმა და გაიშართა: „რაღა ფიქრი: გზა ერთი... ოღონდაც: თმენის სიმძიმე, განწყობის სიმსუბუქე და ნების თავისუფლება...“ გადაწყდა... იგი სცენები: გათენებიდან რაც მოესწრება... რასაც შეკვდევით დაღამებამდე...“

და დაიძვრება ნელი, ფრთხილი შეყოვნებული და შემდგომ თანდათან გაბედულებაშემატებული ნაბიჯებით... შედის ქალაქის სიღრმეში. ცარიელი ქუჩები, ეზოები, უსაცოცხლო სახლები. თითქოსდა გაუცხრებლობას მოეჯადოებინა იქაურობა. ქუჩები სწორი, ზოგი გადათხრილი. გაზონები: ყვავილოვანი გადათელილი. აქა-იქ დანგრეული სახლებიც გამოჩნდა... ბურუსში მარტოდ-მარტოდ გამოსვეტილი ეკლესია, მეჩეთი, თეატრი, მუზეუმი... დამშრალი აუზი...

„რა დაემართა. კიდევ სძინავთ...“

„არა. ძალი არ შეუძლიათ. აქ ჯერ ღვიძილიც არ იციან“.

„ნუთუ გათენების სიხარული დაავიწყდათ“.

„ოოპ... გეგონება უნაყოფო თესვებით გამრავლებულანო. უსულგულოდთქო... უსიყვარულოდ“:

„კჩუმიდები... თუმცა სათქმელი მაქვს“.

„აგერ ნახავ გამოეფინებიან“.

„მარტოპალმასთან გავიდეთ“.

კაცო სკვრს მიუახლოვდა. გულისცემა იგრძნო... გაჩერდა. მარტოპალმას გახედა... ფაფარწამოშლილჩამოლაგებული. ცარიელი სკამები. შევიდა. შემოუარა მარტოპალმას და გამოვიდა. თით-

ქოს სიყრმის მეგობრებიც ახილათ... „აქ მუდამ ფხიზლობენ სუ-
ლები“.

ნელ-ნელა ახმაურდა მიმკვდარებული ქალაქი. ადამიანები
აჩქარებულად მიდიოდნენ: უცბად შეიქმნა და გამოეფინა: მა-
ლაზიებთან რიგები, ბაზარი, ჩოჩქოლი, მათხოვრები, ქუჩის სუი-
ტა, ეკლესიაში შენაგალი მლოცველები, მათხოვრები; ძველი, დამ-
წყები, თამამი, უხმო, გაუბედავი, უპატრონო დედაშვილები“.

„რად არ გჯერა ჩვენ არცა შეგვიძლია და არცა რამ შეგვეძ-
ლო... აჰა, ჩაუარე უპატრონოთ, ბრძებს, მიუსაფართ... რა უნდა
შეგვეძლებოდა: როს ფული არ გვედო ჯიბეში, ან გული,—საგულე-
ში და არც სული საკუთრებველში.“

მექორწილებმა ჩამოიარეს სახეიმო სვლით.

„აგერ ქორწინდებიან. უხარიათ. შეხედეს!..“

ჰოდა, მონობაში ნუ გამრავლდებითო, ხომ ითქვა წინასწარმე-
ტყველის პირით.

„გადავშენდეთ სულ თუ რა...“

„ნუ კი გაწყდებითო.. თუ კი შობთ: ერთი ადამიანიო“.

„უთუოდ სიყვარულით... ამადლებულ რომანტიულ გრძნე-
ბით...“

უუჰ! შეჩერდა დადლილი. შეისვენა. წინ ჰასავით ანაფეთქე-
ბი ორმო/ ჩაიხედა. სიღრმეში წყალი ტივტავებდა მისი გამოსახუ-
ლება... თითონაც შეექანა... ძლივს შეიმაგრა კუბო. შეწონასწორ-
და. ისევ ჩაიხედა, ანარეკლში ჩანდა ფიქრიანი ინტელიგენტის სა-
ხე წვერმოშვებული. იერი მშრალ-მწუხარი, სხეული შემართული
და მორჩილის. წითელი ხალათი ეცვა თეთრთოკშემოჭერილი და
გახუნებული ჯინსი.

შორით ქალი გამოჩნდა. ნარნარად მომავალი. ახლოვდება.
თათქოსდა ხმა გაისმა:

„წამო, შეჩერდი! რა ლამაზი ხარ, ქალო“.

შეჩერდა ქალი: მომღიძარი. შეყოვნდა წამით. წავიდა...

„აკი ვამბობდი: ბუნებით არსი ჩვენებური ეშხიანა: რაინდისა
და ბანოვანის“...

„ამასაც ვნახავთ“. კაცი შეინძრა კუბოიანად თითქოს შეკრუ-
ლუ წრიდან ვადმოაბიჯათ... მიდიოდა აჩქარებული: მდევნელ
ხმებს გაურბოდა თუ ირინდებოდა...

„სადა ხარ, ძვირფასო: ვერღარა გხედავ“...

„ოო, შენს აუტანელ ხმასაც ვერ დაგვმალე“.

კაცი მიიკვლევს რიგებში... ესმის ქალ-ვაჟის სიცალი და შე-
ყოვნება.

„რას მოხვ ესეთს: სიხარულით არ აგისრულთ“.

„გული მომართვი დედაშენის, მამის, დის ან ძმის“
წყდა ადგირს. მიექანება... იღლება... მიდის.

სელა: ნელი წინუკანმოქანავე. გაშეშებულის, ხან ძალიან შე-
ნელებული, ხან მოულოდნელი იმპულსით ან ცეკვის რიტმით
გაბმული. თითქოსდა დოლდაფდაფთა ხმების რითმობითი ყრუ
გამოძახილს ადევნებულ...

კაცს ფეხების შეგრძნება უქრებოდა ხოლმე და ჰაერში მოს-
ცურავდა აღმართული დამაშვრალი სახით... კუბოს ჯვარად შეტ-
მასნილი... ჩანდა ცა და მზე... ხეთა წვეროები: ხან სხელი ეკარ-
გებოდა და მხოლოდ მომავალი ფეხებმ ჩაუვლიდა ქუჩის ზედაპი-
რის პეიზაჟს: მათხოვარხეიბრებით. ბავშვებით ქუჩაში დაფენილ
სავაჭროებით და ნაგვის გროვის მოზაიკით მორთულს.

ეკლესიასთან გააღწია.

„ნეტარ არიან მოსულნი ჩემად“.

„რად არ გამისკდა მიწა აქ მოსვლამდე“.

კაცი მკვეთრად შებრუნდა და სხვა ქუჩაში შეუხვია.

ფიქრით განაწამები: „ხომ უნდა მიიტანო იქ“...

თანამდევნი შეგრძნება ვილაცის თვალის მოუცილებელ მზე-
რის... მიმოიხედა:

მოშორებით სამი კაცი სატელევიზიო აპარატით იღებს ქუ-
ჩის სურათებს. კადრებს ცხოვრების. ობიექტივი მისკენ მიმარ-
თეს... „აჰ, ეგლა მაკლდა“: გახედა: თვალევი გაუსწორა: შეათვა-
ლიერა... „ჰო შრომობენ ჩემსავით და დაათრევენ“.

გამომწრაღს მოსწყურდა. შადრევნისაკენ გაემართა. უწყ-
ლოდ დახვდა. აუზიც მშრალი. ქუჩაში გუბე... ეჰ! მოედანზე ცეკ-
ვაგდნენ.

„ამათ რა აცეკვებთ, გაგიყდები...“

„ხანდახან დარდიც აგაცეკვებს. თორემ მართლა შეიშლები...
არა და ხომ ღამაზია ქართული ცეკვა... აჰ, ხორუმი: მშვენიერია,
ძნელადბოგნილი სიხარულის ურთულესი გირლიანდები და ტალ-
ღოვანი გაწლილობა ზეაღმაფრენი. „ჰაააოეეე...“

და ცეცხლოვანმა გზნებამ ცეკვისა ქრუანტელივით დაუარა...
გადმომდები ენერგიით აივსო, აიმართა, ღრმად ჩაისუნთქ-ამოისუნ-
თქა სანახაობით გატაცებულმა... თვალი გადაავლო ირგვლივ: წა-
მით მასავით განცდებში მყოფს თუ ეძებდა ვინმე... რომ მზერა
გაეყინა.

„აი, აქეთ გაიხედე, ჯოჯოხეთის ცეკვაა...“

„მაღაზიებთან ჩახვეულჩახლართული რიგი ჰურისთვის...“



ჩხუბი, ყაყანი. „ცოდვითა ჯაჭვია. ლაბირინთი გამოუსხნელი“. კაცი დაიძრა. შენიშნა ფილმის გადამღები სამი კაცი მინდორში იჯდა, ხის ჩრდილში ასვენებდნენ. ჩიბუხს ეწეოდნენ. იმათაც დაინახეს და თვალები კვლავ შეაბჯინეს ერთმანეთს... ერთმა აპარატი აიღო და დაუმიზნა. კაცმა აღროვა გადაღება. წყნარად ჩაუბრა... გრინობდა, როგორ აღიბეჭდებოდა კადრში მისი მოძრაობა: სხეული: კუბო. ფეხები. ოფლი სახეზე. ნაბიჯები. ზურგი. სამოსი. თოკი. ტკივილები და მოთმინება.

და ისევე მიიკვლევდა ქუჩის მაღაზიებსა და ქუჩაშივე დაყოლილ სავაჭროთა შორის...

„და ამღვრეულ ნაკადად დაძრულ ფულებს დახარბებულებმა გადაუღობეს და თავის ეზოში: ოქროს საგუბარში მიუშვეს...“

„ყველამ ხომ არა... ბევრსაც უჭირს, ლუკმა პურისთვის... სამუშაო რომ არა აქვთ“.

„ოჰ - ღმერთო... ქვეყანა იქცევა და ხალხს სამუშაო არა აქვსო“.

„სუთუ ოდნავ სამხიარულო თუ ხალისიანი ფიქრი არ მოგვებოვება...“

„ცხოვრებაა ამდაგვარი... მე ხომ არ გამოთავონია...“

„ერთი დღი კარგი რამეც შემოვიინახე. აი, ისევ ქორწინების სიხარული: კეთილად ჩემგან გამომეტებული“.

კაცი შესცქეროდა ეკლესიის კიბეებზე მექორწინეთა ნელ საზეიმო სვლას. მომღიბარე ადამიანებს... გაცინებულ და მოთამაშე ბავშვებს...

„აგერ ბავშვები ლალობენ. დიახ: ბავშვური უშუალობა უნდა კავისხნოთ“.

„მე იგი მახსოვს: როგორ დაგვაკარგვინეს ბავშვობა.“

რა უაზრთ უცხო მიზნები დაგვისახეს... რა ბელადების სურათები სამაგალითოდ... შიში და მორჩილება! მზად ვარ!!! იმისთვის: რაიც ბავშვებს არც ძალუძთ, არც მოეთხოვებათ და არც შეეფერებათ... და აგრე სახედაკარგულებს იარაღს შემოგვაჩვენებდნენ: უნო განწირულებს... რაღაც კომუნისზმის იდეალებით გამოტვიანებულებს...“

„ყველას ხომ არ დაჰმართნია... და არ დაგღალა ამდენმა სისამართლომ...“ „რის სისამართლო... ომია, კაცო, ომი! განაჩენი და აღსრულება ეგრევეა...“

კაცის წინ ტრანშენგზად გათხრილი და გადახერგილი ქუჩები, ქვიშით დატენილი ტომრები, ნანგრევება.

ახლოს ნახევრადანგრეული სახლის ჩამოკონწიალებულ კარ-



ზე ეწერა: „ფრთხილად დააკაუნეთ!“ ზედ მისობილა შპრიცები დიდი დათვის თანავარსკვლავედით...

კაცმა ჩიბუხა დატენა. მიმოიხედა. ეგონა, იგინი საიდანღაც უღებდნენ ფილმს... არავინ იყო...

„ოო, ძლივს მარტო...“ კუბო ჩამოდგა. დაჯდა. ჩიბუხს ეწევა თავზე ხელებშემოჭერილი. არც რანის დანახვა სურდა, არც მოსმენა, არც გახსენება, არც ფიქრი...

დუმილი წამიერი. ფიქრი მოუსვენარი, დარდი, ტყვილი უბასუხო.

„რატომ ხარ ქართველი“...

„მნელია ავხსნა. სათავეები იკარგება“.

„გვართ, ენით, მოდგმით, ადგილით, ტრადიციით, ზნით, იერით ხომ ხარ იგი...“

„ვაგონილა, ამხელა სიმდიარის მონობაში ხელუხლებლად შემორჩენა...“

„ეე, ვთქვი რაღა, განახევრებული ქართველი-თქო“.

„დიახ. დიახ. მდგომარეობა ჭერანდილი და ფსკერგაგარდნილი“.

„გლოედან სიმღერად ვაქციოთ... აღარ იფარება“.

თითქოსდა არსიდან შემოესმა „იავნანას“ ხმა. მიაცურადა, მერე მიხვდა, ნამდვილად მესმისო და წამოდგა. მოშორებით ეზოში ახალგაზრდა ქალი ურწევდა ჩვილს აკვანს და ნანინას დაჰმღეროდა ტკბილმწუხარი ხმით... კაცა შევიჩხა, შეაყრეოლა, „ვერ გაგიგე, მაღიერებს თუ მასუსტებს ეს ხმა“.

დაიხარა, კუბრს წამოავლო ხელი.

„მოიცა ცოტა ხანს. აქ სიმუდროვია...“

„ნუ ჰგონებ. მოჩვენებითია“.

„გვისმის, ზერებადან სიმღერა ჩვენებურომანი...“

„მაგას ვამბობდი: ვერ გაგიგე-თქო: ძალაა თუ უძალობა“. „ფიროსმანის ნახატებშია ამის ახსნა“. დრამა ჩვენი წარსულისა და მომავლისა...“

„მე გეტყვი, თავსუფლებას ვერ შეველვი და არავის მოკვლის სურვილი მაწუხებს და არც მაგვს...“

„დიახ, გეთანხმები. ვისთვის რა შენამატია“.

„სასაფლაოსთვის, ჩემო ბატონო... იგი ყველგანაა: ზოგიც კვარცხლბეკივლით შემკული... ზოგიც გარდაშლილი... ახლა გრძნობაგანცდათა სასაფლაო იკითხე... წარმოიდგინე“.

„შენ ვანა ხარ... ამდენი წვალეა რა...“

„ამგვარად: მე ვარ იგი ბრძენი: ვისაც თავისმოკვლის უემუ-

„რი ფიქრი ღრღნის უამითუამს“.

„მანდ საბრძნისა ვერარა მოიძიება“.

„ნუთუ ვერ ხედები: რა ცდომილებაა მოკვდავს უკვდავთა თამაშში ეთამაშო და ღალატისვე შემობრუნება: როს უკვდავს მოკვდავთა თამაშში ჩამოვითრევენ“.

„კი, ვიწვნიეთ ვგეც... სულ სხვადასხვაა აზრი, დრო, სივრცე, მოწადინება, ძალა, მიზანი... ჩამოთვლა რაა...“

„აჰა. ვახსოვს: როს გვიყვარდა ენადამულებს და ვეროს ეტყოდი. ან გიცოდებოდა სიყვარული და ოდენ უმწერდი, ვერ შევლოდი: სცილდებით. ან ჰქმნი რასმე და არ გებულობენ... არ გცნობენ სულაც. ან როს შენაანი ციხეშია თუ საგეგეში. თვალწინ გეცლება უძვირფასესი... ან ვინმე, და ბოლოს: როს მიდინარ სახლიდან, იყარგები, სამშობლოდან ან სულაც, რომ დაუტევო თვით სიცოცხლე...“

„ეჟკ. შენა მოსმენისას მართლა გლოვა გვმართებს, რა ყველაფერი წამოშალე ნიაღვრად... შეჩერდი შენაც“.

„ნამდვილად არ მსურდა, თავისით დაიძვრნენ“.

„მაშინ გეტყვი: ჩვენ ყველაფერი შეგვიძლია, და შეუძლებელი არ არსებობს... ადამიანთა ისტორიაა ცოცხალი საბუთი:: მის შემქმნელობით და სულიერი ყოვლადობათ... შესაქმეშიც ხომ ამის განცდაა: როს ვაგებთ, ვხატავთ, ვმღერით, ვხნავთ, ვთესავთ, ვიყვარებთ... ლოცვისმიერად ვიწმინდებით“.

„ჰო, მონანიების არსზე ვფიქრობდი... შეცდომათა მხილველის. ალბათ, ძნელია საქმელთაგან მონანიება...“

„დიახ და სწორედაც. იმითაა ძალა სულიერად ამმალღებელი, და საყვარულის რწმენით შეშთაგონებულთ რა შეაფერხებს... ან რა ბორკილი მონობისა შეათკებს თავისუფლების სწრაფვას... რა საპყრობილეს თუ ტყვეიბიარანს ძალუქს სულში ჩაახშოს მშვენიერის და დიადის განცდა...“

„ეჰაა... შეუბერე ძველებურად...“

„და ვით მზის ამოსვლას ვერ შეაჩერებს ვერრა ღამე: რაგინდ ბნელ იქნას და გაუთენებელ...“

„მიხარია შენი მხნეობა... ძალასაც მმატებს“:

„მაშ ავდგეთ წამო... მხნედაც ვიაროთ...“

„აღდგა კაცო, ქალაქს შეუბრუნდა, კუბო ისე მიჰქონდა, არ ახსოვდა... შემხვედრნი ნელა უვლიდნენ მომდინარე სახეებით: ახალგაზრდები, ბავშვები, ყვავილები... და ამ ილუზიურმა სილამაზემ იტაცა კაცი... ცას შესცქეროდა და ლამის კუბოც შეაგებყრო ექსტა-“



სიუზად აღგზნებულს... ვერ მიხვდა: ისეც იმ სკვერთან უნებლიეთ...

შეჩერდა. გახედა: მარტოპალმის ირგვლივ მერხებზე კაცები ისხდნენ... ვინ იდგა ან მიმოდიოდა წრეზე... საუბრობდნენ... თუმც არ ესმოდა: იცოდა რას ამბობდნენ... სულმა გაუწია მათთან: იცოდა იგინი. გამოხედეს და მახსალმნენ: ვინ ხელით, ვინ ღიმილით, ან უხმოდ. გადამღები ჯგუფიც აქ იყო. აპარატი მომართეს კვლავ მისკენ. ტვილინარევი ღიმილთ შეხედა და შებრუნდა. ზღვისკენ მიმავალ გზას დაადგა... ანაზღვეულად ჩამოიარა საცირკო თეატრალურმა სანახაობამ. აკრობატკონგლიოტრები, მსახაობები მასხარათა ნიღბებით ხაირ-ნაირად მორთულნი: ფერადი საპაერო ბურთებით და მუსიკალური აკომპანიმენტით... ხმაურითა და სიმღერებით კაცის ირგვლივ წრე შემოთარეს. იგი სიზმარულ-ით უყურებდა.

„საკვირველი ამბავია... გაგიყდები: საიდან მოიფიქრესო...“ პროცესიას ბოლოში ეტლი მოსდევდა: შიგშებმული რიქშა მასხარა საყვირს ახმოვანებდა გამაყრუებლად... ხოლო ეტლზე მეფე მასხარა იჯდა თავაწეული: სამეფო სამოსგვირგვინით მორთულა, გრძელა მათრახი გადაჰკრა რიქშას ვამეტებით და საზეიმოდ გამოაცხადა: „მოგილოცავთ, ხალხნო, მოგილოცავთ: ტირანი დავამხეტ. გაუმარჯოს თავისუფლებას“...

რიქშამ კაცისკენ მოიხედა, საყვირი გამოიშვარა და გადაიხარხარა: „ხაახახა ხაა... შეხედეთ... ამას შეხედეთ ერთი... ხაახახახა“ კიდევ ერთხელ შემოთარეს მას და თეატრალიზებული სანახაობა უცნაურადვე გაჰქრა.

კაცი შეექანა: თათნოს სიხმრედან გამოერკვაო: კინაღამ კუბო გაუვარდა... აიხედა: შენიშნა მზის დაქანება. საღამოვდებოდა.

„პო. უნდა აეჩქარდე, თორემ...“

„საითაც შენ მიდიხარ: იმ გზის ბოლო რაა...“

ღრუბლების ჩრდილი დაეფინა ქუჩას ავისმომასწავებლად.

„აჰა აპოკალიფსური ნიშნები... ბოლო სინათლეა სიმართლის... თუ არ მივუსწარი: მწარედ შემომეხეთქება საბნელე...“

„არ დაილაღე...“

„ადამიანს როდი მოჰკითხვენ თუ დაილაღეო...“

„ჰმ... არც სახედარს... წელანაც იყო...: მაშინ გკითხავდა: სიძულვილის შეყვარება თუ შეიძლება“.

„ეგ შეიძლება კი არა, უკუღმართობაა...“

კაცი ლამის მირბოდა... ნაბიჯები შეიანელა... გაასხენდა ღია თქვა:

„და რქუა უფალმა: მე ვარ სიყვარული შენი და არა დაუტევე
ვო ნათელი“.

ისევ დაიძრა რომ უცახებდად დაბნელდა... წყვდიადი შემოაწ-
ვა ერთბაშად და ადგალს შეაცივდა. დარეტიანებული იდგა. მერე
თითქოს ვიღაცამ უბიძგაო, ბიჯი წადგა... კედლებს და ლოდებს
შეეჩახა: საითაც შებრუნდა, კედლებს აწყდებოდა... ბრმასავით
მიდიოდა ბორძიკით... კუბო კედლებზე ერთყმებოდა და ეხეთქე-
ბოდა ზარდამცემა ხმებით... ხარხარი მოსდევდა ექოსავით: „ხახა-
ხა... კვარცხლბეკს და კედლებს იგებენ ადამიანები... პანთეონსაც
და ხაფანგებსაც... ხახახა... სიძულვილსაც იყვარებენ...“

„ნუთუ: წამოიძახა შეძრწუნებულმა კაცმა: მაშ რაღაა იგი
სინათლე...“ საშინლად მოუნდა გასცლოდა, ოღონდ საბნელე და
კედლები შემოსაზღვროდა. ესმოდა ხარხარი ხმები: „იქცევიან
კვარცხლბეკები, ინგრევიან ადამიანები... რჩება კედლები გაუგალი
და სიბნელე...“

სასოწარკვეთილი კაცი ტრიალებდა დახშულ ლამბირინთში...
ჩიხი. კედლები, ექომოძახილები... ლამის შეიშალა... ბოლო მცდე-
ლობა გასასვლელის ნახვის... კედელს ჰკრა ფეხი, გაანგრია და სი-
ნათლეში გადააბიჯა... სული ამოიქცა გადარჩენილმა, მინდორში
გავიდა. ფეხსაცმელები წაიძრო... მიშველ ფეხებზე ზალახა მო-
ედო. გაუხარდა. გახალისდა.

„და მაინც: ბოროტსა სძლია კეთილმან... არსება მისი: აწ და
მარადას...“ მიდიოდა მსუბუქად, მშვიდად, აჩქარებული... წინ:
მზის ჩასვლით აელვარებული იწვოდა ცა და ზღვა...

გაჟიდა ზღვისპირზე, მიაბიჯებდა თბილ კენჭებზე... მიადგა
ზღვაში შორს შემრალ და უკაცრიელ რკინის ხიდურს. ავიდა.
ბოლოში შეჩერდა, კუბო დადო და ზედ მიესვენა კვარცხლულდაკ-
რულივით...

გაირინდა თვალდახუჭული... გაახილა: მეწამულში გაფე-
რილ ცას მიაბყრო მზერა. ზღვას გახედა, წითლად ვაღვრილი რომ
ლალაპებდა.

„სიცოცხლის სისხლი ცეცხლოვანი ციმციმებს ყველგან“. წა-
მოიწია, თითქო გაახსენდაო, კუბოს დააჩერდა. ჩაბუბი ამოიღო.
დატენა. გააბოლა. ჩადგურდა. სასახლეს მიუბრუნდა. შეყოყმანე-
ბული მოძრაობით ახადა თავსახური... ნელა წაუბიძგა და ზღვაში
ჩააგდო...

ნავივით გაცურდა ჩამავალ მზასკენ:

კაცი უყურებდა მზეს ერთიან შერინდული მეწამულ განცდით.
წითელი ხალათი წამოიძრა და მოასროლა... თეთრა თოკიც თავს

შემოვიღო და მოიქნია: „ნუ დაებმები: მიდი, გაფრინდა“. კვლავ გაირინდა. სახეს წამიერი ტკბობის ღამი შეეფინა. ნაზად ჩამოხვდა პირლია კუბოში ვით აკვანში პირმშოს: სად სამი დოღა იღო: დიდი, საშუალო, პატარა.

თითები ფრთხილად გადაავლო. შეეხმინან.

და უეცრად შეიმართა. ხელები მალა აქნია და ცის ფონზე ჯვარივით შეჰკრა. შეუჩერებ წამით მარადისობას და დაკვრა დაიწყო...

პატარამ დაჰბადა ბგერა ისტორიისა ამ დღევანდელი განაცადობის... გამოზარდა ხმა:.. ხოლო გაბედულება შესძინა შუახნის დოღმა და ძალაც, სიმტკიცეც მიაჩნა. დიდი დოღის ექოსმიერმა აგუგუნებამ: დროუამული სივრცის მიმოღმა გაიხმინა... შეაზანზარა სამყაროები... შემდგომ შეერთდა სამივე ხმა, ხან რითხულ მწყობრში, ხანაც გაყური არითმიის თავბრუდამხვევ ლტოლვას გაველეხებოდა...

და თითქოს ლექსებოდ იბადებოდა ღინება ფიქრის: ნაწყვეტ-ნაწყვეტ გაელვებული...

„ო, მეგობარო, რად ელოდები: იფრინე, მიდი... შეიძლებ საწამ ოცნებით, ფიქრით... სივრცეა დიდი... დარდიც ფრთებია იფრინე მაღლი... ნუ შეგალონებს თავგანწირვა და უხნობ ვიდრე ზეადმაფრენებს... თავაწულმა:.. უთეთრეს ფრთებათ... იფრინე მიდი...“ და უეცრადვე აირეოდა ხმები... უსიტყვო ბგერებში მიაქროლავდა და შემდგომ მოზღვავებული ძალისხმევით დააცხრებოდა დოღებს ახანძრებული...

და ხანაც უფაქიზესად შეეხებოდა, რომ გადმოეცა ქარას ქროლვა-გალობა წყნარო, ბავშვის სიცილი და გარბენა. ცეკვავდა ხელები, თითები... და სიტყვებიც უბრუნდებოდნენ ასევე ლექსებად:

„ო, მეგობარო: გახსოვს ფრენას რა დაედარდოს... იფრინე, მიდი... ზეავარდი პოეტის გზნებათ: ვით ცისარტყელა ცისა და მიწის... ო, მეგობარო, შენი ქროლვის შეჰქმენი მითა: იფრინე მიდი:.. მიდი გაფრინდა...“

და გაყურ დინამიკაში ჩანთქმული კაცი ბოლო დარტყმისას გედვიით აფრინდა.

სოფიო კობალაძე

სიყვარული... აკვნებაღლებს...

შემოდგომა, ჩუმი შემოდგომა იდგა ბათუმში, თითქოს ყველაფერი დამშვიდებულიყო. მთები, ოქროსფრად გადაყვითლებული ნაპურალი და ნათიბარი ველები, — ბაღებსაც სიყვითლე შეჰპარვოდა, ფოთლები უყუყუანოდ, მორჩილად წყდებოდნენ, ეშვებოდნენ მიწაზე და მშვიდდებოდნენ სამუდამოდ ბუნების გარდაუვალ კანონს დამორჩალებულნი. ნიაკი რაღაც იდუმალად აშრიალებდა ბაღებს — თითქოს დასვენების წყურვილს ამხელდა. მოღლილიყო, ნაყოფის მოწვევით, მოქანცულიყო თითქოს მთელი ბუნება და ისე დანშვიდებულყო, როგორც დედა — მშობირობისას განცდილი ტკივილების შემდეგ.

ქალაქს ავსებდა შემოდგომის მსუყე სურნელება. ადამიანები ისე, როგორც ჭიანჭველები, საერთო ბედლებაში ზაფხურის სარჩოს იმარაგებდნენ.

იმ დღეს ძალიან ცხელოდა, ყველა მოუსვენრად მოელოდა შებინდებას, როდესაც მზე მთებს დაუპირისპირდა, სიცხემაც იძძლაგრა. ისე ცხელოდა, რომ ზოგან ოხშივარი ავარდა და თითქოს ამ ოხშივარის გამო მოძრაობაში მოსულიყო წვრილი ქვიში, ყველანი თავ-თავიანთ სახლებში შემალულიყვნენ, აქა-იქ თუ დაინახავდით ქუჩაში მაგალს, ზოგიც ფანჯრებიდან იცქირებოდა და ვერ გაერკვია, თვალს-ეჩვენებოდა ასე, თუ მართლა ამოძრავებულყო ეს ქვაშა.

ალბომზე გაიღვიძა, თვალები მოიფშვნიტა, ადგა, ხელ-პირი დაიბანა, მერე ბაბუს შეუხედა საძინებელში. გამობრუნდა, ოთახების დალაგებას შეუდგა, ისადილა და საწერ მაგილას მიუჯდა. ალბომის თვალღერებას მოჰყვა, სკოლის პერაოდში გადაღებულმა სურათებმა მიიპყრო მისი ყურადღება. ვინ იცის რამდენა რამ გაუელვა თავში. თუმცა არც სკოლის პერიოდა ყოფილა მისთვის მაინც და მაინც ბედნიერი. მერე ალბომიდან ერთი სურათი ამოიღწია და დიდხანს უცქირა. სურათი სანაპიროზე იყო გადაღებუ-



ლი, რომლიდანაც ჩვიდმეტი წლის ლანა იტყობდა, ^{შეიქმნა} საკუთარ კოსტიუმში, ეს სურათი სწორედ მაშინ გადაიღო, როცა ჯანო უცქეროდა მომღიმარო თვალებით. ცრემლი მოერია, მიწვა, კარგა ხნის მერე ბაბუას მიაკითხა.

— ბაბუ, ესლა მოშიებულა იქნები, ცოტა მაინც ვეჭვამა რამე! ბაბუემ თავზე ხელი გადაუსვა და შუბლზე აკოცა.

— ბაბუ, თანაკლასელის დაბადების დღეზე მივდივარ; მალე მოვალ, არ შეგეშინდეს, კარგი?

— არ დაიღამო, ბაბუ? ხომ იცი რამდენი ჯიბვირია გამოსული საშოგარზე...

კარის გახურვის ხმა ულმოებელ განაჩენივით აღიქვა. მიხუ-
რულ კარს დაცარიელებული მზერით მიაჩერდა. მერე სახე ხე-
ლისგულეებში ჩარგო და ირგვლივ გამეფებულმა სიჩუმემ და სიმარ-
ტოვემ აატირა. ადგა, როგორც იქნა, კარი ვაიხურა და წავიდა. იქ-
ვე ახლოს, კაფესთან შეჩერდა, შიგ შეიხედა — მაგიდას ორნი უსხ-
დნენ — აბალგაზრდა ქალი და კაცი. კაცს ქალის ხელი მოექცია ხე-
ლებში, თვალებში შესცივინებდა და რაღაცას ეუბნებოდა წყნარი
ხმით, ქალი უცქერდა მამაკაცს და სახეზე მშვიდი, კმაყოფილი გა-
მომეტყველება აღზექდოდა.

— აი, ბედნიერები! — გაიფიქრა ლანამ — ეტყობა უყვართ ერთმანეთს, ბედნიერები არიან მართლაც ერთმანეთს რომ ხედა-
ვენ და მეტი რაღაა საჭირო ამ ცხოვრებაში?

* * *

ქალაქის გარეუბანში, ერთ მიყრუებულ ქუჩაზე, ქვეთვირის ორსართულიანი შენობის ფანჯარებიდან ძლიერი შუქი გამოკრ-
თოდა.

ლანა სადარბაზოსთან შედგა, გუნებაწამხდარს თავბრუც
ესხმოდა. კედელს მიეყრდნო — დავბრუნდე? — გაიფიქრა. მერე
ვერ მოითმინა და კიბის საფეხურებს აუყვა ზევით, კარებთან შე-
ჩერდა. იქიდან მუსაეის ხმა და ხანგამოშვებით სიცილ-ხარხარი
მოისმოდა. შემდეგ ელექტროდილას თითი დააჭირა და ზარის
გამბული წკრიალიც გაისმა.

— ვინ არის? — იკითხეს და კარიც გაიღო.

— ნათია სახლშია? — ხმადაბლა იკითხა ლანამ.

— დიახ, მობრძანდით, მობრძანდით, გთხოვთ! — ნათიას გას-
ძახეს, — ნათი, დედა, ამხანაგი მოგივიდა, გამოიხედე...

ლანამ საჩუქარი გადასცა ნათიას და დაბადების დღე მოულო-
ცა.

— მოდი, ლანა, არ მოგერიდოს, ჩემი მეგობრებია, — ნათია ოთახში შეუძღვა. შემდეგ სტუმრებს მიუბრუნდა: — ამ-ხა-ნა-გე-ბო, — დამარცვლა, — გაიცანით, ჩემი მეგობარი ლანა შეწირულა. მამაკაცები თითქოს დაატყვევაო, თვალს ვეღარ აცილებდნენ ლანას. შემდეგ სუფრის თამადა ჯანო დარბაისელი გააცნეს ახალშემოსტუმრებულს, მათ თვალებში ჩახედეს ერთმანეთს და დაბნეულებმა ხელი გაუწოდეს ერთი მეორეს. შემდეგ ლანა მოტრიალდა და სასადილო ოთახისაკენ წამოვიდა ჩქარი ნაბიჯით.

— ლანა, გული ცუდად ხომ არა გაქვს? — ჰკითხა ნათიამ.

— არა, არაფერია გამავლის...

ნათიამ წყალი მიაწოდა. იმანაც რამდენიმე ყლუბი მოსვა და ჭიქა კვლავ მაგიდაზე დადო.

— ესლა როგორა ხარ?

— უკეთ, — იყო პასუხი.

ნათიაც აღელვებულიყო, იცოდა, ლანას გულის მანკა სჭირდა.

მალე ოთახში თემურიც შემოვიდა, — ამდენი ხანია დაგეტყებ, შენ კი აქ ყოფილხარ თურმე... აბა, ლანა, მაგიდასთან... ნხარზე ხელი გადასდო და ოთახში შეაყვანა, ლანა დედოფალივით თეთრებში იყო გამოწყობილი, ქერა გაშლილი თმები ძალიან უხედებოდა; პატარა ფერის ჰგავდა. ვოგონები შურით შესცქეროდნენ. არ მოსწონდათ, როცა მეგობარ ვაყვებს მთელი ყურადღება ლანაზე გადაეტანათ.

თემომ მაგიდასთან მიიპატოჟა ლანა და გვერდით მიუჯდა.

არანახელი სუფრა! არაფერი აკლდაო მაგიდას, იტყოდა კაცი. თამადა ჯანო დარბაისელი სავსე ჭიქით ხელში წამოდგა:

— მეგობრებო, — დაიწყო მან. — მოდით ამ ჭიქით სიყვარულს გაუმარჯოს... იმ მწველ სიყვარულს... რომელიც გიყვარს, გვერდით გაზის, შესტრფი, შესცქერი და მაინც უზომოდ გენატრება. — თქვა ეს და ლანასაკენ გააპარა მზერა. ლანას კი დამორცხველულს თავი დაეხარა და უძრავად იჯდა. ჯანომ სასმელი ბოლომდე გამოსცალა, უსიტყვოდ, ჩუმად დაჯდა.

ლხინი გრძელდებოდა.

ჯანო დროდადრო გააყოლებდა თვალს ლანასაკენ და ისიც, თითქოს ხვდებოო მის ეშმაკობას, თვალს გაუსწორებდა მაშინ.

თემო კი როლებში შეჭრილი, სიყვარულზე რას არ ყვებოდა, უნდოდა ლანას ყურადღება მიეპყრო, „ღვინო“ დაუსხა ლანას, თვითონ არ დალია. ფიქრებში ცურავდა. გაახსენდა, რამდენიმე წლის წინ ჯანოს ნათქვამი „უცხო მამაკაცისაგან მოწოდებული სას-

მელი არ დალიო, რა აცი, რას გაურევენ "შიგო".

საღამოვდებოდა. ზოგი წავიდა, ზოგიც სუფრასთან დაჩნდა, ნათია „შამპანური“ მივიდა ლანასთან და წაჩურჩულა, ჯანომ გიმოგიგზავნაო...

ლანამ თავი ასწია და ჯანოს მისდაუნებურად შეხედა. შემდეგ დაისხა სასმელი, წამოდგა და თქვა: — მეგობრებო!.. შოდით ამ ჭიქით პირველ ღვთაებრივ სიყვარულს გაუმარჯოს. სიყვარულს თუნდაც დაკარგულს. მივაწყებულს! გაუმართლებელს, დაუმაღლებელს, საოცნებოს — მაგრამ მაინც ტყბილს, გემრიელს თავისი სისუფთავით, სისპეტაკით, სიწმინდითა და უბიწოებით. იმ თვალებს გაუმარჯოს, რომლებიც ენაზე მეტად მეტყველებენ. — სიტყვაც აღარ დამამთავრებინეს ლანას, გაუმარჯოსო, შესძახეს ერთხმად, ლანამაც ჭიქა გამოსცალა.

თემოს არ ესიამოვნა, ლანამ მისი კი არა, სხვისი გამოგზავნილი სასმელი რომ შესვა, მაგრამ არ შეიმჩნია. გაიფიქრა: ალბათ „შამპანური“ უყვარს და „ღვინო“ არაო. გული ამით დაიმწვიდა თითქოს.

* * *

საღამოვდებოდა. დაჰქროლა ადრეული შემოდგომის ქარმა და ღია ფანჯარა, რომლითაც თამბაქოს სუნს ანიავებდნენ, კედლის შეგრილს მიახეტა. დამსხვრეული მინები დაბლა, ქვაფენილზე ზრიალით მიმოიფანტა. დაფეთებული ნათია საფარძლიდან წამოიჭრა. ეზოში გადაიხედა, არავინ ჩანდა, გულდამშვიდებულმა ფანჯრები მიხურა და თავის საფარძელს დაუბრუნდა.

სტუმრებს მაგიდეები კედელთან მიეწიათ, საცეკვაო ადგილი შემოეკავებინათ და მუსიკა ჩაერთოთ. ცეკვავდა ყველა ლანას გარდა. საფარძელში მოკალათებული ნაღვლიანად აყოლებდა თვალს მოცეკვავეებს. ათასმა ფიქრმა გაუელვდა თავში. გაახსენდა ის ბედნიერი წუთები, ჯანოსთან ერთად სანაპიროზე რომ დასეირნობდა. შეხვედრები, მასთან გატარებული დრო, პირველი პეიმანი, დაწობა. ყველაფერი აირია თავში.

...დაუნდობლად ბრუნავდა ცხოვრების კრელი კარუსელი.

შუბლზე მოისვა ხელი, მერე მკერდთან ჩამოაცოცა და წყალი მოსვა. ამასობაში თემოც მაუახლოვდა, — გთხოვთო და ხელი გაუწოდა.

ლანამ შეხედა.

— ცოტათი შეუძლოდ ვარ, სხვა დროს, ესლა არ შემიძლია.

— გთხოვთ, — კვლავ დაჟინებით ვხვეწებოდა თემური.

— გამივლის და შემდეგ...

ლანა სასადილოში შევიდა. ნათიას დედას წამალი გამოართვა და დალია. რაღაც ათი წუთი იქნებოდა გასული, თემომ კვლავ გაუმეორა წინადადება. ახლა ლანამაც ვეღარ უთხრა უარი და ვაკეცე საცეკვაოდ.

შუა ცეკვაში იყვნენ, რომ სუფრის თამადა მიუახლოვდა მათ, თქვენის ნებართვით, თუ შეიძლება.

თემურმა ლანას გადახედა, შემდეგ ჯანოს და უსიტყვოდ მიატოვა ორივე.

ცეკვა გრძელდებოდა. პირველად ჯანომ დაარღვია მათ შორის დასაღვურებული მყუდროება.

— რამდენი ხანია არ გვინახავს ერთმანეთი?

— შვიდი წელი — იყო პასუხი.

— არ მეგონა, თუ აქ შევხვდებოდით ერთმანეთს...

— ნამდვილად მოულოდნელი იყო ჩვენი შეხვედრა.

წუთიერი დუმილის შემდეგ ისევ დაიწყო ჯანომ:

— აცი... მე ხშირად ვფიქრობდი შენზე.

— არ არის ამის თქმა საჭირო შვიდი წლის შემდეგ.

— ლანა, შენ გათხოვილი ხარ ალბათ?

ლანას ირონიულმა დიმილმა გაუბო ბაგეები.

— მე არავინ არ მყვარებია, ჯანო, შენს გარდა და უსიყვარულოდაც არ მწამს მე გათხოვება, შენ ეს კარგად იცი.

— ლანა, ხომ შეიძლება თავი...

— არა, ჯანო, — სიტყვა აღარ დაამთავრებანა, — მე შენ ძალიან მიტკიან გული. გახსოვს ჩვენი ბოლო შეხვედრა... ეხლა კი აღარ გამოვადგები, ვიცი, რაღაც დღეები თუ თვეები მაქვს დარჩენილი და ზედმეტია, უშედეგოა ყველა პარაკი! შაბატიე, — უთხრა და სწრაფად გაეცალა.

ლხინი კი გრძელდებოდა.

მარი როილს მიუჯდა. სიმღერა დუღუნა, ტკბილი ხმით დაიწყო. შემდეგ ალაქერდი ლანასთან მაქვსო, განაცხადა და სკამი მას დაუთმო.

ჯანო, დივანზე ჩამოქდარი, ჩაფიქრებული ისმენდა, როგორ მღეროდა ლანა სევდიან სიმღერას. განსაკუთრებით ეს სიტყვები მოხვდა გულზე ეკალივით:

„შენ ვერასოდეს ვერ გაიგებ როგორ მიყვარდი,
მე სიყვარულის მაფხოვარი არა გყოფილვარ,
იქნებ ვიყვარდი, ეხლა ნანობ რომ მიმალავდი

ო, სიყვარულო, დამტანჯველი რამე ყოფილხარ“.



„მე შენთვის ბევრი არაფერი არ მითხოვია,
და ბევრიც ასე ჩემნაირად მიგიტოვია.
ერთხელ მითხარა ჩემი ცოლი გახდები მალე,
მაგრამ წამართვეს შენი თავი და წაგიყვანეს“.

დაამთავრა სიმღერა. დაემშვიდობა ნათიას, ყველა იქ მყოფს და გავიდა თათხიდან. კიბის საფეხურები სულმოუთქმელად ჩაირბინა და ეზოში აღმოჩნდა, ცოტა ხანს გარინდებული იდგა — ხეებს გაჰყურებდა, ყურებში ჯანოს ხმა უწიოდა, ნერვაულობისაგან თითებს ისრესდა, თემურის ხმა რომ გაიგონა, არც კი მიუხედავს მისკენ, ისე დაელოდა.

— რა მოხდა, ლანა? — ჩაეძია სუნთქვამოხშარებული თემური.

— არაფერი, უბრალოდ მეჩქარება, სახლში ბაბუა მელოდება, ალბათ ნერვიულობს.

ლანა ატყობდა, მოსწონდა თემოს, მაგრამ გზად მიმავალი სულ ჯანო ჩამოჰყურებდა. ლანა კიდევ უფრო დაიძაბა.

— მიგაცილებ, — გააგონა თემურის მუდართით სავსე ხმა.

— არა, გმიდლობ, ტაქსი დავიჭერ. — უთხრა და გაშორდა იქაურობას.

ლანა ატყობდა. მოსწონდა თემოს, მაგრამ გზად მიმავალი სულ ამას იმეორებდა გულში: „ეხლა რაღა დროს, უკვე ყველაფერი გვიანაა“—ო, მიდიოდა და ვერას ხედავდა, ვერვის ამჩნევდა, არაფერით სურდა, არაფერი აინტერესებდა, ყველაფერი სულერთი იყო მისთვის, არაფისი სწამდა, ასე ეგონა, ყველა ატყუებდა.

ცხრა საათი იქნებოდა სახლში რომ მივიდა. მოინახულა ბაბუა, შუბლზე აკოცა.

— სად იყავი ამდენ ხანს? ხომ იცი, ვნერვიულობდი.

— მეტს აღარ დავიგვიანებ, მაპატიე, ბაბუ.

ბაბუას გაეღამა.

ჩემი მათა იყო მოსული, ექიმი ახლდა, გამსინჯა.

— მერე რაო, ბაბუ?

— მე არაფერი მითხრა, მათას ელაპარაკა.

ლანა შემოსასვლელში გავიდა.

— საით, ბაბუ?

— მათა მამიდას დაფურეკავ, ამბავს გავიგებ...

— ალო, ლანა, ვარ, გამარჯობა, რაო, რა გითხრა ექიმმა? რაო?

— შეშფოთდა ლანა.

ფერი ეცვალა. ტელეფონის ყურმილი ხელში გაუშეშდა, ნუ-

თუ ბაბუს განგრენა აქვს? ცრემლები მოადგა თვალებზე. ტელეფონის ყურმილი ჩანგალზე ჩამოსდო. „ღმერთო ძლიერო, შენ მიერთგულე, შენ დამიდექ მწველ და მშველელად. გამაგებინე, ვინ უფრო მართალია, მე თუ ცხოვრება? — ოპ — აღმოხდა, — რა დაგიშაგე ასეთი, რა. ეს გვარიც როგორ მიწყობს ხელს, შეწირული მართლაც რომ შეეწირნენ, მაგრამ რას... კონკრეტული პასუხი ვერ ეპოვა.

* * *

შუალამე გადასულიყო. ქალაქს ეძინა, ქუჩაში სიჩუმეს დაე-სადგურებინა. ბანდახან თუ გაიქროლებდა ავტომანქანა.

საზარელი ამინდია... კოკისპირულად წვიმს. ელავს და ჰქუხს: ცაში ღრუბლებს ნამდვილა ბრძოლა გაუმართავთ... ღრუბელთა უტყვი მანევრები, ნიაღვრის ფარდაში გახვეულნი ქალაქის ერთი მხრიდან მეორეში გადაჰქრიან. ასეთ დროს გუნებაგანწყობილ-ბაც უხალისო, მოწყენილი გინდება. მერე მთელი მისი ბავშვობა ერთ მწველ მოგონებად ჩამოიმარცვლა მეხსიერებაში.

...ელვისისწრაფით გაიარა კიდეც ორმა საშინელმა, განაწამე-ბმა თევზ და... ბაბუს გარდაეცვალა ლანას.

კვლავ უხალისო შეიქნა მისი ისედაც უიმედო ცხოვრება.

მისი ფაქრები ახლა სულ სხვა მიმართულებით, ქარდაბერი-ლი ღრუბლის ფრთებზეთ მიიწეოდნენ და იმასაც კი ვერ გრძნობდა ხეირიანად, ეძინა თუ ეღვიძა საერთოდ... აბა, მის მდგომარეობაში მყოფისათვის რომელ ძილზე შეიძლებოდა ლაპარაკი, თუმცა აღარც სიფხიზლე ეთქმოდა მის ყოფას.

მერე, დიდი ხნის მერე, როგორც იყო ჩათვლიმა. ნელ-ნელა ჩაიძირა ბურანში.

უთენია, როცა ჯერ კიდევ ბაცი, ბუნდოვანი და ჯერ კიდევ განუტრჩეველი რაიერაჟი შემოიპარა ოთახში, მხოლოდ მაშინ გამოერკვა, ძლივს გახსნა დამძიმებული ქუთუთოები, ზანტად გამოაჩილა თვალი და მიმოიხედა, წამოდგომა დააპარა, ძლივს გამართა დაბუყებული ფეხები, სიმწრით, ნელ-ნელა წამოიპართა, გასწორდა წელში და ეძიმა მოთენთილი სხეული.

შემდეგ საქაღალდე გამოიღო, უყურა ერთხანს, მერე გადაწყვეტილება მიიღო და წერილის წერას შეუდგ... ასევე ის უწინდელ საფაქრალ-სადარდებელი ახსენებდა თავს და უმოწყალოდ აიძულე-ბდა — მხოლოდ ეფაქრა ამაზე.

როგორც იქნა დაამთავრა წერილის წერა, ერთხელ კიდევ გადაიკითხა, ნაწერი კონვერტში ჩადო, და ოთახიდან ზანტად, ნელა



ნაბიჯით გამოვიდა. კარგად ვერ გრძნობდა თავს, გულთან ჩერდებოდა
ნიიტანა, საღარბაზოშა წაშორდებოდა, მოაჯირი რრმ არა...

აუჩქარებლად მიუყვებოდა, ახმაურებულ, ისარივით გატყორ-
ცნილ ქუჩას.

ბოლოს სანაპიროზე გავიდა და ზღვას პირას, ქვის მოაჯირთან
დადლილ-დაქანცული და სევდით გაქლენთილი, სწორედ იმ ადგი-
ლას ჩამოვდა, სადაც ერთ დროს გული ბედნიერებით რომ აღვსე-
ბოდა გოგონას.

იმ დღეს შტილი იყო ზღვაზე, მშვიდი, საოცრად მდგრადი
ზღვა სულ ოდნავ, ოდნავ ირწყოდა...

იქნა მდუმარედ და გაუძნრევლად, მკლავები მუხლებზე დაე-
ლაგებინა და დაბინდული მხერბით, ფიქრიანად გასცქეროდა შო-
რეთუ სივრცეს.

მერე სილაში თავისი და ჯანოს სახელები ამოქარგა. ყელიდან
ჯვარი შიახსნა, ხელში აათამაშა, უყურებდა, თითქოს პირველად ხე-
დავდა, შენდევ სახელებს შუა ფრთხილად ჩადო და უკან დაიხია, ასე
უფრო კარგად შევხედავო, მაგრამ ზღვის ტალღამ როდი აცალა, ნა-
პირს დაეხეთქა და ყველაფერი გადაშალა ისე, როგორც მისი ცხო-
ვრება წამლილი. თვალზე ცრემლი მოადგა. რა აზრი აქვსო ჩემს
ცხოვრებას, გაიფიქრა. ხედებოდა, რომ ცხოვრებამ როგორღაც
გვერდი აუარა, მისგან შორს წავიდა და კალაპოტშეცვლილ მდი-
ნარესავით მხოლოდ ქუჩუცი, ნაგავი დ სინანული დაუტოვა... ფაქ-
ტიურად არც უცხოვრია წესიერად ამ ცოდვილ, გაუ-
ტანელ და დაუზადლებელ ქვეყნაზე. მხოლოდ ის იყო, რომ
წლები მოულოდნელად და ერთბაშად შემოვლია: შემო-
ეხარჯა არაშად ნაშოვი ფულივით და უდაბურ კუნძულზე გა-
რიყულივით შემორჩა იმ განვლილ თუ არეულ ცხოვრებას, რო-
გორც ქვიშა, როგორც შლამი თუ ქუჩუცი. კარგა ხანს დაჰყო იქ.

შულამე იყო. დუმდა ქალაქი ძაძებში გახვეული, საფლავივით
დუმდა არეშარე.

* * *

თუნდებოდა, წათლად შეღებლიყო ბათუმის ცა. მზის სხივე-
ბი ერთნაირად წყალობდა ყველასა და ყველაფერს, აშუქებდა ძვე-
ლსა და ახალს, ავსა თუ კარგს და მაინც გერავისთვის მიენიჭებინა
უპირატესობა. სულ უფრო და უფრო მატულობდა შორიდან ნია-
ღვარივით წამოსული ქალაქის ხმაური და გარეუბნებში ქარხნების
ცამდე აზიდული მალეხიც ცეცხლით სუნთქავდნენ, თითქოსდა ცეც-

ცხლის ალი მოსდებოდა ყველაფერს, მაგრამ არაფერი არ იწვოდა ქალაქში.



ჯანო ახალამდგარი იყო, წერილი რომ შემოუბრუნებინეს თავის თათხში. — ვისგან არის? — ჰკითხა პატარა გოგონას.

— არ ვიცი, ბიძია ჯანო. არ აწერია სახელი და ვვარი. „ნეტავ ვისგან უნდა იყოს?“ — გაიფიქრა და კონვერტი სწრაფად გახსნა. „ღირფას ა ჯანო“ — ასე იწყებოდა წერილი, — მე არ მინდოდა ძენთვის ტყავილი მომეყენებინა, გამესხენებინა ჩემი წარსული, მაგრამ რა ვქნა, გულში დარდი ველარ დაიტია. რატომ მომეჩეცი ასე სასტიკად, მე ხომ გულწრფელად მიყვარდი! მხოლოდ მარტოოდენ ბავშვს შეუძლია მთლიანად ჩამარხოს გულში შემოწოლილი ვენება. ძალიან მატკინე გული, მე შენ ცხრა წლის წინ გაგიცანა. შენში მე ყველაფერი დავინახე, მაგრამ არ მჯერა იმ სისასტიკის, რაც შენ იმ მაისის თვეში ჩაიდინე... ჯანო, ჩემო უკანასკნელ სიყვარულო, ნეტა ვინ გასწავლა იმნაირი ვაბრაზება? მე ვერასოდეს შევძლებ ხვნის შეყვარებას. ის ვილაც შენნაირი ნაზი და ფაქიზი სულის პატრონი არ იქნება. ალბათ ის, ვინც პირველი სიყვარულის დროს, დამარცხდა, მეორედ გელარ იქნება შეყვარებული.. შენ ოცნებობდა, რომ ლამაზი სიყვარული გვქონოდა, მაგრამ შენ ვერ შეძელი მისი ლამაზად აგება. შენ ხომ შენივე ხელით დაანგრე ოცნების ლამაზი კოშკი. მომენატრე, ჯანო, მომენატრა შენი ხმა, შენი თვალები, შენი სიყვარული მენატრება. მე ხომ ვიცი, რომ ყოველივე ეს ფუჭი ოცნებაა, მაგრამ მაინც ვნატრობ, გნატრობ ისეთს, როგორიც მაშინ იყავი; თუმცა მაშინაც მეშინოდა, შენი დაკარგვისა და წახვედრი მაინც. წახვედი ჩემი ცხოვრებიდან. შენი წასვლით სიმარტოვე შემომრჩა, ყველასაგან გარიყული ვარ. მე მესინოდა გაზაფხულისა, რადგან ვიცოდი, რომ სწორედ ამ დროს უნდა დავშორებოდი ერთმანეთს.

გახსოვს, როგორ ვაგიცანი სკოლაში? როგორ აცეცებდი თვალებს და ეძებდი უცნობ გოგონას, თოთხმეტ ნოემბერს შემთხვევით ტელეფონზე გაცნობილს. ეს უცნობი გოგონა მე ვიყავი, ნეტავ განმეორდებოდეს ის დღე! ყოველი წლის თექვსმეტ ნოემბერს მე თვალებზე ცრემლი მადგებოდა და ვისხენებდი ჩვენს პირველ შეხვედრას. რა ბედნიერი ვიყავი როცა შენს ღიმილიან სახეს ვხედავდი, როცა მიცინოდი, შენც ხომ ძალიან გიყვარდა ჩემი სიცილი, გახსოვს, რომ მითხარი, „როცა იცინი, ყველას სჯობობარო“.

წუთით ჩაფიქრდა, ჰერს ასედა და ჩაახველა. მართლაც, რა დიდებული გაღამება იცოდა—ალალი, ბავშვური, კეთილი, სათნო,

სიგარეტს მოუკიდა. ბოლი გადაყლაპა, — ეჰ, როცა ის ჩემს გვერდით მეგულებოდა, ყველაფერი მაგიწყდებოდა ქვეყანაზე, ბედნიერი ვიყავი და სხვა არაფერი მახსოვდა, — ფიქრობდა და ამინდებებს ღიღინებდა თავისთვის.

მერე ასევე აიღო წერილი და კითხვა ვანაგრძო.

„ნეტავ კიდევ გამაგონა შენი ხმა, ნეტავ კიდევ ერთხელ გნახავდე. ჩემი სიამაყე იმის უფლებას არ მაძლევდა, გამოგტეხოდი და მეტყვა, მიყვარდიო. ისე წახვედი ჩემგან, არც ერთი სიტყვა დამცდენაა შენთან სიყვარულზე. ახლა კი გეუბნები, როცა უკვე გვიანაა და როცა ჩემი აღარა ხარ.“

იმ დღეს, ოცდახუთ მაისს, როცა ჩვენ უნდა დავშორებოდით ერთმანეთს, ნაღველი შემომამწვა დიდი, შემოგხედე და შემეშინდა, მიგხვდი, კარგს არაფერს მეტყვოდი. ჩვენ თითქოსდა უბრალოდ, ჩხუბას გარეშე დავშორდით. დაგემშვიდობე და ბედნიერება ვისურვე. თვალზე ცრემლი მომადგა, მაგრამ ძლივს, დიდი ვაჭირვებოთ შევიკავე თავი, რომ შენს წინაშე დამნაშავესავით, შენდობის, პატიების მთხოვნელივით არ ავტირებულაყავი. ეს მაინც თუ გასსოვს?

მიტირის გული, მიცემს საფეთქლები, მიკვნესის მთელი სხეული და ეგებ ვერც დავამთავრო ეს სტრატეგიები, მაგრამ მაინც მსურს, უკანასკნელი ძალღონე მოვიკრაბო და ჩემს ცხოვრებაში ერთხელ მაინც გადაგიშალო გული. კარგად უნდა იცნობდე ჩემს ცხოვრებას, რომელიც შენ გეკუთვნოდა ყოველთვის. სანამ ცოცხალი ვარ, ჩემს ღალატის ვერ მოისმენ, ხოლო როცა მოგვედები, მიიღებ ამ ჩემს ანდერძს, იმ გოგონას ანდერძს, რომელსაც ყველაზე მეტად უყვარდი. მთელი სიცოცხლე გიცდიდა, აღარ მოუხმე ერთსა ვთხოვ მხოლოდ! დაიჯერე, რასაც გაუწყებს გული ჩემი.

შენ ჩემთვის ყველაფერი იყავი და ასეა დღემდე... მეძნელება დაუნთქო ვინმეს შენი თავი, ასე მგონია, რომ შენ იმ ვიღაცასთან მაინც ვერ იქნები ბედნიერი, რადგან ჩემი ტკივილნარევი სახე მარადი თანამგზავრი იქნება შენი... მაგრამ რა საჭიროა ამის მოყოლა, რის მაქნისია საკუთარი თავის მგვემავა ერთი უბედური, პატარა გოგოს უსასოო, ტრაგიკული, ფანტიკური სიყვარული. შენგან მოშორებულს არც მინდა ბედნიერი ვიყო! — მინდოდა მეგლოვა, თავს ვაბრუებდი ახალ-ახალი სატანჯველით... გროტესკული გადაჭარბებაა არა, ყოველივე ეს? ბავშვური სისულელე... მაგრამ იმას, ვისაც კი შეიყვარებ, გთხოვ აღარ დაუხვრიო ოცნების ლამაზა კოშკი... შენთან ჩემი სახელი ვინმემ რომ წარმოსთქვას, ლიტონ ბგერებად მოვეჩვენება და რატომ არ უნდა წავიდე ამ



ქვეყნიდან, როცა აღარ მეგულები ჩემს გვერდით? მაგრამ არ ვადა-
 ნაშაულებ. არ მინდა ჩემი ურვა შენს მხიარულ სახლში შემოვი-
 ტანო. მეტს აღარ შეგაწუხებ... ამ ქვეყნად ღმერთმა ტანჯვა
 გუნა, ბედნიერება ჩემთვის უცხო ხილია... ასეთია ჩემი ბედი აქ,
 სააქაოს... დაე, ასეთი იყოს სიკვდილის ჟამსაც...

შენგან მივიწყებული ლანა“.

კითხვა დამთავრა და მერე დიდხანს იჯდა გაუძძრევლად,
 სახეზე გარეგნული სიმშვიდე თუ განურჩევლობა აღბეჭდვოდა,
 ფურცელი უკანკალებდა, ტუჩებაც მოკუმე, უცებ გამოერგვა თავ-
 დავიწყებიდან და წერილი უბეში შეინახა. არც უსაუხშია, ისე
 გაისურა კარა. ზანტად დაეშვა კიბეზე, ქუჩაში გავიდა და დაუყვა
 ტროტუარს. სანაპიროსკენ გაუხვია, მიდიოდა წელში გამართული,
 ბეჭებგანიერი, მაღალი, ახოვანა, თაფლისფერი მეტყველი და ნაღ-
 ვლიანი თვალები ჰქონდა. გამოკვეთილი, ოდნავ შესამჩნევი
 ნაოჭებით დაფარული შუბლი, მოგრძო სახე, ოდნავ კეხიანი, თი-
 თქოს გაბუშტული ცხვირი და თხელი უფერული ტუჩები.

მთელი დღე სანაპიროზე გაატარა, დედის სიტყვები ახსენდ-
 ბოდა:

— თავი გინდა მოგვტრა?! ამისთვის გზრდიდით მე და მამა-
 შენი, რომ შენი თავი არ დაგეფასებინა და ვილაც „გომბით“ ნაცი-
 ხარი შეგეყვარებინა.

— დედა შენც კარგად იცი, თუ რატომ იხდიდა სასჯელს...

— ხო, ვიცი, ვიცი. მოუბატაციათ და თავდაცვას მიზნით თავში
 მძიმე საგანი დაურტყამს ბიჭისთვის. ბიჭი მომკვდარა, ჩვენზე ჭო-
 რათბენ მეზობლები, ჯანოს უპატრონო გოგო მოჰყავსო, არც სახ-
 ლი ნორმალური, არც ოჯახიშვილობა. სად გინახავს ქალიშვი-
 ლი და ცინემოხდილი?

— ეს გოგო ჩვენთან არ გამოიჩინება და თუკი მაინც მოიყვანე,
 იცოდე, ფეხი არ ვნახო შენი ჩვენს სახლში! თავი არ გამოგვეყოფა
 მე და მამაშენს ხალხში!

— დედი, ის ძალიან ლამაზია! — წამოიძახა გონიმ.

— მერე რა, რომ ლამაზია, ამას ჩვენც ვხედავთ! მაგრამ განა
 მართო სილამაზეა მთავარი? შვილო, რადგან აღმოაჩინე, უნდა შე-
 ცნო კიდევ... აქნებ შენი ღირსი არ არის.

ეს იყო შვიდი წლის წინათ...

სახლში რომ მივიდა, უკვე გვიან იყო, მაგრამ მშობლებს არ
 ეძინათ, ელოდნენ შვილს. შეუმჩნევლად შეიპარა თავის ოთახში.



მაშინვე მიწვა და ასევე გაშალა წერილი. ის ღამე, რომელიც მისი თეთრად გაათენა...

ამ მდგომარეობაში მყოფისათვის ალბათ ერთადერთი საშველი და შვევა ტირილი იქნებოდა, იტირებდა და მოეშვებოდა, მოეფონებოდა როგორღაც გულზე, მაგრამ მას არ შეეძლო ამდგარიყო და მისი სურვილსადამიხედვით გუდასათუთი და მიტოვებულნი ქალივით ეტირა.

ბინდი ლამის ცოცხალ ქვეყანას ემშვიდობებოდა. მთვარე, ანუ ამდ კიდევ უფრო კაეშნიანი სისხამ დალით ძლიერ გზას განაგრძობდა, რომ საღდაც მიმქრალიყო.

ის ღამე ლამის მაგიდასთან მჯდარმა გაატარა. ამით დაიძვებული, იქნებ სასმელში ვპოვოთ ცოტათი შვევა, დროდადრო ისხამდა არაყს, სვამდა, ეწეოდა და თამბაქოს ბოლში გახევეული ნელ-ნელა, თანდათანობით და მისხალ-მისხალ იუღინებოდა მთელი მასი არსება არყით, თამბაქოს ბოლით და მწარე, ძნელად მოსაგონარი ვახსენებებით. უზომოდ სმა არასოდეს ყვარებია და ახლაც, ცხადია, ნაძალადეგად, ლამის ზიზღით სვამდა. ასე ეგონა, ამ მტანჯველ, მომქანცველი და სულსამაფორობაქმელი ფიქრებისაგან, დავისსნო თავს, მაგრამ ამაოდ. პარიჟით კი ხდებოდა ყველაფერი, (რამაღ თანდათანობით რწმუნდებოდა, თავად) „რბე უფრო მეტს სვამდა, გრძობდა, რაოდენ უფრო და უფრო უჭირდა, უფრო და უფრო მძაფრად, ხელშესახებად აღიქვამდა ყოველივე ამას, რისიც, სული ცოცხლო, არც ასე მიჩუმათება, მიკარგვა უნდოდა. რისიც ასე აშკარად და ერთი ხელის მოსმით გამომხეურება, სააშკარაოზე გამოტანა, ამხელა ტანჯვას და ვნებას აყენებდა, უსაშველოდ დამძიმებული თავი ტკავილისაგან ლამის იყო გასკდომოდა, ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს ვიღაცას აღუღებულ ტყვეა ჩაესხას თავში...

ნაშუადამევი კარგა ხნის გადასული იქნებოდა, ლანას რომ დაურეკა. ძალიან უნდოდა მისი ხმის სვანება, მაგრამ ამაოდ, ყურმილს არავინ იღებდა.

ცაც შევარდისფრდა და გამოვიდა სახლიდან, განწირული იყო და საწაულის იმედი ჰქონდა მანც. ფიქრობდა და მიდიოდა. საით? შეწირულებს შინ მიაკითხა და ხალხის ბრბო დაუხვდა იქ, ლანას დასტაროდნენ, როგორ? — ხმამალა წამოიყვირა, — ლანა აღარაა... — ტუჩები აუკანკალდა. უთრთოდა მთელი სხეული: ამას კი მართლა არ მოელოდა. თავზე გადაისვა აცხაცხებელი ხელი, „ღმერთო ჩემო,“ აღმოხდა და გული ლამის ამოუვარდა მკერდიდან. იქვე, გვერდით მდგომმა წაიჩურჩულა, მამიდამის სანაპიროზე

უნახავს მკვდარიო.

ლანასავე გადადგა ნაბიჯი, ნუთუ გულმა უმტყუნა, — გაუფრთხილდა. უბიდან ჯვარი ამოიღო და გულზე შეაბნია ლანას. გასწორდა წელში, წასასვლელად მოემზადა. ინერტული ნაბიჯით გავიდა, კარის ზღურბლზე წამით შეჩერდა, მოიხედა, ლანა მიძინებულა ეგონებოდა კაცს. მობრუნდა უკან, შუბლზე ეამბორა ცხედას, მოვდივარო, წაილიღინა გულში თითქოს საიდუმლოს უმხელდა და შეშლილივით გამოეხარა ოთახიდან, მკვდრის ფერი ედო, ესო ბარბაცით გადაიარა, მიდოდა — თვითონაც არ იცოდა საით. მისდუნებურად სანაპიროსაკენ გასწია, იმ ნაცნობ, იველ ადგილზე აღმოჩნდა ისევ, სადაც ერთ დროს ასხდნენ და დუმილით ესიტყვებოდნენ ერთმანეთს. ლანას ნაჩუქარ ჯვარზე დაიხედა და კვლავ მოგონებების ბურუსში ჩაიძირა, მაგრამ ეს მოგონებები ერეოდა, ეკარგებოდა, როგორც კენჭები ლიცლიცებენ და ქრებიან მჩქეფარე ნაკადულის ფსკერზე, ლანდები შემოჭარბებოდნენ ხოლმე, მაგრამ მყისვე უკტიკეოდნენ და ვერ მოეხერხებინა იმათგან რაიმე გარკვეული სახე შეექმნა. ტაროდა, ვერაფერი მოუხერხა ცრემლებს. მიმოიხედა ირგვლივ, მაშინდა შეამჩნია, რომ ქვებზე ლუდის ბოთლები და შუშის ნამსხვრევები ეყარა. ერთი ნატეხი უნებლევით ხელში აათამაშა, შეათვალიერა, მერე ვახედა ზღვას — მცც შენთან-ო... — წაიჭურჭულა და მაჯაზე მაგრად გადაისვა. წამიც... და სისხლმა იფეთქა, მანის ნატეხი ხელიდან გაუვარდა, მაჯაზე დაიხედა, უკვე ბუნდოვნად ხედავდა სისხლში გასვრილ ხელს. თითქოს თვალეზე რაღაც გადაფარებოდა...

კენჭებზე ეგდო სისხლში განბანილი. და... იგრძნო სუნთქვა სიკვდილისა და უკვდავი სუნთქვა სიყვარულისა...



მარად სახსოვარი

მეშველ აბაშიძე — ყველა ჭეშმარიტი ქართველსათვის საყვარელი მამულიშვილია, სიყვარული კი ადვილად როდა მოიბოვება: წამება, თავის გაწირვაც მისი ბედია, ამ სათაყვანებელ ადამიანს ეს ორივე ხვდა წილად — წამებაც და თავგანწირვაც. ვისთვის ეწამა, ვისთვის გასწირა თავი? — დედსაქართველოსთვის. რატომ? რაინდულად ებრძოდა მშობლიური ცის და მიწის დამპყრობელს, მშობლიური ერის დამმონებელს, მისი ღვაწლი ოქროებით და მარგალიტებით არ აიწონება. საარაკოა მისი ცხოვრება. რაინდულია მისი ქცევანი კრიტიკულ სიტუაციებში. გაბედულია: არ კრთის, არ შიშობს, როცა ფათერაკები მის წინ იბლანდებიან და ია-ვარდის მთესველს გაქრობას უპირებენ. ბოროტება — ლაჩრების წილია, კეთილისთვის სიცოცხლის გაგრძელება კი — რაინდობა. ბატონი ნემედი რაინდი იყო, როგორც ვეფხისტყაოსნის გმირი ტარიელი. რაინდის ცხოვრება კი მოუსვენარია, რადგან არის გმირიც, გამცემიც, ორბარიც, მოლაღატაც. მშობლიური ერის დიდი სიყვარული ყოვლისშემძლე მადლმოსილებას გძენს, როგორც დედა შვილს. საქართველო იყო მისი საცოცხლეც, სიყვარულიც და საარაკო უნარის მომნიჭებელიც. და ყველა ეს სულიერი განძი მისხალ-მისხალ ხარჯა იმისათვის, რომ ბოლოს ომახიანად ეთქვა: „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“. თუკი ჩვენეული ისტორიის შორეულ ახალეებში ფხიზლად ჩავიჭვრიტებით, დავრწმუნდებით, რომ ამისთანა რაინდებმა ისხნა ჩვენი ერი და ჩვენი ქვეყანა. ღმერთმა უმრავლეს ამისთანანი ჩვენს დედსაქართველოს.

მე ბედნიერი ვარ, რომ პირადად ვიცნობდი ბატონ მეშველს აბაშიძეს და არაერთხელ შემხვედრია იგი ქუჩაში, ჩვენს მწერალთა სასახლეში თუ უღვისპირა პარკში. მამაჩენი კი არა მარტო მემედს, არამედ მის ძმებსაც — ზია და რიზა აბაშიძეებსაც ახლოდან იცნობდა. ამის შესახებ ვწერ ჩემს წიგნში „გლოცავს შენი სავანე“, რომელიც 1992 წელს გამოიცა.

ჯერ სამი რამ გავიხსენოთ და მერე ვნახოთ.



გახსენება პირველი: შვიდი წლის არც კი ვიქნებო-
 დი, დედა მომიკვდა, გულიც მომიკვდა. ვიზრდებოდი დედულეში.
 ში. ბოძაჩემი ოსმანი ბათუმში მსახურობდა. ქალაქში სოფლიდან—
 ყოროლისთავიდან დადიოდა. ხანდახან საპატოი სტუმრებსაც ამო-
 იყვანდა ხოლმე, ჩვენი ხშირი სტუმარი იყო ბატონი ჯემალ ფაღა-
 ვა, განათლებული კაცი. დიდდა ხომ ფაღაფა იყო და ჯემალის ნა-
 თესავიც, ჯემალი ღალი და ხუმარა იყო, მჭეგრმეტყველს ვინ აჯო-
 ბებდა! ჯემალბიძა საჩუქარს დამპირდა, კარგ წიგნს ამოგიტანო.
 პოდა, ერთხელ ამ პირნათელმა კაცმა ამოიტანა დიდი წიგნი. ეს
 ქრესტომათიაო, თქვა მან. მაგრამ მე ვერ მივხვდი, არ ვიცოდი,
 ჯემალ ბიძამ რატომ უწოდა იმ წიგნს ქრესტომათია. ფურცლავდა
 და ომახიანად უკითხავდა თანამოინახებებს. მე იქვე კუთხეში ვი-
 ჯექი და ვუსმენდი სულგანაბული. ბატონმა ჯემალმა თქვა: ახლა
 წაგიკითხავო შემდეგ ბევრ აბაშიძის ლექსებს. ყველა სმენად იქცა:

რა საამოდ კითხულობდა! რაკი მოაჯადოვა მსმენელები, გვიან
 დამემდე განაგრძობდა კითხვას. ბოლოს წაეთვლიო.

მალე სტუმრებს ლოგინები გაუმზადეს და შეეპატოვნენ დი-
 საძინებლად. მე თვალებს ვიფშვინეტდი, ძილი არ მომეკიდოს მე-
 თქი, თანაც ვნატრობდი: ეჰ, ეს წიგნი ნეტავი ჩემი იყოს; ბედნიე-
 რი ვიქნებო...

დილით ადრე გამეღვიძა. სტუმრებს ავასწარი. როცა ისინიც
 განერიდნენ ლოგინს, გამხიარულდა ოჯახი. ყოველ წამს ჯემალი
 ისეთ რაღაცას იტყოდა, ყველანი იცინოდნენ.

წასვლისხანს ჯემალ ბიძიამ მიმიხმო, მომიხლოერსა და მდაბლად
 მითხრა:

— ეს წიგნი შენთვის მიჩუქნია ბალანავ, ხომ კარვად შეინა-
 ხავ?

— კი, — მუთქი ვუბასუსხე და მის წინ მორცხვად თავი დაგხა-
 რე.

— ეს წიგნი ძვირფასი განძია. გაუფრთხილდი, არ დახიო, არ
 გააფუჭო, შეინახე კარვად, დიდი როცა იქნები, როცა წერა-კითხვა
 კარვად გეცოდინება, მაშინ უფრო დაათვაშებ ამ წიგნს, გამოკა-
 ღებო კიდევ. ბნელ ვხას გაგინათებს, გონებას გაგიძლიდრებს.
 ეს წიგნი დღეიდან შენია, — მითხრა და ხელი მომხვია, მაკოცა,
 მომეფერა, წიგნი გადმომცა. მე სიხარულით თვალზე ცრემლი მო-
 მერია.

ყოველდღე ვფურცლავდი და გულში ვიხუტებდი იმ წიგნს.
 ბებიაჩემი კი მტუქსავდა, წიგნს ნუ აფუჭებ, სკივრში შეინახეო.

მომავლიდებო ხოლმე ის სანატრელი დღეები, ჩემი ბავშვობა,



სტუმრები, ჯენალ ბიძია და მისი, ძვირფასი საჩუქარი. ბატონი მალი რომ გარდაიცვალა, მის ვასვენებას მეც დავესწარი. ჩვენ ბინასთან ახლოს, კამოს ქუჩაზე ცხოვრობდა. ახლა კი იმ ქუჩას ახმედ მელაშვილის სახელი ჰქვია. ყველამ როდი იცის, ვინ იყო მელაშვილი და სად მოღვაწეობდა. ქ. ბურსაში ცხოვრობდა. მგზნებარე პატრიოტს სულით და გულით უყვარდა დედსაქართველო. ილიას, აკაკის, გაყას, გოგებაშვილის, ალექსანდრე ყაზბეგის სურათებითაა გამშვენებული მისი ბინა ბურსაში. ცოცხალი, რომ ყოფილიყო, უდავოდ ჩამოვიდოდა მემედ აბაშიძის სახეიმაღლებში მონაწილეობის მისაღებად, ისიც თარგმნიდა მოთხოვნებს, ლექსებს ქართულიდან თურქულად. თარგმნიდა „ვეფხისტყაოსანს“ და აქვეყნებდა კიდევ კურნალში — „ჩვენებური“, რომელიც დააარსეს თურქეთში მცხოვრებმა პატრიოტმა თანამემამულეებმა, ახმედს სიცოცხლე მოუსწრაფეს ექსტრემისტებმა, სამწუხაროს მისი სიკვდილი. ამ ძალის მქონე თანამემამულე ინტელიგენტი უცხოეთში. ჯერ არ წარმოჩენილა.

გ ა ხ ხ ე ნ ე ბ ა მ ე ო რ ე : ჩემს სოფელში, ურესში (ხელვაჩაურის რაიონი) სამი აბაშიძე სახლობდა. ზია და რიზა ბეგის სახლი ჩვენს სახლს ზემოდ იყო. რა დიდებული სასახლე იყო! ეზოში, მაღალი ქინაქინის ხეები იდგა და ქარში საამოდ შრილებდნენ. გაზაფხულზე მიმოხედი წარმტაცად ჰყვარდნენ, ამ მიდამოებში აკაცები რომ აყვავდებოდნენ, საამო სურნელს აფრქვევდნენ!

ბეგები ქალაქში ცხოვრობდნენ. ხანდახან გამოვიდოდნენ სოფელში. სოღმე, კარგად მახსოვს ის დღე, როცა ბავშვი ვიყავი, ზია ბეგმა შორიდან თითოთ მიმიხმო. ავირბინე ბილიკი, ბეგმა ჯიბეში კამფეტები ჩაწიყარა და მითრა: აბა, ახლა გაიქეცი, ჩქარა! და მეც მოვკურცხლე.

მახსოვს ასეთი ფაქტაც: ზიაბეგის დიდ ბაღშია სოფლის ნახიბი მიმოდოდა; სძოვდა მსუყე ბაღასს. ჩვენი ძროხაც შეიპარა ამ შემოულობავ ბაღში... მოჯამაგირემ, რომელსაც დელი ჰელიძს ეძახდნენ, ჩვენს ძროხას მაგარი შოლტი მრავალჯერ გადაუტყლაშუნა. დედაჩემი გაუჯავრდა ჰელიძს, მაშინ დედაჩემს დაემუქრა იგი:

— ჩემს ზია ბეგს და რიზა ბეგს ვეტყვი; რომ შენ განგებ უშვებ აქ შენს საქონელს და ნარგავებს ანადგურებ. აი, ნახავთ მაშინ ბეგის რასხვას.

დედაჩემმა უბასუხა:

— ჩვენი ბაღის ყვავილები ბეგის ბაღში სცვივა, ხოლო ბეგი-

სა — ჩვენს ბაღში. ეს ასე იქნება მუდამ. შენ ვერ მოსპობ ამ ყველაფერს, ვიდრე ცოცხალი ვართ...

ბავშვმა მაშინ რა ვიცოდი რა სიბრძნე იყო დედაჩემის ნათქვამში, როცა გავიზარდე, მაშინ მივხვდი, რა გონიერი და ბრძენი ყოფილა დედაჩემი, რომელიც ადრე გარდაიცვალა. ახლა გავიგე, რომ ზია და რანა დიდი მემედ აბაშიძის ქმები ყოფილან. დიახ, ახლა გავიგე, როცა ბატონ მემედს დაბადებიდან ასოცი წელი შეუსრულდა... და ეს დღე, 1995 წლის პირველ მაისს უპირველესად თბილისში აღნიშნა ზარზუამთ ზ. ფალიაშვილის სახელობის თეატრის თეატრში. ამ ფორუმის მონაწილენი ვიყავით მწერლებიც: — ჯემალ ჯაყელი, ამირან ხაბაზი, ზურაბ გორგილაძე, ალექსანდრე ჩხაიძე, ფრიდონ ხალვაში, ალექსანდრე სამსონია და ამ სტრიქონების ავტორი,

რა დიდებული საღამო იყო!

აი, ერთიანი საქართველო ამას ჰქვია, მეგობრებო, ვთქვი მე, როცა ჩვენთვის გამოყოფილ ავტობუსში ჩავეჯექით და კრწანისში სასტუმროსაკენ მივეშურებოდით.

დიდებული საღამო გაუმართეს ბატონ მემედს, დიდებული დარბაზში ხალხის ტევა არ იყო და კიბეებზე ისხდნენ ქალებიც კი, თქვა ერთმა ჩვენმა კოლეგამ...

გახსენება მესამე: ბავშვობიდანვე ვეტანებოდი წიგნებს, როცა ცოტა ფულს ხელთ ვიგდებდი, მაშინვე მოვაშურებდი ქალაქს და უპირველესად წიგნის მაღაზიაში შევიდოდი. ჩვენი სახელმწიფო ბანკის ქვეშ წიგნის მაღაზია იყო... და არას ახლაც. ჰოდა, ყმაწვილი შევედი თუ არა ერთხელ ამ მაღაზიაში, თვალა ვკიდე ერთ წიგნს. რომელსაც ეწერა — „მუნევერ“. გამოყიდველს ვთხოვე, მანახე-თქო. ვადმოძვა. „თარგმანი მემედ ბეგ აბაშიძისა“ — წაგიკითხე თუ არა, ფასი გკითხე... ვიყიდე... ერთი სული მქონდა, როდის მივიდოდი სახლში, რომ წამეკითხა... ამრიგად, ჩემს ხელთ მოხვდა ორი ძვირფასი წიგნი: ერთი ქრესტომათია, რომელშიც დაბეჭდილი იყო მემედ ბეგ აბაშიძის ლექსები, ხოლო მეორე ბატონ მემედისეული თარგმნილი მოთხრობა.

ენატრობდი, მენახა მემედ ბეგი... და ეს ნატურა გვიან ამიხდა, როცა დავუკავშირდი აჭარის მწერალთა კავშირის ორგანიზაციას, ეს იყო 1932 წელი. მაშინ ვსწავლობდი მწვანე კონცხის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში.

აქ შევხვდი ბატონ მემედ აბაშიძეს. აქ მიგვიღეს ერთად 1935 წელს მწერალთა კავშირის წევრებად მე და ბატონი მემედი. აგი მამაჩემს იცნობდა. ერთხელ მე, მწერალთა კავშირის მდივანმა

პარმენ ლორიამ წარმადგინა ბატონ მემედ ბეგთან — ეს ჩვენი ნი-
ჭაერი პოეტაო. ჩემი გვარიც დააყოლა. აი, სწორედ მაშინ ^{მეც} ^{მეც}
ბატონმა მემედმა, მე კარგად ვიცნობ მაგის მამას ომერ გარმაზი-
ძეს, კარგი კაციაო, თქვა ისიც, რომ ურუნში სახლ-კარიც გვქონ-
დაო, მე უკვე ვიცოდი ბეგების სახლ-კარი.

გ ა ხ ს ე ნ ე ბ ა მ ე ო თ ხ ე: ყოველთვის, როცა ქალაქში ჩა-
მოვიდოდი, შევიარდი მწერალთა კავშირში. ანჯერადაც მივებალე
კოლეგებს. იქ დამხვდა პარმენ რუტუა, პარმენ ლორია და ნეს-
ტორ მაღაზონია. მივესალმე. მომესალმნენ... საამოდ ბაასობდნენ
და მეც გავავლე ჩემი ბუკარები დაუწერლად.. სად იყო და სად
არა, შემოვიდა ბატონი მემედ აბაშიძე, ყველა ფაზზე აღგომით
მივესალმეთ. დარბასიელი და თავაზიანი კაცი იყო ბატონი მემე-
დი. პარმენ ლორიამ უმაღლეს შესთავაზა სკამი. ისიც ჩამოჯდა, ხე-
ლში რვეული ეჭირა, გაგვესაუბრა. გამოგვაცოცხლა... და ბოლოს
თქვა:

— ჩემო ძვარფასო მეგობრებო, მე ვთარგმნე დიდი ირანელი
პოეტი ომარ ხაიამი. ჯერ თეთრ ლექსად გადმოვიტანე ჩვენს
ენაზე, მერე გავრითმავე, წაგიკითხავთ, მაჭვს ირანული ტექსტიც.
ამასაც წაგიკითხავთ... და თქვენ შეაფასეთ.

— ჩვენს შორის ირანული ენა არავინ იცის, ბატონო მემედ,
დედანს თქვენ შეეკიდეთ, რადგან ცნეთ ირანულა ენა, ხოლო თა-
რგმანს ჩვენ შევეჭიდებით, — ღიმილით თქვა ნესტორ მაღაზონიამ.

წაგიკითხა, მოაწონეს. მთალოდ გაუმეორეს მისივე სიტყვა:
ხომ ბრძანეთ, მერე გავრითმავეო, გარითმეთ, უმჯობესი იქნება,
ღიან, უმჯობესი, უთხრეს დიდი მოწიწებით... მერე კარგა ხანს
ისაუბრა ჩვენთან..

ახლა მავონდება ის წუთები და ცრენლები მერევე... რადგან
აღარ არიან ცოცხალნი. ასე მგონია, ღმერთი მეც მირის-
ხანედ მიყურებს... და სატანა ხელს მიქნევს: ვაი, წუთისოფელო!

ყველაზე უფრო გულსატკენი ის არის, რომ ბატონი მემედი
რეპრესირებული იყო 1937 წელს და სად აღესრულა, არავინ
იცის. ახ, რომ დაცლოდა, რამდენ ახალ თარგმანს შეგვქენდა, ვინ
იცის. საოცარი ის იყო, რომ „გეფხისტყაოსანს“ თარგმნიდა აზერ-
ბაიჯანულ ენაზე. ქართველი ერის თავმოსაწონებელი ამ საოცარი
წიგნის თარგმნა თავს რომ იღო ბატონმა მემედმა, იმედი ჰქონდა...
ვასი? მხოლოდ თავისითავისა. ცოტაც რომ დაცლოდა, ბიბ-
ლიოთეკის თაროებს დაამშვენებდა მისი ორიგინალური და თარგ-
მნილი წიგნები, აი მაშინ თვალს ვერ ვკიდებდით მისი ღვაწლის



სიგრძე-სივანეს, როცა მიიცივლებოდა, მხოლოდ დიდუბის პანთელ-ნისაკენ ეწინებოდა ვზა. ქართველი ხალხი თვით გაუჩენდა იქ მარადიულ სავანეს.

მინაწერი. ზემოთ მოყვანილი მცირე ფაქტებიდანაც ჩანს, რომ ჩვენი მამება ახლო ურთიერთობაში იყვნენ აბაშიძეებთან. მეც მეთქმის ამ მხრივ სიტყვა... და მე თავისთავად პირველად გავამე-ლაგნე სიყვარული ამ სიახლოვის შთაგონებით. 1960 წელს გამო-ვიდა ჩემი ხუთასგვერდიანი წიგნი „ჩემი ტაძარი“, რომლის 131-ე გვერდზე დაბეჭდილი ლექსი — „იყავ ქართველი ქედმოუხრელი“ ეძღვნება მემედ აბაშიძეს. გავეცნოთ ამ ლექსს.

იყავ ქართველი ქედმოუხრელი

მემედ აბაშიძეს

ფაშებს გადუდექ, როგორც კლდეკარი,
 ავი წადილა მათ დაულამე,
 შენ მოგვიშუშე გულზე ეკალი,
 ჩვენი სინდისი შეადუღაბე.
 არ დასთქე თურქებს გოჯიც აჭარის, —
 შენი ბათუმი, შენი დანდალო,
 მომხდურს მიუგდე რკინის ნაჭერი:
 „მიგედებთ, როგორც სტუმარს, სარდალო!“
 ბევრჯერ ბორკილით მოგწვეს ხელები,
 შორს მიგიჩინეს ბნელი საკანი,
 და მოგანატრეს შენი ველები,
 შენა კერა და შენი აკვანი.
 მაინც ვერ დაგცეს, გმირო, მუხლებზე,
 როგორ გაუძელ იმდენ იარებს?!
 იყავ ქართველი ქედმოუხრელი,
 გრძელი წამების გზებით იარე.
 ვაი, სად არის სამარე შენი,
 ვამბობ და ვფიქრობ მე გულნატკენი,
 შენ გვირგვინებით მზივ დესამშვენნი,
 ო, მსხვერპლი გახდი თვითონ კაენის.
 შენ, საქართველოს მედგარ ჯარისკაცს,
 საფლავში ჩაგყვა მძიმე წყლულები,
 ვერაფერს გნახავს ისევე ჯავრიანს,
 შენს სურათს მოვრთავთ გვირგვინთ წნულუბით.

1960 წ. 2 ივნისი.

ბათუმში მცროვრებ აბაშიძეს ყველას ახლოდან ვიცნობდით. შემდეგ ვავიცანი თბილისელი აბაშიძეებიც. ერთ-ერთის სახლშიც ვყოფილვარ, რომელიც „გმირთა მოედნის“ ახლოს ცხოვრობს.

1966 წელს ერთ-ერთ ვახეთში გამოვაქვეყნე მემედ აბაშიძეზე მიძღვნილი ლირიკული პოემა „გლოცავს შენი საგანე“, რომელიც ათას სტრიქონს მოიცავდა, პოემა თერთმეტი საგალობლისაგან შედგება და თვითუფლში პატიოსანი თვლებივით აღბეჭდილია მემედ აბაშიძის ცხოვრება-მოღვაწეობიდან მთავარი ნიუანსები, თურმე ეს ნომერი ვახეთის რედაქტორმა გადასცა მემედ ბეგის შვილს ბატონ იბრაიმ აბაშიძეს, იბრაიმს იგი წაუღია თბილისში და დასაბეჭდად მიუტანაა ყურნალ „მნათობის“ რედაქციაში, ყურნალის რედაქტორი გრიგოლ აბაშიძე შეპირებია მის დაბეჭდვას. ეს ყველაფერი მიამბო ბატონმა იბრაიმმა, როცა დაბრუნდა თბილისიდან და სპეციალურად სამსახურში შენომიარა.

ეს პოემა შეგეტანე ჩემს წიგნში — „ფიცი“, რომელიც 1970 წელს გამოვიდა. ამ პოემაზე კვლავაც ვმუშაობდი. 1992 წელს გამოვიდა ჩემი წიგნი „გლოცავს შენი საგანე“, რომელიც აბაშიძეთა რომანტიკულ ცხოვრებას ეძღვნება და ამ წიგნის მთავარი სარდალია ბატონი მემედ აბაშიძე. დიახ, უფრო განასლებულ-ამაღლებულია მემედ აბაშიძისადმი მიძღვნილი პოემა „გლოცავს შენი საგანე“, და ამ წიგნის მასულდგმულებელიც ეს ნაწარმოებია. ამიტომ შეგარქვი წიგნს ამ პოემის სახელი, გარეკანზე აღბეჭდილია მემედ ბეგის და მისი ვაჟიშვილების პორტრეტები, ეს წიგნი, რომლის ტარაქია ათასი ცალი, ხალხში უფასოდ, დავარიგე. პირველი ეგზემპლარი ვუბოძე მემედ აბაშიძის მუზეუმს.

1979 წელს გამოვიდა ჩემი წიგნი „იყო და მარად იქნება“ — ეს სტრიქონები ჩენი ლექსიდანაა. ამ წიგნში წარმოვაჩინე დიდი პატრიოტი წინაპრები, განსაკუთრებული ყურადღება დავუთმე მემედ აბაშიძეს, რომლის რჩეული სიტყვაც იქვე დავბეჭდე, დავწერე და დავბეჭდე ამ წიგნში საკმაოდ ვრცელი წერილი მემედ აბაშიძეზე, რითაც მკითხველის ყურადღება ვაგამახვილე ამ ჭეშმარიტად დიდ მამულიშვილზე, რომელიც ჩვენთვის მუდამ იქნება საამაყო პაწოვნება, ილია ჭავჭავაძე ამბობს, როცა რომელიმე ქვეყნის ღირსება სურს გაიგოს უცხოელმა, უპირველესად ივითხავს, რამდენი მწერალი ჰყავსო. მემედ აბაშიძე სამხრეთ საქართველოდან პირველთა შორის პირველი იქნება მუდამ.

აქვე მინდა აღვბეჭდო სასიამოვნო ფაქტებიც.

ფაქტი პირველი: პროზაიკოსმა, მთარგმნელმა იროდიონ ქვეჯარაძემ, რომელიც ამ რამდენიმე წლის წინათ 95 წლის ასაკში



გარდაიცვალა, მემედ აბაშიძეზე დაწერა დოკუმენტური ვრცელი მოთხრობა „ვალმოხდილი“, რომელიც 1984 წელს გამოსცა გამოცემის სახელით „საბჭოთა აჭარამ“. მისი თხოვნით გამოცემისგან დაიწყო 400 ცალი „ვალმოხდილი“. ავტორმა დამავალა, რომ ეს წიგნები უფასოდ გადაემცა რვაწლიანი და საშუალო სკოლებსათვის საჩუქრად. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების მინისტრი ბატონი არჩილ ტაკიძე დაუმხმარა ამ დავალების აღსრულებას.

რა კარგი იქნებოდა ჩვენს გამომცემლობას, კვლავაც რომ გამოეცა „ვალმოხდილი“.

ფაქტი მეორე: მწერალმა ალექსანდრე სამსონიამ 1993 წელს ჟურნალ „ჭოროხში“ გამოაქვეყნა ვრცელი პიესა მემედ აბაშიძეზე. ალბათ ჩვენი თეატრის რეჟისორები იფიქრებენ ამ პიესის დადგმასზე... ასეც მოიქცევიან კიდეც.

კიდევაც დაიწერება მხატვრული ნაწარმოებები ამ დიდ ადამიანზე. ჩემს ამ პატარა მოგონებას დავამთავრებ მემედ აბაშიძეზე მიძღვნილი ლექსით...

პატრიოტულ — პირობული რომანტიკა

ძილშიც, დვიძილშიც სულ მეღანდება
და ვინეორებ მის ხატს ფიცივით,
თითქოს იმედას ბრძენ აჩრდილივით
მშობლიურ მთებზე მოდგა სიცილით,
ვინ არის იგი, ასე, რომ მიცვარს
და ვიმეორებ მია გვარს ფაცივიით!

ასე ხალხმად რისთვის მიველტვი
და რატომ ვარქმევ რაინდს სულ ძლიერს,
დიდი ილიაც, დიდა აკაკიც
სიყვარულს, გებას რატომ უძღვნიდნენ,
ვინ შეეჭიდა რაინდის ნდომით
ჩემი აჭარას იმ წლებს უმძიმესს?

მრუდე გზით მავალს, სუყველას ერთად,
ჩვენი დალახერა ვისაც უნდოდა,
არც შეინანა, არც შეიცოდა.
ვინც ცვალებადი და ვინც უნდოა,
და ერთიანად ცეცხლით დაპზუგა
ერთი სატანაც სადაც ბუდობდა,

ის აფხიზლებდა მოძმეთ მძინარეთ,
სიტყვით კაფავდა, ვინაც მრუდობდა.
რატომ არავუნეს ციხე ქაჯეთის,
იქნებ ციხეში ხესტანს ნახავდა
ლა ტარიელი, ძმად ნაფიცებთან
ერთად ცხრა მთასაც გადალახავდა,
ბორკილს ახსნიდნენ, ჩაეხვეოდნენ.
აბა, რაინდებს ვინ დაძრახავდა.

ჩვენი ნატრული გმირი ვინ იყო,
ხელი დიმილით ვინ გაუწოდა,
ფოთში იმედად, რომ მოელოდა,
ახ, კონსტანტინემ სიდან უწყოდა,
ვინ იყო ასე სახელდებული,
აჭარის გმირი რატომ უწოდა?!

ბოლოს და ბოლოს აგვიხდა ნატვრა,
გული გაგვითბო დიდმა იმედმა,
დაიწკრიალეს სასიხარულოდ
ჩვენმა ნატანჯმა სულის სიმებმა,
და არ გვეგონა, ყოველი ერთ დღეს
ქვესკნელისაკენ ჩაისილება.

ფიქრობდა... ჰაი, რა არ ეწადა,
რა არ უნდოდა, მაგრამ ანაზღად
იქუხა ცამ და ერთი შეხედა
მიამიტად და ისე ლამაზად,
რომ იფიქრებდი ღმერთს შეხედაო,
მერე იმედის კარი ჩარაზა.

მერე ვინ იცის საით ატარეს,
საით აწამეს კაცა რაინდი
და რომ ვიგონებ, მე სტრიქონებში
დაჭრილ გულიდან სისხლი დამიდის,
მინდა ვთქვა სიტყვა მე ლირსეული
რაინდული და მაინც დამრიდი.


შის სახელს მგოსნურ გულში ვიხუტებ,
აღარ მასვენებს სული მისნურა,
იტყვიან ღმერთი მასთან იყოთ
და ღმერთთან იყო იგი მისული.

მე მახსოვს მისი სახე მღიმაღე
და მამორხევა დარბაისული.

ჩემო აჭარავ, ჩემო სიცოცხლე.
სულო ქართულო, მარად ძირძველმა,
იმედთანად უწყოდე მარად:
აჲ, განელო ავმა ჟამმა მზივ ინელმა,
ის დაგვიბრუნდა, ის დაგვიბრუნდა,
ჩვენი ერთობა არც დაიძლევა,
ის ჩვენთან არის და ჩვენ მასთან ვართ,
ჩვენი ქუხილით ცაც შეიძრება,
მისი სახელი აღმატებული
პოეზია და შენი სიბრძნეა,
შენი სიცოცხლე და სიყვარული,
შენი ფხა მემედ აბაშიძეა.

1995 წ.

მამია მარშანიძე



ნაომაკრთა დღე

ჩემს საყვარელ ქალაქს ამჟვენებენ არა მარტო ქოჩორა ბიჭები, არამედ ჭადაროსნებიც. მათგან გამოვარჩევ იმ ქალარა კაცს, რომელსაც უბრძოლია მეორე მსოფლიო ომის ფრონტებზე. ამ ომს სამამულო ომს უწოდებდნენ... და ეს სამართლიანიც იყო, თითოეული ერთი განა თავისი თავისუფლებისათვის არ იბრძოდა. განა ჩვენ ვინმეს მონა ვიყავით. ჰოდა, ამიტომაც თავგანწირვით ებრძოდით ფაშისტური ჯარის წინააღმდეგ. ფაშისტებს რომ გაემარჯვათ, განა მონებად არ გვაქცევდნენ? განა ისინი არ იყვნენ დამპყრობელნი? პირველ წლებში შეიძლება თავს ცხვარად მოგვაჩვენებდნენ, მოგვეალერსებოდნენ, ყვავილებს დაარგავდნენ ჩვენს ვზისპირებში, ათას რამესაც შეგვპირდებოდნენ. რაღაც რაღაცებს კიდევაც გამოინეტებდნენ ჩვენთვის და წამიერად გულს გავვიზარებდნენ. იქნებ, ჩატეხილ ხიდეშსაც გაგვიმრთელებდნენ. ბავშვებს სკოლებში შოკოლადებს და კონფეტებს დაურიგებდნენ... და იქნებ დაურიგებდნენ ხშირადაც. იქნებ უფასოდაც გვიმკურნალებდნენ, უფასოდ მოგვეცემდნენ წამლებს. მაღაზიებს პროდუქტებით გაგვიყვებდნენ. მათთვის თავდადებულებს ჩინ-მედლებსაც არ მოანატრებდნენ, მაგრამ ყოველივე ეს იქნებოდა ხანმოკლე... რამდენიმე წელს. მერე კი ნელ-ნელა შეგვაპარებდნენ ყოველივე იმას, რაც მათ სურდათ. ჩვენს სორჩებს თავის ნდომით აღზრდიდნენ, თავის სულს ჩაუდგამდნენ. ასე თანდათან შეიცვლებოდა ჩვენი სულსიკვთება, ჩვენი მამულიშვილობა, ჩვენი საყვარული მამულ-დედულისა... თანდათან აემღერდებოდით იმათ პანჯებზე... თანდათან დაგვაიწყებოდა ჩვენი სიმღერები: „დელო-დელო“, „ბერი კაცი ვარ“, „შრავალყანიერ“, „ოროველა“: დაგვაიწყებოდა ჩვენი ხორტუმი. განდაგანა, მთიულური, სამაია და ასე შემდეგ. იქნებ მხარსაც ავუვლიდით რუსთაველს, ბარათაშვილს, ვაჟას, აკაკის, ილიას, გალაკტიონს... რატომღაც მე ასე ვფიქრობ, ასე მჯერა, კაცმა დაკარგო შენი ენა, შენი ეროვნული სიდიადე. მაშინ რაღა იქნები? არაფერი, არაფერი... და მე მაგონდება ქართველი ხალხის საყვარელი პოეტის ლექსი „ღამურა“. აკაკი კატეგორიულ დასკვნას აკეთებს:

გადაგვარების მოსურნე,
ბუნებისაგან კრულია,

მისი პირადი ღირსება
ყოველგან დაჩაგრულია.

გაეხსენოთ ნიკოლოზ ბარათაშვილის „ბედი ქართლისა“. მეფე ერეკლეს ეკამათება ბრძენი მსახური სოლომონი და თითქმის საყვედურით ეუბნება:

იცი, მეფეო, რონე ვფერნი
იქმნებთან რუსთ ხელთ ბედნიერი?
სახელმწიფოთა ერთობა სჯულის
არაბას არგებს, ოდეს მის შორის,
თვისება ერთა სხვადასხვაობდეა.

კარგად გაიაზრე, მეგობარო, პოეტის სტრიქონები და შენთვის გასაგები იქნება რად სწულს გენიოსი მოწაირე, რაც მას სურდა, იგი მცეც მსურს, შენაც, იმასაც და ყველას. ე. ი. ერი თავისუფალი უნდა იყოს, სხვას არ უნდა ემონებოდეს. შენ მეტყუვი: საბჭოთა კავშირის უამს განა თავისუფალი იყო საქართველო, ქართველი ერი? მე გიპასუხებ: როცა ერს თავისი ენა აქვს, თავისი დაწესებულება, სკოლებში დანკვიდრებულია მშობლიურა ენა, მშობლიურია ლიტერატურა და ხელოვნება, განა ასეთი ხალხი დამონებულად ითვლება? არა მგონია. შემეკამათებია: საშინებობა მოელის პატარა ერს დიდი ერისაგან... ვეშაპი ყლაპავს თევზებს, ბოლოს და ბოლოს რა მოუვა ამ თევზებს? მე / გიპასუხებ: ეს საკითხი ძალიან მტკივნეულია და დასაფიქრებელი. ამიტომ იფეთქებენ ხოლმე ეროვნული კატაკლიზმები... და განა ჩვენ დღეს ამის მომსწრენი არა ვართ. დღეს ქართველი ხალხი იმეორებს დიდი ილია ჭავჭავაძის საყვარელი მოწვევის სიტყვებს:— ჩვენი თავი ჩვენვე უნდა გვეყუდნოდესო, მართალი იყო მოხევე, იმასვე ვიმეორებთ დღესაც: ამ დიდი განძის მოსაპოვებლად ქართველ ხალხს წარსულში არაერთხელ დაუღვრია სიბაზლი... თავისუფლება ძვირფასი მარგალიტია და ძნელად მოსაპოვებელი, ამასვე სხვა დროს ვისაუბროთ, მეგობარო. ახლა მიმეჩქარება თავისუფლების მოედინისაკენ, სადაც უნდა ჩატარდეს ცბრძ მათისის პირადი, შარშანაც ჩატარდა მაგრამ წელს უფრო ხარხეიმი იქნება, დიახ, მიმეჩქარება იქითკენ. აი, ერთი ომის ვეტერანი წამომეწვია. დახეიბრებულა, უჭირს სიარული, მაგრამ მინც არ ებუება ხანდაზმულობას და ჩაუქად არხევს ხელებს, მკერდს უმშვენებენ მედლები და ორდენები. ვავესაუბრე, თურმე ბერლინამდე მიუღწევია, რაიხსტაგზე რომ ქინთარიამ და მისმა შეგობრებმა აღმართეს ჩვენი ალაში, შორიახლოს ყოფილა და თვალი დაუტანებია, მივეჩქარებოთ. გამოჩნდა მოედანიც, ხალხ-

მრავლობა. ჯარისკაცები ჩამწკრივებულან ერთ მხარეს, ხოლო მეორე მხარეს — ნაომარნი და პარადის ხილვის მოსურნე ტანდრია ვი ქალი და კაცი. ბლომად არიან ბავშვებიც.

ომის ვეტერანები შესაღმებთან, ვესალმები.

ჩხრიალებენ მედლები. ბრწყინავენ ორდენები.

წვიმამ გადაიღო. მზემ გამოათათა.

აქ არიან ისინიც, ვინც ხელმძღვანელობს ამ ზეიმს. აქ არის ჩვენი ქალაქის მერა თეიმურაზ კომახიძე, რომელიც მისთვის დამახასიათებელი ჩვეული ღიმილით მომესალმა, ხელი ჩამომართვა და გადაამეხვია.

პარადი დაიწყო. მწყობრად, მოხდენილად ჩაგვიარეს ჯარისკაცებმა.

დამთავრდა ჯარისკაცთა პარადი.

გავეშურეთ ობელისკისაკენ.

ირგვლივ შეიკრა წრე...

უკვე ლაპარაკობს მერი. ვანაბულია ყველა, რაც თქვა, ყველა მისი სიტყვა გულისგულში შესანახია. მიეთბუნა და მიეაღერსა ნაომართ. დიდებოს წარაგანდედის გვირგვინით შეამკო ბრძოლაში დაცემულთა სახელები... გროვდება თაიგულები, გვირგვინები, ვარდები, მიხაკები ობლისკთან...:

ერთ ნაომარს ცრემლები შევნიშნე. რა ქნას, მოხუცდა. ძალა აღარ შესწევს და ვინ იცის კიდევ რა აწუხებს, გაფრინდება კიდევ ოცი წელი და ეს ადამიანები აღარ იქნებიან ცოცხალნი... და ამის გაფიქრება განა ცრემლებს არ მოგგვრის?

მეც გული მტკივა ნაომარ ჭაღარას.

ოთხმოცი წელი ჩემს პირისპირ დგას და მიცინის. მე კი არ მეღიძება: გულში ვამბობ: — ახ, სადა ხარ, ჩემო ახალგაზრდობავ, როცა ქალიშვილებს უბეში ჩიტებს ჩავუფრენდი ხოლმე, როცა ოქროსფერ ქოჩორზე ხელს გადავისვამდი და ამაყად გავხედავდი გზად მიმავალ ლამაზმანებს...

აი, ბატონმა მერმა დაასრულა სიტყვა:...

მერე ნაომარი თმაქაღარა პოეტი მამია ვარშანიძე მიიწვია მიკროფონთან. ჩვენს საყვარელ პოეტს შეჰყურებდა ყველა. მან წაიკითხა ლექსი. ჟრუსანტელი დამიარა ტანში... იყო ტაშიც... მოწონების ხმებიც, ამ ჩემს პატარა მონოლოგს პოეტის იმ ლექსით დავასრულებ:

ობელისკები ცად რომ ატრილან,
 ბრიოლებს ცეცხლოვანს რომ გვაგონებენ;
 თითქოს და ჩვენს წინ ჯარისკაცები
 ტანკებს, ქვენიებს მთავორებენ.
 ტრამალები თუ მთები, გორები
 გადაუვლიათ მარშით, განგაშით,
 ზოგმა სიცოცხლე ველოდ დეტოვა,
 ზოგმა ზღვაში და ზოგმა სანგარში.
 მარადიული შარავანდედი
 გადაპფენიათ ვაჟკაც-რაინდებს,
 დედის ზედახელ ამათ წერილებს
 გულზე ფიცხვით ვინ არ დაიდებს.
 ვინ არ შედგება ობელისკებთან
 და გული ვის არ აუტირდება,
 სიცოცხლე მათი დაფერფლილია,
 დარჩათ სახელი, დარჩათ დიდება.
 მამავ მოხუცო, და დედავ ტკბილო,
 აზრგაფურჩქენილო ძმად და დად,
 ჩაიმუხლეთ და ემთხვიეთ გზნებით,
 აწ, რომელთათვის დარი არ დართბს.
 ვინ თქვა, ამოდ ავუგუნებდნენ
 ნაღმტყორცნებსა და ვეშაპ ზარბაზნებს,
 ყველამ სიცოცხლის განწირვით ვძლიეთ
 ჟამს უღმობელსა და ჟამს ამანრზენს.
 ვით დავუთმობდით ჩვენს ეროვნულს და
 ადამიანურ მაღალ ღირსებას,
 თავდადება და იყო ვმირობა
 ჩვენი ლტოლვა და ჩვენი ოცნება.
 ვანა დათმობა? — არამც და არამც,
 ჩვენი კენჭიც კი ჩვენად გვინდოდა.
 ამაღ დავთხვიეთ სისხლი და სისხლი
 და ვაწითლებდით გულპირს მინდორთა,
 მაღალ მწვერვალებს კავკასიისა
 ცეცხლს უკიდებდნენ, ჩვენსკენ იწევდნენ,
 ჩვენც ლომ-ვეფხვების დარად ვმფთავდით,
 ჩვენც ყუმბარების ცეცხლით მივწერეთ.
 სად არ გბორავდით, სად არ ვიბრძოდით,

შევკვიდებივარ აღმართ-დაღმართებს,
 ვძლიეთ მთრგუნავი თავისუფლების
 და რაიხსტაგზე დროშა აღმართეთ...:
 წამს დედამიწა გადაანათა
 ცხრა მასმა და მზემ უჩვეულოდ,
 ეს თქვენ უბოძეთ თავისუფლება
 ხალხებს, გმირებო, ჩვენო რჩეულნო.
 მეც თქვენთან ვიყავ თქვენი პოეტი,
 დიდ გამარჯვების მეც ვარ მოწილე,
 მეც ვარ ლეგენდა... და პოეზიის
 მუზა მქუხარე ჩემსკენ მოვწიე.
 ვაღიღებ მარად ჩენს შემართებას:
 ქვეყნის გულზედამც მზე გავიგოროთ,
 ბრძენიც და ღმერთიც ხომ გავვიწყრება
 დიდი სტალინიც არ მოვიგონოთ,
 იყო მოძღვარი ყოველთ საწყისის,
 მშვიდობის, ომის იყო სარდალი,
 არ ვიცი ქვეყნად ვინ შეედრება,
 თუკი ვინმეა მისი სადარი.
 ის დაამშვენებს მატეანეთა
 ფურცლებს, ამბოდ ვერ დაუწერელს,
 წერენ და წერენ ზღაპარ-მოგონილს,
 ცრუს და ამოს რად გვაუწყებენ?!
 შერს და სიძულვილს ცეცხლი შეკუნთოთ,
 ღვთიურ სიმართლეს ნუ ვაჩანაგებთ,
 გაარწივდება ჭეშმარიტება
 თუკი სატანას ცეცხლში ჩავაგდებთ.
 სიტყვა დასძარი ისევ პოეტო,
 სიტყვა მართალი ქვეყანას ამცნე,
 მისმა გენიამ ძალა შთაგვბერა,
 ამაღ, პიტლერი ჩვენ დავამარცხეთ,
 მაშ, გაუმარჯოს ბიჭებს ნაღმართ,
 ახლა თოვლივით თმა რომ უბრწყინავთ,
 მაშ, ხსოვნა მარად ვინც ტყვიამ დასცა,
 დიდება მარად ცოცხლებს უწყინართ,

მან, გაუმარჯოს, ივერს ერთიანს,
გვჯერა, სულ მალე ისევ გაზრწინავს,
მან, გაუმარჯოს ჭეშმარიტ ქართველს,
საქართველოსთვის ვინც თავს გასწირავს

მ. ომერაშვილი.

1995, 9 მაისი.



რობერტ ბერნსი

ამ რამდენიმე წლის წინათ ბათუმში მომესტუმრა ჩემი საყვარელი მეუღლარი პოეტი ლადო სულაბერიძე, რომელმაც მახოვად მამია, შენ ხელნაწერად გქონია გიორგი ძიგვაშვილის ლექსები, ვაგროვებ. ცალკე წიგნად უნდა გამოდგეთ. მე გადაუწყვერე მის საკუთრივ გ. ძიგვაშვილის ლექსებიც და შოტლანდიელი კლასიკოსის რობერტ ბერნსის რამდენიმე ლექსის გიორგისეული თარგმანიც. ლადომ ვერ მოასწრო ამ პოეტის ნაღვაწის წიგნად გამოცემა, გარდაიცვალა. ჩემს ზეღთა აგრეთვე მ. ლებონტაიას ბრწყინვალე პოემის „ღემონის“, ამ პოეტის მიერ ბრწყინვალედ თარგმნილი ხელნაწერიც, რომელსაც ალბათ მომავალში გამოვაქვეყნებო.

გ. ძიგვაშვილი, პოეტთა ჩემს თობას ეკუთვნოდა. პირადად ვიცნობდი. ცხოვრობდა თბილისში, დამთავრებული პქონდა თბილისის სახუნტი. 1940 წელს ერთად ემონაწილეობდით ახალგაზრდა მწერლების შეკრებებზე, რომელიც თბილისში ჩატარდა. გიორგი ხალასი ნიჭის პოეტი იყო, ენატკბილი. ლექსებს უმთავრესად აქვეყნებდა ახალგაზრდულ ჟურნალში „ჩვენი თაობა“. იგი 1942 წელს სუკის ცილისმწამებლური რეპრესიის სმსკეპრადი გახდა. გაქვეყნებთ ბერნსის სამ ლექსს.

მამია ვარშანიძე

ჯონ ანდერსონ

ჯონ ანდერსონ, ჩემო ჯონ, ჩემო მეგობარო,
როცა შენ პირველად გნახე,
შენს შუბლს ყორნისფერი ფრთა შვენიოდა,
შავს წარბს მოეჩრდილა სახე,
ახლა თოვლისფერად ბრწყინავს შენი თმები,
აღარც ის თვალწარბი გშვენის,
მაგრამ დაილოცოს, ჩემო მეგობარო,
ეგ წმინდა ჭაღარა შენი.
ჯონ ანდერსონ, ჩემო ჯონ, ჩემო მეგობარო,
ჩვენ ერთად დაგქროდით მთაში,

ბევრი ბედნიერი, ნათელი დღე
ერთად გავატარეთ მაშინ.
ახლა ჩვენ ძირს მოვალთ... და ერთმანეთს
ხელს, რომ ვუჭერთ ღონეშიდილს —
ჯონ ანდერსონ, ჩემი ჯონ, ჩემო მეგობარო,
ასე ერთად შევხედეთ სიკვდილს.

მს ჩემს კარგებთან ვინ არის ნებაჰ...

ეს ჩემს კარგებთან ვინ არის ნებაჰ?
— ვინ უნდა იყო, თუ არ ფინდლეი.
შენ აქ ვის ეძებ, რა ვინდა ჩემთან?
— შენ ღვით მინდიხარ, ამბობს ფინდლეი.
ასე ქურდულად, რად დახვალ დამე?
— თვითონ შეიტყობ, ამბობს ფინდლეი,
აღბათ გულში გაქვს შენ ცუდი რამე?
— კიდევ ჩავიდენ, ამბობს ფინდლეი.
მე თუ შენ ახლა შინ შემოვიშვი...
— თვითონ შემოვალ, ამბობს ფინდლეი.
არ მომასვენებ შენ ჩემს ლოგინში...
— არ მოვასვენებ, ამბობს ფინდლეი,
მე რომ შენ ახლა კარი გაგიღო...
— ადე, გამიღე, ამბობს ფინდლეი,
შენ ხომ დილაშდე არჩევ აქ იყო.
— დიას, ვაქნები, ამბობს ფინდლეი,
მე რომ შენ ახლა ჩემთან დაგტოვო...
— თვითონ დაგრჩები, ამბობს ფინდლეი,
შენ ხომ სხვა დროსაც შესძლებ, გზა ჰპოვო...
— სხვა დროსაც შევძლებ, ამბობს ფინდლეი,
მან, კარგი, მაგრამ რაც არ უნდა ვქნათ...
— უთუოდ ვინამთ, ამბობს ფინდლეი.
შენ სამარგმდის არსად უნდა თქვა...
— არსად არ ვიტყვი, ამბობს ფინდლეი.

აღრმა ჩემი გათხოვება...

უცხო კაცთან მე ისეთი მხდალი ვარ,
გვერდით როგორ დავუწვევი, სერ.

მე ისეთი პაწაწინა ქალი ვარ,
ხომ სირცხვილით დავიწვები, სერ.

მე ისეთი პატარა ვარ,
მე ისეთი პატარა ვარ ჯერ, —
მე რომ დედას მომაშოროთ —
ცოდვა არის, ადრე არის, სერ.

დედამ კაბა შემიკერა, ლამაზი,
წითელ-ქვითელ საკინძებლით, სერ,
ხომ დატეუქნით, ხომ წახდება სამოსი,
თქვენ რომ გვერდით დაგიწვები, სერ.

შემოდგომის უქმე უკვე გავიდა,
გრძელი არის ზამთრის ღამე, სერ,
მე იმ ღამეს სხვასთან როგორ ავიტან,
არ მეყოფა სითამამე სერ.

აგერ ქარმაც ამოჰყარა ფიფქები,
ფოთოლიც კი არ ჩანს მწვანე, სერ,
გაწაფხულსე უფრო დიდი ვიქნები,
მოდი, მაშენ წამიყვანე, სერ!

1941

ინგლისურიდან თარგმნა
გიორგი ძიგვაშვილმა

ივანე ზიზილავიძე

ფრიდონ ხალვაშის ლირიკული პოეზია

ქართულ მწერლობაში ფრიდონ ხალვაში მრავალმხრივი ინტერესებისა და მრავალ ქანრში მოღვაწე ოსტატად არის აღიარებული. მკითხველი კარგად იცნობს მის პოეზიას, რომლის გვირგვინი „ასი მზე დედის გულისა“ დაჯილდოვდა შოთა რუსთაველის სახელობის პრემიით. ქართულ პროზას მწერალმა შენატა საუკეთესო რომანები „საყვედური“, „ჩემი და შენი“, „წყალს ნაფოტი ჩამოჰქონდა“, „შეიძლება თუ არა მუსლიმანს იყოს ქართველი“ და მრავალი მოთხრობა. ფრიდონ ხალვაშის შემოქმედება წარმოდგენილია დრამატული ნაწარმოებებითაც, მისი, პიესების მიხედვით ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის სცენაზე მაყურებელმა ნახა რამდენიმე წარმოდგენა.

ფრიდონ ხალვაში არის ლირიკულ-ეპიკური ქანრის ნაწარმოებთა ცნობილი შემოქმედი. მისი პოემები „ვარსკვლავის ნატეხი“, „ვახის ტირილი“, „მზე წვიმაში“, „დღევანდელი დღე“, „ჩადრა“, „მამა“, „გადარჩენილი უკვდავება“, „თავისუფალი ზონა“ და სხვები დიდა ხანია იმსახურებს სპეციალურ შესწავლასა და კრიტიკულ ანალიზს.

„ვარსკვლავის ნატეხი“ ლირიკული პოემა პირველ სიყვარულზე, პირველ სიყვარულზე ლექსს და მოთხრობას ვინ დათვლის მსოფლიო ლიტერატურაში, მაგრამ ფრიდონ ხალვაში მას (არ მოვერიდებით ამის თქმას) ორიგინალურ ასპექტში წარმოგვადგენს. პოემის გმარში პირველი სიყვარულის ალი მეორეკერ აღორძინდება მამინ, როცა ქალი უკვე თხუთმეტი წლის ვაჟის დედაა და ფრონტზე წასული ქმრას მოლოდინით ცოცხლობს.

ომმა დაუმსხვრია მინერს ოჯახური სიმყუდროვე. მაგრამ ომის დამთავრებას მისთვის არ მოჰყოლია ოჯახური ბედნიერების აღდგენა. ომის დამთავრების შემდეგაც ვრძელდება ლოდინი და იგი ისე ღრმად განიცდება მომლოდინის მიერ, რომ მის ცნობიერებაში „ლოდინი თვით სახელად დაირქვა დრომ“. პოემის გმირი

ქალი ღირსეულად უმკლავდება მარტოობას. მარტოობა არ არის თვის ძნელია, მაგრამ ქალის მარტოობა მაინც სხვა არის („შენ ვერ გაიგებ, რაც მარტოობა ქალისთვის არის“).

მაგრამ პოემა „ვარსკვლავის ნატეხის“ მთავარი თემა ეს არ არის. პოეტს უფრო ჭრბად შეეკავაართ გზარის ცხოვრებაში. პოეტს ადამიანი თავისი ადამიანური საიდუმლოებებითა და იმედების უსაზღვროებით აინტერესებს. იგი ემყარება ცხოვრების ცოდნას. ცხოვრებას ბევრნაირი საიდუმლო ახასიათებს და მის ერთ საიდუმლოდ, ალბათ, ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ „ცხოვრება ისეთი არის, დრო თითქოს გულს ბევრად არ ცვლის“. ცხოვრების ამ გამოცდილებიდან იღებს თავის ცხოველმყოფელ ძალას პოემის მთავარი იდეა — დრო ვერ ერევა პირველ სიყვარულს.

ყმაწვილქალობაში მინერს ჭაბუკმა სტუდენტმა სიყვარული ვერ გაუმხილა და სიყვარულის ნიშნად ზღვის ლამაზი კენჭი აჩუქა, თან შეევედრა „შეინახე საგულდაგულოდ, ამას ვარსკვლავის ნატეხი ერქვასო“. და შეინახა... სიყვარულივით თბილი იყო ის კენჭი მუდამ. მაგრამ მინერისათვის ცხოვრება სხვანაირად წარიმართა. იგი გაათხოვეს სხვაზე, მიუხედავად ამისა, როგორც ჩანს, სულის ტაძარი სხვა მასალათ აიგება და გარეგნულ მოვლენებს არ ძალუძთ კორექტირების შეტანა მის მშენებლობაში.

ღღეები ღღეებს
ღამეები ღამეებს შეცვლის.
მაგრამ ხანდახან
ნაპერწყალი მაინც მოგხვდება
რაღაც პირველი
სიყვარულისმაგვარი ცეცხლის.

შემდეგ მოხდა ისე, რომ ის ყმაწვილი სტუდენტი, ახლა თმაშევერცხლილი მეცნიერი ისევე ესტუმრა სოფელს დასასვენებლად და საცხოვრებელი ბინა შემთხვევით მინერის ოჯახში მიუჩინეს. ეს არ არის პოემის საოკეტის ხელოვნური გამძაფრების ცდა. საქართველოს ზღვისპარა სოფლებში ჩვეულებრივ წესად იყო მიღებული საკურორტო სეზონზე დამსვენებელთა დაბინავება კერძო ოჯახებშიც.

მათემ და მინერიმ იცნეს ერთმანეთი და უმაღ ახალი სიცოცხლით აივსო ორივეს სხოვნაში. ვარსკვლავის ნატეხი კენჭის ებიზოდის მოგონება. პოეტი მართალია ამ შეზვედრის შემდეგ მინერის განცდების გადმოცემაში, რადგან „რას აზამ, ვერსად გაეჭვივი ადამიანურს, ვიდრე რაიმე გაგაჩნია ადამიანის“, ქალი გაათბო ამ

მოგონებამ და პოეტური პასაჟები, რომლითაც გმირის ამ განცდებს წარმოგვიდგენს პოეტი, ვადაძლებად მოქმედებენ მკათსველზე, თითქოს გმირის ბიოგრაფიის თანაზიარად გვაქცევს. მათუფ ფიქრში მინერის წარმოსახვაში სინარტულით, სიცოცხლით, სიყვარულით იმოსება ბუნება:

ლურჯი ბუჩქები
მიწის ორთქლმა შებოლა თეთრად.
მწვანე ფოთლებზე
მზის ნათელი დაანთო ალად.
თითების ძალას
უხაროდა ფოთოლთა ფეთქვა
და ვგრძნობდი წელზე
ავსებულ კალთას.
ჩავუვლი რიგებს
და ისინი მაძლევენ ფოთლებს.
და მეც მგონია
მგოსანი ვარ ველთა სილურჯის:
მე ვგრძნობდი ტკივილს ტოტებისას
ბელს გავუწოდებ
მივეშველები, ფესვებს თუ უჭართ
მიტომაც მჯერა —
ძიმისხვდება ეს მთა და ბარი
და ვეკითხები თვით მდუმარ ლოდებს:
„ის მეცნიერი,
მე უბრალო ჩაის მკრეფავი,
რა შეიძლება
ჩვენს შორის მოხდეს?
თუმცა, ო, არა,
რად ვკითხულობ ბუნების დასტურს,
როცა მარტონი ვიდექით კართან,
ხომ მითხრა დელვით
„მინერ ჩემო, არავინ არ მსურს,
არავინ, არა შევეყნად შენს გარდა“.

მიუხედავად ამისა, ამ სიყვარულს არ უწყერია განხორციელება და ალბათ, ამაშია ცხოვრების გაუტანლობაც. იგი უმეტესად ანგარიშს არ უწევს იმას, რაც იქნებ სიცოცხლეზეც უფრო ძვირფასია ადამიანისათვის, მაგრამ ცხოვრება მაინც ცხოვრებაა და სწორადაც ამბობს პოეტი სხვა ადგილას:



სწორადაც ამბობს პოეტი სხვა ადგილასაც
„მაგრამ ცხოვრება კარგი მით არი,
რომ სილამაზით არის მდიდარი
და სიყვარულის უცნაურობით“...

(„ვაზის ტირილი“)

ლირიკული პოემის ტიპიურ ნიმუშს წარმოადგენს ფრ. ხალ-
ვაშის „მზე წვიმაში“. მას, როგორც ლირიკულ-ეპიკური ჟანრის
ქმნილებას, როული სიუჟეტი არ გააჩნია, არც პერსონაჟების სიმ-
რავლით გამოირჩევა. ერთ-ერთი რეალური გმირი თვით პოეტია.
სწორედ ამ გმირის განცდების მიხედვით გვეძლევა წარმოდგენა
იმ მოვლენაზე, რომელიც საფუძვლად უდევს პოემას, პოემის ფაქ-
ტურას. ანუ ამბავს, შემოქმედი ადამიანის ბედი წარმოადგენს. რო-
გორი ბედი უწერია შემოქმედს? არის თუ არა იგი, როგორც პა-
როვნება, ბედნიერი? პოეტა თვლის, რომ არ არის იგი ბედნიერი,
როგორც პიროვნება.

პოემის პირადი ბედნიერების სამბოლოურ სახეს წარმოადგენს
ქალი, რომელსაც მთელი არსებით ელის პოემის გმირი.

მას ელოდი,
იმიტომ ღამე ისე გაგიდნა,
რომ კალმით და ოცნებით
ვერ მიაღწე მადიდას.

დილით, თითქოს მზეს ამოჰყვაო, „ქალიც მაშინ მოვიდა“.

სახლის ცისფერ ფანჯრებში ათამაშდა ხალისი.
გაიხარა. ეს დილაც
და ის დილაც ხვალისა“.

პოეტი თავს ბედნიერად გრძნობს, ბედნიერება მასთან არის,
მაგრამ...

„ქალი, ვინაც თან მოჰყვა
წვიმას, მზეს და იმ დალას,
იჯდა ჩუმაღ,
მერე კი ადგა და თქვა
მივდივარ“.

რატომ? ალბათ, იმიტომ, რომ ჩვეულებრივი ადამიანური ბედ-
ნიერება და ცხოვრება შემოქმედი პიროვნებისა ვერ თავსდება



ერთ ჩარჩოში, ვერ თავსდება, რადგან შემოქმედი პიროვნება არ ცხოვრობს ჩვეულებრივი ცხოვრებით. ის „ჯერ უნახავ გზებსა სამყაროებს ეძებს“.

სამაგიეროდ პოეტური შთაგონება, თუ ნიჭიერია შემოქმედი, ადვილად არ ღალატობს მას და ამით არის ის ბედნიერი. დააკვირდით პოემას მეტაფორულ სათაურს: „წვიმა მზეში“. თუ წვიმს, მზე არ უნდა ჩანდეს. შემოქმედს, რომელსაც პირადი ბედნიერება გაურბის, პოეტური შთაგონება არ ტოვებს. ამით არის ის ბედნიერი. მისთვის წვიმაშიც ანათებს მზე. ამის მიხვედრა არ შეუძლია ყველას: „ის ქალი კი ვერ მიხვდა (შენთა ფიქრთა სიღიადეს) თუ რა სხივს დაედევნე, რა მზე გადაიკიდე“.

„დღევანდელი დღე“ ლირიკული პოემაა, იგი აგებულია ფიქრზე, მამაშვილის ფიქრზე. მამა უკვე განისვენებს საუკუნო სასუფეველში, მაგრამ ფიქრი და დარდი, რომელიც მას ამქვეყნიდან გაჰყოლია, მოსვენებას არ აძლევს იმ გვეყანაშიც. ფიქრი და დარდი თან დაჰყვება შვილს, რომელიც ერთდროულად პასუხისმგებელია დღევანდელი დღის წინაშეც და თვით დღევანდელი დღის გამოც... ფიქრობენ მამა-შვილი, რადგან საგანი, რის გამოც ფიქრა და დარდი აწევს როგორც მამას, ისე შვილს, არ ექვემდებარება ხმამაღალ განსჯას, ხმამაღლა განსჯა ამ თემაზე მიღებული არ არის, სამაგიეროდ ავი მიღებული და შესისხლხორცებულია პოეტის სულიერ სამყაროსთან, ამ საგანს პოეტი უდგას დარაჯად და ჭირისუფლად.

რა არის ეს საგანი? ეს არის საქართველოს ბედი.

საქართველოს ბედი ისტორიულ ქართველებში იჭედებოდა. იყო დრო, როცა „სურდათ საცხებიტ იავარექმნათ ივერ-კოლხური ტაძარი, ცოდნა“. მაგრამ ყველაზე ძნელი მაინც ის ეპოქა იყო, როცა „ცამ მთვარის ეშვი მკერდში ჩაგარჭო“. სამ საუკუნეს გაგრძელდა ეს ტკივილი, ბოლოს ამასაც ეშველა. რუსულ-ქართული ხმლის ძალისხმევით ნაწილობრივ აღსდგა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, შემდეგ შეიქმნა ხალხთა დიდი კავშირი. საფიქრალიც ეს გახლავთ. ეროვნული პოეტი გულგრილი ვერ იქნება ხალხების დაყოფისა „დიდებად“ და „პატარებად“. როგორ შეიძლება „პატარა“ უწოდო ხალხს, რომელმაც თათქმის ორი ათასი წელი ქრისტიანული ცივილიზაციით ცხოვრა და მის დაცვას ინტელექტისა და სიცოცხლის უდიდესი ენერგია მოახმარა? იმ დროს, როცა ამ საგანზე ხმამაღლა არ მსჯელობდნენ, ქართველი პოეტი ფრიდონ ხალვაში წერს:

როგორ ვთქვა ხალხზე დიდი, პატარა.

პოემაში „დღევანდელი დღე“ შვილის ფიქრი ამეფრინებო
დგას. რას უთვლის შვილს მამა, უკვე ისტორიად ქცეულ
ეროვნული სულისკვეთებით მდიდარი წარსულია, რომელიც რო-
გორც თანამდევნი სული, თან ახლავს შვილს და შთააგონებს:

მოუარე, შვილო, რუსთაველის
სიტყვას, სიბრძნეს, ნაკვალევს და ნამღერს.

ეს ანდერძი ფაქტიურად საწინააღმდეგო პროტესტია იმ მო-
ქარობასთან მიმართებაში, რომელიც ხალხთა დიდ კავშირს ისტო-
რიულად ჩამოყალიბებულ ეროვნულ ერთეულებს ახალ შენადნო-
ბთა სახით ჩამოყალიბებას უქადდა. ამ საფრთხეს აღუდგა წინ
ავტორი პოემისა „დღევანდელი დღე“. მისი მოწოდება „შენი გი-
ყვარდეს უბირველესად“ გენეტიკურ კავშირს ამყარებდა მთელი
XIX საუკუნის მანძილზე აბოზოქრებულ მოძრაობასთან „ჩვენი
თავი ჩვენადვე გვეყურანეს“.

ლირიკული პოემა „ჩადრი“ ფრიდონ ხალვაშის ერთ-ერთი სა-
უკეთესო ნაწარმოებია. იგი ეძღვნება მარადიულ და მუდამ აქტუა-
ლურ თემას — პიროვნების თავისუფლებისა და პიროვნული ღი-
რსებების დაცვა-პატივისცემას. პოეტი ხმას იმაღლებს ჰუმანი-
ზმის პრინციპების დარღვევის გამო, რაც არა მარტო სხვა ადამიან-
ების ღირსებების უგულვებელყოფაში ვლინდება, არამედ იმა-
შიც, როცა ადამიანი საკუთარ ღირსებასაც არ სცემს პატივს. ფა-
ქტიურად ეს ორი ასპექტი ყოველთვის ერთდროულად ვლინდება.
მეორე ადამიანის ღირსებებს ის იგდებს აბუჩად, ვისაც დიდად არ
უღირს საკუთარი ღირსებები, ან პატივს არ სცემს საკუთარ თავს.
ამდენად „ჩადრი“ არ არის აჭარის სინამდვილის ჩარჩოებით შემო-
ზღუდული ნაწარმოები. დღევანდელი აჭარელი ქალი თავისუფა-
ლია, საზოგადოებრივი აზრი მას არ აიძულებს ატაროს ჩადრი.
ჩადრი მხოლოდ სამბოლოა ქალის უფლებების შეზღუდვისა და
აქედან გამომდინარე საერთოდ სიმბოლო ადამიანური უფლებები-
სა და ღირსების ხელყოფისა. შეიძლება ქალი არ ატარებდეს
ჩადრს, მაგრამ იგი ტაპიდური ჩადროსანი იცოს სულისკვეთებით,
თუ აქტიურად არ მონაწილეობს საოჯახო და საზოგადოებრივ ცხო-
ვრებაში, თუ ანგარიშს არ უწყევნ მის აზრსა და სურვილებს და
კიდევ მეტი, თუ იგი საერთოდ არ ცდილობს იქონიოს საკუთარი
აზრი და შეზღუდვლები საარსებო და საზოგადოებრივ პრობლე-
მებზე. პოემის გმირი ქალი სელება ღირსებებით აღსავსე ჩვენი თან-
მედროვეა. მან კარგად იცის როგორც საკუთარი ღირსებების ფა-
სი, ისე ოჯახისა და მთლიანად მისი ხალხისა. როცა ენგერმა დრო-



მოჭუტული ტრადიციების გავლენით თავის მეუღლე მოარიდა სტუდენტური მარს და მეტიც: — სტუდენტის ინიციატივით წარმოთქმულ ოჯახის დისახლისის სადღეგრძელოს უღირსი რეაქციით უპასუხა, სეკვამ ბოდიში მოიხადა ენგერის უაზრო საქციელის გამო. პოეტი არ იფარგლებს ამ კონფლიქტის ასე მარტივი გადაწყვეტის ხერხებით, და აკეთბს ღრმა განზოგადებას, ის თვლის, რომ სეკვამს ეს განსადი პოზიცია ეროვნული კულტურის წიაღიდან მოდის, რომ თათოული ჩვენგანი ჩვენი ეროვნული კულტურის პრინციპებით უნდა ვცხოვრობდეთ. ფაბულაში გამოკვეთილი ინციდენტი მოხდა იმ მიწაზე, სადაც საუკუნეების მანძილზე ყალიბდებოდა მადალი ჰუმანური დამოკიდებულებები და ღირებულებები.

ეს ხომ მიწაა ქართულ სინათლის,
 აქ უთხრეს ქება ნესტანს, თინათინს,
 დიდი თამარის თვალთა სინათლით
 ამაღლდა ხალხო, დრო, სადიადე.

ეროვნული კულტურისა და ტრადიციების პოზიციაზე დგას პოემის მეორე პერსონაჟი კახაბრელი არსენიცი და მთელი სოფელი. პოეტი ამით ხაზგასმით მიგვანიშნებს იმ რეალობაზე, რაც ვლინდება შემდეგში: შეიძლება ქვეყანა იყოს დემოკრატიული, მაგრამ პიროვნებს სრული თავისუფლება არ იყოს მიღწეული, საზოგადოება პატივს სცემდეს პიროვნების თავისუფლების კანონს, მაგრამ ილახებოდეს ცალკეული ადამიანების პიროვნული ღირსებები. პოეტი ფხიზლად უნდა იდგეს ადამიანში ადამიანურის დაცვის სადარაჯოზე.

პედაგოგიური პოემა უნდა ვუწოდოთ ფრიდონ ხალვაშის ლირიკულ-ეპიკურ ნაწარმოებს „მამა“, არა მხოლოდ იმისათვის, რომ მისი უკანასკნელი აკორდა მართლაც წმინდა პედაგოგიურია — „მშობელი იყო, არაა ძნელი, გამზრდელად ყოფნა უფრო ძნელია“, არამედ იმიტომაც, რომ, ჩვენი აზრით, მასში სწორადაა თავსებებული განსხვავება კერძო მეურნესა და გაერთიანებულ სოფელს შორის და მის საფუძველზე ჩამოყალიბებულ ხასიათებს შორის. ეს პოემა დაიწერა 1958 წელს და კოლექტივიზაციის პირველი წლების სინამდვილეს ასახავს. არის კერძო მეურნე სოფელში, რომელიც წყევლის თავის ბედს, რადგან მარტოა გასაჭირთან ბრძოლაში; ამ სიმარტოვის ხასიათს კარგად გამოხატავს ამბავი იმის შესახებ, თუ როგორ იჭირავა გლეხმა ხარი, მაგრამ გვალვის გამო მიწა ვერ მოხნა, ხარის მეპატრონეს კი მაინც გადაუხადა ქირა. დღესაც ეს გასაჭირი დაუბრუნდა გლეხკაცს. დავშალოთ კოლექტიური მეურნეო-



ბა და გლეხი მარტო დავტოვეთ მიწასთან. მიწამ, მართალია, მისი პატრონი, მაგრამ მას მიწის მოვლა უჭირს, არ ყოფნის ძალღონე. პოემის ავტორი თვლის, რომ ჰუმანაზმი სოფლის ერთიანობით განსორცხვდება. აღმიანი ვერ გახდება ბედნიერი განცალკევებით. მხოლოდ გაერთიანებული სოფლის ძალით ეშველა გლეხს: „უნე შეგვეცოდინე: მიტომ მოველა, ასეა, ძმაო, წესი ახალი, სირცხვილიაო. ვინმეს სოფელში ნაწვიმარზე რომ დაარჩეს სახნავო“.

დასკვნა მკითხველისათვის მივიზიდვით.

მოკულობით შედარებით ვრცელია დრამატული პოემა „გადარჩენილი უკვდავება“. მაგრამ იგი ძირითადად აგებულია ლიტერატურულ მასალაზე. მას საფუძვლად უდევს გადმოცემა „ვეფხისტყაოსნის“ დაწვისა და მისი ავტორის საქართველოდან გადახვეწის შესახებ. ამის გამო, ბუნებრივია, ხასიათებიც ერთგვარად სქემებს წარმოდგენენ და ნაკლებად განაახლებენ რეალურ ცხოვრებისეულ ხასიათებს. მიუხედავად ამისა, „გადარჩენილი უკვდავებას“ ავტორი კეთილგონობს უაღრესად ორიგინალურ იდეებს. მხედველობაში გვაქვს გავრცელებული შეხედულება ხალხის წარმოდგენაში თამარ ჩეფის ღვთის ხარისხად ამალღების შესახებ. ფრიდონ ხალვაში თვლის, რომ გამოთქმა „უფალი იყო თამარ ჩეფნთვის, დასტურ უფალი“ უფლის დამდაბლებას ნიშნავს. უფლის დონეზე მხოლოდ სამშობლო შეიძლება იყოს წარმოდგენილი.

„თავისუფალი ზონა“ უწოდა ფრიდონ ხალვაშმა თავის ახალ პუბლიცისტურ ლირიკულ-ეპიკურ ნაწარმოებს და ესწრაფოდა ორიგინალურად განსაზღვრა მისი — თავისუფალი პოემა. ლიტმცოდნეობის ლექსიკონი არ იცნობს ასეთ ჟანრს, სამაგიეროდ ლიტერატურა იცნობს წესს — ყოველი შემოქმედი ესწრაფვის თავისუფლებას. ახალ ნაწარმოებში ახალი სათქმელის მაქსიმალური ეფექტიანობით გამოსახვის მიზნით ფრიდონ ხალვაშიც შემოქმედებითი თავისუფლების ზონას ესწრაფვის:

თავისუფლების ზონა ვარ მეცა,
მეც ტალღასავით ვღვლივ ყოველთვის,
ნავსადგურია გულიც პოეტის
მასაც რამდენი შტორმები წეწავს,
მაგრამ გემივით ჩემში შემოდნს.
ულამაზესი მიწა და ზეცა.
ჩემს კუთხესავით ვეტრფი შორეთებს,
რადგან მსოფლიო მეკუთვნის მეცა...

ყოველი ღირებული მხატვრული ნაწარმოები თავისუფალ შემოქმედებითი შრომის ნაყოფია. მაგრამ „თავისუფალი ზონის“ შემოქმედეს ეს თავისუფლება გაათვცებიო სჭირდება, რადგან მის მიერ არჩეული თემა და პრობლემა ათხოვს ამას. ერთ-ერთ მთავარ სიძნელეს, ჩვენი აზრით წარმოადგენს ის, რომ პოემაში მთავარ პერსონაჟად პოეტმა შემოიყვანა ჩვენი თანამედროვე სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ბატონი ასლან აბაშიძე. საწარმოებში რეალური და მხატვრული სინამვილე არ უნდა დაშორდეს ერთმანეთს, მაგრამ მხატვრული მანც საკუთარ კანონზომიერებებს ემორჩილება. ფრიდონ ხალვაშმა ეს სიძნელეც დასძლია. ბატონ ასლან აბაშიძის მოღვაწეობაში წინა პლანზე ეროვნული სულისკვეთება დააყენა და ამით სწორი, მხატვრული დასაბუთება მოუძებნა ჯერ თავისუფალი ეკონომიკური ზონის შემოღების ფაქტს ბათუმში, შემდეგ ასევე სწორი პასუხი ვასცა ეჭვებს, რაც ზოგიერთ ქართველ მოღვაწეს დღემდე აწუხებს:

- თავისუფალი ზონა სურთ? — ნეტამც...
- თავისუფალი გასვლა-წემოსვლა?
- თავისუფალი? კი, მარა ვისგან?
- თავისუფალი საქართველოსგან?

ამ ეჭვებს პოეტმა მიგნებულად დაუპირისპირა ქართული ფენომენიდან მომდინარე უკვდავი პრინციპები და თაონესტები-სათვის ვასაცემი პასუხები დააფუნდა ქართველისათვის დედამშვილობის, დედამამშვილობის უწყინდეს და უზენაეს გრძნობებზე. პოეტმა დედამშვილობის ურთიერთობას პოეტურ პრინციპში მთაქცია დედასამშობლოსთან საუკუნოდ დაბრუნებული აჭარა და კითხვა დაუბრუნა დაეჭვებულთა კითხვას:

- წავა? დედასთან მოსული წავა?
- კმარა ჭოჭმანი, ეჭვები, დავა.

ამ მოტივს ემყარება პოემის პერსონაჟის ასლან აბაშიძის ეროვნული პოზიცია, რომელსაც ის რეალურად ანორციელებს პრაქტიკული პოლიტიკის ასპარეზზე ეჭვიანებთან ურთიერთობაში.

პოემის ავტორი აქტიურ ცხოვრებისეულ პოზიციაზე დგას. მთავარია საქმე და გაბედულება, რომელიც საქმეს სჭირდება. არაა ყოველთვის, აუცილებელი ურმის გადაბრუნება გზის დასანახად. გზაც სწორად და გაბედულად უნდა შეირჩეს. ამ თვალსაზ-



რისით „თავისუფალი ზონა“ ერთ-ერთ საყურადღებო
 ზად უხდა ვალიართ ქართულ მწერლობაში.

ფრიდონ ხალვაშის ლირიკულ-ეპიკური თხზულებების მთავარ
 საერთო ღირსებას თანამედროვეობის მიწავერი მაჯისცემა წარმოა-
 დგენს. პოეტი ჭეშმარიტი თანამედროვეა. ის თავისი
 ლექსით, პროზით თუ პიესით ქართველი მამულიწვილის სულის-
 კვეთებით ზრდის თანამედროვე, მკითხველს. ფრიდონ ხალვაშის
 ეპოსიც სამშობლოს ეროვნული ინტერესების სამსახურში დგას.

მილოცვა

ჟურნალ „ჭოროხის“ რედაქცია ულოცავს შ. რუსთაველის
 სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატს ფრიდონ ხალვაშს
 დაბადებიდან სამოცდაათი წლისთავს. ქართველი მკითხველისათვის
 ცნობილია მისი პატრიოტული ლექსები „მე არ ვიქნები შენი სტუ-
 მარი“, „გენაცვალე“, „მითხარ როგორაა მემღვქმეთი“, „ძველში
 ყოფნა“ და მრავალი სხვა. ფრ. ხალვაში ავტორია არაერთი რომა-
 ნისა და ვრცელი მოთხრობისა. საყოველთაო აღიარება ჰპოვა მის-
 მა რომანმა „შეიძლება თუ არა მუსლიმანი იყოს ქართველი“. მის
 ჟილდოებს სულ ახლახან შეემატა კიდევ ერთი მეტად საპატიო
 ჟილდი — „ღირსებას ორდენი“.

კიდევ ერთხელ მივულოცავთ ამ ღირსსახსოვარ თაბრის და
 ვუსურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს და წაყოფიერ შემოქმედებით
 მოღვაწეობას.

ჟურნალ „ჭოროხის“ რედაქცია

**„ოიდიპოს მეფის“ მითოლოგიური სიუჟეტი და
კათარსისის მემანოზის პროზაზე**

სოფოკლეს ტრაგედიის „ოიდიპოს მეფის“ მითოლოგიური სიუჟეტი კათარსისის (ბერძ. Katharsis — განწმენდა¹) პრობლემას უკავშირდება აუცილებლობით. ზ. ფროიდის მიხედვით კათარსისის ქვეცნობიერაში განდევნილი, ნეგროტიული კონფლიქტის მიზეზის „რეაგირებასა“ და „განმუხტვაში“ გამოიხატება.² კათარსისი ტრაგიკული მდგომარეობის აღქმას, დანაშაულისა და ბრალეულობის განცდას გულისხმობს. დანაშაულის თუ ბრალეულობის საკუთარ თავზე აღების შემთხვევაში, ადამიანმა ან საკუთარი თავი უნდა დაისაჯოს, ანდა ნებაყოფლობით წარსდგეს სამსჯავროზე და დამსახურებული სასჯელი მიიღოს.

სოფოკლეს ტრაგედიის გმირი — თეოდოსი საკუთარი თავის დასჯის გზას ირჩევს, როდესაც გაიგო, რომ მამა შემოაკვდა და ცოლად დედა შეირთო, თვალებს დაითხრის და ქალაქიდან ის განდევნას მოითხოვს.

თეოდოსმა კარგად იცოდა, რომ აბოლონის ბრძანებით ქალაქისათვის უბედურების მომტანი ან უნდა განედევნათ ან სიკვდილით დაესაჯათ³, მაგრამ თეოდოსმა, როგორც ლაოსთან შეტაკების, ისე იოკასტაზე ქორწინების დროს არ იცოდა რომ ისინი მისი მშობლები იყვნენ. ამიტომ, საკუთარი თავის დადანაშაულება სამართლებრივად არასწორია, თუმცა არსებული შეხედულება აიძულებს მას თავი ბრალდებულად მიიჩნიოს.

თეოდოსის თვითდაბრმავებას ფსიქოლოგიურად მყარი საფუძველი აქვს + იგი იყურებოდა, მაგრამ ვერ ხედავდა. ამიტომ საკუთარი თვალების დათხრა მისივე უმეცრებით აიხსნება.⁴ თეოდოსის მოქმედება ხალხის მოსალაძნელ აღშფოთებას უსწრებს წინ და ამგვარად აკომპენსირებს მას.

საკუთრადღებოა, რომ ზ. ფროიდის მიერ აღწერილი სიტუაცია⁵ ფსიქოლოგიურად ძალიან წააგავს თეოდოს მეფის სიტუაციას. ავადმყოფი მამის ლოგინთან ქალიშვილი ცდილობდა მამის ავადმყოფობით გამოწვეული ცრემლები დაემალა. მაგრამ ცუდი მხედველობის გამო სიბნელეში ვერ ხედავდა საათის ციფერბლატს და დროულად ვერ ეუბნებოდა მამას რომელი საათი იყო, რასაც



ბრალეულობის განცდა უნდა გამოეწვია.

ეს ბრალეულობის განცდა საკუთარი თავის უარყოფის აზრობასთან გაიგივებისაკენ უბიძგებდა მას (ლაოსის მკვლელის დასჯა ოდიბოსის გაძევებას ან მოკვდინებას გულისხმობდა, რაც აგრეთვე ბრალეულის მთლიან უარყოფას, მის აზრობად ქცევის უტოლდება). ზოგიერთი ავტორის მიხედვით ნეკროზი არ-მყოფობის განრიდების საშუალებაა ყოფიერებისაგან. განდგო-მით.⁷

საკუთარ თავზე აღებული „ბრალეულობა“ ამკარად გაზვიადე-ბულია და საკუთარი თავის უარყოფის ტენდენციამ ორგანიზმის იმ ნაწილზე გადაინაცვლა, რომელიც ყველაზე უფრო „ბრალეულია“ (თვალეში), რაც მათი ფუნქციების მოშლილობაში გამოიხატა.

მამის ავადმყოფობის დროინდელი სიტუაციის გახსენება თვა-ლების ფუნქციების აღმდგენი საშუალება ხდება, რადგან პაციენ-ტი სიტუაციის გახსენებასთან ერთად ახლებურად აფასებს მას, რაც მის „ბრალეულობას“ აქარწყლებს. აქედან გამომდინარე „ბრა-ლეული“ ორგანოს ფუნქციების ბლოკირება საფუძველს მოკლებუ-ლი ხდება ფსიქოლოგიურად და მისი ფუნქციების აღდგენას იწვევს.

ამგვარად, ფროიდის მიერ აღწერილ პაციენტს გამოჯანმრ-თელებას წარსულში მომხდარი ფაქტის გახსენება-გაცნობიერება კი არა; ბრალეულობის მოხსნა იწვევს. ბრალეულობის მოუხსნე-ლად გახსენება-გაცნობიერების მიუხედავად, ფსიქოთერაპიულ შე-დეგს ვერ მივაღწევთ.

ოდიბოს მეფის ანალოგიურად ფროიდის მიერ აღწერილ შემთხვევაში ფსიქიკური დარღვევის ერთერთ საფუძველად მოსა-ლოდნელი გამტყუნების აცილების ტენდენცია გვევლინება, რაც საკუთარი თავის დასჯით ხორციელდება. შემდგომში ფსიქოპათო-ლოგიური სიმპტომის სტაბილიზაციაც იგივე ფსიქიკური მექანიზ-მის საფუძველზე ხორციელდება.

ოდიბოსი საკუთარი თავისადმი სიბრალულსა და მოსალოდ-ნელ სასჯელზე (ე. ი. შიშზე) უფრო მაღლა დგება — იდანაშაუ-ლებს და ისჯის თავს საჯაროდ, გაცნობიერებულად. ზუსტად ამით განსხვავდება ოდიბოს მეფის მოქმედება და ფროიდის მიერ აღ-წერილი პაციენტის მოქმედება, ისტორიული პიროვნება სრულყო-ფილად არ აცნობიერებს საკუთარი „ბრალეულობისა“ და „დას-ჯის“ ტენდენციას, რადგან იგი თავისი თავის მიმართ სიბრალუ-ლისა და უშიშროების უზრუნველყოფის მოთხოვნის პოზიციებზე რჩება. ამიტომ, მას არც შეუძლია აზრობრივად ისე მოიქცეს, რო-

გორც ამას ოდიბოსი რეალურად შერბა, ბაციენტი საკუთარი მოქმედების შეფასებას გაურბის, რაც მოვლენების მიზეზ-შედეგობრივი, ხშირად წარმოსახვის საფუძველზე შექმნილ, კავშირთა ერთობების ინტენსიფიკაციას იწვევს. ასეთი კავშირთა ერთობები არა ცნობიერი მექანიზმის მეშვეობით ხორციელდება და ჩვენც ფსიქოლოგიურ დარღვევას ვღებულობთ.

ოდიბოსი თვითონაც და მკურნალობის თვალშიც განიწმინდება ტრაგიკული ბრალეულობისაგან, ხოლო ისტერიული ავადმყოფი საკუთარ „ბრალეულობის“ უნიადგობაში დარწმუნებულობის შემთხვევაში თავისუფლდება ფენომენოლოგიურად შექმნილი ავადმყოფური სიმპტომებისაგან.

კათარსის ინტერპრეტაცია ურთულეს გადაუწყვეტელ პრობლემად რჩება მეცნიერებაში. სოფიერთი მკვლევარის აზრით, მეცნიერებაში ამ ცნების შემომტანი არისტოტელეც კი ვერ ერკვეოდლო ამ პრობლემაში (ტ. ბრუნიუსი).⁸ დავს იწვევს არისტოტელეს ნაშრომი „პოეტიკის“ მეექვსე თავის შესავალში მოყვანილი ტრაგედიის არსის განსაზღვრის დამამთავრებელი სიტყვები ტრაგიკული განწმენდის (კათარსის) შესახებ⁹ „ტრაგედია არის ასახვა დიადი და დასრულებული მოქმედებისა, რომელსაც გარკვეული სიდიდე აქვს, — ასახვა შემკობილი ენით, მისი სხვადასხვა სახეებით ცალ-ცალკე სხვადასხვა ნაწილში, ასახვა მოქმედებით და არა მოთხრობით, ასახვა, რომელიც შეცოდებისა და შიშის აღძვრის საშუალებით ამგვარ ვნებათაგან განწმენდას აღწევს“.¹⁰

ა. ლოსევის მიხედვით 1931 წლისათვის კათარსის 1425 განსხვავებული განმარტება არსებობდა, ხოლო შემდეგ კი ასეთ განმარტებათა რაოდენობა კიდევ უფრო გაიზარდა.¹¹ ფ. პეტროვსკის აზრით კათარსის პრობლემის შესახებ არსებული მოსაზრებანი ძირითადად ოთხ თეორიაში ერთიანდება: მაჯის ეთიკური თეორიით ტრაგედია ადამიანს მანკიერებისაგან განწმენდს; ცელერის ესთეტიკურ-ეთიკური თეორიით ტრაგედიისა და მუსიკის შემოქმედება ხელოვნების საერთო კანონებს უკავშირდება, შიშისა და თანაგრძნობის აფექტების დაწყნარება, ერთის მხრივ, ტრაგედიის, როგორც ხელოვნების ნაწარმოების სპეციალური საშუალებებით, ხოლო, მეორე მხრივ, ზნეობის ზოგადი საკაცობრიო კანონების საფუძველზე ხდება; ბერნაისის „აღზნების“ სამედიცინო თეორიის თანახმად, თანაგრძნობისა და შიშის აფექტებისაგან განწმენდა ტრაგიკული წარმოდგენის დახმარებით ბუნებრივი რეაქციის რეზულტატით ტრაგედიის აღქმით თეატრალური მკურნალობის სულში წარმოშობილი შესაფერისი განცდების ხელოვნურად გაძ-



ლიერებსა და თითქოსდა გაღვივების შედეგად, რომლებიც (ან მათი მავგარი) აქვს თეატრში მისულ მაყურებელს. ამავე დროს ეს რეაქცია თითქოს და ჩამორეცხავს აღნიშნულ ეფექტებს და ამით დაკმაყოფილების სპეციფიკურ გრძნობას იწვევს; რელიგიური თეორიებით, რომელთა რიცხვს ეკუთვნის ს. გაუპტისა და ვ. ივანოვის წმინდა ინტელექტუალური თეორიები. ორივე მკვლევარი არისტოტელეს მოძღვრებას განწმენდის შესახებ ბერძნების რელიგიასა და მისტერიებს უკავშირებენ და „კათარსისის“ ტერმინი დიონისეს კულტის სფეროდან აღებულად მიაჩნიათ. ამ თეორიებიდან ყველაზე უფრო გავრცელებულია ბერნაისის თეორია.¹² მ. გოგინბერძის თეორიაც ამ თეორიას უკავშირდება.¹³

დადგენილია, რომ არისტოტელეს მიერ კათარსისის ინტერპრეტაცია პლატონისეულ ინტერპრეტაციას უკავშირდება. ბულგარელი მკვლევარი ა. ნიჩევი მიუთითებს „შეხედულებისაგან“ „სულის განწმენდაზე“ პლატონის ნაშრომებში. შეხედულება (Doxa) კი არისტოტელეს მიხედვით შემეცნებითი განწყობაა ჭეშმარიტი და მკდარიც. რომ შეიძლება აღმოჩნდეს. Doxa არისტოტელეს მიხედვით „მოჩვენებითი ცოდნა“, რომლის გვერდით ჭეშმარიტი ცოდნაც არსებობს.

შიში და თანავგრძნობა მაშინ გვიჩნდება, როდესაც „საშინელი“ და „შესაცოდებელი“ შეხედულების საპირისპიროდ ხდება ტრაგედიაში, ამბობს არისტოტელე.⁸ „სოფისტში“ კი პლატონი „შეხედულებისაგან“ სულის განწმენდაზე ლაპარაკობს, რის შედეგად სული ჭეშმარიტ ცოდნას ეზიარება.⁸

არისტოტელეს მიერ კათარსისის ინტერპრეტაცია გულისხმობს, რომ ადამიანი შინაგან განწყობაზე, ჩვეულ განცდებზე ამბობს უარს, რაც ამ განცდებზე უფრო მაღლა დგომას ნიშნავს. ასეთი პოზიციის გამოხატულებაა ქრისტიანობის ერთ-ერთი ფუძემდებელი დებულება — გიყვარდენ მტერნა თქუენანი,¹² — რაც ადამიანისათვის ჩვეულ შურისძიებაზე მაღლა დადგომას გულისხმობს. ამავე დროს, თუ ფ. ნიცშეს დებულებას¹³ თანავგრძნობის დაძლევის შესახებ, როგორც თეორიულ, აზრობრივ და არა პრაქტიკულ სამოქმედო პრინციპად მივიჩნევთ, მაშინ გასაგები იქნება, რომ ორივე შემთხვევაში პლატონისეულ-არისტოტელესეული „შეხედულებების“ დაძლევის მომენტთან ვაქვს საქმე. ამ შემთხვევაში ადამიანი მოვლენებს ემოციური დამოკიდებულების (სულ ერთია უარყოფითია ის თუ დადებითი) მიხედვით კი არ აფასებს, არამედ ამ მოვლენების ობიექტივაციით, ინტელექტუალური აქტივობის მეშვეობით შესაძლებელი ხდება „სიტუაციის საჭირო

კომპონენტისა და მიმართებების შემცენება“.¹⁴

ამგვარად კათარისის პრობლემა მხატვრულ-ინტელექტუალურ რი შემცენების პრობლემას უკავშირდება, რაც როტულ, აქტუალურ ხანეცნიერთ პრობლემათა რიგს მიეკუთვნება.¹⁵ ამავ დროს მიუთითებენ მხატვრული აღქმის „თანაგანცდის“ ხარისხზე, აღსაქმელი ხატების პიროვნებისეულ შეფერადებულობაზე,¹⁵ შინაგანი გახწყობის¹⁵ ზეგავლენაზე, მხატვრული ნაწარმოების აღქმაზე. აღქმის ბუნებრივი განწყობის მნიშვნელობაზე.¹⁵

პ. იაკობსონი ადამიანის განწყობას, მოთხოვნას, მოლოდინს შექმნილი მხატვრული აღქმის პროცესის ხასიათს უკავშირებს¹⁶. აღნიშნავენ ხელოვნების ნაწარმოების ღირებულებით ასპექტს.¹⁷

ა. შობენჰაუერის კლასიფიკაციით სოფოკლეს „ოდიპოს მეფის“ ტრაგედიაში აღწერილი მოვლენები ბრმა ბედისწერით, შემთხვევითობითა და შეცდომით არიან გამოწვეული.¹⁸ ტრაგედიაში გმირს უმრავლეს შემთხვევაში, შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალ არა აქვს, მასთან გაიგივებულ მაყურებელს (მსახიობს) კი ეს გამოსავალი ყოველთვის რჩება, ამიტომ, ტრაგედიის მაყურებელს, იმის მიუხედავად, თუ ვისთან იქნება იდენტიფიცირებული ის (დადებით თუ უარყოფით გმირთან, ორივესთან ერთდროულად), მაინც შეუძლია მოიცულოს განცდათა ნებისმიერი ტვირთი, რომელიც ტრაგედიის გმირებთან საკუთარ თავის გაიგივებით წარმოიშობა.

მაყურებელი მხოლოდ გარეშე დამკვირვებელია და მის წინაშე რეალურად არ დგას ის პრობლემები, ტრაგედიის გმირის წინაშე რომ წარმოიშობიან. ამიტომ, მაყურებელს შეუძლია განიტვირთოს, დაცარიელდეს, განიწმინდოს იმ განცდებისაგან, რომლებიც ტრაგედიის გმირების ანალოგიურად უჩნდება მას.

მაყურებელი საკუთარ თავს, ამავ დროს, მსახიობთანაც აიგივებს. ორივე შემთხვევაში მის დრამის გმირისა და მსახიობის გარედან ხედვისა და შეფასების საშუალება აქვს. ის საკუთარ თავს განასხვავებს მათგან და თეატრში წარმოქმნილი და გამოვლენილი აფექტებისგან ადვილად თავისუფლდება.

მაყურებელს ასეთ განსხვავებულ ხშირად ურთიერთდაპირისპირებულ (დადებითი და უარყოფითი), პრინციპებზე გადასვლის შესაძლებლობა მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნება, თუ ის ყოველთვის საშუალო (ნეიტრალურ) მდგომარეობას დაიკავებს. ეს ერთი პოზიციიდან მეორე პოზიციაზე გადასვლას გააადვილებს. საშუალო მდგომარეობა უკიდურეს პოზიციათა ნიშნებს შეიცავს და, ამავ დროს, განსხვავდება კიდევ. საშუალო, თუ გინდ, ნეიტრალური



მდგომარეობიდან ადვილია ნებისმიერ სხვა პოზიციაზე გადასვლა იმ დროს, როდესაც ნებისმიერი უკიდურესი პოზიციიდან საპირისპირო პოზიციაზე გადასვლა ადვილია.

ს. დაწვლია წერდა: „ტრაგედიაში უნდა აღძრას მაყურებელთა შორის სიბრალულისა და წიშის ძლიერი ემოციები. ეს კი შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობით, თუ ტრაგედიაში წარმოდგენილი არიან ისეთი გმირები, რომელთა მსგავსი ყველას უნახავს და რომლებიც არავისთვის არ არიან უცხო და გაუგებარი. „შიშის აღსაძრავად საჭიროა ისეთი კაცი, რომელიც ჩვენ გვგავს“. ამიტომ, ტრაგედიის გმირი, არისტოტელეს აზრით, უნდა იყოს საშუალო კაცი, ე. ი. არც ისეთი, რომელსაც არავითარი ნაკლი არა აქვს, და არც ისეთი, რომელსაც არავითარი ღირსება არა აქვს“.

აქედან ხავესებით კანონზომიერად გამოდინარეობს, რომ მაყურებელიც საშუალო ადამიანი უნდა იყოს (ჩვენ გვგავს ტრაგედიის გმირი).

საშუალო ადამიანის პოზიცია, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, თუ ჩვენ მიზამვას, სხვისი როლის¹⁹ გათვასებას ვიგულისხმებთ. სხვისი მიზამვა, სხვისი როლის შესრულება მაშინ არის ღირებული, როდესაც მის აღსაქმელად ვართ განწყობილი. თავისთავად, ერთნაირი თვისებების ნატარებელ ადამიანთა შორის მიზამვის შესაძლებლობა მცირეა, ხოლო საკუთარი კონკრეტული თვისების ნაკლებობის შემჩნევისა და გაცნობიერებისათვის საჭიროა თავისუფალი დრო, რაც მიზამვის ერთერთ საფუძველი ხდება.

საყურადღებოა 60 ადამიანის გამოკითხვის საფუძველზე დადგენილი ფაქტი: მთლიანად დადებითი თვისების მქონე პიროვნება გაურბის სხვა ასეთთავე თვისების მქონე პიროვნების მიზამვას (1,5 ბალი — 5 ბალიდან), ხოლო, დადებითი თვისების მქონე, ნაკლებ პიროვნება უფრო ცდილობს მიზამოს სხვა დადებით პიროვნებას (3,5 ბალი). მართლაც და მთლიანად დადებით პიროვნებას არაფერი რჩება, რათა სხვა დადებით პიროვნებას მიზამოს, რადგან დადებითობა მისში სრულყოფილად არის განხორციელებული.

მთლიანად უარყოფითი პიროვნება აგრეთვე ნაკლებ ბაძავს უარყოფითს (1,2 ბალი — 5 ბალიდან), რადგან უარყოფითი თვისება მასშიც სრულყოფილად არის წარმოდგენილი, ხოლო, უარყოფითი თვისების მქონე, ნაკლებ პიროვნება ოდნავ უფრო მეტად ბაძავს სხვა უარყოფით პიროვნებას (1,7 ბალი).

საყურადღებოა, რომ მთლიანად ნეიტრალური პიროვნება უფრო მეტად ბაძავს დადებით პიროვნებას (3,5 ბალი), ხოლო უარ-

ყოფითს კი ისევე როგორც მთლიანად უარყოფითი პიროვნება — უარყოფითს (1, 2 ბალი). ამგვარად, როგორც დადებითთან, ისე უარყოფითთან იდენტიფიკაცია შედარებით უკვე ნეიტრალურ პოზიციაში მდგომს შეუძლია.

მთლიანად უარყოფითი პიროვნება ნაკლებ ბაძავს დადებითს (1,3 ბალი), ისევე, როგორც მთლიანად დადებითი პიროვნება ნაკლებ ბაძავს უარყოფითს (0,1 ბალი).

ამგვარად, ძლიერ დაპირისპირებულ თვისებათა მატარებელნი შეურიგებელნი არიან ერთმანეთის მიმართ და მათი პოზიციების დაახლოება, ურთიერთზეგავლენა თითქმის შეუძლებელია.

ამ თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს ის, რომ ნაკლები თვისების (დადებითი, უარყოფითი) მქონე პირები უფრო მეტად არიან საკუთარი პოზიციის ცვლილებაზე და სპირისპირო თვისების მიღებაზე განწყობილნი (ისინი გარკვეულწილად გარდამავალ, საშუალო მდგომარეობაში იმყოფებიან, რაც შეიძლება ნეიტრალურ მდგომარეობასთან იქნეს გაიგივებული).

უარყოფითი თვისების თვალსაზრისით „ნაკლები“ პიროვნება უფრო ბაძავს დადებითს (2,6 ბალი), ხოლო მთლიან დადებითობას მოკლებული პიროვნება ოდნავ უფრო არის განწყობილი უარყოფითის მისაბაძად (0,3 ბალი), ვიდრე მთლიანად დადებითი პიროვნება (0,1 ბალი).

ამგვარად ნეიტრალური, საშუალო მდგომარეობის პოზიცია, რომელშიც იმყოფება თეატრალური წარმოდგენის მაცურებელი. ფსიქოლოგიურად ხელსაყრელ პირობებს კქმნის თეატრალურ პერსპექტივებთან საკუთარი თავის გასაიგივებლად.

ამავე დროს თეატრალური წარმოდგენის მაცურებელი საკუთარი, ყოველდღიური საქმიანობიდან ამორთულია (ს. დანელია), მის მიმართ ნეიტრალური დამოკიდებულების მდგომარეობაში იმყოფება და ტრაგედიის გმირებს (მსახიობების მიერ განხორციელებული) განცდების, მოქმედებების აღსაქმელად, გასაზიარებლად, მისაბაძად არის მომზადებული.

მაცურებლის ჩვეულებრივ მოქმედი სუბიექტის აქტიური პოზიცია მსახიობზე გადადის, ე. ი. მოქმედების შესაძლებლობა მას გადაეცემა. ამ შემთხვევაში საკუთარი აქტიური მოქმედების მზაობისაგან განთავისუფლება ხდება, რაც შემდგომი განწყობის აუცილებელი პირობაა. ამრიგად, ჩვეულებრივ საქმიანობაზე უარის თქმა, საკუთარ ინიციატივაზე უარის თქმას ნიშნავს, რაც პოტენციურად მსახიობისადმი უპირატესობისა და ინიციატივის მინიჭებას ნიშნავს.

მსახიობი ფსიქოლოგიურად უფრო მაღალი ღირებულებას
ხდება, ხოლო მსახიობი დაქვემდებარებული ხდება აქტიური
საქმიანობის თვალსაზრისით.

სამაგიეროდ, მსახიობს უპირატესობა ეკუთვნის სცენაზე
გამოღობის მოქმედებას, თუ მოქმედ პირთა და როლების შემსრუ-
ლებელთა შეფასებაში, რადგან აქტიური საქმიანობის შესაძლებ-
ლობის გადაცემა, ამავე დროს, მსახიობის მიერ ამ საქმიანობის
შესრულების ხარისხის შეფასებისადმი უდადეს დაინტერესებას
იწვევს მსახიობს.

რაც უფრო კარგად ასრულებს მსახიობი როლს, მით უფრო
ღირებული, მიუღწეველი, ამაღლებული ხდება მსახიობი, როლი
და საერთოდ მისი ხელოვნება, მიუხედავად იმისა, დადებით თუ
უარყოფით როლს ასრულებს ის.

წარმოების ძირითადი იდეაც, ასეთ შემთხვევაში, უფრო
თვალნათლივ წარმოჩნდება და მსახიობთან ერთად
მოდდება ყოველდღიურობაზე, რეალობის საზღვრებს გადალ-
ახავს და ტრანსცენდენტური, ფენომენოლოგიური ღირებულებების
სფეროში ხვდება. ყოველდღიური რეალობის, ყოფიერების საზღვ-
რების მიღმა გასვლა, ამავე დროს, არა გონებრივი აბსტრაქციების
საშუალებით, არამედ ესთეტიკურ-ტრანსცენდენტურთან ზიარე-
ბით, საკუთარი ყოველდღიური ყოფიერების მაქსიმალური უკუგე-
პით, მოცილებით — ე. ი. განწმენდით ხდება.

ყოველდღიური ყოფიერებისა და საქმიანობისაგან გათავისუ-
ფლება უარყოფითისაგან გათავისუფლებასაც იწვევს. ყოველ-
დღიური ყოფიერება დროული, შემოსაზღვრული, სიკვდილის გა-
ბომწვევია აუცილებლად, რაც მოლიანობაში არ შეიძლება არ იქ-
ნეს უარყოფითთან გაიგივებული. ამავე დროს ტრანსცენდენტუ-
რი, ფენომენოლოგიური, არარეალური სამყარო, რომელიც სიკვ-
დილისაგან თავისუფალია, უსასრულო, უსაზღვრო, მუდმივი არ-
სებობის სფეროს განეკუთვნება და მოლიანობაში არ შეიძლება
დადებითთან არ იქნეს გაიგივებული. ამიტომაც ტრავმიაში სიკვ-
დილზე უფრო მაღლა დადგომა, სიკვდილის შიშის დაძლევა და
საკუთარი თავისადმი ყოფითი თანაგრძობის უკუგდება-უარყო-
ფითის დაძლევა და ფენომენოლოგიურ, ტრანსცენდენტურ და-
დებითთან ზიარებას უთანასწორდება.

ტრავმია ადამიანის სულის გადამრჩენად გვევლინება, რაც
პიროვნების დადებითი ტენდენციის განმტკიცებას იწვევს. განწ-
მენდის ეფექტი მაინც და მაინც ზნობრივად უარყოფითის ჩამო-
ცილებას კი არ გულისხმობს, არამედ საერთოდ ყოველდღიური



წვრილმანი განცდებისა თუ შეხედულებებისაგან განთავისუფლებას, რაც სულიერად განწმენდას ნიშნავს.

ტრაგედიაში ჭეშმარიტების, სოციალური სამართლიანობის იდეა სიკვდილზე უფრო ძლიერად და ამალღებულად გვევლინება. ამიტომაც არის, რომ ტრაგიკულ ჭეშმარიტებას დაუფლებული მაყურებელი შიშის განცდაზე ე. ი. ცხოველურ განცდაზე უფრო ამალღებული ხდება. შიშის მოცილებით ადამიანი იწმინდება ყველაფრისაგან, რაც მის სიმდაბლეს, უგუნურებას, სიავეს განსაზღვრავს. აქედან კი ადამიანი საკუთარი თავის მიმართ სილრალულისაგან, ეგოისტური თანაგრძნობისაგანაც თავისუფლდება.

შეიძლება, პირველად საკუთარი თავის მიმართ სიბრალულის (და შემდეგ ზოგადად, აბსტრაქტულად და არა საერთოდ პრაქტიკულად) განცდას დაეძლევათ. ამგვარად, შიშსაც ვაცილებთ და ჭეშმარიტების აღსაქმელად განვეწყობით.

სცენაზე უარყოფითი როლი ლეგალურად ღებულობს უარყოფით შეფასებას, ხოლო საზოგადოებისაგან დაფარული ჩვენი უარყოფითი საქმიანობა, მონაცემები, ასეთ შეფასებას მოკლებულია, სცენაზე ცოდვა გამხელილია, სხვებისათვის გაზიარებული და გარკვეულწილად სხვები ამ ცოდვის თანამონაწილენი ხდებიან, ამიტომ, სცენაზე წარმოდგენილი უარყოფითი საქმიანობა, მანც უფრო ნაკლებ უარყოფითია პიროვნულად, ვიდრე ჩვენი საკუთარი უარყოფითი, რომელიც ყველასაგან დამალულია და მისი საზოგადოებისათვის წარმოდგენის, ლეგალიზაციის გეგმინია. აქედან გამომდინარე სცენაზე უარყოფითის დამგმობი მაყურებელი მით უმეტეს ცდილობს დაგმოს საკუთარი უარყოფითი.

ანტიკურ თეატრში სხვადასხვა სოციალურ წრეთა წარმომადგენელი მაყურებლების გათანაბრება მოხდა დარიბი თავისუფალი მოქალაქეებისათვის. თეატრალური ბილეთების უფასო დარიგებით,²⁰ მაგრამ, თუ ტრაგედიის ყველა მაყურებელი განიცდის შიშსა და თანაგრძნობას ტრაგიკული ფაბულის შედეგად, მხოლოდ ესაეტიკურად აღზრდილ „წესიერებს“ (ე. ი. მაღალი წრის წარმომადგენლებს) შეუძლიათ ამ გრძნობების განცდისას „განიწმინდონ მათგან“.²⁰

ამავე დროს, თეატრი ფენომენოლოგიურადაც იწვევდა მაყურებელთა გათანაბრებას, რადგან მაღალი წრის მაყურებელი სცენაზე წარმოდგენილი დაბალი სოციალური სტატუსის პერსონაჟს პირობითად მიიჩნევს დაბალი სტატუსის მქონედ (თეატრის პირობითი ამალღებულობის გამო), ამიტომ, მას ასეთი გმირის განცდების (საქმიანობის) გათავისება, მის ადგილზე დადგომა შეუძლია



და, ამგვარად, მისი ქცევის, მისწრაფების გაგება. ასევე დაბალი წრის მაყურებელი სცენაზე წარმოდგენილი მაღალი წრის გმირის თანამონაწილე და თანაგანმცდელი ხდება: ორივე შემთხვევაში მაყურებელი საკუთარ მდგომარეობაზე უფრო მაღლა დგება.

საყურადღებოა, რომ მსახიობის თამაშის შედეგად გამოწვეული სიამოვნება თითქოსდა აკომპენსირებს განწმენდის შედეგად მიღებულ „დანაკარგს“. ფსიქიკიდან განსდევნება საკუთარი უარყოფითის მიმართ შემწყნარებლობის პოზიცია; რადგან ამალღებულს, ყოვლისმომცველი, მუდმივი, დიდი ღირებულების სამსახიობო ხელოვნება ჩვენს უარყოფითს, უმნიშვნელოს, წუთიერს, დაბალს, ღირებულებამოკლებულს ხდის.

უფრო მეტიც ტრაგედიაში თავისთავად უარყოფითი როლიც კი მხოლოდ და მხოლოდ საშუალება ხდება სამსახიობო ხელოვნების საჩვენებლად და, ამგვარად, უარყოფითი პერსონაჟის ქცევა დამამკირებელია არა მხოლოდ ზნეობრივად, არამედ ესთეტიკურადც მსახიობის მიერ მისი გამოკვეთილად ჩვენების გამო, როდესაც, რაც უფრო უკეთ თამაშობს მსახიობი უარყოფით როლს, მით უფრო ღირებული ხდება მსახიობის თამაში და უმნიშვნელო უარყოფითი პერსონაჟის ქცევა.

უარყოფითი როლის ბრწყინვალედ შესრულება, არა მხოლოდ სცენაზე წარმოდგენილი უარყოფითი პერსონაჟის ქცევას აუფასურებს, არამედ ჩვენშიც, ჩვენს ცხოვრებაშიც იწვევს უარყოფითის ანალოგიურ გაუფასურებას, რადგან იქმნება (დროებით მაინც) იდეალური, ფენომენოლოგიური, ახალი ამალღებული სამყარო, რომელიც ჩვენს ყოველდღიურ, ხშირად ბოროტებანარეც ცხოვრებას უარყოფს.

თეატრალური წარმოდგენის დროს რეალური (ყოველდღიური ყოფიერება) და იდეალური, ფენომენოლოგიური (თეატრალური წარმოდგენა) ხდება ერთმანეთს. აქ ისინი უთანასწორდებიან ერთმანეთს და იდეალური თანაბარზომიერი ზემოქმედების შესაძლებლობას იძენს. თვით მაყურებელი კი თითქოს ნეიტრალურ პოზიციაში დგას — ყოველდღიურობას ჩამოცილებული თეატრალური წარმოდგენის მეოვალყურე ხდება.

ჩვეულებრივ კი რეალური, ყოფიერი მოთხვენები, საერთოდ რეალობა ბატონობს ადამიანზე და საშუალებას არ აძლევს იდეალურის შესათვისებლად. ამ შემთხვევაში კი, რადგან მაყურებელი ნეიტრალურ მდგომარეობაში იმყოფება და რეალობის ზემოქმედება ბლოკირებულია, იგი იდეალურის აღსაქმელად არის განწყობი-

ლი, ის უფრო დიდი ზეგავლენის შესაძლებლობას იძენს, ვიდრე ჩვეულებრივ, ყოველდღიურ ცხოვრებაში.

ახლა, როდესაც ჩვენ ძალიან დიდი ღირებულების (რეალობა — ყოველდღიური ყოფიერება) და ნაკლები ღირებულების სფეროებს (იდეალური-თეატრალური წარმოდგენა) ვათანაბრებთ, გამოდის, რომ რეალობას აკლდება ღირებულება, რაც თავისთავად იდეალურის ღირებულების ფსიქოლოგიურ ზრდას იწვევს.

ფსიქოლოგიურად მაღალი სტატუსის ადამიანი ჩვეულებრივ უფრო ადვილად წყდება რეალობას, რადგან რეალობა მას უფრო კარგად აქვს გაშინაურებულ-გათავისებული, რეალობით ის უფრო მეტად არის დაკმაყოფილებული (მატერიალურად, საქმიანობით, მისი კრიტიკული შეფასებით) და რეალობას დაკმაყოფილების თვალსაზრისით არც კი უდგება ხშირად. ასეთი ადამიანი თეატრალურ წარმოდგენას უფრო კარგად აღიქვამს როგორც იდეალურს. პირიქით ფსიქოლოგიურად დაბალი სტატუსის ადამიანი, რომელიც არაა რეალობით დაკმაყოფილებული, მიმართულია რეალური მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად და, ამიტომ, თეატრალურ წარმოდგენაში ან ცდილობს რეალური მოთხოვნების ასახვა დაინახოს უფრო მეტად, რაც, რა თქმა უნდა, თეატრალური წარმოდგენის ესთეტიკური აღქმის შესაძლებლობას, იდეალურის დაუფლებას ამცირებს.

ჩვეულებრივ, ყოველდღიურ ცხოვრებაში ადამიანი საზოგადოებრივი აზრის (იმის მიუხედავად ჭეშმარიტია თუ მცდარია იგი) და ყოველდღიური მოთხოვნილებების უდიდესი ზეგავლენის ქვეშ იმყოფება, რაც არსებითად საკუთარი ბიოლოგიური არსებობის უზრუნველყოფის აუცილებლობით და აქედან გამომდინარე შიშისა და საკუთარი თავისადმი თანაგრძნობის განცდით არის გამოწვეული.

„თიღობის მეფის“ ტრაგიკული სიუჟეტის აღქმის შემთხვევაში თეატრალური მაყურებელი რეალობას (ყოფიერება) და ტრანსცენდენტურ, ფენომენოლოგიურ (თეატრალური წარმოდგენა) სფეროთა შუა, ნეიტრალურ მდგომარეობაში იმყოფება. მთავარ გმირთან იდენტიფიკაციის მეშვეობით ის სცნაზე გათამაშებული კოლიზიის თანამონაწილე ხდება. მსახიობის ბრწყინვალე თამაშით ამადლებული მაყურებელი ტრანსცენდენტურ, ესთეტიკურ ღირებულებებს ეზიარება. ყველაფერი ეს მაღალი კულტურის მაყურებელში საკუთარი თავის მიმართ შიშისა და თანაგრძნობის განცდების დაძლევაში გამოიხატება, რაც ჩვეულებრივ, ყოველდღიური ცხოვრებისეული სიმდაბლის (ესთეტიკური, ეთიკური, ინ-

ტელექტუალური) უკუგდების იზები ხდება და განწყობის, გა-
თავისუფლების, საკუთარ თავზე გამარჯვების, უპირატესობის, სა-
ღლებულობის, არაჩვეულებრიობის, უშიშობის მიღწევად განიც-
დება და ამიტომ უდიდეს სიამოვნებასა და კმაყოფილებას იწვევს.

გამომყვანილი ლიტერატურა

1. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, თბ., 1980, გვ. 318; ზ; წიგნაკა; მარქსისტული ესთეტიკის საკითხი, თბ., 1968, გვ. III; ს, დანელია, ნარკვევები ნტიციური და ახალი ფილოსოფიის ისტორიაში, თბ., 1978 გვ. 160-257 და სსკ, ს. 137.
2. Корисничко Л.А. Краткий психологический словарь, М., 1985
3. თ. წერეთელი, გ. ტყეშელიძე, მოიღვრება დანაშაულზე, I, თბ., 1969, გვ. 25-60,
4. ნ. ა. კუნი, ძველი საბერძნეთის ლეგენდები და მითები, თბ., 1965, გვ. 272,
5. Аверинцев С.С. К истолкованию символики мифа об Эдипе. Сб.: Античность и современность, М., 1972, с. 100.
6. Фрейд З. О психоанализе. Пять лекций. Сб.: Хрестоматия по истории психологии, М., 1980, с. 148-157.
7. Якубик А. История, М., 1982, с. 121.
8. Лосев А.Ф. История античной эстетики. IV, М., 1975, с. 178-179, 208-210.
9. Петровский Ф.А. Вступление в кн.: Аристотель об искусстве поэзии, М., 1957, с. 29-30;
10. არისტოტელე, პოეტიკა, თბ., 1944, გვ. 13-14,
11. ვ. გოგაბერიძე, რჩეული ფილოსოფიური თხზულებანი, III, თბ. 1972, გვ. 191,
12. მცხეთური ხელნაწერი, თბ., 1986., გვ. 123;
13. Чагина В.А., Шахнович М.И., Мелещенко З.Н. Очерк истории этики. М., 1969, с. 299.
14. შ. ნადირაშვილი, განწყობის ფსიქოლოგია, II, თბ; 9985, გვ; 116;
15. Мейлах В.С. Художественное восприятие как научная проблема. В кн.: Художественное восприятие, 1971, с. 10-11.
16. Якобсон П.М., Психология и художественное восприятие, в кн.: Художественное восприятие, 1971, с. 74.
17. Коган Л.Н. В кн.: Художественное восприятие, 1971, с. 71-98
18. Анякет А. Теория драмы от Гегеля до Маркса, М., 1983, с. 178.
19. Шибутани Т. Социальная психология. М., 1969, с. 85-119.
20. Асмус В.Ф. Вопросы теории и истории эстетики, М., 1968., с. 133-134.

აკმილე მასნია

განმათავისუფლებელი კომიტეტის დათარიღებისათვის

„სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის“ დათარიღების შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა, ეს პირველ რიგში გამოწვეულია განმათავისუფლებელი კომიტეტის სპეციალური საარქივო ფონდის უქონლობით, მეორეს მხრივ კი, დოკუმენტურ მასალებში დაცული ცნობები კომიტეტის შესახებ ერთობ მწირია.

პირველად სამეცნიერო ლიტერატურაში კომიტეტის დაარსების თარიღად 1918 წლის 15 მაისი მიუთითა პროფესორმა ი. სიხარულიძემ¹. იგივე აზრია გატარებული დოკუმენტების: აბ. სურგულაძისა² და მ. ჩავლეიშვილი,³ ნაშრომებში, აგრეთვე, მწერალ ირ. ქაჯიარაძის დოკუმენტურ მოთხრობაში „ვალმოხდილი“.⁴

ყველა სხვა დანარჩენი მკვლევარი, ვისაც კი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს 1918-1921 წლების პერიოდზე უმეუფოა (ხ. ახვლედიანი⁵, პ. ცეცტიაზი⁶, მ. ჯიჯეიშვილი⁷, ნ. ზოსიძე⁸, ჯ. ჩხეიძე⁹, თ. კომახიძე¹⁰ და სხვები), ამა თუ იმ-საკითხის განხილვისას ეხებიან რა „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელ კომიტეტს“, ასახელებენ მისი დაარსებას მხოლოდ თვეს — მაისი. პროფესორ გ. შარაძეს კი კომიტეტის დაარსების თარიღად მითითებული აქვს 1918 წლის ზამთარი.¹¹

საგანგებოდ გვინდა შევჩერდეთ ს. გერსამიას ნარკვევზე „მემედ აბაშიძე“.¹² ავტორი მ. აბაშიძის თანამედროვეა, იგი კარგად იცნობდა მის ცხოვრებასა და მოღვაწეობას, მაგრამ კომიტეტის დაარსების თარიღი მასაც არ მიუთითებია.

არაფერს ვამბობთ იმ უამრავ სტატიებსა და წერილებზე, რომლებიც უკანასკნელ პერიოდში სისტემატურად იბეჭდება ქართულ პერიოდიკაში. მათი ავტორები ეხებიან რა კომიტეტის საქმიანობას, არსად ასახელებენ მისი დაარსების ზუსტ თარიღს (ამ შემთხვევაში რიცხვს).

ასევე ითქმის თურქი ავტორის ს. ესინ დაის ნაშრომზე „ნა-

ციონალურა ორგანიზაციების ჩამოყალიბება სამ სანჯაყში“¹³ თალა, თურქ ავტორს ვერ მოვხსოვთ საქართველოს ისტორიის აღნიშნულ პერიოდის ზუსტ ცოდნას, მაგრამ არც იმის უგულვებელყოფა შეიძლება, რომ დღეს თურქეთის წიგნთსაცავებსა და არქივებში საქართველოს შესახებ მრავალი დოკუმენტური მასალა დაცული და თურქ ავტორთა მიერ გამოთქმული მოსაზრებები ანგარიშგასაწევია.

მაგალითად, დასახელებული წიგნის II თავში „ისლამური საქართველოს გათავისუფლების საზოგადოება“ ნათქვამია: „ბათუმში ისლამური საზოგადოებას საპირისპიროდ, რომელიც მიზნად ისახავდა თურქეთთან შეერთებას (იგულისხმება ბათუმის ოლქი — ე. მ.). არსებობდა, აგრეთვე, „ისლამური საქართველოს განთავისუფლების საზოგადოება“, რომელსაც სურდა ბათუმის ოლქის შეერთება საქართველოსთან“¹⁴. „მოუხედავად იმისა, რომ, — განაგრძობს ავტონომიური, — ამ ორი ურთიერთგამომრიცხავი მიზნების მქონე საზოგადოების დაარსების თარიღი ზუსტად არ არის ცნობილი (ხაზგასმა ჩვენია — ე. მ.). ეჭვგარეშეა, ორივენი მოქმედებას იწყებენ 1918 წლიდან“ (აქაც ხაზგასმა ჩვენია — ე. მ.)¹⁵.

ს. ესინ დღის ნაშრომში მოყვანილი აქვს ერთი საგულისხმო ცნობის მისეული კომენტარი. აი რას წერს ავტორი: „ბათუმის დეპუტატი ედიმ ბეი 1920 წლის 28 აგვისტოს გახეთ ჰაქიმითი მილიეთში“ გამოქვეყნებულ სტატიაში სათაურით „ერთი კომენტარი ბათუმის შესახებ“, წერს: „ბათუმშიც... სანჯაყებზეა დემედ ბეის მეთაურობით გასულ აგვისტოში დააარსეს ორგანიზაცია გათავისუფლების საზოგადოების სახელწოდებით“.⁶

როგორც სამართლიანად შენიშნავს ს. ესინ დღი, ამ სტატიაში ხსენებულ „გასულ აგვისტოში“ იგულისხმება 1919 წელი, როცა მოწვეულ იქნა ბათუმის ოლქის ქართველთა ყრალთა. მითუმეტეს მე-9 არმიის მთავარსარდლის შევექი ფაშას მიერ 1918 წლის 16 დეკემბრის სანხედრო საქმეთა სამინისტროსადმი გაგზავნილი შიფრირანი დეპემის საფუძველზე დგინდება, რომ ეს საზოგადოება მოქმედებს უკვე 1918 წლიდან“¹⁷.

აღნიშნულ საკითხში მეტი სიცხადის შეტანისათვის, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, აქვე მოვიყვანოთ ხსენებული დეპემის ტექსტიც: „საქართველოს ერთ-ერთი სანჯაყებზეა დემედ ბეის მეთაურობით და თურქი ოფიცრის, სახელად სულეიმან ბეგის, ზოგიერთი ტრაპიზონელი, აჭარელი, ჭოროხელი პირების მონაწილეობით ისლამური საქართველოს გათავისუფლების საზოგადოების სახელწოდებით ჩამოყალიბდა პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელსაც სათავეში უდგას დემედ ბეგი. ეს პარტია, რომელსაც მეუ-



რევობას უწევს საქართველო, მიზნად ისახავს ბათუმის სადრო-
შოს და ერზრუმის ვილაიეთის ერთი ნაწილის, აგრეთვე, ტრაპიზონის
ნის სადროშოს ლაზებზე დასახლებული რაიონების ქრისტიან
ქართველების მმართველობის ქვეშ გადაცემას. ეს პოლიტიკური
ორგანიზაცია, რომელიც მოქმედებს ფრთხილად და იფარგლება
მხოლოდ მუსულმანებს შორის პროპაგანდითა და დეკლარაციე-
ბის გამოქვეყნებით, ფართულად აიარაღებს მოსახლეობას...

მე-9 არმიის სარდალი შვეტი¹⁸

როგორც ვხედავთ, ყველა მკვლევარი (ქართველიც და უცხო-
ელიც) განმათავისუფლებელი კომიტეტის დაარსების თარიღად
მიუთითებს 1918 წელს. მათ შორის აზრთა სხვადასხვაობაა მხო-
ლოდ კომიტეტის დაარსების თვესა და რიცხვში. ამ უკანასკნელის
გარკვევისათვის შეიძლება არ მიგვეცა პრინციპული მნიშვნელობა,
ერთი გარემოება რომ არაა. ცნობილია, რომ კომიტეტის მოქმედე-
ბის ისტორია სულ რაღაც 1 წელსა და 3 თვეს ითვლის. ამ შემთხ-
ვევაში კი მისი დაარსებას ზუსტი დროის დადგენას არსებითი
მნიშვნელობა აქვს კომიტეტის ისტორიის შესწავლისას.

მართალია, განმათავისუფლებელი კომიტეტის წევრებს თა-
ვიანთ მოგონებებში არ დაუსახელებიათ კომიტეტის დაარსების
ზუსტი თარიღი, მაგრამ ამ მოგონებათა ანალიზიდან დაახლოებით
შეიძლება განისაზღვროს ის პერიოდი, როცა ხსენებული კომიტე-
ტი უნდა შექმნილიყო.

ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა ერთი ეპიზოდი კომი-
ტეტის თავმჯდომარის მ. აბაშიძის ავტობიოგრაფიიდან: „...ოქმით
დადგენილი პქონდათ ჩემი თავმჯდომარეობა ხსენებულ კომიტეტ
ში, როგორც კი დაგბრუნდებოდი ტყვეობიდან“.¹⁹

ცნობილია, რომ მ. აბაშიძემ, ქართველი პატრიოტების დახმა-
რებით ტრაპიზონის ციხეს დააღწია ივლისის (1918 წ.)
მეორე ნახევარში.²⁰ რამდენიმე თვით ადრე კი ოსმალთა მიერ ბა-
თუმის ოლქის ოკუპაციის (1 აპრილი, 1918 წ.)²¹ გამო, მტრისაგან
დევნოლმა ქართველ მამულიშვილთა ერთმა მცირე ჯგუფმა
(პ. აბაშიძე, ზ. აბაშიძე, ხ. თხილაიშვილი, ყ. შერვაშიძე; ს. დია-
სამიძე, ქ. ნოლაიდელი და სხვები) თბილისს შეაფარა თავი²², სა-
დაც დააარსეს აღნიშნული კომიტეტი.

მაშასადამე, კომიტეტის დაარსების თარიღი იმავე წლის აბ-
რილ-ივნისის მონაკვეთშია საძიებელი.

თუ მხედველობაში მივღებთ, რომ 1918 წლის 26 მაისსათ-
ვის ბათუმის ოლქიდან დევნილი ქართველი მამულიშვილები თბი-
ლისში იმყოფებოდნენ²³ (რასაც ადასტურებს საქართველოს სახე-



ლმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე განსაკუთრებით ვისუფლებელი კომიტეტის წევრების პ. აბაშიძისა და ყ. შერვაშიძის ხელმოწერა. პ. აბაშიძე კი სამუსლიმანო საქართველოს მცხოვრებთა სახელით მისასალმებელი სიტყვითაც გამოვიდა საქართველოს ეროვნული საბჭოს სსდომაზე²⁴) მაშინ შეიძლება გავიზიაროთ პროფესორ ა. სიხარულიძის მოსახრება — განმათავისუფლებელი კომიტეტის 1918 წლის 15 მაისს დაარსება შესახებ.

„სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი“ მოქმედებდა 1919 წლის 30 აგვისტომდე. „ამ დღეს შეიკრიბნენ ბათუმის ოლქის დირსეული შეილები“ (ი. სიხარულიძე), რომლებმაც მოიწვიეს მხარის მოსახლეობის წარმომადგენელთა ყრილობა და აირჩიეს მეჯლისი. „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელმა კომიტეტმა“ თავისი უფლებები გადასცა მეჯლისს და ამით დაასრულა თავისი მოღვაწეობა.²⁵ მართალია მეჯლისი სტრუქტურულად განსხვავდებოდა განმათავისუფლებელი კომიტეტისაგან, მაგრამ პრაქტიკულად ამ კომიტეტის ხაზის გამტარებელი იყო.

„სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი“ წარმოადგენდა პლიერ-პოლიტიკურ ორგანიზაციას, რომელიც დიდი ნეტორიტეტითა და გავლენით სარგებლობდა მოსახლეობის ფართო ფენებში. კომიტეტის გავლენა დიდი იყო არა მარტო ბათუმის ოლქში, არამედ მთლიანად საქართველოში, იგი წარმოადგენდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შაკოორდინებელ ცენტრს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. „მის გარშემო იკრიბებოდა ყველა პროგრესული ძალა. განმათავისუფლებელი კომიტეტის საქმიანობა კოორდინებულა იყო ამხანად მოქმედ პროგრესულ ორგანიზაციებთან (ქალაქ ბათუმის ქართველთა ეროვნული საბჭო, სამუსლიმანო საქართველოს საქველმოქმედო საზოგადოება და სხვ.), რომლებმაც განმათავისუფლებელ კომიტეტთან ერთად დიდი რაღი წეასრულეს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. ეს პატრიოტული ორგანიზაციები წარმოადგენდნენ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ეროვნული პოლიტიკის აქტიურ და ყველაზე თანმიმდევრულ გამტარებლებს.“²⁶

1920 წლის 7 ივლისს ბათუმის ოლქი ინგლისის ჯარმა დატოვა. აღსდგა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ძურისდიქცია მთელ მის ტერიტორიაზე. განმათავისუფლებელი კომიტეტის ბრძოლა წარმატებით დასრულდა — ბათუმის ოლქი დედსამშობლოს დაუბრუნდა. თანამად შეიძლება ითქვას, „სამუსლი-



მანო საქართველოს განმათავისუფლებელმა კომიტეტმა“ „ამისთავისუფლებელ კრიტიკულ მდგომარეობაში“ მათ მიერ დაკისრებული მოვალეობების შესახებ და პირნათლად შეასრულა“²⁷ და თავისი მამულისწილობით ვალი ღირსეულად მოიხადა ისტორიისა და ქვეყნის წინაშე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ი. სინარულიძე, მერედ აბაშიძის ცხოვრებისა და ნოღაწეობის უმოკრესი მომენტები. წიგნი: მემედ აბაშიძე, რჩეული ნაწერები, ბათუმი, 1973, გვ. 124
2. აბ. სურგულაძე, ცხოვრება და დედალი ჰაიდარ აბაშიძისა, ბათუმი, 1994
3. მ. ჩაქვანიშვილი, მემედ აბაშიძე და აჭარის ავტონომია, ბათუმი, 1993
4. ირ. ქაჯეიძე, ვალნახდილი, თბ., 1978
5. ნ. ახვლედიანი, სახალხო განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიიდან სამხრეთ საქართველოში, ბათუმი, 1956; საბჭოთა ხელისუფლების დამყარება აჭარაში, ბათუმი; 1971; სამხრეთ საქართველოს განთავისუფლებისათვის მებრძოლნი. ბათუმი, 1972
6. პ. ცქვიტარია, აჭარაში რევოლუციური მოძრაობის ისტორიის ნარკვევა, წიგნი II (1914-1921 წწ.), ბათუმი, 1962
7. მ. გიგვიშვილი, ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის აჭარაში, ბათუმი, 1957
8. ნ. ზოსიძე, პოლიტიკური სიტუაცია და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა აჭარაში 1918-1920 წლებში. საქან. დისერტაცია, ხელნაწერის უფლებით, თბ., 1993
9. ჯ. ჩხეიძე, ბათუმი, ისტორიული ნარკვევა, ბათუმი, 1959
10. თ. კოპიაშიძე, მემედ აბაშიძე, ბათუმი, 1992; ბათუმის ამაღლარი, 1993; ჰაიდარ აბაშიძე, ბათუმი, 1994; მამულისწილობა, ბათუმი, 1994
11. გ. შარაძე, მემედ აბაშიძე — თამარ მეფის ორდენის კავალერი, გაზ. ლიტერატურული საქართველო, 1994, № 2
12. ს. ბერსაშაი, მემედ აბაშიძე, ბათუმი, 1960
13. ს. ესინ დაი, ნაციონალური ორგანიზაციების გამოყალიბება სამ სანჯაყში (თურქ. ენაზე), ერზორუმი, 1991
14. იქვე, გვ. 172
15. იქვე,
16. იქვე, გვ. 173
17. იქვე, გვ. 174
18. იქვე;
19. საქართველოს ეროვნული მოძრაობის ისტორიის ბათუმის მუზეუმის არქივი, ფ. 5, საქ. 2/3, ფურც. 8



20. მ. აბაშიძე, რჩეული ნაწერები, ბათუმი, 1973, გვ. 124
21. საქართველოს ისტორიის სარკვევები, ტ. VI, თბ., 1972, გვ. 560
22. პ. აბაშიძე, სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი, გაზ. საბჭოთა აჭარა, 1990 წ., 23 ივლისი
23. გაზ. 26 მაისი, სპეციალური გამოშვება, 1990 წ., 26 მაისი
24. გაზ. ერთობა, 1918 წ., № 107
25. პ. აბაშიძე, დასახ. სტატია
26. ნ. ზოსიძე, დასახ. ნაშრომი
27. გაზ. სამუსლიმანო საქართველო, 1919 წ., № 1, 11 იანვარი



ბათუმისათვის რუსეთის ბრძოლის ისტორიიდან

(1828-1856 წ. წ.)

რუსეთის დაინტერესება ბათუმით და ბრძოლა მისი დაუფ-
 ლებისათვის იწყება 1803-1904 წლებიდან. იგი ინტენსიურ ხასიათს
 იღებს XIX საუკუნის 20-იან წლებში. რუსეთის მმართველ
 და საქმიან წრეებში იზრდება დაინტერესება ბათუმით. ვინაიდან
 რედუტკალეს ხელოვნური ნავსადგური სამხედრო-სტრატეგიული
 და სავაჭრო-ეკონომიკური თვალსაზრისით სავსებით მოუხერხებე-
 ლი იყო. ამიტომ მთელი სიმწვავეით დაისვა საკითხი ფოთისა და
 ბათუმის შემოერთების შესახებ. თბილისის სამხედრო გუბერნა-
 ტორის გენერალ-ადიუტანტ სიბიაგინსადმი 1828 წ. წარდგენალ
 მოხსენებით ბარათში „ამიერკავკასიის სავაჭრო და საშინაო ვაჭ-
 რობის შესახებ“ ვკითხულობთ: „თუ ფოთისა და ბათუმის პორტე-
 ბი არ იქნება რუსეთის მფლობელობაში მაშინ ეჭვგარეშეა საქარ-
 თველოს ვაჭრობა ვერ განვითარდება“.¹

აღსანიშნავია, რომ აგრეთვე ამ პერიოდში დაისვა საკითხი ბა-
 თუმის ეკონომიკური ათვისების შესახებ. ამის ერთ-ერთი ინიცია-
 ტორი იყო ცნობილი რუსი დიპლომატი და მწერალი ალ. გრიბო-
 ედოვი. მან თბილისის სამოქალაქო გუბერნატორ პ. ზავილეისკის-
 თან ერთად 1828 წ. შეიმუშავა პროექტი „რუსეთის ამიერკავკასი-
 ის კამპანიის“ შექმნის შესახებ. პროექტი მიზნად ისახავდა, კამპა-
 ნიის“ მიერ ამიერკავკასიის კოლონიური პროვინციების ეკონომიკურ
 ათვისებას. კერძოდ, მეურნეობის ტრადიციული დარგების მეცხ-
 ვარეობის (მატყლისათვის), მეაბრეშუმეობის, მებამბეობის, მეთამ-
 ბაქოეობის, მეღვინეობის და სხვ., ბაქოს ნავთობის წარმოების
 განვითარებას შესაბამისად ნედლეულის გადამამუშავებელი საწარ-
 მოების გახსნას და ინტენსიური სავაჭრო ურთიერთობის დამყა-
 რებას გარე სამყაროსთან.² ამისათვის, პროექტის ავტორთა აზრით,
 პირველყოვლისა პუცილებელი იყო შავ ზღვაზე პქონოდათ მოხე-
 რებულნი სანავსადგურო პუნქტი, — სადაც შეეძლებოდათ მოეწ-
 ყოთ სსაწყობო მქურნეობა.³ მათ ასეთ პუნქტად მიაჩნდათ ბათუ-
 მი. ალ. გრიბოედოვი და პ. ზავილეისკი ამის თაობაზე 1828 წლის
 7 სექტემბერს მთავარმმართველ გენერალ ფელდმარშალ პასკე-

ცნის სწორდნენ „ბათუმის ნავსადგური თავისი მდებარეობითა და
დრესად მოხერხებულთა კამპანიისათვის“.⁴ აქედან გამომდინარე
ისინი ამიერკავკასიაში რუსეთის საოკუპაციო ხელისუფლების
წინაშე აყენებდნენ საკითხს ბათუმის დაუფლების აუცილებლობის
შესახებ.

ამ საკითხით დიდად იყო დაინტერესებული თვით ხელისუფ-
ლება. გრაფ პასკევიჩის თქმით: ბათუმის დაპყრობის შემთხვევაში
რუსეთი გემებისათვის შეიძენდა უსაფრთხო ნავსადგურს წლის
ყოველი დროისათვის. „ასეთი ნავსადგური შავი ზღვის მთელ აღ-
მოსავლეთ ნაპირზე არ გვაქვს. ეს იქნება ჩვენი ერთ-ერთი საუკე-
თესო შენაძენი მთელ აზიურ ნაწილში“.⁵

ბათუმის დაპყრობის საკითხის აქტიურად დამინათვის
დროც ხელსაყრელი იყო. 1828 წლის 2 აპრილს, დაიწყო ომი
რუსეთსა და თურქეთს შორის. კავკასიის ფრონტზე საომარი მოქ-
მედების ერთ-ერთ მიმართულებას წარმოადგენდა ციხისძირ-
ბათუმის უბანი.⁶ აღნიშნული მიმართულებით საომარი მოქმედება
დაეწავლა გურია-ქობულეთის საზღვრებთან თავმოყრილ რუსეთის
ჯარს (მასში შედიოდა აგრეთვე ქართველ მალიციონერთა რაზმი),
რომელსაც სარდლობდა გენერალ-მაიორი ჰესე.

უნდა აღინიშნოს, რომ რუსთა ჯარს ყველა ცდა, გადაეღახა
ქობულეთ-ციხისძირის ზღუდები და განეფთხებინა შეტევა ბა-
თუმის მიმართულებით, უშედეგოდ დამთავრდა.⁷ მოწინააღმდეგეს
აღნიშნული უბანი კარგად ჰქონდა განაგრეხული, ბათუმში თურ-
ქებმა თავი მოუყარეს 10000-კაციან სპეციალურად გაწვრთნილ,
საკმაოდ კარგად შეიარაღებულ ჯარს.

რუსეთის სარდლობას ესმოდა ბათუმისათვის მხოლოდ სახმე-
ლეთო ძალებით ბრძოლის დიდი სირთულეები. ამიტომ საომარი
მოქმედების გეგმა ითვალისწინებდა საზღვაო ძალების გამოყენე-
ბის აუცილებლობას. 1828-1829 წლების ომში ბათუმი რუსეთის
შავი ზღვის ფლოტის საომარ მოქმედებათა გეგმის ერთ-ერთ
ობიექტს წარმოადგენდა.⁸

ამ ომში შავი ზღვის ფლოტის წინაშე საკმაოდ დიდი ამოცა-
ნები იყო დასახული. მას ევალებოდა ზღვაზე გაბატონება, არ დაე-
შვა ბოსფორის სრუტიდან ოსმალთა ფლოტის შემოსვლა შავი
ზღვის აუზში; გაენადგურებინა მოწინააღმდეგის საზღვაო ძალე-
ბი: ედილიყო დაეკავებინა რუმელიის, ანატოლიისა და კავკასიის
სანაპირო პორტები.⁹

რუსეთის შავი ზღვის ფლოტი შედგებოდა 9 ხომალდის, 5
ფრეგატის, 1 შლიუპის, 1 კორვეტისა და 5 ბრიგისაგან. ფლოტის



სარდალი იყო ადმირალი ა. ს. გრეიგე. თუ არსებულ ცნობებს ვერაძე ვერაძის წმენდით, შავ ზღვაზე მოქმედი მოწინააღმდეგის ფლოტი შედგებოდა 5 ხომალდის, 4 ფრეგატის და რამდენიმე პატარა გემისაგან.¹⁰

დასახული დიდი გეგმების მიუხედავად შავი ზღვის ფლოტის სარდლობა ვერ აღმოჩნდა მოწოდების დონეზე, შავი ზღვის ფლოტის ვიცე ადმირალ ვ. ი. მელიხოვო, როგორც თავის მოგონებებში მიუთითებს, ომის დასაწყისისათვის მათ სრალფერა ცოდნენ მოწინააღმდეგის საზღვაო ფლოტის რიცხვობრივი რაოდენობის, მისი შემადგენლობის შესახებ.¹¹ რამაც გარკვეული ვაგონა მოახდინა რუსეთის ფლოტის მოქმედებაზე. იგრძნობოდა გაუბედობა. უნდა ითქვას ისიც, რომ მთელი საომარი კამპანიის პერიოდში მთავარი ყუთადლება მიაქციეს ჩრდილოეთ და დასავლეთ შავი ზღვისპირეთში საზღვაო ოპერაციების ჩატარებას¹² კავკასიისა და ანატოლიის საზღვაო ზონაში მოქმედებისათვის გამოიყო სამი მცირე სიმძლავრის გემი — მერკური, სოკოლი, პეგასი, ამ ძალებით რამე მნიშვნელოვანი ოპერაციის ჩატარებაზე ფიქრი ზედმეტი იყო. მათი მოქმედება ძირითადად ჯარებდა დაზვერვით წასიათს. ისინი მთელი ომის მანძილზე განუწყვეტლვად აღედგებდნენ თვალყურს აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის რეგიონში მოწინააღმდეგის მოქმედებას. მათ მოახერხეს აგრეთვე გაენადგურებინათ ოსმალთა რამდენიმე სამხედრო და სავაჭრო გემი.¹³

რუსეთის კავკასიის ფრონტის სარდლობის მიერ რამდენჯერმე დაისვა საკითხი დამატებითი საზღვაო ძალების გადასროლის აუცილებლობის შესახებ. ფელდმარშალი პასკევიჩი 1828 წ. ნოემბერში უმაღლესი ხელისუფლებისადმი გაგზავნილ წერილში ითხოვდა, კობულეთ-ციხისძირის მიმართულებით განლაგებული სახმელეთო ჯარებისათვის ზღვიდან დასახმარებლად, მიეშველებინათ რამდენიმე სამხედრო გემი. მაგრამ ამ თხოვნას არსებითი შედეგი არ მოპოვდა.¹⁴ ასევე აღნიშნული საკითხი დაისვა 1829 წლის ზაფხულში ერზერუმ-ტრაპეზუნდის მიმართულებით დაგეგმილ საომარ კამპანიასთან დაკავშირებით. კერძოდ, როდესაც პასკევიჩი დაიწყებდა შეტევას ერზერუმზე ფლოტს უნდა განხორციელებინა აქტიური სადესანტო ოპერაციები, შეებოჭა ტრაპეზუნდისა და ბათუმის გარნიზონები და ეცადა დაეკავებინა აღნიშნული პუნქტები! ამისათვის დამატებით გამოიყო ოთხ გემი: ფრეგატა „სტანდარტი“ და ბრიგი „ორფი“. მიუხედავად ამისა, ეს განზრახვა წარუმატებლად დამთავრდა, რადგან არ არსებობდა ერთიანი მოქმედების გეგმა, არ იყო განსაზღვრული საომარი ოპერაციის დაწყების დრო, რომ

ზღვიდან და ზმელეთიდან ერთდროულად, კომბინირებულა შეტე-
ვით მიედრება წარმატებისათვის. აღმირალ გრევეს ამოღობის
თი ექსპედიციისათვის საჭირო იყო სადესანტო რაზმი არა ნაკლებ
ერთი ფეზოსანთა დივიზიის ოდენობით. ბალკანეთში აქტიური საო-
მარი მოქმედების მიმდინარეობის გამო აღნიშნული ძალების გამო-
ყოფა არ მოხერხდა. აგრეთვე რუსეთის შავი ზღვის ფლოტის ძი-
რითადა ძალები თავმოყრილი იყო რუმინეთის სანაპიროებთან სი-
ზობოლ-აგატოპოლის რაიონში.¹⁵

ამრიგად, კავკასია-ანატოლიის რეგიონში მოქმედებასთან და-
კავშირებით. ვერც ამ ომში აღმოჩნდა შავი ზღვის ფლოტი მოწო-
დების დონეზე. ამკარად იგრძნობოდა მისი „უმოქმედობა და
სისუსტე“. ¹⁶ რამაც მისცა საშუალება მოწინააღმდეგის შედარე-
ბით სუსტ ფლოტს, თითქმის მთელი საომარი კამპანიის პერიოდ-
ში, შეენარჩუნებინა გაბატონებული მდგომარეობა შავი ზღვის აღ-
მოსავლეთ რეგიონში. სწორედ ოსმალთა ფლოტის აქტიურმა მო-
ქმედებამ განაპირობა გარკვეულად რუსეთის წარუმატებლობა
ჭობულეთ-ბათუმის მიმართულებით ბრძოლაში. აღნიშნულ რეგიო-
ნში სამოქმედოდ გამოყოფილი რუსთა საზღვაო ძალები სრუ-
ლიად არ აღმოჩნდა საკმარისი რაიმე მნიშვნელოვანი წარმატების
მოსაპოვებლად. მათი მოქმედება ძირითადად ატარებდა დაზვერ-
ვით ხასიათს.

* * *

ბრძოლამ ბათუმის დაუფლებისათვის განსაკუთრებით მწვავე
ჩასაბით მიიღო XIX ს-ის 50-იანი წლებიდან.¹⁷ ერთის მხრივ
ოსმალეთი, რომელსაც ზურგს უმაგრებდნენ დასავლეთის სახელ-
მწიფოები, ცდილობდა არაგისთვის დაეთმო ბათუმი.¹⁸ რადგან მი-
სი დაკარგვით ბრწყინვალე პორტი ხელიდან ეცლებოდა ერთად-
ერთი საიმედო და უკანასკნელი სამხედრო-საზღვაო ბაზა კავკასია-
ყარიმის სანაოსნო ხაზზე. მეორეს მხრივ რუსეთი დაჯანებით ოლ-
ტვოდა ხელთ ეგდო ბათუმი.

ფაქტობრივად ბათუმი გახდა ახლო აღმოსავლეთის პოლიტა-
კის ერთ-ერთი ყველაზე მწვავე საკითხი. მარქსი ანალიზს უკე-
თებდა თურქეთთან მოსალოდნელი ომის შემთხვევაში რუსეთის
საომარი მოქმედების გეგმას, მიუთითებდა: „მისი (რუსეთის —
რ. უ.) პირველი მოქმედება ალბათ იქნება დუნაის სამთავროს
ოკუპაცია და შეჭრა ყარსსა და ბათუმის ყურეში“...¹⁹

ყირიმის ომის დროს ამიერკავკასიაში რუსეთსა და თურქეთს

შორის დაპირისპირებულობის ერთ-ერთი მთავარი ობიექტი სწორედ ბათუმი გახდა.²⁰ იმპერატორი ნიკოლოზ I მთავარმართებელ გორონცოვს სწერდა: „კარგა იქნება ყარსის შემდეგ დაფუფლებოდეთ ბათუმს“.²¹

რუსეთის კავკასიის არმიის სარდლობის მიერ შემუშავებულ საომარ მოქმედებათა გეგმა ითვალისწინებდა ბათუმზე ხმელეთიდან და ზღვიდან კომბინირებულ შეტევას.²² ამიერკავკასიაში ჯარების მთავარსარდალი, მთავარმართებელი მ. გორონცოვი მიუთითებდა: „ამ პუნქტის დაუფლება მეტად მოსახერხებელია ზღვიდან დესანტის გადმოსხმითა და ერთდროულად ხმელეთიდან ქობულეთის განსაკუთრებული რაზმის მოქმედებით“.²³

მიუხედავად დიდი საომარი გეგმებისა, რომელიც ითვალისწინებდა ამიერკავკასიაში ბათუმის გარდა ყარსას, არტანის და ბაიაზეთის დაპყრობას,²⁴ აღნიშნული ომისათვის რუსეთს სათანადოდ ვერ აღმოჩნდა მომზადებული. ომის დასაწყისში კავკასიაში ბრძოლისათვის მზად იყო 41 ქვეითი ბატალიონი, 26 ესკადრონი, ყაზაკთა 45 ასეული 130 ქვემეხით, აგრეთვე კავკასიის ხალხთა 32 ასეული.²⁵

კავკასიაში ერთ-ერთი ძირითადი მოქმედების ასპარეზზე, ოზურგეთ-ბათუმის მიმართულებით განლაგებულ შეიარაღებულ ძალებს წარმოადგენდა გურულ მილიციონერთა რაზმი (იგი შედგებოდა 7 ბატალიონის, 8 ქვემეხისა და მილიციის 12 ასეულისაგან). აღნიშნული ძალები სავსებით არასაკმარისი იყო რაიმე აქტიური საომარი მოქმედებისათვის.

აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთში სანოქმედოდ გამოიყო რ გემისაგან შემდგარი სადაზვერკო რაზმი ვიცე-ადმირალ სერებრიაკოვის მეთაურობით. ესკადრილის ბაზად დაინიშნა სუტუმი: საზღვაო რაზმის მთავარ ამოცანას შეადგენდა თვალყურა ედევნებინა ბათუმისა და ზღვისპირა სასაზღვრო რაიონებისათვის.²⁶

რაც შეეხება ოსმალეთს, იგი ომისათვის ენერგიულად ემზადებოდა. მან მნიშვნელოვან ძალებს მოუყარა თავი სსსაზღვრო პუნქტებში — არტანში, ყარსში, ბაიაზეთში, ბათუმში. 1853 წლის სექტემბრის ბოლოსათვის ბათუმში იდგა 10 ათას კაციანი ოსმალთა ჯარი სელიმ-ფაშას მეთაურობით, ოსმალთა ჯარება ევროპის სანეკლმწიფოთა დახმარებით აღჭურვილი იყვნენ უახლესი ტექნიკით.²⁷ გამაგრებული იქნა ბათუმის მისადგომები.

ოსმალები თავიდანვე შეეცადნენ რევანშის აღებას. 1853 წლის 15 ოქტომბერს, 5-ათასიანი ოსმალთა რაზმი თავს დაესხა სოფ. შეკვეთილს. 250 კაციანი გარნიზონის შეუპოვარა, უთანასწორო

ბრძოლების შემდეგ ოსმალებმა დაიკავეს შეკვეთილი. 20 დეკემბერს კი ასინი თავს დაესხნენ სოფ. ქაჭუთს. გურულ მფლობელებთან რაზმის მიერ მოგერიებული იქნა მტერი.²⁸

რაც შეეხება კავკასიის ფრონტის სხვა უბნებს, ოსმალებმა დიდი დამარცხება იწვნეს 14 ნოემბერს ახალციხესთან და 29 ნოემბერს ბაშკადიკლართან, ხოლო 20 ნოემბერს რუსეთის ესკადრამ, ადმირალ ნახიმოვის მეთაურობით, სინოპთან განადგურა ოსმალთა ფლოტი.

აღნიშნული წარმატებებით გულმოცემულა იმპერატორი ნიკოლოზ I 1853 წლის დეკემბრის დამდეგს მ. ვორონცოვს სწერდა: „ფიქრობ შესაძლებელია გადამწყვეტი შეტევა მოწინააღმდეგეზე და უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული პუნქტების ყარსისა და ბათუმის აღება“²⁹ მაგრამ ამის განხორციელება არცთუ ისე ადვილი იყო. ყარსს იცავდა 50-ათასიანი არმია 65 ქვეყნებით, რაც შეეხება ბათუმს, ხმელეთიდან მისი დაპყრობა თითქმის შეუძლებელი იყო. რადგან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქობულეთის მიმართულებით თავმოყრილი რუსეთის ჯარის ნაწილები, არათუ რაიმე აქტიურა ოპერაციის განხორციელებისათვის, არამედ თავდაცვითი ბრძოლებისათვისაც კი არ იყო საკმარისი. მით უფრო, რომ მოწინააღმდეგეს აღნიშნული მიმართულებით საკმაოდ დიდი ძალები ჰყავდა თავმოყრილი.

არსებული მდგომარეობა ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების სარდლობის წინაშე აყენებდა საკითხს ეცადათ ბათუმის დაკავება ზღვიდან შტურმით. ამის კარგ შესაძლებლობას იძლეოდა ის, რომ სინოპთან გამანადგურებელი მარცხის შემდეგ ოსმალებს შავ ზღვაზე ფლოტი არ ჰყავდა. ფაქტობრივად ბათუმი ზღვიდან დაუცველი იყო. მ. ვორონცოვი 1853 წ. 24 დეკემბერს სამხედრო მინისტრს სწერდა: „მოკლე დროში ბათუმის დაკავება დამოკიდებულია არსებულ ვითარებასა და ჩვენი საზღვაო ძალების მოქმედებაზე“.³⁰

მართლაც მალე ვითარება ძირეულად შეიცვალა. თურქეთის დამარცხებებით შესფოთებულმა ინგლისმა და საფრანგეთმა 1853 წლის ბოლოსა და 1854 წლის დასაწყისში შავ ზღვაზე შემოიყვანეს დიდი ფლოტი. იგი შედგებოდა 89 სპაჩო ნომალდის, 245 გემისა და 55 ფრეგატისაგან.³¹ აღმოსავლეთ შავიზღვისპარეთის ზონაში მყოფმა რუსეთის ესკადრილიამ, განადგურების შიშით, თავი შეაფარა სევასტოპოლს. შავ ზღვაზე გაბატონდა მოკავშირეთა ფლოტი. მათ დაბომბეს საქართველოს ზღვისპარა პუნქტები, გადასხეს დესანტი და დაიკავეს რედუტ-კალე, ანაკლია, სუხუმი³².



აგრეთვე ბათუმსა და სხვა სტრატეგიულ პუნქტებში მოწინააღმდეგეებთან მოლაპარაკებას, მსაზღვრელოვან ძალებს, 1854 წლის გაზაფხულისათვის ბათუმში იდგა ოსმალთა 30 ათას-კაციანი კორპუსი.³³

შემდგომში, საომარმა მდგომარეობამ შეუძლებელი გახადა რუსეთის მიერ ბათუმის დაუფლებისათვის რაიმე აქტიური მოქმედება. მისი მთავარი ყურადღება გადატანილი იყო ყირიმში მიმდინარე საომარ მოქმედებაზე, ამიერკავკასიის სამფლობელოების დაცვასა და შენარჩუნებაზე. „ომმა, რომელიც გამოგვიცხადა საზღვაო სახელმწიფოებმა ინგლისმა და საფრანგეთმა, — წერდა ცნობილი სამხედრო ისტორიკოსი, გენ. ვ. პოტტო, — გვაძულა გვეფიქრა არა ახალი მიწების დაპყრობაზე, არამედ საკუთარი საზღვრების დაცვაზე.“³⁴

გამოყენებული ლიტერატურა

1 АКТЫ, т. VII, Тифлис, 1878, с. 170.

2 აღ. გობოლევი და პ. ზავილეიკი ვარაუდობენ, რომ პროექტის განხორციელებით ამიერკავკასიის დოვლათიანი პროვინციებიდან რუსეთი მიიღებდა უდიდეს სარგებლობას (დ. ვოგოლიძე „კაპიტალისტური საწარმოები სოცლის მეურნეობასა და შრომისუნარიან რეფორმამდე საქართველოში“, 1830-1864 წ. წ. თბ., 1959, გვ. 12) საქართველოს მთავარმართებელი ხარაში გ. როზენი მაღალ შეფასებას აძლევდა აღნიშნულ პროექტს. მისი აზრით ამ პროექტის განხორციელება დიდად შეუწყობდა ხელს ამიერკავკასიის მხარის ეკონომიკურ ათვისებას. როზენს თქმია: „აქ იქნებოდა ანერჯის შეერთებული შტატები, იქნებოდნენ აქაური ზანგები.“ იხ. «Колониальная политика русского царизма в Азербайджане в 20—60-х годах XIX в., ч. 1, М.-Л., 1936, с. 245.

3 А. С. Грибоедов «Записка об учреждении Российской Закавказской компании» 7/IX, 1828, Тифлис. И. К. Ениколяфов «А. С. Грибоедов в Грузии и Персии» (историко-биографический очерк). Тифлис, 1929, с. 206.

4 А. С. Грибоедов «Записка об учреждении Российской Закавказской компании»... с. 207.

5 АКТЫ, т. VII, с. 759.

6 В. Потто «Три прошлых компании» — в сб.: Батуми и его окрестности. Батуми, 1906, с. 117-118.

7 დაწვრილებით აღნიშნულ საკითხზე იხ. В. Потто «Три прошлых компании», с. 118-127; ვ. (სიჭინავა, ბათუმის ისტორიიდან, ბათუმი, 1958, გვ. 24-29.

8 История русской армии и флота, т. 9, М., 1913, с. 205; вице-адмирал В. И. Мелихов. Описание действий Черноморского флота

в продолжении войны с Турцией в 1828 и 1829 гг. Морской сборник, т. IV, № 9, С.-Пб., 1851, с. 227.

9 История русской армии и флота, т. 9, с. 202.

10 იქვე, გვ. 209.

11 В. И. Мелихов. «Описание действий Черноморского флота в продолжении войны с Турцией в 1828—1829 гг. Морской сборник, т. 3, № 1. С.-Пб., 1850, с. 16.

12 История русской армии и флота, т. 9, с. 209-217; Советская историческая энциклопедия, т. 12, М., 1969, с. 384-385.

13 История русской армии и флота, т. 9, с. 217-219.

14 Акты, т. VII, с. 772.

15 История русской армии и флота, т. 9, с. 226-227; Советская историческая энциклопедия, т. 12, с. 385.

16 ვახ. „ტფილისის უწყებანი“. 1829, № 9.

17 ბათუმი და სავროდ აუარი, რომ რუსეთის საომარი მოქმედების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ობიექტად ითვლებოდა ამაზე ნათლად მეტყველებს კავკასიაში რუსეთის გარის გენ. შტაბის მიერ 1834 წელს შედგენილი ამუერკავკასიის მხარის რუკა, რომელზეც მოცემულია აღნიშნული რეგიონის საქალაქო დაწესებულებათა აღწერა. მასზე მითითებულია დასახლებული პუნქტები: ბათუმი, ქობულეთი, კვირიკე, ჩაქვი, გონიო, კახაბერი, ერგე, დღღოვანი, მახუნცეთი, ქედი, დანდალი, ჭვანა, შუახევი, ხულო, ბაკო, იხ. Карта Закавказского края (составитель Генеральный штаб отдельного Кавказского корпуса). 1834 г.

18 К. Маркс и Ф. Энгельс. Соч. т. II, М., 1958, с. 523.

19 Тоже — соч. 9, с. 145.

20 В. Потто, დასახ. ნაშრომი, გვ. 136.

21 Акты, т. X, Тифлис, 1885, с. 769.

22 საინტრო-სტრატეგიული თვალსაზრისით შეკრებილი იქნა საქმოდ დაწერილებითი ცნობები ბათუმის, მისი საზღვაო-სანავსადგურო პირობების შესახებ. ისინი შეიკრებენ აგრეთვე საინტროსო ცნობებს 50-იანი წლების დამდეგის ბათუმის საქალაქო ცხოვრების შესახებ. იხ.

23 Акты, т. X, с. 757.

24 შ. მეგრელიძე „საქართველო, აღმოსავლეთის ომებში“. თბ., 1974, გვ. 13.

25 იქვე, გვ. 21.

26 История русской армии и флота, т. 10, с. 140-141.

27 შ. მეგრელიძე, საქართველო აღმოსავლეთის ომებში, გვ. 63.

28 ვ. სიჭინავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 42-43; შ. მეგრელიძე, საქართველო აღმოსავლეთის ომებში, გვ. 13, 22.

29 В. Потто, დასახ. ნაშრომი, გვ. 136.

30 Акты, т. X, с. 791.

31 История русской армии и флота, т. 10, М., 1913, с. 143; И. В. Бестужев «Крымская война». 1853—1856 гг. М., 1956, с. 86-87. ნოწინააღმდეგეს ძილებთან შედარებით რუსეთის შავი ზღვის ფლოტი უმნიშვნელო იყო იგი შედგებოდა 14 საზახო ზომადლისა და 12 ფრეგატისაგან. რუსეთის საზღვაო ფლოტის ისტორია ნეკლევაია ა. ი. ლებედევა წი-



რდა: „1858-1856 წ. წ. ომს რუსეთის შავი ზღვის ფლოტი მოუმზადებდა“
 შეხედაო.

32 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V, თბ., 1970, გვ. 203;
 А. Фадеев «Краткий очерк истории Абхазии»: ч. I, Сухум, 1934,
 с. 164.

33. ვ. პოტუო, ღასახ. ნაშრომი, გვ. 136,
 34 იქვე, გვ. 144.



შალვა შუბლაძე

მივიწყებულ პოეტთა შორის თავისი მოკრძალებული მა-
დლიანი ლექსებით გვხვდაეს პოეტი შალვა შუბლაძე. იგი
ბათუმში მოღვაწეობდა... თუმცა ბალოს თბილისს გადავიდა
საცხოვრებლად და იქ აღესრულა კიდევ. ახლა, ალბათ, თბი-
სოცდასაზი-თბიშოცდაოთხი წლის იქნებოდა. ბათუმში მოღ-
წე სწერლებთან კავშირი ყოველთვის კმენდა, ჩამოდიოდა,
ებეცდებოდა ჩვენს ქურონალში მისი ლექსები და ხშირად
ჩვენი შალვა ექვსზე მეტი წიგნის ავტორია: „ორი ხუთწლეუ-
ლი უღელტეხილზე“ (1933 წ.) „მერცხალა“ (საბავშვო პოემა,
1935 წ.) „საბავშვო პიესები და პოემები“ (1959 წ.), „ჩემი
მხარე“ (საბავშვო ლექსები, 1961 წ.) და სხვ. თარგმნიდა რუ-
სულუდაც.

შ. შუბლაძე, ენატებილი პოეტი. მისი შემოქმედებიდან
სული შეირჩევა საუკეთესოთს, ერთი ხელშეხახები წიგნი გა-
მოვა. ალბათ დადგება ასეთი კეთილი დღეც ამ საყვარელი
პოეტისათვის... ახლა კი ვებეჭდავო რამდენიმე ლექსს.

მიაცილებენ წიგნის წარები

ინჟულება

დღეს გაასრულა წიგნი ძმობის
და ტრფიალების,
სული ნეტარებს, უკვდავებას
ნაზიარებს,
დღეს გაასრულა, ბედნიერი
დადგა წუთები,
გასრულდა ფიჭვი, მრავალი წლის
ნასათუთები,
დღეს გაასრულა ნართაული თბოვნა
თამარის,
მეფე ქალღმერთან ვერ იქნება იგი თამამი...
მოეწონება მისი სიტყვა ნაპერწკლიანი,

ვეფხისტყაოსნი,
 იაღონის ხმათა წყრილი?
 აი, ვალო ბაღის კარი
 მალღ ჩინართან,
 ვილაც ვარდების ხშირ ბუჩქნარში გაუჩინარდა,
 კაბის შრიალზე იგრძნო გულმა,
 დიას, ის არის.
 ქვეყნის იმედი, მტერთა რისხვა
 დაუძინარი...
 ქანდაკად იქცა მონუსხულა მისგან მგოსანი.
 რარიგ ახლოა, ღმერთო, ჩემო,
 რარიგ შორს არი...
 შეფემ ღალანდა და წარბშეკვრით
 ბრძანა: ვინ არი?
 იცნო, მოეშვა, მიანათა,
 სახე მცინარი,
 — მადლობა უფალს! ცოცხალს გხედავ
 და მახარია,
 მკვდარი მეგონე, აღარ ჩანდი
 დიდა ხანია!
 ჰკადრებდ მგოსანი: — აქ ვარდებში
 ბედის ძეზნისას
 სულსა ციური მგალობელი
 ნიჭი ეღირსა,
 მას აქეთ გულსა მოსვენება
 არ უწერია,
 ლეგისს ჭაბანი მძიმე ქედით გაუწვევია,
 მე და ჩემს ლექსებს დამე თეთრად რომ
 გვითეგია,
 დღეს წიგნი სრული სიყვარულით
 მომირთმევია.
 — გმადლობთ, მგოსანო, შევიყვარებ
 ვეფხისტყაოსანს! —
 ამინ! სიონის დიდმა ზარმა
 ბანი გამოსცა,
 მას ბანი მისცა სამრეკლოთა სხვათა
 ზარბბმა.
 ზეცის გუმბათი აზრილდა შემაზარებლად,
 ო, ღმერთო, ნუთუ ავბედობა

რამ წაგვეკადა?

ბოგოლოუბსკი ჩამობრძანდა
რუსთა ქვეყნიდან.

— გაბედნიეროთ, მე კი ხსოვნად ეს დღე დამრჩება,
თამარს ვინ კითხავს საკუთარი

გულის არჩევანს?

გრძნობის სასწოროზე

მეფის ბედი არ იწონება,

არაფერს ნიშნავს, მოგწონს

თუ არ მოგეწონება.

ახლა კი წავალ, ღმერთსა შევთხოვ,

იგი გფარავდეს,

მომავლებდე, ვითარცა მე კუბოს კარამდე!

წავიდა თამარ, თვალი გაპყვა

თვალთა მცინართა,

ოქროქსოვილის შარიშურით

გაუჩინარდა.

დარჩა მგოსანი აწ ნანახით გაოგნებული,

რეკენ ზარები, საგალობელს,

ვალთს კრებული.

„მომიგონებდე ვითარცა მე, კუბოს კარამდე“?

პოი, მკინფარო, შუბლი შენი

შუბლზე დამადე.

იქნება გულის ცეცხლსა იმით შემანელებდე,

დაიწვი სულო, ოღონდ იგი ბედნიერებდეს.

უხორცოდ სულის ნეტარება რის მაქნისა,

შენად რომ თვლიდი, გულო ჩემო,

იგი სხვისია.

მაშ, აწ და მარად მისი სულის აყავ

მლოცველი,

ჯვრის მონასტერო, განუმზადე

ბერს სამოსელი.

სამრეკლოებზე გუგუნებენ დედო ზარები,

ზღვა ჩირადნების შუქზე იწვის შემოგარენი,

ხოლო დიდ მგოსანს საკუთარი

გულის ბრძანებით

პალესტინისკენ აცილებენ ზეცის ზარები.

წერილსა მწერ და რომ თრთოლვით გადავშალე
 თვალწან დადგა შენი სახე მოძლიმარი,
 ხელგაშლილი დედას შვილი შეგვეყარე,
 მოგეხვეი... გულში სივრცე ჩაიკარი!
 „ისვენებდე, თუ მტერს შიშის თავზარს სცემდე
 შენთანა ვარ, შვილო, დედის სასოებაგ!“
 ასე მითხრეს ამ წერილის ყველა გვერდზე
 შენი ხელით ჩამოქნილმა ასოებმა.
 ეს ნაზი ხმა მოგონების გახსნის კვირტებს,
 და ბავშვობის დღეთა ფურცლებს გადაამშლის,
 თითქო ვწევარ აკვანში და დედა მიწწევს,
 „ნანა შვილო, ეარღო ნანა“, მესმის ძილში.
 ცხენჯოხათი მოვირბენდი მწვანე ეზოს,
 თან ბუდეებს დავექებდი ბედურების,
 ანდა შვებით შენს კალთაში თავი მედო,
 და ცის ლაყვარდს ნეტარებით შევყურებდი.
 „შვილო ჩემო, ჩვენი ქვეყნის დასაცავად
 ამ ჩვენ ჯარში დააბირებ წასვლას როცა,
 ჩვენი გული გამოგყვება თავისთავად,
 ტაშფანდურით ცზას ბედნიერს დაგილოცავთ!“
 ეს სურვილი აჩრდილივით გდევდა უკან,
 ჩვილ ყრმასავით გითრთოლავდა გრძნობით გული,
 ვინაროდეს, ნატვრა შენი აგისრულდა,
 თაიგულობს სინამდვილე ფრთაშესხმული.
 ზეცა გულმკერდს, ოქროს თვლებით შეიმოსავს,
 ვარსკვლავები ქალწულივით თმებს გადმოშლას,
 ჩემს ფანჯრიდან ტბა ჩვენი მტრის ისე მოჩანს,
 როგორც მთვარე უზარმაზარ ტელესკოპში.
 ქვეყნის დაცვა, მტრის შემუსვრა ვაქეცატურად,
 ჩემს სიცოცხლეს შიის სხივებით აფერადებს,
 ამ ქვეყანამ და ალერსმა მშობლიურმა
 მე სამშობლოს ერთგულ გმირად გამომზარდეს.
 ვერ გაბედავს ჩვენს მუქარას მტერი, რადგან
 ჩვენ დავიცავთ მამულ-დედულს სასახლოდ,
 არ მოხდება, მტრებმა ფეხი გადმოადგან,
 საქართველოს ყვავილები გადათელონ.

ზღვაო, მოხუცო, ახალგაზრდავ,
დაუსაბამოვ!

ზღვაო, საოცრებო,
და ყრუ მემპტიანეც;
უხუღგულოვ, უგრძობო,
მოდო, გამატილოვ,
და თუკი მტერი შემთპარვით ჩაგვისაფრდება,
კრცისერები ყუმპარებით მკერდს დავიჯავშნავს,
და შენი რბსხვით შენი ტანი აქადქაფდება,
ვეშაპიც თვალებს მოარიდებს ჩვენს
ცეცხლთა გაშკაშს.

ზღვაო, ზღვაო, ტიალო,
მარგალიტის კალათავ,
კლიტე უნდა დაუდო
მტრების შემოსავლთან.
პეი, ვინ არის ზღვის ნაპირი
რომ გადმოთელა,
რად იმალება, რად გაუბის
ჩვენს ალალ თვალებს,
ისე დავიჭერ, როგორც ღამით
ციცინათელას,
და მერე მის სულს
მიფუგდებ მთვარეს.

ზღვაო, ჩემო ტრფიალო,
მარგალიტის კალათავ
კლიტე უნდა დაუდო
მტრებს შემოსავლთან.

1932

ა უ ა მ თ ო ბ ა

შქუხს მინდორი ხაღხით საესე,
ციმციმებენ ზღვა თვალეზი,
ჭიბბრნის და დოლის ხმასე
ცაზე ხტიან ვარსკვლავეზი.
კვირაა და ღამე თბილი,
ვამი ტკბილი მოგონებს,
მთის ჭერდობზე ბილიკ-ბილიკ

ჩამორბიან გოგონები,
აქ ქალ-ვაჟი გრძნობით იწვის,
ღვივს გრძნობა ლაყვარდული,
სოფელში კი დიდხანს ისმის
სიმღერა და ტაშფანდური,
აგერ, წრეში გოგო გოგავს,
ვაჟს გაურბის გამალებით,
მუხლი ტოკავს, გული ტოკავს
როგორც ცაზე ვარსკვლავები,
კვლავ იღვიძებს ბრძოლის უინი,
კვლავ მხედრდება მტრებზე გული,
როს მხარდამხარ გადასკვნილი
ბაღნი ხორუმს ჩამოუვლის.
მთაულებო, როგორ გშვენით
ეს მოლხენა საამური,
ჩემს ლექსს ცეცხლად მოეკიდა
ბანგი აჭკენი სალამურის.
შუამთობა, მთიელების
აღტაცების წუთებია.
მინდორ-ვიღზე მოსალხენად
გამოსულან უთენია,
გოგო წრეში ისევ გოგავს,
ვაჟი მისდევს გამალებით,
მუხლი ტოკავს, გული ტოკავს
როგორც ცაზე ვარსკვლავები.

„შავი არაბი თეთრ არაბს უბნს“

იფიქრებ: ტიციან ტაბიძე ამ სტრიქონებში გულისხმობდა ბოროტის შეტევას კეთილის წინააღმდეგ. იგი ხომ შუახნის ასაკში ბოროტი ძალების მსხვერპლი გახდა. ნიჭიერი პოეტის წუთისოფლიდან ტრაგიკულად და ისიც ადრე გადასვლა მშობლიურ ერს მარად კრილობად დააჩნდება. განა ცრემლი არ მოადგება თვალზე რუს მოქალაქეს, როცა გადაფურცლავს, უდროოდ დაღუბული დიდი ტალანტების — პუშკინის, ლერმონტოვის, ესენინის წიგნებს? ლერმონტოვი მხოლოდ ოცდაშვიდი წლისა იყო. ამდენივე ხნის იყო ჩვენი გენიალური პოეტი ნიკოლოზ ბარათაშვილიც, როცა უცხოეთში — განჯაში შავი მიწა დააყარეს გულზე.

დღეს ტიციანი ასი წლის იქნებოდა. ასი წელი სიცოცხლე იშვიათი ბედნიერებაა, მაგრამ ხომ არიან ამ ხნის ადამიანებიც? და ვინ იცის რამდენ ისეთ ქმნილებას შეთხზავდა ტიციანი, საამაყო განძად რომ ექნებოდა ჩვენს ქვეყანას... ყოველ მის ქმნილებას პოეტის მაღლი ამშვენებს. იგი ხომ უბირველესად ჰუმანიტი მგოსანი იყო, რომელსაც ღვთით ემარჯვებოდა გულიდან ამომსკდარი ნედლი და მჩქეფარე სტრიქონების ჩამოჩუქურთმება. ერთი კრიტიკოსი ამბობს: „ბრძოლა და ძიება, სიხალეებისაკენ სწრაფვა ტიციან-ტაბიძის პიროვნული თვისება აღმოჩნდა, ხოლო ყოველივე ეს ბეჭედივით აზის, როგორც მის ბრწყინვალე ლექსებს, ისე ფიქრისა და აზროვნების ყოველგვარ გამოვლინებას, რაც სიტყვიერი კულტურის სხვადასხვა ფორმაში იყო გამჟღავნებული“. ტიციანი ბოლო იაშვილთან ერთად იყო ქართულ ლიტერატურაში ფორმით ევროპული, ხოლო შინაარსით ეროვნული, სიმბოლურად მიმდინარეობის დამამკვიდრებელი. მათ შექმნეს ყურნალი, სახელწოდებით „ცისფერი ყანწები“, რომლის ორი ნომერი ერთად გამოიცა 1916 წელს ქუთაისში. „პიზველეთქმაში“ ბოლო ამცნობს მშობლიურ ხალხს, მოვედით ჩვენ იმ მიზნით, რომ ქართულ ლიტერატურაში სიხალეები დავამკვიდროთ. ტიციანი კი გვაუწყებს: „ცისფერი ყანწებით“ იწყება ახალი პერიოდი ქართულ მწერლობაში... და მხარამხარ დადგენენ: გ. ტაბიძე, ტ. ტაბიძე, პ. იაშვილი, ვ. გაფრინდაშვილი, კ. ნადირაძე, გრ. რობაქიძე, ნ. ლორთქიფანიძე, ი.



გრიშაშვილი და სხვა. უსაზომია „ცისფერყანწელთა“ ოცდენის ღვაწლი ქართული ლექსის დახვეწა-აღწევაში... და დიდი გალაქტიონის შემდეგ ერთ-ერთი პირველი ადგილი ტ. ტაბიძეს ეკუთვნის. ამიტომ ქარაგმულ სიტყვასაც მოიმარჯვებს ხოლმე: „ლექსებს ვიტყვი, ცის ქუხილი რა არის“?! საიათნოვას შიგ საფლავში გაგუტებო ფიცარი“. ამ სტრაქიანების შინაგან არსს, კარგად თუ გავიცნობიერებთ, საიათნოვას კი არ კიცხავს ტიციანი, არამედ გვარწმუნებს, მეც იმაზე ნაკლებ სიტყვას პოეზიაში როდი ვიტყვიო. ტიციანის ლექსი თითქოს ლოდის ნახლეჩის სიმძიმეს იჩენს, მაგრამ ეს მხოლოდ მსუბუქად თვალის გადავლევით. იქ, სადაც პოეტის ტალანტის ვარსკვლავი გამოანათებს, ეს ფიქრი უმაღვე გაგიჭრება. გავიხსენოთ ბრწყინვალე პოეტური ნიუანსებით მდიდარი ლექსები: „მე ყაჩაღებმა მომკლეს არაგვზე“, „ლექსი მეწყერი“, „რია-რია“, „მაშ, გამარჯვება“, „წინათ თუ ერთი იყო მთრეხელი“, „მუხრანის ველზე სათქმელი ლექსი“, „მეწყერი მეწყერს“, „სამშობლო“, ვფიქრობთ, მის მონაგართა შორის გამორჩეულია „სამშობლო“, თითქოს შედიხარ უღრან ტყეში შარავშით, მაგრამ ადგილ-ადგილ გხვდება გაუვალი, აშოლტილი უბეში ეკალშამბნარი, ბინდი რომ დაჰკრავს მის შამოვარენს. ამაოდ ცდილა მავანი და ეს ლექსი, სამწუხაროდ, დიდი შემოკლებით დაუბეჭდავს ერთ-ერთ, თითქმის ანთოლოგიურ წიგნში. დაუბეჭდავს და ამით შეუკრისხავს მისი პოეტური ძალოვანება... რა დიდებულად იწყება ეს ლექსი:

მთაც ლამაზი გაქვს, ბარიც ლამაზი,
 დიდხანს გადარეს მგონებმა ედემს,
 გახედავ და თვალს აბრმავებს ვაზი,
 გახედავ, თვალი ვერ ატანს ქედებს!
 დამეა — თეთრი ირმის ნაწველი,
 დღე — შვინდისფერი — ვარაყიანი.

ეს ლექსი, ვითომ უბეში და ხავერდოვანი სტროფებით ისეა შეკრული, როგორც თავთავების ძნა, ან როგორც ჩონგურის სინები. ერთ-ერთის მოკვეთა დაამკლევებს მთელ ლექსს... საზვასმით უნდა აღინიშნოს ამ ლექსთა უშუალობა დიდი აკაკის ლექსებივით გულზე ცეცხლს რომ მოგიკიდებს.

გამომცემლობა „მერანის“ 1985 წლის გამოცემაში ორმოცდაათამდე მანიასტურა — მოთხრობაცაა დებეჭდალი. ხელშესახებადაა ლიტერატურული წერილებიც, რომლებშიც ხატივით ჩანს ხალხთა მეგობრობის დიდი მოტრფივალე პოეტის სახე.

ტ. ტაბიძე მდიდარი და მრავალფეროვანია, ენაწყოიანი, გად-
ედული მეჩუქტრომეა ლირიკაშიც, პროზაშიც, პუბლიცისტიკაშიც.
სიმშოლისტეზმა, მართლაც რომ დიდი მადლი შესძინეს, გაა-
ნახლეს და გაამდიდრეს ქართული ლირიკა, მოაქანდაკეს ქართული
აზრი.

კიდევ ორმოცა წელი რომ ეცოცხლა, რაც ნორმალურად
ჩაიფლებოდა, ტიციანი იმხელა ბაჯალლო განძს დაუტოვებდა
მშობლიურ ხალხს, რომ დიდ ვარსკვლავად აღვიქვამდით საქართ-
ველოს ცაზე. მისი პატიოსანი სახელი და ბრწყინვალე ღვაწლი მა-
რადიული სიყვარულით არის აღბეჭდილი ჩვენს მატეანეში.

რედაქცია.

დიდ ოცნებათა მომნიჭებელი

ანუ წიგნი ღმთით ხელოვნება

1

ნიჭი არის ყველა ლამაზი ქმნილების შემქმნელი... და როგორ არ უნდა ვაფასებდეთ ნიჭიერს, როგორ არ უნდა გვიყვარდეს იგი! თუ არა პოეტი, მწერალი, მხატვარი, მოქანდაკე, მუსიკოსი, მომღერალი, თუ არა მოცეკვავე, ჩვენი სიცოცხლე უდაბნოს დაემსგავსებოდა, სადაც სუფევს სიცარიელე. თუმცა ქვიშა სიცარიელე რომღია, მაგრამ მას აკლია ის რასაც ჰქვია სიცოცხლე. უდაბნოში აქა-იქ ყვავილები რომ ხარობდნენ, მაშინ მას უდაბნო კი არა, ყვავილთა სამეფო დაერქმეოდა და ცოცხალ არსათათვის სიცოცხლის მომნიჭებელი ბუნებრივი წილის მშვენებანიც გაჩნდებოდა. ამ ხლაბრულ ოცნებას გზად დავემწყემსე, როგა ვმოგზაურობდი ერთ-ერთ მეზობელ ქვეყანაში და უსიცოცხლო ადგილების ნახვით გული მეთანაღრებოდა.

ნიჭიერი შემოქმედი მადლით სავსე ადამიანია. მშვენიერება დიდიც არის და ბატარაც. სიყვარულის სულიერი ხატია: „რა, კარგი ხარ, რა კარგი“, „სიყვარულო ძალსა შენსა“, „სულიკო“, „მერი“, „ნინა ჭაფავაძეს“, „მუხამბაზი“ („გინდ მეძინოს, მაინც სულნი მიზიხარ!“) და იეთიმ გურჯის ლექსიც — „მთლად ქვეყანას მიჩვენისხარ“. მარგალიტი შეაძლება იყოს პატარაც და დიდიც. შემოქმედი შეიძლება იყოს ნიჭიერი, მაგრამ არა დიდი, არა გენიოსი... თუმცა ჩვენი სულის დამატკბობელი ერთიც არის და მეორეც. ჩვენ ის ვთქვათ, ბუნებრივია, ხალასია თუ არა...

ჩვენი საყვარელი ქორეოგრაფი ენვერ ხაბაძე ქეშმარიტად ხალასი ნიჭის ხელოვანია და მარადი იქნებოდა. მისი სახელი მარტო ერთი საწარმოებითაც, რომელსაც მას სახელად დაანათლა „აჭარული სუიტა“. ეს ნოვატორულად, ლაღად და ფაქიზად, დიდი სულით ჩამოჩუქურთმებული რომანია ხელოვნებისა, ჩაღრმავებით დაკვირვება და წაკითხვა უნდა და არა მარტივად თქმა — კარგია! ქვემოთ ვიტყვი კიდევ...

მისი ბიოკი. ბარიდან მთისაკენ ეკლიან-ლორდიანის იყო. შიშველი მკერდიც გაუკაწრავს კიდეც და წვეთებად დაღვრილა მისი სისხლი, მაგრამ ამაზე არაფერს გეტყვის. და თუ გეტყვის, სატანის, მოშურნის, მოღალატის სახელ-გვარის გაუმკლავებლად.

2

მისი ნიჭი ბავშვობიდანვე წარმოჩნდა. მოსწავლეთა საქალაქო ოლიმპიადაზე „აფხაზურის“ ბრწყინვალედ შესრულებისათვის სხვებთან ერთად დააჯილდოვეს. მერე, იმავე წელს რესპუბლიკურ ოლიმპიადაში მიიღო მონაწილეობა და აქაც მისმა „აფხაზურმა“ ყველა გააოცა და პირველი ადგილი დაიმსახურა. უფლება მიენიჭა მონაწილეობა მიეღო ხელოვნების დეკადაში, მოსკოვში... და აქაც დიდი შეფასება მიიღო მისმა ცეკვამ. მაშინ ენვერი 13 წლისა იყო. ხედავთ; რა შეუძლია ხალას ნიჭს! მიყვებით კვალდაკვალ ამ ყმაწვილს...

1936 წელს შეიქმნა ბათუმის სახელმწიფო ქორეოგრაფიული სასწავლებელი. ამ სასწავლებლის პირმშო ხდება, მეორე კურსზე იყო ანუ 14 წლისა, მიიწვიეს არტემ ერქომაიშვილის აჭარის სახელმწიფო ეთნოგრაფიულ გუნდში. (ხედავთ, იმდენად გაითქვა სახელი, რომ ამ გუნდში მიიწვიეს). ამ გუნდთან ერთად არაერთხელ მოიარა ჩვენი საყვარელი საქართველო და როგორც თოვლის აგორებული გუნდა, თანდათან ასე იზრდებოდა მისი სახელი.

დაუფიქვარია ერთი ფაქტიც: კომკავშირის დაარსების 20 წლისთავე შეიქმნა საკავშირო-საიუბილეო გამოფენის მომწყობი კომისია. ამ კომისიამ აჭარაში მოაგლინა მოსკოველი მოქანდაკე მარია სტოლბნიკოვა, რომელსაც ორი ექსპონატი უნდა შეექმნა: მშენებელი და ხელოვანი. ხელოვანიდან აირჩია ენვერ ხაბაძე. რადგან მოეწონა მისი ცეკვა, მარია გაიტყობით იტყვის: „მე ვესწრები ასალი უმშვენიერესი ტალანტის დაბადებას“... მარია განაგრძობს: „შენდევ ამ ესკიზით მოსკოვში შევასრულე ნატურალური ზომის სკულპტურული ფიგურა. რომელიც მთელი ორი თვის მანძილზე ექსპონირებული იყო ტრეტიაკოვსკის გალერეაში კომკავშირის მე-20 წლისთავესადმი მიძღვნილ გამოფენაზე“. მერე კი, როცა ენვერმა შემოქმედებითი მოღვაწეობის 25 წლისთავი გადაიხადა, ქალბატონმა მარიამ შექმნა ამ უნიჭიერესი ხელოვანის ბრინჯაოს ბიუსტი, რომელიც ახლა ინახება აჭარის სახელმწიფო მუზეუმში, რამდენი ინატრებდა მის ბედს, მაგრამ ყოველივე ეს ამ ხელოვანის ხალასი ნიჭის მონაგარია და ალალ იყოს მისთვის ჩემ სიტყვათა



3

1944 წ. შეიქმნა აჭარის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, რომელსაც ხელმძღვანელობდა ცნობილი ლოტბარი მელიტონ კუხიანიძე. ენვერი აქ მიიწვიეს მთავარ ქორეოგრაფად, სადაც 46 წელი იმუშავა. 21 წლისა მოვიდა ანსამბლში და დატოვა 6 წლისამ... აქ უფრო შემწიფდა მისი ხელოვანება, შემწიფდა და უფრო დაიხვეწა ისე, რომ შეიძლება ფიგურალურად ვთქვათ: ცეკვის ყოველი ნიუანსი ანთებულ სანთლებად აქცია.

1944 წ. თბილისში გაიმართა ამიერკავკასიის რესპუბლიკების მუსიკის დეკადა. აქ, ენვერის ხელმძღვანელობით მაღალსტატუსურად გამოაბრწყინეს სცენიდან აჭარელმა მოცეკვავეებმა და გააოცეს თბილისელები, რაზეც სწერდა გაზეთი „კომუნისტი“.

4

ენვერი ფიქრობს, ფიქრობს აჭარაში დამკვიდრებულ ხალხურ ცეკვებზე და აღმაცერად უყურებს „ცოლსამას“. აღმოსავლური მოტივები მიტმასნაო და იმუშავა ამ ნიჭიერმა მის დახვეწაზე, ბოლოს „განდაგანა“, რომ დაარქვა, ესეც მის შემოქმედებით ნიჭზე მკვერამეტყველებს. 1945 წელს კი „განდაგანა“ უკვე სრულდებოდა სცენაზე... და ეს ცეკვა უნახავს ბათუმში, საყვარელ პეტეს ოსებ გრიშაშვილს და ასეთი წერილიც ახვედრა: „ენვერ ხაბაძეს, გთხოვთ გადასცეთ თქვენს მშვენიერ კოლექტივს თქვენი ცეკვით გამოწვეული ჩემი სიყვარული.“

ოსებ გრიშაშვილი. 1945, 12.02.

მერე ენვერმა თვალი დაადგა ლაზურ ცეკვებს და ისე დახვეწა, რომ ამ ხალხის ეთნოგრაფიული ნიუანსებით გამრავლდა, ახლა, რომ ვიხილავთ ხოლმე ამ ცეკვებს სცენაზე, და ძალიანაც მოგეწონს, ბატონ ენვერის ნიჭისმიერია.

აქვე უნდა ითქვას „გადახვეულ ხორუმზეც“. ამ ცეკვის არსი ახსნილი არ იყო, რის გამოც ოფიციალურად ხორუმი „გადახვევის“ ვარემე სრულდებოდა. შუამთობაზე ნახა გადახვეული ხორუმი და ერთ მოხუცთან საუბრის შემდეგ ახსნა კიდევ — იგი ბრძოლის გამომხატველი ციკლიათ და „ხორუმი“ უნდა სრულდებოდეს



„გადახვეული ხორუმით“. ასეც გააბატონა ეს ცეკვა სცენაზე. ასევე ჩაუვეირდა „ოპოი ნანოს“ (ანუ „ჯონით ცეკვა“), რომელიც საქორწილო ცეკვაა. ეს ცეკვა ნიჭიერად გადაახალისა და როცა თბილისში მოუხდათ გამოსვლა, ამ ცეკვას „დიდი სიახლე“ უწოდეს. მასთანადამე „გადახვეული ხორუმი“, „მებადურთა ცეკვა“ და „ლაზური“, „განდაგანა“ და თეატრალიზებული ძველებური ცეკვა „ოპოი ნანო“ (ეს აღმოჩენა ეკუთვნის ენვერს) ამ უნიჭიერესი ქორეოგრაფის ნიჭით არის დახვეწილ-გადაახალისებული და უფრო ამაღლებული. ხელოვნებათმცოდნე პროფესორმა ლილი გვარამიძემ, სხენებულ ცეკვებს, გარდასული საუკუნეების სიღრმიდან მზის სინათლეზე გამოტანილი ცეკვები უწოდა. ეს სიტყვებიც ჩვენი ხელოვანის მაღალნიჭიერების გამომხატველია.

5

აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის (ხელმძღვანელია ეხვერ ხაბაძე) რეპერტუარი უხვი იყო: „ქართული“, „ფერხული“, „წყაროსთან“, „მთიულური“, „ფარიკაობა“, „აფხაზური“, „ოსური“, „სვანური“, „სომხური“, „ქალთა აზერბაიჯანული“, „სამაია“, „ლელო“ და სხვა. ეს ცეკვები უმუშალოდ ბატონ ენვერის ხელმძღვანელობით იღვმებოდა. დგამდა თემატურ ცეკვებსაც — „ზეიმი სოფლად“, „საკოლმეურნეო“, „ნესაზღვრეთა ცეკვა“. ესენი როდი იყვნენ მექანიკურად შეკრულნი, არამედ ხალხური ნიუანსებით გაუხვებულ-გამშვენებულნი. 1945 წ. განაზრციელა „ქაჯეთის ციხის აღება“, რომელშიც შერწყმულია ხალხური და საკუთარი ფანტაზია. აქ მთავარი ბოროტების სიმბოლო შ. რუსთაველის ქაჯეთია, აქვს თავისი ფანტაზიით შექმნილი დადგმებიც. ასეთებია „თებრონე მიდის წყალზედა“, „ბანი მითხარით ბიჭებო“, „სულიყო“, რომელთა შესრულებას ამშვენებდა სიმღერები.

6

ყველაფრის აკინძვა ამ ბატარა წერილში არ ხერხდება. მაგრამ მთავარი მაინც ვგსურს აღვუხსნოთ, რომ ჩემეული დასკვნებიც გავაკეთო. დამსახურებულმა კულტურის მუშაკმა, ცნონებულმა პეტრე სულაბერიძემ, რომელმაც სახელი გაითქვა ლექციებით, „ვეფხისტყაოსანს“ რომ ზეპირად გადმოსცემდა და თან ეკრანზე უჩვენებდა შოთას გმირებს იმპროვიზირებულად, მან პირველმა

დაწერა და გამოაქვეყნა მონოგრაფია ენვერ ხაბაძეზე. იგი ენვერზე
ზე ააეთ აზრს გვაწვდის:

ეროვნული
ბეჭდვითი ქარხანა

— ვის არ ახსოვს მისი ცეცხლოვანი „ფარეხობა“, „მთიულუ-
რი“, „აფხაზური“, „სევანური“, „კინტაური“, თუ „ყოლსამა“, ხაბა-
ძისეული „ქართული“, ეს იყო საოცარი კდემამოსილებებისა და სი-
დარბაისლის, ჭაბუკის რაინდული შემართებისა და თავშეკავების
მიწიერი სიყვარულის უკვდავი პოემა.

1957 წელს ანსამბლმა დიდი გამარჯვება მოიპოვა აჭარის კუ-
ლტურისა და ხელოვნების დეკადაზე თბილისში. 1958 წელს მოი-
არა უკრაინა, ბელორუსია, მოლდავეთი, ბალტიისპირეთის რესპუ-
ბლიკები, მოსკოვი... და აი, ანსამბლი პირველად გადის საზღვარგა-
ეთ. „მსოფლიოს მერვე საოცრებად“ აღიარებულ საქართველოს
ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის შემდეგ, მეო-
რე იყო აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი, რო-
მელსაც წილად ხედა დიდი პატივი საზღვარგარეთისათვის ეჩვენე-
ბინა ქართული ხელოვნება.

არაბთა გავრთიხებულები რესპუბლიკისათვის პირველი შეხ-
ვედრა მოეწყო ქართულ საგუნდო და ქორეოგრაფიულ ხელოვნე-
ბასთან. რომლის კონსულტანტები იყვნენ ნინო რამიშვილი და ილი-
კო სუხიშვილი. მ2 კონცერტი ქაბოში, დამასკოში, ალექსანდრიაში,
პორტსაიდში, ხარტუმში და ტირანიაში. ქართული სიმღერისა და
ცეკვის ზეგმი ნილოსის ნაპირებზე, ყველა ამ ცერემონიალის მო-
ხაწილვა ენვერ ხაბაძე და დასძენს, რომ ეს ჩემთვის დიდი სკო-
ლა იყო. იგი გვიყვება აგრეთვე ვასტროლებზე, ბათუმთან დაძმო-
ბილებულ ქალაქებში — ხერსონსა და მაჰაჩყალაში. 1967 წ. კვლავ
უკრაინა, ბელორუსია, ბალტიისპირეთი, ლენინგრადი, მოსკოვი...
მერე პირველი გამგზავრება შორეულ ციმბირში — ტუმენის
ნეფტეიუგანსკის, ნიენგარტოვსკის, სურგუთის ნავთობსარეწებ-
ში, კონცერტები საბჭოთა საპატიმრო კოლონიებშიც... მერე ბულ-
გარეთის რესპუბლიკა — ბურგასის ფოლკლორის საერთაშორისო
ფესტივალი, ბულგარეთში ისეთი დიდი წარმატება ჰქონდათ, რომ
თადიმაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტის
ოქროს ფონდისათვის გადაიღეს „განდაგანა“, „ბორუმი“, „ლაზუ-
რი“ და „საწვიმო“.

ენაწყლიანად გვიყვება ენვერი გერმანიის დემოკრატიულ რე-
სპუბლიკაში ქართული კულტურის დღეებისა და 1971 წ. კრემლის
ყრილობათა დარბაზში გამართული კონცერტის შესახებ... საბჭოთა
კავშირის თითქმის ყველა რესპუბლიკაში, ქალაქსა და ოკრუგში
გაუმართავს კონცერტები აჭარის სახელმწიფო ანსამბლს..

1974 წლიდან ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელად და მთავარ
ვარ ქორეოგრაფად ინიშნება ენვერ ხაბაძე. კიდევ რა დეაწლი და-
სდო ანსამბლს ენვერმა? ანსამბლის კონცერტებში შეიტანა მეტი
დინამიურობა, გაამდიდრა საგუნდო რეპერტუარი აჭარული ფოლ-
კლორის ნიმუშებით, უფრო ჭარბად შეიტანა აჭარული სიმღერე-
ბი... და ამან გუნდს ბატვრული ეფექტიანობა აამალდა, უფრო
ორაგინალური გახდა მისი არსი.

1980 წელს დანიაშია ანსამბლი. 1979 წ. პოლონეთში, სად არ
იყო ანსამბლი! მაგრამ აღსანიშნავია ანსამბლის წარმატება მოსკო-
ვში 1980 წელს, სადაც გაიმართა კონცერტი ხელოვნების მუშაკთა
ცენტრალურ სახლში. „თაიგული აჭარიდან“ — ასე მონათლა გაზ-
ეთმა „პრავდაში“ ანსამბლი. ამ წერილში დასახელებულია ენვერ
ხაბაძე, როგორც ნიჭიერი ხელოვანი... ვინ ჩამოთვალოს გასტრო-
ლები... და გასტროლები!

ენვერ ხაბაძეს 1946 წელს მიენიჭა აჭარის დამსახურებული
არტისტის საპატიო წოდება, ხოლო 1957 წელს — საქართველოს
დამსახურებული არტისტისა. 1985 წელს მას მიენიჭა საქართველ-
ოს სახალხო არტისტის წოდება. დაჯილდოებულია საპატიო ნიშ-
ნის ორდენით, მედლებით, საპატიო სიგელებით. მოიპოვა რესპუბ-
ლიკური, საკავშირო და მსოფლიო ფესტივალების ლაურეატის წო-
დებები, მან ჩამოაყალიბა ქ. ბათუმის მერიის ფოლკლორული ან-
სამბლი „ბათუმი“, რომელმაც დასამახსოვრებელი; მრავალმხრივ
მნიშვნელოვანი, ბრწყინვალე კონცერტები გამართა ბათუმშიც,
თბილისშიც, თურქეთშიც და ა. შ. „ბათუმის“ მომავალი ბრწყინ-
ვალე იქნება, რაკი ე. ხაბაძე უდგას სათავეში.

ენვერ ხაბაძის შემოქმედებაში განსაკუთრებით აღსანიშნავია
„აჭარული სუიტა“, რომლის უპირველესი ღირსებაა მონუმენტუ-
რობა. ჭეშმარიტად დიდი ნაწარმოებია.

ვიდრე ჩემს დასრულებულ აზრს ვიტყოდე, აქ ერთი ხელოვ-
ანის წერილიდან ნაწყვეტს მოვიტან. აი, ისიც: „აჭარული სუიტა“
ავტორმა სახელოვანი პატრიოტის მეშვე აბაშიძის დაბადების 120
წლისთავს მიუძღვნა. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, მსგავსი
სასცენო კომპოზიცია უკანასკნელ წლებში არ გაეღებებულა. ცეკვა
გვაჯადოებს შინაგანი მადლით, პოეტურობით, აჭარული ხასიათის
წარმოჩენის უშუალოებით. აქ ყველა ნიუანსი ახლომდელი და ნაც-
ნობია. თუმცა იქნება შთაბეჭდილება, რომ თითქოს პირველად
ვხედავდეთ გამოსახვის ნათელხატებას, ოსტატის ხელით ნაქარგ
სურათებს... ერთი სიტყვით ნიჭიერება არ ბერდება“ (წ. ლაზიშვი-



მე მკაწრავს სიტყვები: „აქ გველა ნიუანსი ახლობელი და ნაცნობია“.. რატომ? აი, რატომ... ქართველებს ერთი ენა გვაქვს — ქართული. ერთია მისი ლექსიკა და სემანტიკა, სიტყვათამრავლობა, მაგრამ ამ ენაზე შეიქმნა შედეგები ლირიკაშიც, ეპოსშიც, პროზაშიც და დრამატურგიაშიც. ეს ქმნილებები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან შინაგანი წიაღსვლებით, სიტყვათა ჩუქურთმებით, სიტყვის სიტყვაზე, აზრის და ფიქრების ერთმანეთზე ორიგინალურად მიშენებით, ანუ თვითნებულ შედეგში გამოტყვევით ავტორის სულისკვეთება და ხელწერა, მისი სახალხოობა. „აქართული სუიტაც“ ასე უნდა განვიხილოთ და არა მექანიკურ ნაერთებებად... აი, რას ამბობდა ლიტერატურათმცოდნე და კრიტიკოსი ვახტანგ კოტეტიშვილი აკაკი წერეთლის ლირიკის შესახებ: „საკუთარი სტიქიის გამოჩენით, აკაკი წერეთელი სრულიად დამოუკიდებელ და ეროვნულ პოეტად უნდა ჩითვალოს, ერთი შენიშვნით: იგი ზამთრად ქართულ ხალხს, მის პოეზიას, და განსაკუთრებით, იმ მოხეტიალე მესტირეებს, რომელნიც ევლებოდნენ მთელ ჩვენს ქვეყანას და პოეზიის თილისმით აკავშირდებდნენ მის დაფანტულ ნაწილებს. იგი მთელი თავისი პოეტური მიმღობით შეისუნთქავდა იმ თვისებებს, რომელსაც ჩვენი ხალხი იჩენდა, თავისში გადაჰქონდა ის სევდა, რომელიც ჯანყივით აბნელებდა ჩვენს არსებობას, ენთებოდა იმ მომავლისადმი წარუხოცველ ღწმენით, რომელიც ძალუმაღ იყო ფესვგადგმული ჩვენს ხალხში, საუკუნეთა მიერ ნახარდი და მტკიცე. ყველა ამ თვისებებს იგი რაღაც ახალი ჰარმონიით სხვაგვარად აღუღაბებდა და, სინამდვილესა და ოცნებას შორის დარჩენილი, მაინც იძლეოდა იმ სიბოძსა და სინათლეს, რომელიც მთელ მის შემოქმედებას ემჩნევა“ (ვ. კოტეტიშვილი, ქართული ლიტერატურის ისტორია (XIX ს.), 1959, სახ. გამოც. „საბჭოთა საქართველო“).

ენვერ ხაბაძის მთელი მოღვაწეობა იმითაა ფასდებული, რომ იგი თავის ხალხთან ახლოს იყო, ხალხურ შემოქმედებას, მის ნიმუშებს, ნიუანსებს ღრმად აკვირდებოდა და ასე ხვეწდა თვითონეულ ცეკვას, ქმნიდა ახალ მონაკვეთს, აკლებდა იმას, რაც ზედმეტი იყო, ჰმატებდა კი იმას, რაც საჭირო იყო, ასეთივე გულით შექმნა მან „აქართული სუიტაც“, და იგი ორიგინალური რომანტიკული რომანია თავისი შინაგანი წიაღსვლებით, ნიუანსებით, იკვებება მონაწილეთა სახეები არა ისე, როგორც ეს ცალკეულად გვინახავს, არამედ ისე, როგორც პატარა მდინარე უერთდება დიდ



მდინარეს, იქცევა მის ორგანულ ნაწილად. მაგრამ პატარა მდინარე თავისთავად არსებობს, მხოლოდ მამის ჰერეზა თითქოს, რომელიც დიდს უფროდება. ასე უნდა განვიხილოთ „აჭარული სუიტაც“: „აქ ყველა ნიუანსი ახლობელი და ნაცნობია“, მაგრამ სხვაა, ის არაა, რაც ცალკეულად გვინახავს. „აჭარული სუიტა“ მეტად ორიგინალური, ახალი ქორეოგრაფიული დიდი წიგნია, რომელიც აჭარის ცხოვრებასთან, მის მკვიდრთა სიცოცხლესთანაა შედუღებული და მასთან ერთად არსებობს, როგორც განუყოფელი არსება. „აჭარული სუიტა“, როგორც პოემა „ახანის არწივები“ (მ. ვარშანიძე), აჭარა — წარსული, აწმყო და მომავალი აჭარა. ეს დიდი ნიშანთვისება ამ ნაწარმოებთან დაახასიათებელია, შინაგანი არსია და ეს ჭეშმარიტება განუყვეთელია. ორივე მონუმენტური ნაწარმოებია და ეს არის მათი მთავარი ღირსება მალა მხატვრულობასთან ერთად.

ამ აზრს მახიარა მუხრან კობლაძის წიგნმა „გული უბერებელი“, რომელიც 1995 წელს გამოიცა და ეძღვნება 70 წლის თმათეთრ სახელოვან ქორეოგრაფს თანამემამულეს ბატონ ენვერ ხაბაძეს. წიგნი გულდასმით, მთელი გულწრფელობითაა შედგენილი, როგორც ეს მის ავტორს დაშვენდებოდა.

ბატონი ენვერ ხაბაძე ჭეშმარიტად პირველი, გამოჩენილი, ხალასი ნიჭით დაჯილდოვებული დიდი პროფესიონალი ქორეოგრაფია სამხრეთ საქართველოდან. ეს აზრი შეუვალია, მას შემცვლელი და ტოლი არა ჰყავს. მისი 70 წლის იუბილე დიდი ზეიმით ჩატარდა ჩვენს დრამატულ თეატრში. პოეტი მამია ვარშანიძე პარტერში წინ იჯდა. ერთმანეთს მიესალმნენ, ხელი ჩამოართვეს და მოეხვივნენ. პოეტმა რაღაც ფურცელი გადასცა, მერე ვკითხე ენვერს, რა იყო მეთქი, ლექსი იყო. სცენიდან უკვე მისი ვრცელი ლექსი წაიკითხეს და ეს ლექსი ჩემს ბანკეტზე წასაკითხავად შევიწინაზე, მაგრამ ბატონი მამია ბანკეტიდან ისე წავიდა, არც კი გამოვიდა, თორემ შევაჯავებდიო. ენვერს ის ლექსი ორი დღით გამოვართვი, რომლითაც გამოავრებ ამ წერილს.

წახელ გნახე სიზმარში...

ვუძღვნი საქ. რესპუბლიკის სახალხო არტისტს, ცნობილ ქორეოგრაფს ბატონ ენვერ ხაბაძეს

ლექსს გვირგვინად დავიწნავ თმაჭალარა ხელოვანს,
წუხელ გნახე სიზმარში, — ვარდი შემოგხვეოდა,

და შედ იჭდა ბულბული ტრეობით ოხერა-მკენესაი,
შეგეცოდა მიჯნური ამო პანგთა მკემსავი,
ხელით მიეაღერსე შენ ვარდსაც და ფრინველსაც...
ნეტაე, ეს რას ნიშნავდა? ვერაფერი ვთქვი ლექსად...
ამ ჩემს ბჭკარებს ანასხლეტს სიმებად და ჩუქურთმად,
და ჩემს ფიქრებს აღვხნებულს მე ჩავთვლიდი უკუთქმად,
სიყვარულიდ შენით, რომ არ იწვოდეს ჩირადნად,
მე არ მიყვარს ჩანგიც კი უსაზომოდ ჩხრიალა.
შინდა ჩუმად შემოვდგე იმ ჩვენი მთის ქიმეზზე,
ლექსი გითხრა იქიდან, შენ ღიმილით მიმხერდე...
მარცვალ-მარცვალ რომ ჰკრეფდი მარგალიტებს
გაპნეულს,

მერე მიაშველებდი სულ შენეულ აპურს,
მტვერს აცლიდი და ხვეწდი „განდაგანას“, აქარულს,
ამრთელებდი დაღეწილს, თურმე, შორს, შორს გაჭრა
გსურს.

და ვინ იცის რამდენი ღამე ფიქრში გადადნა,
ხან ხალხურმა და ხან კი შენმა მუზამ გადარდა.
ვერაფერს ვერ მოიძვი თუ სული არ დაიწვა,
შენც იწვოდი, იღწვოდი, და აკვანიც დაირწა:
დაიბადა ახალიც, საპოვნელი იპოვე,
ასე ლექსი გეწერა, შეგარქმევდი დიდ პოეტს.
შენი ნიჭი ბაჯადლო არ კრთებოდა არსდაც,
შენ არსენა იყავი, ზოგი ჰგავდა ფარსადანს.
ზოგს თუ მისცემ ასპარეზს, ნახე, მერე რანი ქნას,
თითქოს დიდებს მოუხმობს, რომ მანც დიდი დაირქვას.
მუდამ გეპართებს სიტხიზღე: პირისპირაც გამოვლენ,
მათ გაჩორკნილ ჯამებში შხამს განა რა გამოვლენს.
ბევრჯერ შემოგვჩენიან ხან ჩუმად და ხან რისხვად,
მიტომ ღვთის ხმა გვაფრთხილებს: რაინდებო,
მზარინხარს!

რომ ღვთის ჭეშმარიტება ყველგან ლაღად სუფევდეს,
რომ შეუცვლელ რჩეულებს გზაზე ვარდებს ვუფენდეთ.
ჩვენ გვახსოვდეს ოტელოც, და გვახსოვდეს იაგოც,
რომ სატანა ოხერი უფსკრულისკენ მივადლოთ.
გვახსოვს, განა არ გვახსოვს, განა ქვევრში ჩარეკავ?!
მოდო, ერთი დაგლოცო, მომე შენი ჩარეკა!
შენ ხარ კაცი პირველი, მერე რა თავმდაბალი!
ესალმები ყველას და... გესალმება მთა-ბარი.

ჩამოდინდი თანდათან, როგორც ქვევრში მატარი,
ხელოვანი მეფე ზარ არა მარტო აჭარის...
შენი ვუღოთ რჩეულით რა ქვეყნები გინახავს!
რაინდული სულისაჲ, გულისგულში გინახავთ.
ვეხარია, რომ ღმერთმა დიდი ნიჭით შეგზავსა,
საქართველოს რჩეულთა შორის ერთი შენაც ზარ...
წუხელ ვნახე სიხმარში, ვარდი შემოგხვეოდა...
მე კი ლექსით მოვედი და გეხვევი ხელოვანს.

1995, 31 მარტი.

შინაწერი: ბატონო ენვერ, კვლავაც გეცოცხლოს სამოცდაათი
წელი და ერთი „აჭარული სფიტის“ ტოლი ნაწარმოები კვლავაც
შეგექმნას. ეს მარტო ჩემი კი არა, შენი აჭარის თხოვნაცაა.

სიყვარულით შენი თანამეგობრული.

1995, 11 მაისი



აკოპანდილ ვარსაგაძე

ბარიელ ვარსაგაძე

განჯილული დილოგები

მინაწერი: ამ დილოგების ავტორები ძველ თაობის ცნობილი ლიტერატურის მკვლევარის: აკაის, ვაჟას, ილიას, გიორგი წერეთლისა და სხვა გამოჩენილ კორიფეოთა თანამედროვის ბატონ იპოლიტე ვართაგეას შვილიშვილებია: ვართაგეას ოჯახთან 1964 წლიდან ახლო ურთიერთობა მაქვს. ძმები მხატვრებია. დაოსტატებულნი არიან ეკლესიების შიდა ინტერიერების, გუმბათების მოხატვაში, მათმა თანასოფლებმა, კითხურებმა ერთმა ბიზნესმენმა თავის სოფელში ააშენა დიდი ეკლესია და ნისი მოხატვა ახლავა ძმებს. დაეთანხმნენ. საეკლესიო-სახალხო საქმეს რამდენიმე წელს შესწირავენ და დაამშვენებენ კიდევ თავიანთი ნიჭის წყალობით. ცხოვრობენ თბილისში, მკვრამ აქვთ დიდი ბაბუნის საბჭები სახლ-კარი და საკარმიდამო ნიწა კითხურაში, სოფ. ბეინევიში. ამ შექიჩვების ყამს სოფლის მეურნეობასაც ეწევიან. ტარიელი ერთ თანასოფელელ მეტყევე ინჟინერთან ერთად ჩამოვიდა ჩემთან ბათუმში. თან ძმის ავთანდილის მრავალმხრივ საინტერესო წერილიც მომართვა. მწაზარეს, ძალიან გვიჭირს, დაგვეხმარე, სამუშაო გვაშოვნე, ფიზიკურად ვიმუშავებთ, თღონდ ცოტა რამ ვიშოვნოთ.

ორივე სამუშაოზე განვაშქესეთ ქ. ბათუმის საზღვაო პორტის უფროსის ბატონ ასლან ბოლქვაძის დახმარებით. უფასოდ უზრუნველყავით პინით, პორტში კვებაც უფასოდ ჰქონდათ. 17 მარტს მეტად კმაყოფილი გავამგზავრეთ კითხურისაკენ დაიმედებით: თუ კვლავ დაგვირდეთ, მე მზად ვარ კვლავ მხარში ამოვიდგეთ-მეთქი.



„გულახდილი დიალოგების“ ჩემული პასუხები გავცანი ბატონ ტარიელს. გაეხარდა და ნთხოვა: იქნებ თქვენს ჟურნალში დავებეჭდოთ.

კადნიერებად ნურავინ ჩამითვლის, რომ დიდი იბოლიტე ვართავავს ბადიშების თბოვნას ვისრულ-ებთ. და ვბეჭდავთ „გულახდილ დიალოგებს“ („რამ-დენიმე შეგიოხვა პოეტ მამია ვარშანიძესთან“).

მამია ვარშანიძე

1995

ყოველი შემოქმედი, როგორც რანგისაც არ უნდა იყოს იგი, ხელოვნებისა და ლიტერატურის რომელ უნარსაც არ ემსახურებოდეს, როგორც არ უნდა იჭერდეს ცხსთან სიახლოვეს, პირველყოვლისა ის მაინც მიწიერია, ამქვეყნიური ცხოვრებით მცხოვრები. ხოლო როცა ის ინტუიციური გაცნაობის წუთებში ასე თუ ისე შორდება მიწას, ხდება სასწაულებრივი მეტამორფოზა მასში და უბრუნდება თავის პირველ საწყისს — გენიას.

მოკლედ — ორმაგი ცხოვრებით ცხოვრობს პოეტი.

ათასოდეს თავისთავს არ ეკუთვნის.

მოგლენილია ამა ქვეყნად, როგორც საკუროთხვევლს შესაწირი ზვარაკი.

ასეთად ვიცნობთ ჩვენ და საერთოდ ჩვენი ლიტერატურული ოჯახი პოეტ მამია ვარშანიძეს, რომლის ნაჭს, შემოქმედებას დიდ პატივს სცემდა ქველი თაობის ლიტერატურული კრიტიკოსი, ბაბუა ჩვენი — იბოლიტე ვართავავა.

ამ ნიადაგზე ამ ორ ადამიანს შორის გულწრფელი მეგობრობა და სიყვარული არ შეწყვეტილა ბაბუა იბოლიტეს სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდისაც კი. ეს სიყვარული და მეგობრობა, მიუხედავად ბაბუა იბოლიტეს გარდაცვალებისა და წასვლისა ამ ქვეყნიდან, დღესაც ურყევია და წმინდაა ჩვენ ოჯახებს შორის.

დღე ისე არ გავა, რომ ბატონი მამია არ მოგვაგონდეს ჩვენ ორ ძმას — ტარიელ და ავთანდილ ვართავავებს — ბაბუა იბოლიტეს შემკვიდრებს. ხშირად ვმსჯელობთ მის პიროვნებაზე, როგორც სამშობლოზე შეყვარებულ რაინდზე და მის უბერებელ, ლამაზ პოეზიაზე.

მიუხედავად ასეთი დიდი სიახლოვისა ჩვენს შორის, ბატონი მამია, როგორც პოეტი და შემოქმედი, როგორც იტყვიან, რჩება ჩვენთვის „ცისფერთვალეზიან გამოცანად“.



ჩვენ ვიცით, რომ პოეტისა და შემოქმედის გარდაცემის შემდეგ მემორიალი, გუთნისდედა, მწყემსი, ციხე-ტაძართა მშენებელი, მწიგნობარი... ისიც, რომ დღემდე მას მისი პიროვნებისთვის საკადრისი ბიოგრაფიული და სათავგადასავლო ხასიათის, მრწამსის, დაფარული ვნებების შესახებ პროზად თითქმის არაფერი არ დაუწერია, რაც თითოეული შემოქმედისათვის აუცილებელია და, რასაც შეეძლო მისი პიროვნული ხასიათის გადმოშლა ჩვენთვის მოვლი თავისი სალიადით.

ამ გარეობამ ჩვენ ორ ძმას და მის ძველ მეგობრებს გვიკარნახა დაგვესვა ბატონ მამიასათვის ოცამდე კითხვა და გაგვეერთიანებინა იგი „გულახდილი დიალოგების“ რეალში.

გვჯერა, რომ ბატონი მამია მართლა გულახდილად უპასუხებს ჩვენს მიერ დღემდე თითოეულ კითხვას როგორც მართალი კაცი, როგორც სიკეთისა და კეთილშობილების ეტალონი და ამით კიდევ უფრო დახვეწს, აამაღლებს და გაამდიდრებს თავისი ლიტერატურული ცხოვრების დიდებულ მატრიანს.

1. ხელოვანი და საერთოდ ნებისმიერი რანგის შემოქმედი ხალხის მიზნებისა და ინტერესების მატარებელი და მისი დამცველია. იგი თვითონაა პირველი ის, ვინც ხალხს ტაძრისაკენ მიმავალ ცისფერ, ხანაც ეკლიან გზაზე მიუძღვის, ეს დღემდის, რასაკვირველია, მაგრამ მომავლის საუკუნეში? როგორ იქნება ამ მხრივ? ეყოფა თუ არა საამისო ზნეობრივი და მორალური სიწმინდე, სამშობლოსადმი სპეტაკი სიყვარული და მომავლის დემონური ჭკრეტის უნარი შემოქმედს? იქნება თუ არა ის ყველა ამ კეთილშობილური საქმეების მთავარი მისიონერი?

პასუხი: მწერალი ხალხის გულწრფელი მსახური უნდა იყოს. ცვალებად მწერალს ვერ ვეგუებთ და არც ხალხი მიიჩნევს თავის გულისთქმის მესიტყვედ. მწერლის სიტყვა და გული ერთი უნდა იყოს და არ შეიცვალოს ზნე და ხასიათი, რაც არ უნდა ფათერაკის ქათმში აღმოჩნდეს. მე ვიყავი, ვარ და ვიქნები ჩემი ერის, ჩემი ქვეყნის მარად და მარად ერთგული, რაინდული სულისკვთებისა. ვისაც არ ეყოფა ძალა იყოს ასეთი, დარჩება უსიყვარულოდ. გ. ტაბიძისა, არ იყოს — „უსიყვარულოდ არ არსებობს არც სილამაზე, არც უკდავეება არ არსებობს უსიყვარულოდ“. დმერთმა ნუ გამყაროს სიყვარულისაგან ნურც ცოცხალი და ნურც მკვდარი. მინდა, რომ მარად ჰყვარდნენ ჩემს გულზე მარადიული სიყვარულის ყვავილები. სიყვარული ვი კაცის სულის მშვენიერების განძითაა შემამკობელი.

2. თქვენ ეპიკური ტილო მიუძღვენით აჭარის ისტორიულ

გმირს სელიმ ხიმშიაშვილს, რითაც მწერლისა და საზოგადო მოღვაწის იბოლიტე ვართაგავას ქება-დიდება დაიმსახურეთ და ეს კანონზომიერიცაა.

გვიამბებთ, დარჩა თუ არა მემკვიდრენი ამ გმირს, — თუ დარჩა, ვინ არიან დღეს ისინი და რით გვხვან სახელოვან წინაპარს სამშობლოს ხნეობრივ-ფიზიკური სიყვარულის თვალსაზრისით?

პასუხი: სილიმფაშა ხიმშიაშვილს ჰყავდა სახელოვანი შვილები, როცა სელიმს თავი მოაკვეთეს სულთანის ბრძანებით, მისმა შვილებმა აბდი და ახმედმა თავი შეაფარეს მამია გურიელს, რომელიც გენერლის ჩინით მართავდა გურიას. აბდი მამია გურიელის სიძე იყო. ეს ასე მოხდა: სელიმ ფაშამ შეიბყრო ის თურქი ყაჩაღები, რომლებმაც შინაურ გამცემთა ხელისშეწყობით, გაიტაცეს მანია გურიელის და.. რათა გაეყიდათ სტამბოლის ბაზარზე. სელიმს მოეწონა გურული ქალიშვილი და ცოლად შერთო თავის ვაჟს — აბდის. მაშაადამე, სელიმ ფაშა და მამია გურიელი უკვე მოყვრები იყვნენ... სელიმის შვილებმა ამაღ შეაფარეს თავი გურიის მთავარს. სულთანმა ეს გაიგო და მოითხოვა მძევლები. გურიელმა თხოვნით მიმართა რუსეთის იმპერატორს, დახმარებოდა ამ კრიტიკულ სიტუაციაში. მძიმედ მძვინვარე პოლიტიკამ აიძულა რუსეთი დაჰყოლოდა ოსმალეთის მოთხოვნას და იმები პატიმრების სახით გაიგზავნა სტამბოლში. სულთანს ისინი არ დაესჯია. შემდეგ ერთ-ერთი იმა — ახმედი დააწინაურა კიდეც და მიიღო ფაშის ტიტულიც. მამის — სელიმ ფაშის თავის მომკვეთელსაც მიაკვლია და მისი ბრძანებით იგი ბაღინებში მოახრჩვეს. სელიმ-ფაშის მკვიდრი შთამომავალია ცნობილი პატრიოტი, ზემო აჭარის მმართველი შერიფ ბეგ ხიმშიაშვილი. რუსეთის იმპერატორმა მას გენერალ მათაობაც კი მიანიჭა. მას ახლო ერთეერთობა ჰქონდა ცნობილ ქართველ პატრიოტებთან... იგი კარგად არის აღბეჭდილი ჩვენს ისტორიკოსთა წიგნებში.

დღესაც არიან ხიმშიაშვილები ზემო აჭარაში, ხულოს რაიონში. ერთ-ერთი, იოსებ ხიმშიაშვილი, რომელსაც ახლოდან ვიცნობ, დიდხანს მუშაობდა შუახევის რაიონის მღვწნად, ბოლო დროს იყო აჭარის განათლების მინისტრიც, ამჟამად, ერთ-ერთი უმაღლესი სასწავლებლის პრორექტორია. მე მასთან მაქვს უშუალო ურთიერთობა. მისი წლმით, როცა ის იყო შუახევის რაიონის მდივანი, მომანიჭეს შუახევის რაიონის საბატო მოქალაქის წოდება.

სტამბოლშიც შეგხვდით ხიმშიაშვილთა გვარის წარმომადგენელს, მანდილოსანს, რომელიც აპირებდა აჭარაში წამოსვლას ხიმშიაშ-

ვილთა დიდი სიყვარულის გამო; თანაც თავს იწონებდა, რომ იქვე სახელოვანი გვარის შთამომავალი იყო.



3. ქრისტეს ორმა მოწაფემ ანდრია პირველწოდებულმა და სიმონ კანანელმა, საქართველოში ქრისტიანული რწმენის გავრცელების მიზნით, ქოროზის ხეობითა და აჭარის მიწით ჩამოაღწიეს საქართველოში. აჭარისწყალთან ახლოს აუგიათ კიდეც პირველი სამლოცველო, რასაც ხალხი დღემდე „ნაქილისარს“ ეძახის. რა როლი შეასრულა ამ ორი მოციქულის მოღვაწეობამ საქართველოს ამ წარმტაც მხარეში ქრისტიანობის გავრცელებისა და ხალხის სულიერი დონის ამაღლებისა და სრულყოფის საქმეში?

პასუხი: ანდრია პირველი და სვიმონ კანანელი ქრისტეს მოციქულებია და ისინი ერთად მოგზაურობენ ქვეყნიდან ქვეყანაში ქრისტიანობის გასავრცელებლად. მე ვსარგებლობ „ქართლის ცხოვრების“ იმ მონაკვეთით, რომელიც ეკუთვნის მეთერთმეტე საუკუნის ისტორიკოსს ლეონტი მროველს. ჩვენ გვინტერესებს ამ მოციქულთა მოგზაურობის რეგიონი აჭარა, სამხრეთ საქართველო. ერთი შენიშვნა: ანდრია და სვიმონი გზა და გზა შორდებიან ერთმანეთს, მერე კი კვლავ მხარდამხარ არიან. ისტორიკოსის გადმოცემაში ხარვეზებია და მათი ერთობლივი მოქმედება აჭარაში რატომღაც არა ჩანს. მიზანი ერთი ჰქონდათ: ქრისტიანობის გავრცელება გზა და გზა. როგორც ჩანს, კარგად იცნობდნენ მხარეებს და დაუბრკოლებლად მოგზაურობდნენ. მათი პირველი ისტორიული დამსახურებაა ქრისტიანობის გავრცელება ლაზეთსა და აჭარაში, ქართლის სხვადასხვა კუთხეებში: სამეგრელოში, იმერეთში, აფხაზეთში, ჭიქეთში, სამცხეში და ა. შ.

მივყვეთ კვალდაკვალ ლეონტი მროველის მიერ „ქართლის ცხოვრებაში“ აღბეჭდილ ცნობებს. აქ ლაპარაკია პირველად ანდრია პირველზე, რომელიც შემოსულა ტრაპიზონში... რომელსაც მროველი ეძახის მეგრელთა ქვეყანას. მერე შემოდის „ქვეყანასა ქართლსა“. ანუ შემოვიდა დიდაჭარაში, აქ იწყო მან სახარების ქადაგება; სადაც „კაცნი პირუტყვთა უზუგუნურეს იყვნენ და, არა იცნობდეს შემოქმედსა ღმერთსა; და ყოველსა საძაგელსა და არაწმინდასა წესსა აღსარულბდეს“, რომელსაც გადმოცემით ვერ დაიჯერებო, შენიშნავს მროველი, ანდრია აქ დიდ სიძნელებებს წააწყდა, მაგრამ გაუძლო მრავალ ჭირსა და განსაცდელს ურწმუნოთაგან. ყოველი ხერხი იხმარა, დაეყოლებინა აქაური მკვიდრნი, ჩაენერგა მათ სულში სარწმუნოება და მოექცია ქრისტიანად, ანდრია ამას მიაღწია ქადაგებით: დაასვენა ღვთისმშობლის ხატი. იქვე აღმოაცენა მშვენიერი და დიდი წყარო, რომელიც დღესაც განუწყ-

ვეტლად მიწიდან ამოდისო. უკვე ანდრიას ქადაგებით გულდაჭერ-
ებულნი მის ირგვლივ ფუსფუსებდნენ და ეთაყვანებოდნენ. ასწავ-
ლა და დაუღვინა წესი და რიგი სარწმუნოებისა. დაუწიშნაო, წერს
მროველი, მღვდელი და დიაკონი. ესენი იქნებ მისი თანმხლებნი
იყვნენ, ან უკვე ანდრიას მიერ საკმაოდ განსწავლულნი, რომ მათი
ხელმძღვანელობით ხალხს განეგრძო ქრისტიანობის თაყვანისცემა,
მათ აღაშენეს მშვენიერი ეკლესია ღვთისმშობლისა... როგორც
ჩანს, ანდრიამ მრავალი ოვე; წელი დაპუო დიდაჭარაში, როცა ან-
დრიამ მოისურვა წასვლა, ხალხი წინ გადაუდგა, ნუ წახვალთ, ვე-
დრებოდა. მაშინ ანდრიამ გამოსჭრა სათანადო ზომის ფიცარი, ზედ
დაასვენა ხატი და ხალხს გადასცა. გახარებულმა ხალხმა ხატი ეკ-
ლესიაში შეიტანა და დიდი პატივით დაასვენა, წმინდა მოციქულს
მშვიდობა უსურვეს. ეამბორენ და გამგზავრეს.

ეს ისეთი ფაქტია, რომ მღელვარება შეგიპყრობს. მაშასადამე,
ქრისტიანულნი რელიგია დამკვიდრდა დიდაჭარაში, საქართველოში
აქ პირველად, მაშასადამე, ამ მიწის მკვიდრებმა იწამეს მოციქულ-
ის ქადაგება ქრისტეს სიბრძნეს, რომ ეფუძნებოდა. მაშასადამე,
ქრისტეს ზეპირი სახარება ზეპირადვე გავრცელდა აჭარაში. ეს დი-
დი ისტორიული ფაქტია. რომელსაც ახლა ჩვენ სიამაყით ვიხსენ-
ებთ. ეს იმიტომ, რომ ქრისტიანობა დიდი პროგრესული რელი-
გია იყო, რომელსაც მოჰყვა დიდი განათლება აჭარაში, ტაო-კლარ-
ჯეთში და საერთოდ სამხრეთ საქართველოში. ეს იყო წინა პირო-
ბები მწიგნობრობის გაჩაღებისა, დიდი ოქრომჭედლების ობიზარ-
ების გაჩენისა. ამაღ ჩაეყარა საფუძველი სამხრეთში ეკლესიებს,
ტაძრებს და გაჩაღდა მწიგნობრობა. ამიტომ ამბობს ილია, ჩვენი
კულტურა იქ, სამხრეთში დღლდა. ამიტომ ამბობს მიხეილ ჯავახიშ-
ვილი, შოთა რუსთაველი აჭარელი იყოო. სამხრეთის (აჭარა, იმერ-
სეგი, ტაო-კლარჯეთი, შავშეთი) მკვიდრთა მეტყველებაში ძველ-
თაგანვე ისეთი სიტყვებია დამკვიდრებული, რომლებიც აღბეჭდი-
ლია „ვეფხისტყაოსანში“. ახლახან გამოვიდა აჭარელი მეცნიერი
ქალის შუშანა ფუტყარაძის ძვირფასი შვიდასგვერდიანი წიგნი
„ჩვენებურების ქართული“. ვინც ამ წიგნს წაიკითხავს, იგი ვიფ-
ებს რა იყო სამხრეთი, სამასი წლის ავტომიანობამ ცხარედ დაკორ-
ტნა მისი სული და ხორცი, აქ ელავს ძარღვიანი ქართული ვეფხის-
ტყაოსნისა. აქ გუფუნებს წინაპართა ძლიერი სული მაღალნიჭიე-
რად, რომ ქმნიდნენ ტაძრებს, ეკლესიებს, გულის გამგმირავ პოე-
ზიას...

ისევე დაგუბრუნდეთ მროველის ჩანაწერებს. ანდრია მოციქ-
ულს უმოგზაურია სვიმონ კანანელთან ერთად, ქრისტეს ამ ერთ-

გულ მოციქულთან. ისინი მხარს აძლევდნენ ერთმანეთს. სადაც კი მისულან, ქრისტიანულ რჯულზე მოუქცევიათ ადგილობრივი მცხოვრებნი. უმოღვაწეათ ღვთის სახელით ტაოში, ვიდრე მდინარე ჭოროხამდე, როგორც ვთქვი, ტრაპიზონში ქრისტიანად მოუქცევიათ მეგრელები (აღბათ, ლახები, რომლებიც სისხლით და ხორციით შეგრელთა მონათესავე ტომის შვილები არიან).

ანდრია პირველი და სვიმონ კანანელი ერთად ძოვხაურობენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და ერთად ავრცელებენ ქრისტიანობას. ასე რომ კუთხიდან-კუთხეში მათი მოღვაწეობა ერთი და ორთვიანი როდია, წლობით რჩებოდნენ. ხან ერთი ერთ მხარეში დამკვიდრდებოდა ხან მეორეში, ასევე მეორე მოციქულიც. ამ ორთა მოციქულთა ღვაწლი აჭარამი დიდია. მათი წმინდა სახელები ჩემს სულშია დამკვიდრებული... მათ იმოღვაწეს აფხაზეთში, სამეგრელოში, ჯიქეთში: ანდრია დიდმა მწუხარება მოიცივა, როცა სამუდამოდ დაკარგა მეგობარი, სიმონ კანანელი. იგი დასაფლავებულია ქ. ნეოპსიაში, რომელიც მროველის თქმით, მდებარეობს აფხაზეთსა და ჯიქეთს შორის, წმინდა ანდრიამ კა განაგებო ქრისტიანობის გავრცელება აფხაზეთსა და სკვითებს შორის.

4. ლათინური სიტყვა რელიგია მისი პირდაპირი გაგებით ნიშნავს „სიწმინდეს“ და სხვა ამგვარ რამეებს. გამომდინარე აქედან, გვითხარით, თქვენი სახელგანთქმული პოეტური კრებულის საერთო სათაური „ჩემი ტაძარი“ ღრმა რელიგიური შეგონების, რწმენის შედეგია თუ უბრალოდ თქვენი პოეტური ფანტაზიის ნამოღვაწარი?

პახუნი: უბირველესად გავიხსენოთ ერთი ლექსი „ჩემი ტაძარი“, რომელიც დაბეჭდილია ამ სახელწოდების ჩემი საყვარელი წიგნის ორმოცდამესამე გვერდზე.

ჩემი ტაძარი

გვიზავებ წიფლის ნაღვერდალივით,
ღლითა და ღამით ვარ ჩაუშქრალი,
ტანი დავიღტე შევი ზღვის წყალით,
მკერდზე ვიქროლე ჩემივ ბრის ქარი,
გაგეჟღე
ღამკრავ,
ქინელი დამცვივა,
ხან ავენტები ვით ფიჭვის კვარი.
მე აქ სიმღერას რა გამომიღეს,

დამიდუმდება ოდესმე ქნარი?
აქ არის ჩემი ძმა — შვედბარი
აქ არის ჩემი ცისკრის ტატანი,
მამულ-დედულს, ჩემს სამშობლოვ,
შენა ხარ ჩემი წმინდა ტაძარი.

1960

მე მწამს სამშობლოს უწმინდესი და უზენაესი სიყვარული. ტაძარი კი უწმინდეს მცნებად მიმაჩნია. ამიტომაც, ამ შეუვალ რწმენით ამაღლებული სული ჩემი ტაძარის ღვთიურ ცნებას შეგუდულაბე. აქ სიტყვის „ფანტაზიის“ ხსენებაც კი შეურაცხყოფად მიმაჩნია. მე რომ ძალუმაღ მიყვარს ჩემი ქვეყანა, ჩემი ერი, ეს ბმას არ ნიშნავს, რომ მძულს სხვა ერი, სხვა ქვეყანა. მაგრამ სხვაა შენი სამშობლოს სიყვარული და სხვაა — უცხო ქვეყნისა....

5. როგორც ვიცით, თქვენი პოეტური შთაგონების ერთ-ერთი ლამაზი წყარო — იდეალი, თუ შეიძლება ითქვას, არის ქალი, რომელსაც თქვენ არაერთი პოეტური მარგალიტი მიუძღვენით. ქალებისადმი ჭნებიან დამოკიდებულებას მარად იჩენდნენ (და იჩენენ ახლაც) ვარდასული და უახლოესი საუკუნის გენიოსები — რუსთაველი, დანტე, რუბენსი, ველასკესი, ბეთჰოვენი, ალ. ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი, ბარათაშვილი, ვალაკტიონი. სხვანი და სხვანი.

გოეთემ, მაგალითად, 80 წლის ასაკში, უკვე საკმაოდ ღრმა მოხუცმა, სარეცელი გაუზიარა 25 წლის ქალწულს.

იგივე სცენებიითაა აღსავსე მხატვართა ცხოვრების მატრიანეიც. ავიღოთ პუსენი, შუა საუკუნეების დიდი მხატვარი. — მისი მკუთლე ანა მარია, შემდგომში მისი ცხოვრების საუკეთესო მეგობარი. 19 წლით უმცროსი იყო მხატვარზე.

რომელ ჩვენთავანს არ ახსოვს რემბრანდტის ტილო „ავტობორტრეტი სასკიათი“. სასკია; რომელიც ზურგით მათურებლისავენ მჯდომ მხატვარს მუხლებზე უზის, ცოლიც იყო მხატვრის და პოზირებდა კიდევ მას თავის კომპოზიციებში. ეს ქალი ახალგაზრდა გარდაიცვალა და მხატვრის ცხოვრებაში მისი ადგილი გენრიკე სტოფფელდმა დაიჭირა — უბიწო ასულმა.

ასეთივე ბედი ხვდა წილად რუბენსაც — პირველი მეუღლის იზაბელა ბრანდტის გარდაცვალების მერე 33 წლის ასაკში იგი ქორწინდება 16 წლის ელენე ფოტრმზე.

მსგავსი მაგალიტები უამრავია. ამით იმის თქმა გვინდა, რომ ყოველი ჭეშმარიტი შემოქმედისათვის, რა რანგისაც არ უნდა იყოს იგი, ქალი რჩება შთაგონების ერთ-ერთ მთავარ წყაროდ.



თქვენ, როგორც უბერებელი და მარად ქაბუკი მიჯნურნი არ გვეტყვიდით რაიმეს ახალს სიყვარულის გარშემო. ე. ი. რომ არ შეგვახედებდით ამ ღვთაებრივ ფენომენის ოდნავ სიღრმეში და ბოლოს — სახარებისეულ ცნობილ შთაგონებასაც „ღმერთი არს სიყვარული“ — ხომ არ მისცემდით თქვენეულ ინტერპრეტაციას?

პასუხი: სიყვარული ისეთი ბუნებრივი ფენომენია, რომელიც მშვენიერების სიღრმით აღაცხებს ადამიანის სიცოცხლეს. როცა ვინმე ჭეშმარიტად ვიყვარს, შენი სხეულის ყველა უჯრედი და სული მძლავრად დამუხტულია ტანჯვისა და სიამის შეგრძნებით. შენს გრძობაშიც და გონებაშიც შენი მიჯნურია ისე მტკიცედ ჩადუღბებულა, რომ უმისოდ სიცოცხლე ვერ წარმოგიდგენია. მიჯნური პოეტისათვის დიდი მუშის დაბადებაცაა. გავიხსენოთ იტალიის დიდი პოეტის პეტრარკას და უმშვენიერესი ქალწულის ლაურას შემთხვევით შეხვედრა მონასტერში და უმაღლეს გაჩაღდა პოეტის გულში სიყვარულის ნაღვერდლები, რომ არა ლაურა, ჩემი აზრით, პეტრარკა ვერ იქნებოდა სიყვარულის მარად ნთებადი პოეზიის შემქმნელი. პეტრარკას პოეზიას მარადიულობის მადლს ანიჭებს სიყვარული და მხოლოდ ლაურას სიყვარული. დანტეს გენიალურ „ჯოჯონეთსაც“ დიდი მადლის ძალა მწერლის მიჯნურმა ბეატრიჩემ მიანიჭა. ამ ნაწარმოების დიდი შემოქმედებითი აზრების ნატყვებს, რომ არ მოხვეოდა მიჯნური ქალის ცხელი სული, თვით ნაწარმოები ცივი იქნებოდა... და რაც ცივია, გულში არ შენოდის.

„ვეფხისტყაოსანი“ ცეცხლოვანი მიჯნურობის გარეშე ვერ დაიწერებოდა. ე. ი. რუსთაველიც დიდმა სიყვარულმა ციურ მგონსად მოგვივლინა. ნესტან-დარეჯანის წერილი ტარიელისადმი, სიყვარულის დიდი განცდით რომ არის დაწერილი, ალბათ, თვითონ შ. რუსთაველის გულაც იმგვარად იყო ცეცხლმოკიდებული.

ერთხელ ბატონმა დემნა შენგელიამ ჩვენთან, ბათუმელ მწერლებთან თქვა: — ზ. ფალიაშვილს გენიალური ოპერა „აბესალომ და ეთერი“ შეაქმნევინა ერთი ქალის მგზნებარე სიყვარულმაო. ზაქარიას სიკვდილის შენდეგ იმ ქალმა ოფიციალურად მოითხოვა ამ ოპერიდან კუთვნილი პონორარი. მოპოვიანმა განცხადება მიართვა, ჩვენი მწერალთა კავშირის მაშინდელ ხელმძღვანელებს. მწერალთა კავშირში კი აღმოჩნდნენ ისეთი მწერლები, რომლებმაც უარყვეს იმ ქალის სამართლიანი მოთხოვნაო. მერე დასძინა: იმ მანდილოსანის სიყვარულის განცდებით აღგზნებული ზაქარია სწერდა ამ უყვდავ ოპერას და რას ერჩოდნენ იმ ღვთით მოვლენილ მანდილოსანს, ახლაც ვერ გამიგიაო.

განა ჩვენს გულს ცეცხლად არ მოეკიდება იოსებ გრიშაშვილის და მარიჯანის სიყვარული? გაეხსენებ ერთ ლექსს, რომელიც მკვლახმა მიუძღვნა თავის მიჯნურს.

მარიჯანს

მოგვედებო: მიწას ჩავეთესლებით,
 ასეთი არის სოფლის თვისება,
 ვერ აფაქანებთ ტუჩებს ლექსებით,
 თვალბაც მიწით ამოივსება.
 და თუ რამ კარგი გექობდა ორთავეს.
 შენ — ვიშრის თვალი, მე — კურდღლის ტუჩი,
 სამარის მწვანე ხავსით მორთავენ,
 როცა ჩვენს კუბოს დაჰკრავს ჩაქუჩი,
 მაგრამ რას დავდექი გაბასრულ სიტყვას
 წიგნში შეგვხავნით რიამის თელმად,
 და ჩვენს ლექსებზე, რაც უკვე ითქვა,
 ხალხში დარჩება ლამაზ თქმულებად.
 დაე, სიკვდილი თავისი ცელით
 ჩვენს ტკბილ სიცოცხლეს წაიდეს და მკვიდეა —
 მიწაში მიტრამ ჩადის ფურცელი,
 რომ უკუოესი ხე ამოვიდეს.

1939

ი. გრიშაშვილის ნიჭიერ ხელოვანებას, სიყვარულის ეს ფენომენიც მშვენიერების ნაბარწკლებს სძენს. აქვე მინდა ვთქვა: ბატონ იოსებ გრიშაშვილს ახლოდან ვიცნობდი, იყო დარბაისელი, გონიერი და მგრძნობიერი. პირიქით, რომ ყოფილიყო, სიყვარულთან „შეთამაშებდა“ მგოსანს შევარქმევდი. მაგრამ არა... მას მარიჯანი უშუაპირტად უყვარდა უკვე სულიერადაც რომ დაღვინებული იყო, სიყვარული სიცოცხლის უჭკნობი სილამაზეა.

ამები წერთ: თქვენ, როგორც უბერებელი და მარად ჭაბუკი მიჯნური, ხომ არ გვეტყოფით რაიმეს ახალს სიყვარულის გარშემო.

ქ. ბათუმის ზ. ფალიაშვილის სახელობის მუსიკალურ სასწავლებელში მოგვიწყვეს პოეტებს შეხვედრა. აქ სიყვარულზეც წავიკითხე ლექსები. ერთმა გოგონამ ისეთივე კითხვა გამომიგზავნა, როგორიც თქვენ დამისვით ზემოთ. მე მას ასე ვუპასუხე: ასე მკონია სიყვარულმა დამბადა, სიყვარულმა მაგემა ცხოვრების სიტკბოე-



ბაც და სიმწარეც, სიყვარული კი ქალის ხატების გარეშე ვერ ვხედავთ ბობს. მაშასადამე, მე ქალი სიკვდილადვე მეყვარება. ჭკველა? რა თქმა უნდა, არა ყველა, არამედ გამორჩეულად, ვინაც ჩემს გულს აღაგზნებს და სიყვარულის ნაპერწკლებს გადმომაყრის. ასე ვიცოცხლებ ხე, როგორც პოეტი და ადამიანი-მეთქი. გოგონებმა ტაში დაიკრეს. — ქალი სიცოცხლის მშვენიერებაა, როგორც ვარდები ბაღისა, იბიები წვლისპირისა... ახლა კონკრეტული ფაქტებითაც ვისაუბროთ. უბირველესად, უნდა გთხოვთ, გამიგოთ ერთი რამე: სიყვარულზე დაწერილს ყველა ჩემი ლექსი მხოლოდ ერთი რომელიმეს სატრფიალო მგზნებარებით არ არის შექმნილი. პოეტის ცხოვრებაში ასეც ხდება. ასე, რომ მართო პეტრარკას მაგალითს ნუ მოვიშველიებთ. ზოგჯერ მცირე ხნის გატაცებაც პოეზიის მბრძანებელი ხდება. მე ისეთი გული მაქვს, რომ თავისთავად ნილტვის იმ მანდილოსანისავე, რომელიც ბუნებრივად თბილია და პოეტური, მგრძნობიარე, რაღაც სიბნოს გადამდები. იყო ასეთი შემთხვევა: ერთი ქმარიანი ქალი ძალიან მეტრფოდა და ლექსებსაც სწერდა ჩემზე. ქმარმა უნახა ის ლექსები. დაუხია და სანაგვე ყუთში ჩაუყარა, ქალმა აკრიფა ნახევები და ისევ აღადგინა ლექსები, მე იმ ქალს ძალიან სიმპატიურად ვექცეოდი, მაგრამ შორისშორად... იგი პატიოსანი მანდილოსანი იყო და დასაფასებელი ზრდილობითაც და ხეობრივადაც...

უბირველესად გადავფურცლოთ ჩემი საყვარელი წიგნი „ჩემი ტაძარი“. აქ არის ასეთი ციკლი სატრფიალო ლექსებისა — „მას ვუმღერო“. ციკლს ზემოთ დახატულია გოგონას ხატი. ეს ჩემი მითითებით გაკეთდა. იმ ქალთან მქონდა მიჯნურობა. და მისი გავლენით შეგქმენი ლექსები: „დაუკარით, სიხარულის უამია“, „ჩონგურზე რომ ამღერებდი“, „წყაროვ შენი წყალი მინდა“, „გული გეძახის“, „ფიქრები ალვის ხესთან“, „დაგელოდები“, „წიფლნარებში“, „შემინახე ხეაშაღი“, „გულს არავის ვბირდები“, „ორლობეში“ და სხვა. თუ არა ის, ამ ლექსებს ვერ დავწერდი, ამიტომაც ეს ლექსები უშუალოა. უშუალობის გარეშე კი მე პოეზია არა მწამს. იოსებ გრიშოვილი ამბობს, უშუალობა ნიჭილი რაც არ უნდა მოაჩუქრომოდ ლექსი, თუკი უშუალო არაა, თუკი ცივია, გულთან ვერ მიიტან, ერთი წაკითხვის შემდეგ განერიდები. ასეთივე აზრისა ვარ პოემებზეც. თუკი პოემაში ციციხლი არ ბრიალებს, მე ვერ წაკითხვას ასეთ პოემას. ჩემი პოემა „ხიხანის არწივების“ ძალოვანება მის შინაგან მხურვალებაშია. როგორც ცნობილია, გრიგოლ რჩეულიშვილის რომანი „თამარ ბატონიშვილი“ ორმა ნიჭიერმა პოეტმა — რაფიელ ერისთავმა და სიმონ გუგუნივამ პო-

ეზიად გარდათქვა. გაიმარჯვა სიმონ გუგუნივამ, რადგან ამ უკანასკნელის „თამარიანი“ უფრო უშუალოა. სიმონ გუგუნივას „თამარიანიში“ რამდენჯერაც არ წავიკითხე „პირველი წერილი თამარიანსაგან შალვასადში“, იმდენჯერ ავტირდი.. ჩემი წიგნი „უღუგუნა წვიმა“, რომელიც გამოიცა 1962 წელს, დამაწერინა ერთი ქალის გასათვარამი ზეგავლენამ, კინაღამ უფსკრულში გადამაგდო, ისე გამაბრუა. ალალი გულის კაცს ადვილად იპყრობს ქალი მგზნებელი. ერთი სიტყვით, იყო ყაში მხურვალე გატაცებისა და მამინ შუქმენი ეს წიგნი და მისი სახელიც დავარქვი. ამ წიგნში 86 ლექსია, მათგან კი 59 სატრფიალოა და იმ ქალის ნაბოძებია. ამ ლექსთაგან გამოვარჩევდი ერთ-ერთს.

უღუგუნა წვიმა

გზა იყო ვრცელი, გზა იყო წმინდა,
 უღუგუნა წვიმა წვიმდა და წვიმდა,
 ფეხი დანისხლტა, უცებ დავეცი
 და გულის ნაზი სიმი გამიწყდა.
 გბოლ შეფეებს დაწვი ბოვორ ვუფარო,
 ჩემს ცას ცრემლებად ჩამოცვენია...
 შენ დამიცავი, დიდო უფალო,
 მტყვივა, ვტირი და როგორ მრცხვენია.
 მითევს აწარი ქარი ტიალი
 და ვით ქარადის ბეწვზე დავკავდი,
 მოუშუშარი მტყვივა ტრფიალი
 და სულში ჩამდის სისხლის ნაკადი.
 უღუგუნა წვიმავ, ანკარა წვიმავ,
 სულს დანიაშებ შენი წყარუნით,
 ჩემს ტრილობებში გავიბამ სიმაღ,
 რომ შენით აღვთქვა ჩემი წვა გულის,
 უღუგუნა წვიმავ, გამაღე ფრთებზე,
 მასხურე დამით, მასხურე დიდია,
 ენის შეფეების სურნელით ვთვრები
 და წინ მეხატვის ოცნება დიდი.
 მას ალამაზებს შეხი სახელი
 თუ შენ, ხაყურო ციურ ბაღნარის?
 ვერა, ვერ ენახე სატრფოს მნახველი
 და მოებს გავაბი ხმითა ნადირით,
 შენ მომესხურე, უღუგუნა წვიმავ,
 იქნებ შენა ხარ მისი ცრემლები?

სულში შეგუშვებ შენს ამო წერილს,
შენი სისველის მორქვეში ვლღვები.
ეუფუნა წვიმავე, ღუქსად ქცეულთ,
ჩემდა საძმოდ ხახად მასველებ,
ო, მომესხურე, შე ვარ ჩვეულთ
იმის საღბუნს... და ნუ დაბესვენებ,
ხანდახან ციდან ჩამოირბინე,
თუნდ მიწის მადლსა ღმერთი გიშლიდეს,
ეუფუნა წვიმავე, სულს სიგრილვე,
ეუფუნა წვიმავე, ჩემო სიმშვიდე!

1961

ეს ქალი, რაღაც ბღუშალი გზნებით შეპყრობალი გიჟი იყო. მქონდა გულსატკეპნი ურთიერთობაც. გწერდი დღიურებასაც. ერთი საერთო დიდი რვეული, რომელიც სავსეა კატასტროფული ჩანაწერებით, მიგაბარე ჩვენს ერთ-ერთ კოლეგას, რომელიც აღარაა ცოცხალი. იგი ამბობდა, ამ ჩანაწერებით ლირიკულ რომანს დავწერო. ახლა მეც მანტიგრესებს თუ რანი მიწერია იმ რვეულში. იქნებ, მეც მოვახერხებ იმ ნედლი მასალების ლიტერატურულ პრობლემად გარდაქმნას...

1976 წელს გამოვიდა ჩემი საიუბილეო წიგნი „ლირიკა, ლირიკული პოემები“. აქ მხოლოდ ერთ ღუქსს შევეხები, რომლის ადრესატი ცოცხალია. აი, ის ღუქსი:

ქალი, რომელიც მიყვარს

ამაგალობა სულმა მთავარმა,
ჩემო ტკვილი საით წამიყვან?
არც ლურჯთვალაა,
და არც შავთვალა
ქალი,
რომელიც, მიყვარს.
სიმპატიური მისი სახება
დიდ სიზმარეთის ცაში წამიყვანს,
მას ბოვნი აქვია სახელად,
სუნთქვა ჩემი,
ქალი,
რომელიც მიყვარს.
მას უყვარს კაბა ამოქსოვილი

ფერად-ფერადი ყვავილთ წნულიდან,
თეთრია, — ჩემი მთების თოვლივით,
თან სულში თაფლად ჩასაწურია.
ვარდის სურხელთა არის მფრქვეველი
გაზაფხულსა და ზაფხულში ნეტად,
ვღგავარ მის წინ ვით მანიქვეველი,
დალოცვად ვუძღვნი მე სიტყვებს ნეტარს.
ამივსო სული წმინდა ბინულით,
გამიღბო ცეცხლით სული ყინული,
ვერ მომიხუტავს ლამითაც თვალი,
ნეტავ რა არის ეს სიყვარული
სული ასე რომ ამიწრიალა?
მისი შექცია თუ ეს წყნაა?!
საით გაქუცებს წარბაზადული.
მზე არ ჩანს.
მალა მთებს რისთვის უმზერს?
მისი თმა ნახად გადაბინდული
ღვთის ღოცვად უნდა გვევაროს გულზე.
ღვას სულის ჩემის თანაზიარად,
და საითაც სურს, იქით წამიყვანს,
ჩემი ღმერთი და პოეზია
ქალი,
რომელიც მიყვარს.

1974

მე არაფერ დასკვნას აღარ ვაკეთებ, რადგან ჩემს საუბარში ჩადებულა ჩემი სათქმელიც და ხვამიადიც.

თქვენ მეკითხებით და მთხოვთ ჩემი აზრი გამოვთქვა სახარებისეულ ცნობილ შეგონებაზეც — „ღმერთი არს სიყვარული“.

ეს ფრაზა უქვეიანესი ბრძენი მორწმუნის ნათქვამია. ამ სამ სიტყვაშიც განხმულია და ბუნებრივად, ადამიანის უმაღლესი იდეალი — სიყვარული. ბრძენი ერთი მიმართულებით გვახედებს და გვმოდგრავს — აი, შეხედე ღმერთს, ის არის შენი სიყვარულიო. მეორე აზრი აღარ იხადება, სიძულვილი შეთანქმულია კოსმოსში თუ ქაოსში, და ანათებს მხოლოდ სიყვარული. „ღმერთი არს სიყვარული“ ადამიანს სულიერად ყოველმხრივ განაწყობს კეთილშობილებით ტაძარში თუ სახლში, ღოცვაშიც, საქმეშიც — ეს საერო იქნება თუ ფვით სპარსებო. ადამიანის სულს ამაღლებს, წმენდს უზენაესად. თუკი ადამიანი ასეთი სიყვარულით იქნება კურთხე-

ული ღმერთის მიშართ, ის არასოდეს არ ჩაიდენს ცოდვას, არასოდეს უღალატებს აღმიანს, არ გაეკარებს შურსა და შეტოდს... არის აღამიანის უზენაესად განწმენდა... ეს სამი სიტყვა — ქართველს, რომ აკვნიდანვე შეგისხლხორცებია, მაშინ დღევანდელი საქართველო ასეთ უბედურებაში არ აღმოჩნდებოდა. დიდი ილიას ლექსი „ღმერთი ერი“ გულდასაწყვეტი ფოღებაა. ამ ლექსის შინაგანი არსიდან გამოძინარე უნდა დავასკვნათ, რომ მკოსანი შთაგვაგონებს — გვიყვარდეს ერთმანეთით, თუ „ღმერთი არს სიყვარული“, თუ შენ ღმერთი გიყვარს, შენი ერიც გიყვარს, შენ გიყვარს აღამიანი. უსიყვარულოდ ამოებთა შენი ცხოვრება. მე ვადიდებ ქართულ ტაძარს, სადაც გალობად აღმოთქმება ეს სამი სიტყვა: „ღმერთი არს სიყვარული“.

ეს სამი სიტყვა, რომ დავფურცლოთ ჩვენს გონებაში — ტომებს შეადგენს, შევიმეცნოთ ჩვენი ცხოვრების აკარგვ, ღრმად ჩავიხედოთ მის სიღრმეებში, აღამიანთა სულებში და შევქმნათ ლექსები, პოემები, რომანები, სიბრძნით ამალღებული წერილები... და ჩვენ ისე გავიწმინდებით, რომ თავისთავად ვილაღადებთ: „ღმერთი არს სიყვარული“. მე მიყვარს ღმერთი...

მე მიყვარს აღამიანი, კარგი აღამიანი, ვინაც არ უნდა იყოს იგი. ყველა შეიძლება ვერ შევეყვარო, მაგრამ არც სიძულვილით შევბიღწავ ჩემს გულს. რეზიუმეს გავაკეთებ დიდი გ. ტაბიძის ლექსით „უსიყვარულოდ“. მოვიტან რამდენიმე ბჭკარს...

უსიყვარულოდ
მზე არ სუფევს ცის კამარაზე,
სის არ დაქრის, ტყე არ კრთება
სასიხარულოდ...
უსიყვარულოდ არ არსებობს
არც სილაშაზე,
არც უკვდავება არ არსებობს
უსიყვარულოდ...

6. შეიდ ათეულს კარგახანია გადაბიჯეთ და რვა ათეული წლის გასრულების მიჯნასთან დგახართ. ეს მთელი ასტრონომიული საუკუნეა ჩვენგული, მიწიერი გავებით, ვინც უკან მოიხედავს და ამ საუკუნეს თვალს გადააფლებს, მის არსებას რატომღაც სინანული მოიცავს ანდა პირიქით — გული სიამაყით ევსება. ეს ზოგად ასპექტში, მაგრამ უშუალოდ თქვენთვის, რით იყო ეს გზა მოფენილი — ვარდებით თუ ეკლის გვირგვინის ზიდვაც ვიხედებოდათ ხანგამოშვებით?



პასუხი: დიან, რვა ათეულ წელს მივალწე. ამ ხნის განმავლობაში ბავშვი ბევრი ტკივილიც ვიწვნე. ეს უპირველესად ორი გარემოებით უნდა აიხსნას: ერთი — პირადი მდგომარეობით და მეორე — არაპირადი გარემოებებით.

პირველი: შვილი წლისა ვიყავი თუ არა, დედა გარდაემეცვალა. სამი წელი დავრჩით უბატონოდ: უფროსი იყო 10-11 წლისა, შუათანა — 9 წლისა და მე... მამაჩემი აღრევე დაქორწინდა. მალე ოჯახში ყოველმხრივ სიმწარე დამკვადრდა. დავცალკევდით. ერთი სიტყვით, ამის შემდეგ ეკონომიურადაც დავდარბდით, გროშების მაქებარიც ვავხდით. ასე განვლეთ წელი ბევრა.

1934 წელს დავამთავრე საშუალო სკოლა. მოვეწყე უმაღლესში, თბილისში, განმრთელობის გუარესების გამო ექიმებმა მირჩიეს დროებით განვრიდებოდი წიგნს. მეორე კურსიდან ავიღე აკადემიური შეფულება და მის შემდეგ დიდხანს ვეღარ განვაგრძე სწავლა. აკადემიულობამ დიდი ზიანი მომაცუნა, მაშამა, გამტანჯა, ხანგრძლივად გამტანჯა; მერე თანდათან მოვიკეთე. მეორე მსოფლიო ომი გაჩაღდა. ხუთ წელიწადს ჯარში ვიყავი. გიბრძოდი ჩრდილო კავკასიის ფრონტზე, ორ თვეს ალყაში იყო ჩვენი დივიზია. ებბარდო-ბალყარეთში... 1945 წლის 10 ოქტომბერს დემობიზიაციით გამათავისუფლეს ჯარიდან. ძლივს მოვიტყვი სული. ვადიდლილი ვიყავი, ხშირად ღამითაც არ გვაძინებდნენ, მანევრები, მანევრები არ თავდებოდა.

1946 წელს გამოვეცი პირველი წიგნი „მებრძოლის სიმღერები“ და ისიც დიდი წინააღმდეგობებით. გამომცემლობა წიგნს ვადსცემდა ხოლმე მწერალთა კავშირს. მწერალთა კავშირის მდივანი იყო ჩვენი საყვარელი მწერალი პარმენ ლორია. ეს თავისებურად მოაზროვნე „კრიტიკოსი“. პირველი წიგნი, რომელიც უნდა გამოსულიყო ომამდე, მან შეაჩერა. გამომცემლობის რედაქტორი იყო პოეტი ნესტორ მალაზონია. ამ ორთა ნებას უნდა დამორჩილებოდა პოეტი, როგორც იტყვიან, აქეთ და იქით სირბილში ვადვილალე და გული ამიცრუვდა, კინაღამ მთლად ჩავქენიე ხელი და კინაღამ მივატოვე ლექსების წერა, მაგრამ პოეზიის სიყვარული გულში მქონდა გამჯდარი და ამ დიდმა გრძნობამ შემაკავა ქარაფის თავთან მისული. ჩემი პირველი ხელნაწერი წიგნი შევიანხე ჩემს არქივში. მათგან მხოლოდ 13 ლექსი დავბეჭდე. ეს წიგნი სახელწოდებით, — „ასეთი იყო“, გამოვეცი 1995 წელს შესავლით და ვადახვევებით, ახსნა-განმარტებით. წაიკითხეთ ამ წიგნში დაბეჭდილი ლექსები დ თქვენ გააკეთეთ დასკვნა.

ზოგიერთ ლექსს ჩამოვთვლი: „დედის ბაღია“, „ბათუმი“, „პი-

რველი თოვლი“, „სარფვალმელ ლაზ გოგონას“, „მთაში განზღობილ
ასულთა“, „გულნარა“, „კოჭლი“, „ახალგაზრდას ვაჟკაცობე“, „მეცხე-
ის“, „ლოცვა მთებისა“, „მთაში“, „მთა რუსთაველს“, „მეზღვრი-
ბა მთაში“, „სინძარი“, „გოდერძიდან ბეშუშიამდე“, „ჩემი სიმდი-
რე“, „დედოფალი“, „სიმღერა სილაშხისა“, „მზემზეს ნაამბობი“
(პოემა) „გელენბოლან“ (პოემა).

ამ ნაწარმოებთა ავტორი ღირსი იყო ომამდე გამოცემულიყო
მისი წიგნი. როცა ფრონტიდან დაებრუნდი... ახალგაზრდა პოეტი
გიორგი სალუქვაძე ბრწაობდა გამომცემლობა „საბჭოთა აჭარაში“. რედაქტორი იყო პოეტი ნესტორ მალაზონია და მას ებარა ჩემი პირველი ხელნაწერი კრებული. გიორგი სალუქვაძემ მითხრა: არა-
ერთხელ შევახსენე ნესტორ მალაზონიას და პარმენ ლორიას, რომ გამზგვეცა შენი კრებული. ამ ორი აღამიანის ხელში იყო შენი წიგნის ბედი. თანაც ვეუბნებოდი, რომ მამია ვარშანიძე თავი-
ისი სტილს, თავისი ხმის პოეტია და ღირსია გამოვიდეს მისი წი-
გნი, რედაქტორი მე ვიწებოდი. თუ კი ცოცხალი დაგვიბრუნდება მამია, გეხარდება-თქო, მაგრამ ყური არავინ მათხოვავ. პარმენი არც მერე იყო მომხრე გამოცემულიყო ჩემი კრებული. ჩემი დივი-
ზია ფრონტიდან 1943 წელს ბათუმში გადმოიყვანეს. ერთი მოზრ-
დილი რვეული ფრონტული ლექსებით სავსე შექონდა... ამ ლექსე-
ბის გამოცემა ვინდომე. გიორგიმ გადმოძცა: შენს ლექსებზე ვკით-
ხე პარმენს, რა აზრისა იყო, მიბასუხა — არ ვარგავ. მე ვუბასუხე,
რომ სხვას მოიტანს-თქო. გიორგის გულნატკენად ვუთხარი — ეს
ლექსები თუკი არ ვარგა, ახალ იმდენ ლექსს როგორ შევკმნი,
რომ ერთი კრებული შეთავდეს-მეთქი. არაფერი გამივიდა... 1945
წლის 10 ოქტომბერს დენობილიზაციით გამოვედი ჯარიდან. კვლავ
შევეუდექი აღმართს — ვითხოვედი წიგნის გამოცემას. გიორგი სა-
ლუქვაძე მხარში მედგა. 1400 სტრიქონამდე შევარჩიეთ, ნესტო-
რმა პარმენი დამინიშნა რედაქტორად, მაუხედავად იმისა, ვთხოვე
თვათონ ყოფილიყო რედაქტორი. პარმენთან მე და გიორგი მივე-
დიით. მასთან იყო კრებული. სასტიკი დავა გავვიმართა, თანაც
თქვა: ეს კრებული რომ გამოვეცეთ, ნიანგში დაგვწერნო. არ მო-
ვეშვიეთ. პირისპირ გიორგი დაობდა. 600 სტრიქონი ძლივს შეგვრ-
ჩა ხელთ... 1946 წელს გამოვიდა ჩემი კრებული „მებრძოლის სიმ-
ღერები“, რომელზეც დაიწერა კარგი რეცენზია. ეს იყო ჩემი პირ-
ველი მტკივნეული ყამა მწერლობაში. არც შემდეგ მომკლებია
ჩხვლეტა და ზურგიდან ფაფერაკების ჩაწყობა. ერთი ჩვენი კოლე-
გა დიდხანს ედგა სათავეში ჩვენს მწერალთა კავშირს... და მისგან
რომ გული მტკენია, არასოდეს მომიჩნება. მაგრამ ჩემი

მუშის მდინარე მაინც დიოდა და დიოდა სწრაფად. ხან თუ ლოდ-
ვზე მიხლიდა შეკრდს, წამით შედრკებოდა, ისევ გაინაპირებდა.
რას იზამ, ცხოვრება ზოგჯერ ეკლიან ჩხვლეტაზე უარესია, მტკიე-
ნეულია. კეთილი და ბოროტი ადამიანი ღვთით დანაბადია, რა
ქნას ბოროტმა, ღმერთმა იმგვარი გააჩინა, შემინდვია ყველა სულ-
მდაბლისათვის, რამეთუ მე ვარ და ვიქნები მარად რაინდული სუ-
ლისკვეთებისა. მაგრამ ყველაზე უფრო დიდი სულიერი ტკივილ-
ები მომაცუნა ავადმყოფობამ. კინაღამ სული ამომხადა ამ სენმა.
განოიარკვა, რომ გონებრივი დატვირთვა მვნებდა. სწავლას უნდა
განვრიდებოდი. რა მექნა, ჭაბუკს სწავლა მწყუროდა და წიგნი
გულში მქონდა ჩახუტებული. 1935 წელს უკვე სტუდენტი ვიყავი,
თითქოს სიხარულმა მოიცივა ჩემი გული, მაგრამ ვაი, რომ დროებ-
ით, გამოუარესდა ჯანმრთელობა. ერთმა პროფესორმა ექიმმა მი-
ჩია არ წამეკითხა წიგნი, ისე ჩამეზარებინა გამოცდები. პირველი
კურსი დავხურე... და მეორე ისე შევიქენი, კინაღამ დავკარგე გამო-
ჯანმრთელების იმედი. იმის შემდეგ სწავლას თავი მივანებე. შევი-
სვენე, ვიმკურნალე, მთების ძვირფასმა პაერმა შემიმსუბუქა სული-
ერი ტკივილები... აღარ მინდა გავავარძელო დაწვრილებით ჩემი
ავადმყოფობის ამბავი.

მერე ფრონტზეც ვიყავი.

მერე სწავლაც განვაგრძე. დაგამთავრე.

საკმაოდ კარგადაც ვიყავი, მაგრამ... 1973 წელს კვლავ შემო-
მიბრუნდა ძველი სენი. ბოლოს გულმაც მიღალატა. ორჯერ სასი-
კვდილოდ დავკარგე გონება... მაგრამ ვადავრჩი. გადავიტანე მძიმე
ობერაციაც. ხანდაზმულობას ზომ თავისი მაგნე რეციდივები მო-
აქვს ხოლმე. ასე მივლევ სიცოცხლის დღეებს. ჩემი სიხარული ის
არის, რომ დღეს უკვე 36 წიგნის ავტორი ვარ. ბევრი დაიწერა
ჩემს მოღვაწეობასა და შემოქმედებაზე, მათ შორის განსაკუთრებ-
ით უნდა აღინიშნოს ბატონ იპოლიტე ვართაგავას შესანიშნავი
მონოგრაფია — „სული, გული. შეგნება და მხნეობა მამა-პაპური“.
(ავტორმა იგი დაწერა 1961 წელს და რაც აღრიცხულია მისივე
წიგნში „მოგონებები“, 1962 წ.). 1991 წელს გამოიცა 336 გვერდი-
ანი წიგნი „პოეტის წუთისოფელი“, ჩემს შემოქმედებას რომ ეხე-
ბა. ამ წიგნშია დაბეჭდილი ბატონ იპოლიტე ვართაგავას აღნიშნუ-
ლი მონოგრაფია ჩემზე.

ბატონ იპოლიტეს ოჯახი, ჩემი საყვარელი სავანეა. მისი ბა-
დიშები ტარიელი და ავთანდილი ჩემი უმცროსი ძმებია. ტარიელი
ამჟამად ჩემთან არის ბათუმში... და ჩვენ ყოველდღე ვხვდებით
ერთმანეთს. იგი მალე წავა ჭიათურაში, სოფელ ბეინევში, სადაც

ბაბუასეული კერა აქვთ. იქ ელოდება ავთანდილი, როგორც ავთანდილი მწერს, მალე დაიწყო მუშაობა და ტარიელი ერთ-ერთი ეკლესიის მოხატვასო. მათ ხომ საამისო დიდი გამოცდილება თბილისში მიიღეს. დედაქალაქში ცხოვრობენ, მაგრამ ძალიან უყვართ სოფელი ბუჩინვი და არც მიატოვებენ არასოდეს.

მეორე ჩემი სიხარული ის არის, რომ ხელმძღვანელები მაფასებდნენ. მიღებული მაქვს შვიდი საპატიო სიგელი: ხუთი — აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ნაბოძებია, ორიც — საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმისა. დამიჯილდოვეს საპატიო ნიშნის ორდენითაც, როგორც ნაომარს, მიღებული მაქვს ომში მონაწილეობის ორდენი, მედლები. 1986 წელს მომანიჭეს ქ. ბათუმის საპატიო მოქალაქის წოდება. ხელვაჩაურის და შუახევის რაიონების საპატიო მოქალაქის წოდებაც, მაქვს მიღებული, ვადამიხადეს იუბილეები: 50, 60 და 70 წლისთავეზე.

მყავს ცოლი, შვილები და შვილიშვილები, უმცროსი შვილი ნუგზარი ცალკე ცხოვრობს. დიდხანს მსახურობდა თბილისში: ჯერ იყო ტრავმათ-ტრავლეიტის ტექნიკური განყოფილების უფროსი... მერე გადაიყვანეს აქავკასიის რკინიგზის სამმართველოში კარგი მუშაობისათვის. საკავშირო გზათა მინისტრმა ბრძანებით მადლობა გამოუცხადა და დააჯილდოვა საათით, წარწერით. ამჟამად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რკინიგზის დეპარტამენტის უფროსია... დღეს ვის არ უჭირს საქართველოში. ამიტომ, ამ მხრივ წუწუნს განვეკრადები...

ერთი რამე უნდა ვთქვა: განვლილი წლები ეკლიანიც იყო და ვარდებიანიც, როგორც ეს ცხოვრების წესია.

საბჭოთა ხელისუფლება თუ არა, აჭარაში იმ დიდ განათლებას ვერავინ დაამკვიდრებდა, ყველა სოფელში სკოლა, კლუბი, ბიბლიოთეკა, დიდი მოვლენა იყო, აჭარაში „დედაენის“ დაფუძნებამ განანათლა აჭარის მკვიდრის გონება და ჩაბნელებულ ქოხებში აენათო ჩინადღნები. ძველი დრო რომ ყოფილიყო, იქნებ სოფლის ჩობანი ვიქნებოდით. სოფელს ყმაწვილს ვინ მადირსებდა „დედაენას“. არც პატრონი მყავდა. დედა ხომ ადრე გარდავიდა წუთი-სოფლიდან. მამაჩემი კი უსწავლელი კაცი იყო და არც ფაქრობდა შვილებს მიეღოთ განათლება. რაკი დედამ დასტოვა წუთისოფელი, ოჯახიც მოიწალა, გვალვამ დააშრო ეკონომიკის წყაროც, ასე რომ შეგვრჩა ცარიელი კოცები, ხოლო ჩვენ მწყურვალენი დავექებდით წყაროს, მაგრამ მანამდე გზა მეტად ეკლიანი იყო. თუ ახლა ცნობილი მწერალი ვარ... ინტელიგენტი მქვია, ყველაფერი

ეს იმ დრომ შემძინა, რომელსაც ახლა რატომღაც ერთბაშად აუგრიანებენ და იხსენიებენ. ყველაფერი საღი გონებით უნდა შეფასდეს, კარგს კარგი უნდა დაერქვას, ცუდს კიდეც ცუდი. ასეთია ჩემი აზრი და სინამდვილე...

მინაწერი: იყვნენ ჩემი საყვარელი ადამიანებიც, მათაც ვუყვარდი. რაკი ბორბტა და კეთილხეც არის საუბარი ამ დიალოგებში, მე ერთ კეთილ ადამიანზე ვიტყვი ორიოდ სიტყვას, რამეთუ სიამოვნებას ისევ კეთილი ადამიანი ვარგუნებს. ეს არის აქარელი განათლებული, ჩვენი კუთხის სახელოვანი მანდილოსანი — ნათელა დუმბაძე. იგი ბოლო წლებში მუშაობდა პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მდივნად, ძალიან თავაზიანი ქალბატონია. ჩემი სათუბილეო სამოცდაათი წლისთავი, რომ მოვიტავეთ მისი ხელმძღვანელობით, ძალიან მორიდებით თავის კაბინეტში მიმიწვია და მითხრა: — ბატონო მამია, იუბილემდე მკაცრად გავგიცხადეთ, რომ საჩუქარს არავისგან არ მიიღებდი. თქვენი სიტყვა მთელმა ქვეყანამ გაიგო... და თქვენვე აღასრულეთ წმინდა ფიცით. ამიტომ ვერ გავიბედეთ თქვენზე რაიმეს გადმოცემა. ახლა კი გაძლევთ პატარა სამახსოვრო საჩუქარს და უარი არ თქვათ. დამერიცხეთ უარი ვეღარ ვთქვი ძვირფასი საჩუქარი წარწერით „70“. ოჯახში ანდერძი დავიბარე: — გახსოვდეთ ეს ძვირფასი დღე, ვიდრე ხართ ამქვეყნად და უბოძეთ გული სიკეთეს, ერთი სანთელი მის შთამომავალსაც მიაწვდინეთ თუკი სიბნელემ მოიცვა მათი გზა! მე ქალბატონს საჩუქრად გავუგზავნე ჩემი წიგნები: „პოეტის წუთისოფელი“, „ეპოსი“, „ჩემი საუნჯე“, და „შვიდასი“... ქუჩაში შემხვდა: მადლობა მითხრა და გადამკოცნა. თან დასძინა: — ერთ ტონა საბეჭდ ქალაქს საჩუქრად გაძლევ, შენ ამის ღირსი ხარ, ხალხს უყვარხარ, პირადად პატივს გცემ, როგორც მართალ ადამიანს და ჩვენს საყვარელ მგოსანს! — ქალბატონო ნათელა, ეს ისეთი დიდი საჩუქრია, რომ დავფიქრებდი. დავეუფლო თუ არა ამ ღიდ განძს. ოჰ, რა ვთქვა, აღარ ვიცი, გაიღიმა და იგივე გამომეორა. მომაკითხეთ კაბინეტში... და დამისახელა ამჯერად სადაც ჰქონდა მიჩნეული კაბინეტი. ბევრი ვიფიქრე... ვიფიქრე და გამოვირდა მასთან მისვლა, ასე გაფრინდა 1994 წელი. ამის შესახებ ვუამბე ერთს ჩემს საშუალო სკოლის მეგობარს, თანაფრონტელს... ბარემ გავამხეღ მის ვინაობას — ეს არის კეთილშობილი ადამიანი მურად ნიყარაძე. იგი თურმე ქალბატონ ნათელას ოჯახთან ახლოსაა... და ამ საქმეში ძალიან კარგი, სამახსოვრო შუამავლობის ღვაწლი დაგვდო... და მე ვეწვიე ამ ქალბატონს კაბინეტში. ფეხზე წამოდგა, თბილად მომესალმა, დაბრძანდით, მითხრა... უკვე თქმა

აღარ იყო საჭირო... ბეჭედდასმული ოფიციალური წერილი, რომელიც ჩამაბარა ქალბატონმა ნათელამ, მთლიანად აქვე მოწვევით

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბეჭდებით სიტყვის დეპარტამენტის პოლიგრაფიული საწარმოო გაერთიანების ვენერაულ დირექტორს ბატონ თენგიზ თავდგორიძეს.

აჭარის ქალთა დემოკრატიული საქველმოქმედო ასოციაცია „მანდილი“, რომელსაც თქვენს საწყობში გააჩნია 1017 კილოგრამი ქაღალდი, გვსურს საქველმოქმედოდ გადავცეთ ჩვენი კუთხის სასიქაღულუ მამულიშვილს პოეტ მამია ვარშანიძეს.

გთხოვთ, დოკუმენტალურად გააფორმოთ ასოციაციის ბუღალტერთან ერთად და გადასცეთ იგი საკუთარი სარგებლობისთვის ბატონ მამია ვარშანიძეს.

ასოციაცია „მანდილის“ პრეზიდენტი ნათელა დუმბაძე.

3 მარტი, 1995 წ.

10 მარტს ყველაფერი გაფორმდა და მე პირად განკარგულებაში ჩავიბარე 1017 კილოგრამი საბეჭდო ქაღალდი, რომელიც შევინახე იქვე სტანბაში, გამომცემლობა „აჭარის“ საწყობში. ეს არის ქალბატონ ნათელას უკეთილშობილესი გამონათება. ჩემთვის კი ოქროსაბოძებელი. მე ამას არასოდეს დავივიწყებ. ახლა ხომ საქართველოში დიდი გაჭირვების უამია... და ასეთ დროს ადამიანი, რომ განუქებს ასეთ განძს, საოცარია. ხომ შეეძლო გაეყიდა. განა მას ეკონომიურად არ უჭირს. ისიც ნიშანდობლივია, რომ მწერალთა შორის მე გამომიწოდა ხელი. ამიტომაც მისი გულკეთილობა ყოველმხრივ უსაზომია, ფასდებულია და მერე როგორ!

ზემით იყო საუბარი კეთილ და ბოროტ ადამიანებზე. დღეს საქართველოში ბოროტება მძვინვარებს... საქართველოს ბედი ყოველმხრივ ბეწვზე ჰკიდია — ეკონომიკურადაც და პოლიტიკურადაც... და აი, ასეთ დროს სულით ნაზი და ფაქიზი ქალბატონ ნათელა დუმბაძე პოეტს საჩუქრად აძლევს ერთ ტონა ქაღალდს. ეს იმას ნიშნავს, რომ დამიანმა გაჩუქოს ხუთასი დოლარი ანუ ორი მილიონი რუბლი... ასეთი ადამიანები საკმაო რაოდენობით, რომ გვყავდეს, მაშინ საქართველოს, ქართველ ხალხს განა გაუჭირდებოდა?! ჩემო შვილებო და შვილიშვილებო, მირად გახსოვდეთ ამ უსაკვარლესი ქალბატონის დიდი სიკეთე... და მუდამ სანთლები მიანათეთ ამ ანგელოზის გზა-კვალს და სიენეს!

7. რით იყო ყურადსაღები თქვენი ბავშვობისა და ჭაბუკობის

დროინდელი აჭარა, თქვენი მშობლიური კუთხე, თავისი დიდებუ-
ლი და უბერებელი მამაბაბური საუკუნოობით შემუშავებული და
განმტკიცებული ტრადიციებით, მაგალითად, ფოლკლორში, ქორ-
წილში, დაკრძალვასა და სუფრის ხალხურ ტრადიციების ხელოვ-
ნებაში. რა შეიცვალა ანდა პირიქით — რა მიიღო და შეისისხლ-
ხორცა მან ისეთი თანამედროვე ცხოვრებიდან, რამაც კიდევ უფ-
რო სრულყო, გააღრმავა და გაამშვენიერა აჭარის დიდებული წარ-
სული და გახადა იგი აბსოლუტურად იდეალური?

პასუხი: როგორი იყო ჩემი ბავშვობის და ჭაბუკობის დროინ-
დელი აჭარა? ჩემი მშობლიური კუთხე?

უპირველესად ვუპასუხოთ ამ კითხვებს. რელიგია ისლამური
იყო სულთა მპყრობელი, განსაკუთრებით — მორწმუნენი იყვნენ ქა-
ლები. სწამდართ ღმერთი — ალლაჰი, რომელიც ყოვლისმძლე და
ყოვლის შემძლე იყო. ყველაზე უფრო წმინდა წიგნად ითვლებო-
და „ყურან“, რაც ქართულად საკითხავს ნიშნავს. მე ქართული
თარგმანი მაქვს. ჭეშმარიტად სიბრძნის წიგნია და მოიცავს ცხოვ-
რების ყოველ მხარეს, ეთიკასა და მორალსაც, ოჯახურ და საერ-
თოდ სახალხო სამართალსაც, აღიარებს სააქიოსს და საიქიოსს. რომ
ადამიანი ამქვეყნად სტუმარია: რომ წინი მარადი სამკვიდრებელია
საიქიო. იმქვეყნად არის ჯოჯობეთიც და სამოთხეც (ჯეჰენემი და
ჯენნეთი). ცოდვილი მოხედება ჯოჯობეთში, ხოლო მადლმოხილი
სამოთხეში, სოფლად თრი წმინდა საფანე იყო: მედრესე და ჯამე.
მედრესეში ბავშვებს ასწავლიდნენ წმინდა მამადიანურ წიგნებს.
ჯამეში ხოჯა ატარებდა ვაიზებს ანუ ქადაგებდა: ხოჯა დაიდებდა
წიგნს ან ყურანს. კითხულობდა და განმარტავდა. ხოჯას ასე თუ
ისე უნდა სცოდნოდა არაბული ენა. უმთავრესად ტარდებოდა ვაი-
ზები ქალებისთვის. ქალი მუდამ პირშებუტრვილი დადიოდა, შორს თუ
მიდითოდა. ჩადრს დაიხურავდა. ყველა ქალს უნდა ჰქონოდა ჩადრი,
საჭიროებდასამებრ ინათხოვრებდა და ისე გაემგზავრებოდა. ქალი
სტუმარ მამაკაცთან ერთად სუფრას არ მიუხსდებოდა. მამაკაცებ-
ის საუბარს ყურადღებით ისმენდა, თვითონ იშვიათად თუ ჩაერე-
ოდა საუბარში. ყოველწლიურად იყო მარხვა ანუ რამაზანი, რაც
ერთ თვეს გასტანდა. მარხულს აკრძალული ჰქონდა ჭამა, წყლის
დალევა. გათენებას ერთი-ერთნახევარი საათი, რომ აკლდა, მაშ-
ინ მიირთმევდნენ, რომელსაც „იასლულს“ ეძახდნენ. დაღამების
შემდეგ ჭამის უფლება ჰქონდათ. პო. ჰაბირთისის მოწვევაც აკრძალ-
ული ჰქონდა მამაკაცებს. ერთი თვის გასვლის შემდეგ ბაირამი
დგებოდა, დილით მამაკაცები ჯამეში წავიდოდნენ სალოცავად. ამ
რიტუალს მოათავებდნენ — ერთმანეთს ბაირამს მიულოცავდნენ



და ოჯახს დაუბრუნდებოდნენ. ნაბიარამევი მამაკაცი ოჯახს თითოეულ წევრს მიულოცავდა ბაირამს, ხოლო შემდეგ დიასახლისი გაშლიდა სუფრას. სუფრას არ დააკლებოდა ბაქლავა, ფლავი, თაფლი, შერბეთი და ა. შ. გულლიად მიიღებდნენ სტუმრებს. სტუმრობა უფრო მეორე დღეს იცოდნენ.

ადრე, ოჯახში ქართულ წიგნს ვერ ნახავდი. არ სწურავდნენ ღვინოს. მის ნაცვლად იყო მხოლოდ ბადაგი — შერბეთი, ხილეულთა...

ეს ერთი მხარე ე. წ. „ძველი სოფლისა“. ცოტა რამ დასაფლავების შესახებ. გარდაცვლილს სამ დღეზე მეტს არ შეინახავდნენ. კუბოს სახლში ამზადებდნენ ფიცრებით. დამზადებდნენ თხმელის ხისაგან 9 ლენტს. ანუ გათლილ. დაპობილ ცხრა ნაჭერს, რომლის სიგრძე მეტრზე მეტი იქნებოდა. როცა კუბოს საფლავში მოათავსებდნენ, ამ ცხრა ლენტს კუბოს ირიბად მიაწყობდნენ ბოლომდე ისე, რომ შიგ მიწა აღარ მოხვდებოდა. ამის შემდეგ დაყრიდნენ მიწას. მანამდე ხოჯის მეთაურობით „ჯანაზეს“ ელოცავდნენ. „ჯანაზეს“ ეტყვიან მიცვალებულისათვის ლოცვას.

ქალის მოყვანა: როცა გოგო მოეწონებოდათ ბიჭის მშობლებს, როცა დაითანხმებდნენ გოგოს მშობლებს, ნიშანს გაუგზავნიდნენ: ოქროს ბეჭედს, ოქროს საათს, ოქროს სამაჯურს. ამის შემდეგ იგზავნებოდა ე. წ. ბოხჩა. ბოხჩაში ჩაალაგებდნენ ძვირფას საკაბეებს, საჩაღრეს და ა. შ.

ქორწილი: დათქვამდნენ ქორწილის დღეს. ბიჭის მამარი ესტუმრებოდა სარძლოს ოჯახს. გაჩაღებოდა ქორწილი, ორი დადე იყო აუცილებელი: ერთი ბიჭის მხრიდან — ბიჭის დადე, მეორე კი — რძლის მხრიდან — ქალის დადე. დადე ორივე ქალი იყო. დედოფალს მოჰყვებოდნენ ხელისმომკიდებებიც. ასე წამოიყვანდნენ სარძლოს. ვაყის ოჯახში ქორწილი იყო გაჩაღებული. ეზოში გამოჩნდებოდა სიძე და დედოფალს ვერცხლის ფულებს გადააყრია. შემდეგ დიდი ამბით შეიყვანდნენ დედოფალს ოთახში, დედოფალს დილით უკვე მარტოდ სტოვებდნენ. დაემშვიდობებოდა მამა და მისიანები...

ასე მთავრდებოდა ეს ცერემონიალი. ხოჯა ადგენდა საბუთს (ნიქახს უწოდებდნენ), რომელსაც ხელს აწერდნენ თფიციალური დამსწრენი. ქორწილში მღეროდნენ, ცეკვავდნენ: ლეკურს, ბაღდაღურს, ხორუმს. ენას იღვამდნენ ხალხური მელექსენი. რა შეიცვალა? ბევრი რამ. უპირველესად ქალიშვილებმა უკუაგდეს ჩაღრი. გამოვიდნენ მეჯლისში, დაეწაფნენ „დედა ენას“. ღვინოს თუ არ ეკარებოდნენ, მერე კი პირიქით.

მე 1949 წელს გამოვაქვეყნე ლექსი, „ღვინოს წურავს შენი ქალი“. ეს იყო ისტორიული მოვლენა ჩვენს ცხოვრებაში, რომ აპარელმა ქალმა პირველად დაწურა ღვინო... მოშენდა ვენახები, ახლა რომ აჭარელი ქალები სუფრას გამართავენ, გაოცდები. ველარავინ აკობებს აჭარელ ქალებს — ვერც სტუმართან დახვედრაში და ვერც ქორწილში, „დედა ენამ“ და განათლებამ უზარმაზარი ცვლილება მოახდინა აჭარის ყოცა-ცხოვრებაში. ახლა სახარებას, ბიბლიას ეწაფებიან ქალებიც. ყველაფერი ეს მოიტანა განათლებამ, წიგნმა, დრომ...

ვისაც სურს გაეცნოს აჭარის ძველ და ახალ ყოფას, მან უნდა ნახოს აჭარის მხარეთმცოდნეობის სახელმწიფო მუზეუმი, წაიკითხოს ბათუმში მოღვაწე მეცნიერების ისტორიულ-ეთნოგრაფიული ხასიათის წიგნები, გამოკვლევები, ჩვენი პროზა და პოეზია...

მე ერთხელ საუბარი მქონდა დიდ პროზაიკოს დემნა შენგულიასთან, რომელსაც ახლოს ვიცნობდი, თბილისში მის ოჯახშიც დავდიოდი. ვთხოვე ერთი რომანი დაეწერა აჭარის წარსულიდან, მან მიპასუხა: — არ ვიცნობ აჭარას ისე, რომ რომანი დავწერო ამ კუთხის ხალხზე, რომელსაც დიდი ტანჯვის გზა გამოუვლია დღემდე, უბრძოლია, რომ შეენარჩუნებინა მისი საუკეთესო ქართული ტრადიციები; ენა; არ დაეკარგა ის, რითაც მდიდარი იყო... და ამ ბრძოლაში, ამ დახლართულ ისტორიის ზიგზაგებში რა დაკარგა და რა ჰპოვა, ეს ხომ ყოფა-ცხოვრებაში ჩანს. ეს ხომ ადამიანის სულს თავისებურად წიწკნის და ჰკორტნის... და მაშასადამე, მის სულშიც ხდებოდა რევოლუცია... ყველაფერ ამას შესწავლა და დაკვირვება უნდა; ხელაღებით არ შეიძლება რაიმეს დაწუნება ან მოწონება. დიდი სიფრთხილეა საჭირო და ეს, რომ შეძლო, ერთ წელიწადს მაინც აჭარაში, ამ ხალხში უნდა დაჰყო, მოუშინაურდე... და მერე წიგნები, წიგნები უნდა მოიშველიო — ივანე ჯავახიშვილიც და ხარიტონ ახვლედიანიც, ჯემალ სოღაიდელიც და ჯემალ ჩხეიძეც... და ა. შ.

დემნა ახალგაზრდა, რომ ყოფილიყო, ალბათ, საინტერესო რომანს დაწერდა აჭარის ყოფა-ცხოვრების მატეიანედან... ხანდაზმულობაში ამ მძიმე ტვირთს განერიდა.

მე ჩემი ვთქვი, ხოლო დანარჩენი შენ იცი ჩემო მეგობარი!

მ. როდესაც სიკვდილმისჯილ პელიოდორეს შესთავაზეს უარი ვთქვა, ესე იგი გაენადგურება საკუთარი პოეტური ქმნილებები ან თვითგვემით მოებოვებო ხორციით სიკვდილი, ცხადია, მან ვერ გაიმეტა სულიერი პირმშო თავისი, ხორციელე კი დასთმო: ძარღვები გადაიჭრა და ისე განუტევა სული.



როგორც ჩანს, იმდროინდელი ხელისუფლებისათვის ამიერიდან ელი იყო მისი ქმნილებანი იდეური თვალსაზრისით და ამან მიიყვანა პოეტი ასეთ სავალალო მდგომარეობამდე. ასეთივე ხვედარი რომ მოეცა თქვენთვის, როგორც პოეტისათვის, დროს, უკულმა დატრიალებულ საუკუნეს, როგორ მოიქცეოდით ჰელიოდორეს ადგილზე ან რომელ ერთს დასთმობდით თქვენ, ხორცს თუ სულიერ მემკვიდრეობას?

პასუხი: უპირველესად გავიხსენებ დიდ აზერბაიჯანელ პოეტს ნასიმს, რომელიც 600 წლის წინათ ცხოვრობდა. პატარა ამონაწერი მისი ისტორიიდან: „პოეტის ცხოვრება და შემოქმედება დაკავშირებულია აზერბაიჯანელი ხალხის გამოათვისუფლებელ ბრძოლასთან. XIV საუკუნის მიწურულსა და XV საუკუნის დამდეგს აზერბაიჯანი მოიცვა სექტანტურმა მოძრაობამ — ჰურუფიზმმა, რომელიც ისლამის დოგმებისა და თემურიდების ბატონობის წინააღმდეგ იყო მიმართული. ჰურუფიზმის ფუქიმდებული და ბელადი იყო უნიჭიერესი აზერბაიჯანელი მწერალი და მოაზროვნე ფაზლულაჰ ნაიმი. ჰურუფიზმის მთავარი რებულებები ვადმოცემული იყო მის ნაწარმოებში „ჯაედიანნამე“ („წიგნი მარადიულობისა“.) ერთგვარი შეზღუდულობის მიუხედავად, ამ მოძრაობამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ხალხის ბრძოლაში მტრების წინააღმდეგ. ჰურუფისტული მოძრაობის მონაწილეები უსასტიკეს დევნას განიცდიდნენ დამპყრობთაგან. 1402 წელს ფაზლულაჰ ნაიმი მოკლეს მირანშაჰის ბრძანებით. ნასიმი ჯერ კიდევ შემაჰაში გაეცნო ნაიმის, რომელმაც უდიდესი ზეგავლენა მოახდინა პოეტზე. ფაზლულაჰის სიკვდილის შერე ნასიმი გაემართა ახლო აღმოსავლეთში, რათა იქ გაეგრძელებინა ჰურუფისტების მოძღვრება. იგი ეწვია თურქეთს, მერე სირიაში გაემგზავრა და სიცოცხლის მიწურულამდე ქ. ალეპოში ცხოვრობდა. პოეტის მგზნებარე ლექსები, სიმართლისა და თავისუფლებისათვის საბრძოლველად რომ მოუწოდებდნენ ხალხს, მხურვალე გამოხმაურებას ჰპოვებდნენ საზოგადოების ყველა ფენაში. მმართველმა წრეებმა ნასიმი ერეტიკოსად და მუამზოხედ გამოაცხადეს.

1417 წელს, სასულიერო წოდების განკარგულებით, ნასიმი, როგორც ერეტიკოსი, შეიპყრეს და სიკვდილით დასაჯეს ალეპოში. იქ დღემდე ცხოვრობენ მისი შთამომავლები, რომლებიც სათუთად უვლიან პოეტის მავზოლეუმს.

უძველესი არაბული წყაროებით ჩვენთვის ცნობილია ზოგიერთი რამ ნასიმის ტრაგიკული სიკვდილის შესახებ. ერთხელ ალეპოს ქუჩაში შეუპყრიათ ერთი ჭაბუკი (ნასიმის მოწაფე), რომელიც წა-

მღერებით კითხულობდა „კრამილურ-მეამბოხე“ ლექსებს. განცვიფრებულ მუსულმანი კლერიკალები იძიებდნენ, ვის ლექსებს კითხულობო. ჭაბუკს არ გაუცია ნასიმი — ლექსების ავტორი, ჩემი ლექსებიაო, ირწმუნებოდა, რელიგიურმა ფანატროსებმა ჭაბუკს სიკვდილი მიუსაჯეს. ის-ის იყო განაჩენი უნდა აღესრულებინათ, რომ მოედანზე გამოჩნდა ნასიმი, რომელსაც გამოუტყაბდებია: მაგას რას ერჩიო, ის ლექსები მე დაწერეო, მაშინ ჯალათებმა ჭაბუკს ხელი უშვეს და სასულიერო ხელისუფალთა ბრძანებით ნასიმს ცოცხლად გააძვრეს ტყავი. ვადმოცემა მოგვიხიბრობს, რომ პოეტის დასჯის დროს ერთ-ერთ ზაპიდს — „წმინდა მამას“ უთქვამს: ნასიმის სისხლის თუნდაც ერთი წვეთიც რომ მიეშხეფოს ვინმეს, უნდა მოკვდეთო სხეულის ის ნაწილი, სადაც ერეტროსის სისხლი მოხვდაო. რაღაც ბედად სისხლი თვითონ მას შეშხეფებია და უცდია გაექარწყლებია თავისი ნათქვამი. მამინ გასისხლიანებულ ნასიმს უთქვამს:

სცადე და ზაპიდს მოპყვეო ათიო,—

სიძაროლეს დასთმობს, შებრალებას მოითხოვს იგი;

აქ კი, შეხედეთ, ტყავს აძრობენ მართალ კაცს წყნარად, —
უშიშრად კვდება, — ცრემლს არ დადვრის ნასიმი, არა!

სასიკვდილოდ განწირულ პოეტს არ შეუწყვეტია „წმინდა მამათა“ თვალთმაქცობის მნიშვნება“. ამ ისტორიული ფაქტიდან საში დასკვნის გაკეთება მინდა:

1. პოეტი თავს სწირავს თავისი რწმენისთვის, ხალხისთვის, ხოლო ეს რწმენა ეულის სისხლითაა ჩაწურული სულში ლექსების წყალობით. ლექსები მისი, მისივე ეულია, ჭეშმარიტი პოეტი თავის რწმენით საგნე ლექსებთან ერთად მოკვდება.

2. პოეტი უბადლოა ჭეშმარიტების აღიარებაში, რომ მისი ლექსებისათვის ჭაბუკს მსჯავრი არ ასცდებოდა, მაგრამ სიკვდილის პირისპირ პოეტი გავიდა და ისხნა მართალი ჭაბუკი. ეს ისეთი რაინდული მოქმედებაა, ყველას აღაფხვებს პოეტისადმი სიყვარულით და სინანულით, ამას როდი იწამს ყველა. გავიხსენოთ მეორე მსოფლიო ომის მეტროპოლის ფორე მოსულიშვილის გმირობა იტალიაში, როცა ფაშისტებმა ალყა შემოარტყეს ციხე-სიმაგრეს და გერმანელები მოითხოვდნენ პარტიზანთა ატამანს, მის ანუ იტალიელის ნაცვლად გავიდა ფორე მოსულიშვილი, მე ვარ ატამანიო. იგი მოკლეს. მერე საბუთებით ამოიციეს. გმირობის გამოჩენისათვის პატივდებით დაასაფლავეს და ზედ კარგი წარწერაც გაუკეთეს.

ხედავთ, როგორ სწირავენ თავს რაინდები?!

3. „წმინდა მამას“, ამ მხდალს რეპლიკა, რომ ესროტნა ნახშირით
მა, ამხილა მშიშარა, გმირად რომ მოაქვს თავი, მაგრამ ლაჩა-
რია. ამისთანა „ცრუ გმირი“ რამდენია! ნასიმი კი ქეშმარიტად
გმირია.

თათრეთის პოეტმა მუსა ჯალილმა რაინდულად თავი გასწირა
სამშობლოსათვის, თავისი პოეტური მრწამსისათვის — მას ხომ
უყვარდა ცალ-შვილი, მშობლიური ქვეყანა და ხალხი. მას ხომ
უყვარდა სიმართლე და ქეშმარიტება, ურომლისოდაც ჩვენი ცხოვ-
რება არის ამათება. რა არის ჩემი პოეზია თუ არა ჩემი მრწამსი,
ჩემი სიყვარული, ჩემი ქვეყნის და ერის მგზნებარე სიყვარული.
თაც მე ვარ, იგივეა ჩემი პოეზია. კრიტიკოსი შოთა ქურდიე წერს:
„უეჭველია იმ-გარემოებამ, რომ პოეტმა თვითონ გამოსცადა ჯა-
რისკაცული ცხოვრების სიხარულიც და ტანჯვაც, ხელი შეუწყო
მისი იმდროინდელი ლექსების ენოციურობას, მაგრამ არც ის უნ-
და დაივიწყეთ, რომ გულწრფელი და ემოციურია მამია ვარშანი-
ძის არა მარტო ომისდროინდელი, არამედ ომამდელი და ომის-
შემდგომი ლექსებიც. ეს მისი პოეზიის საერთო ნიშანდობლივი
თვისებაა, პოეზიაში მისი ხასიათის უკუფენაა. ცხოვრებაში უაღ-
რესად გულღალი მამია ვარშანიძე მხოლოდ იმაზე წერს, რაც
არა მარტო თვლიდა უნახავს — უშუალოდაც განუცდია, რასაც
მთელი მისი სული და გული შეუძრავს. ამ გულწრფელობით იზილ-
ავს მამია ვარშანიძე მკითხველს“...

მოვიტან ნაწყვეტს ლექსიდან „გული და პოეზია“.

მიწი ისე ღამაზია —
თვითონ მობრდენი შენი ნუჭით,
რა ჩუქურთმებს არ ჩამოჭრის,
პე, ყალამი ვისაც უჭრის.
მაგრამ ვინა ყველას სიტყვა
ისე ჰქუხს და ისე კვესავს,
რომ შენ აპყვე ჟამთა წესის
ხან სიხარულს და ხან კვნესას?
ყალამს მხურვალ გულში ნალღობს
დიდი მთებიც შეუჭვრია,
ასე ელვა, ასე დელვა
ვინა ყველას შეუძლია?
აბი ლექსი ათასია
რომ იმევენებს ლალს და მარჯნებს.

1956

მაშასადამე, უფულოდ თქმას ფასი არა აქვს. ხოლო რასაც გუ-
ლით ამბობ, ის არის შენი რწმენა, შენი ხატი და რჯული. ჩემი
პატარა პოეზია, ჩემი ბიბლიაა, რომელშიც ჩავწურე ჩემი აზრი,
რწმენა და სიყვარული; საყვარული ჩემი სამშობლოს, ჩემი დედ-
ის, ჩემი ძმების, ჩემი საპატივცემულო ქალების, რომელთა მიღმა
ჩემი ცხოვრება ფუჭია. ჩემს ლექსებში ჩავწურე შვილთა და შვი-
ლიშვილთა სიყვარული, ჭეშმარიტი ჩემი მეგობრების სიყვარუ-
ლი...

ქე შეგეწირები ჩემს პოეზიას, რადგან იგია ჩემი სული და
გული

მ. გახვიდოდით თუ არა დღეულში იმ ქალის გულისათვის,
რომელიც თქვენ ძალიან გიყვართ, აღმერთებთ, რომ იტყვიან?
(ქალი რჩება გამარჯვებულს).

პასუხი: ვინც ძალიან არის შენს სულთან დაკავშირებული, იმ
ქალის დათმობა სხვისთვის სიკვდილს ნიშნავს, სიკვდილს ლაჩრ-
ულს. ლაჩრული სიკვდილი კი არ მინდა. მე რაინდულ სიკვდილს
ვარჩევ. პოეტს რაინდული სიკვდილი შეშვენის.

10. თქვენი საყვარელი ფერი?

პასუხი: მე ძალიან მიყვარს ცისფერი, ლურჯი ფერი...

ნიკოლოზ ბარათაშვილსაც ჰყვარებია ცისფერი, ლურჯი ფერი
და გაულმერთებია კიდეც:

* * *

ცისა ფერს, ლურჯსა ფერს,
პირველად ქმნილსა ფერს,
და არ ამ ქვეყნიერს.
სიყრმიდან ვეტრფოდი.
თვალეებში მშვენიერს
ვეტრფი მე ცისა ფერს;
მოსრული იგი ციხ
გამოკრფის სიამით..
ფიქრი მე სანატრი
მიმიწევს ცისა ქედს,

რომ ეშხით დამდნარი
 შევერთო ლურჯსა ფერს.
 მოგვედები, ვერ ენახე
 ცრემლისა მე მშობლიურს,
 მის ნაცვლად ცა ლურჯი
 დამაფრქვევს ცვარს ციურს.
 სამარეს ჩემსა როს
 გარს ხისლი მოვეცას,
 იგიცა შეაწიროს
 ციავმან ლურჯსა ცას.

ცისფერი, ლურჯი ფერი — ჩემი საყვარელი ფერებია.
 ახლა ჩემი ლექსიდანაც „მხოლოდ ცისფერი“ რამდენიმე
 სტრიქონს გავიხსენებ:

სიხმარში, ცხადად მე შელანდება.
 მხოლოდ ცისფერი, მხოლოდ ცისფერი,
 და ვუსძჳერ ნატვრით, ვუსძჳერ ოცნებით
 ლაყვარდს მიბნედილს, მთებზე მრდენილს,
 იმ ცისფერ კანით ხშირად შეჩვენე,
 ჩამოუარე ამ ჩემს საბრძანისს,
 ჩემი სარკმლის წინ წამით შეგერდი,
 თვალა მოგავლუბ და მერე წაბრძანდი.
 იქნებ ისარი გამკრას საწუთრომ,
 ფათერაკი ხომ ყველგან თანა ვედევსა,
 გემუდარები შენ ცისიერო,
 ერთი მიხაკი გულზე დამადე.
 თან მიჩურჩულე: — ჩემო მგოსანო,
 შენ რომ გიყვარდა, ისე მაცვია —
 მერე ჩამოგვე ჩემს თავთან ახლოს
 და შენც მიტარე შენებრ განცდითა.
 შემეძლოს, ჩემი სიცოცხლისათვის
 შენს გრძნეულ კაბას მოვიპარავდი...
 ახლა სადა ხარ ჩემო ცისფერო,
 ჩემო ხატრულო აწ და მარადის?!

1987

გ. ტაბიძესაც ძალიან უყვარდა ლურჯი ფერი. გავიხსენოთ მისი ლექსი „ლურჯა ცხენები“, ღიას მიყვარს ცისფერი, დაახ, მიყვარს ლურჯი ფერიც.



11. რა აზრისა ხართ მზეზე?

პასუხი: მზე ჩვენი სიცოცხლეა, იმედია, დარდის გამქარვებელია, ჩვენი დამპყრებელია, ჩვენი გაზაფხული და ზაფხულია. მზე ჩვენი მიწის სილამაზეა, ყველა არსის, ყველა ცხოველის სიცოცხლის მიმნიჭებელი.

მზე — ყველა ფერის დედაა.

მზე — ჩვენი პურია, ხორბალია.

მზე — ჩვენი ბალნარია.

მზე — უსაზღვრო სილამაზეა.

მზე — ვარდების მფურჩქვნელია.

მზე — ყვავილნარია.

თვითონ მზის სხივებს აქვს უზრეტი ზღაპრული ზემოქმედების ძალა. თუ არა მზე, არ იქნებოდა დედამიწა.

ერთ-ერთ წიგნში ფრიდრიხ ენგელსი ამბობს: მოვა დრო და მზე გაცივდება, ყველაფერი მოისპობათ. მე არა მჯერა ფრიდრიხ ენგელსისა, მზე მარად ნთებადია, რასაც ჰკარგავს, მასვე იძენს კოსმოსური შეუვალი კანონის შედეგად, ამიტომ, მზე არ გაცივდება, სიცოცხლე დედამიწაზე არასოდეს არ მოისპობა, ჩემი საყვარელი პოეტის ალ. აბაშელის ლექსის ბუკარებს გავიმეორებ: „მზეს არ ახსოვს შობის წამი, მზეს სიკვდილი არა სჯერა, მან სიცოცხლე უკვდავების სიმთა ეღერით ააძგერა, დროს წაართვა ძლევის კვერთხი და დათრგუნა მით სიკვდილი“.

12. არის თუ არა ბავშვი ანგელოზი? — თქვენ თვითონ როგორ გესმით ანგელოზის მცნება?

პასუხი: ანგელოზი რელიგიური ხატია, ქალწულების ხატი. სიტყვა ანგელოზი დიადი მცნებაა და აუცილებელიცაა ადამიანთა სამყაროში მისი არსებობის რწმენა. ანგელოზი — სილამაზესაც აღნიშნავს და სულიერ სიწმინდესაც. მე ჩემი პოეტური ფიქრებით თავს ვევლები ანგელოზს. ის გვიქმნის რწმენას, გვაყვარებს ეთიკასა და მორალს, ადამიანი ბაძავს ანგელოზს. ე. ი. ივზ მიისწრაფის იქეთუენ, ანგელოზივით იყოს წმინდა, მაღალი ზნეობის არსება. ანგელოზი აფაქიზებს ადამიანს სულიერად. ამიტომ პოეტებმა თაყვანი უნდა ვცეთ ანგელოზს... და ასეც არის...

ბარათაშვილი ლექსში „ხმა იღუმალი“, ამბობს:

ანგელოზი ხარ, მფარველი ჩემი

ან თუ ეშმაკი, მაცოთური ჩემი?

ვინცა ხარ, მარქვი, რას მომისწავებ,

ხიციოცხლეს ჩემსა რის განუმზადებ?
როს ეცნა მე შენი საიდუმლობა,
როს მხდეს ამ სოფლად ჩემი წილობა?..

1836

„ანგელოზი ხარ, მთარველი ჩემი“ -- ეს არის ამ ხატის სიდიადის გამომხატველი.

ბავშვი ანგელოზია თავისი მიამიტურა სულით. ბავშვში ჯერ არაა მომწიფებული გენები, ის, რითაც აჯილდოებს ბუნება ბავშვს, ჯერ კიდევ გაუფურჩქნელია. ბავშვის ბუნება თავისთავად ანგელოზის სიწმინდისაა მსწრაფი. ბავშვს არ ძალუძს ბოროტების ქმნა. შეიძლება შემთხვევით გატეხოს ჭიქა... შეიძლება შემთხვევით მისმა ნასროლმა ქვამ, ვინმეს თავი გაუტეხოს. შეიძლება ასეთ ქმედებას მსხვერპლიც მოჰყვეს. მაგრამ ეს არ ექნება ჩადენილი ბოროტი განზრახვით, ბოროტი ის არის ვინც შეგნებით სჩადის ბოროტებას. ამიტომ ამბობენ, რომ ბავშვი ანგელოზიათ.

13. ევროპული შეგნების მიხედვით კავალერი ხორცშესხმული ვერ იქნება, თუ არ წერს ლექსებს, არაა მჭევრმეტყველი და არ ქმნის (უკრავს) მუსიკას. გამომდინარე აქედან, რამდენადაა მოკარბებული თქვენში კავალერის სისხლი და რისკენ გიბიძგებს ხოლმე თქვენ ეს სისხლი შემოქმედებითი წვის სასწაულებში?

ბახუხი: კავალერი ფრანგული სიტყვაა და იგი სამ რაიმეში გამოიხატება:

1, მამაკაცი, რომელიც ართობს ქალს; 2, მამაკაცი, რომელიც ცეკვავს ქალთან, 3, ქალის მოტრფიალე, თაყვანისმცემელი მამაკაცი.

მე ნესამე რიგს მივყვები. ქალის მოტრფილე და თაყვანისმცემელი ვარ. საერთოდ, მიყვარს ქალი, მისი კოცნაც ხომ დიდი სიამოვნებაა. სიამოვნებაა მოხვეწნაც. ქალი მუზას მიღვიძებს და სული ჩემი ტრფიანების ნაპერწკლების შეხებას გრძნობს. ჩემი სატრფილო ლექსები ქალთან ტრფილის პირშია. ქალი — ვარდია, ყვავილია, თითქოს და სურნელოვანია. უქალოდ ცხოვრება არარაა, ვიღაც უნდა გიყვარდეს, ვიღაცას უნდა ეტრფოდე, შეხაროდე; მიიღტვოდე. ქალი — მეგობარიცაა, მამაკაცზე უფრო უშუალოა მეგობრობაში. შენს წუხილს, ტკივილს გულთან მიიტანს. ერთი სიტყვით, მე ვიდრე ცოცხალი ვარ, ქალის თაყვანისმცემელი ვიქნები.

14. თქვენ შრავალი საუკეთესო ლექსი მიუძღვნით დედას — აღამიანური ცხოვრების ყველაზე დაღ მშვენიერს. ეს ლირიკის



ანუ პოეტური ფანტაზიის ენით, თეთრი მუხების ენით. მაგრამ რას გვეტყოდით ახალს თქვენ დედის შესახებ არა ლირიკის, არამედ პროზის, ჩვეულებრივი სასაუბრო ენით. დედას — ამ მაღალ იდეალს, ალს, ცხადია, აქაც მაღალ პოეტურ აქსესუარებს დაუპირისპირებთ.

პასუხი: ჩემი აზრით, ვისაც დედა ჰყავს, ის სრულყოფილად ვერ გაიგებს რა არის დედა. ალბათ შვიდი წლის უნდა ვყოფილიყავი დედა რომ გარდამეცვალა. გულში დიდ ტკივილად, მოურჩენელ იარად დამჩნა დედის სიკვდილი, დედა კუბოში და გასვენება. დედა საფლავში რომ ჩაასვენეს, ბიძაჩემმა ძლივს მომაშორა იქაურობას, რომ არ შეეყრებინა, როგორ დაეყარეს მიწა მესაფლავეებმა. რაც დრო გადიოდა, უფრო და უფრო მტკიოდა გული, სევდა არ მშობდებოდა. არც იყო ისეთი დღე, დედა არ გამსენებოდა. არ არის ისეთი დღე, დედა რომ არ გამსენდეს. დედის დავიწყება შეუძლებელია, გულიდან ვერ ამოიღებ დედის სახელს, ის გულის ძარღვებშია ჩაკიდული ისე, რომ მარად ხარ დატყვივებული დედის სიყვარულით. მე რომ დედა მყოლოდა, ვფიქრობ, ას წელს მაინც ვიცოცხლებდი. რატომ? თბოლმა დედის შემდეგ დიდი გაჭირვება ვიწვინე ეკონომიურადაც და ჯანმრთელობის მხრივაც. დედა რომ მყოლოდა, არც ჯანმრთელობა გამიუარესდებოდა... და ბოლოს გულიც მაწუხებს, ორჯერ გადავუჩნი სიკვდილს.

დედა — შვილის სიხარულია, იმედია. დედა — ნუგეშია. იყავი ლარიბი, ოღონდ გყავდეს დედა. თუკი დედა გყავს, ამქვეყნად მარტო არა ხარ. დედის ნაგეირობას ვერავინ გაგიწევს. ცოლი — გათხოვდება, დავიწყდება, წაიკითხეთ გ. ტაბიძის „მესაფლავე“ და იქ სრულყოფილადაა გადმოცემული ის, რომ გარდაცვლილ ქმარს ცოლი ერთხანს გლოვობს, მერე თანდათან ივიწყებს და სხვას შეიყვარებს. აი, რას ეუბნება ვაჟი ქალს:

„ჩვენ ერთი გვაქვს მწუხარება, შეგვეერთო სულთან სული, გამოძევი ქალი ცოლად... ძლიერი მაქვს სიყვარული... ნართლია, ის სატრფონი არც შენ, არც მე აღრა გყავს, მაგრამ მათი მოვლენა ვერ გააბრდევს უცხო საფლავს. დავივიწყეთ ის წარსული, სატირალი, საეალალო, და ახალი შევქმნათ ყოფნა... გამოძევი ცოლად ქალს!“
 დაუცადე, მესაფლავე თუ რა ასუნს მისცემს ქალი, შენ გგონია, რაე ვაჟმ დავიწყა თავის ვალი, ქალიც ასე მოიქცევა? — მე მგონია არა, არა...
 განა გუშინ არ იყო, რომ სატრფო მიწას მიაბარა? მკვდრის აჩრდილთან, ვინ იცინის? მკვდრის აჩრდილთან ვინ იხუმრებს?

აი, ნახავ -- ამეზარ ვავს რა პასუხით გაისტუმრებს!
მაგრამ ქალი, ღწერათო ჩემო,
მორცხვად თავს ხრის და ჩურჩულებს:
-- თანახმა ვარ! ერთადერთი, მომავალი მასულდგმულებს...
ჩვენ ერთი გვაქვს მწუხარება, რუ ვგონებთ დროს უბედურს,
მე შენი ვარ სამუდამოდ... წამიყვანე, საღაცა გსურს..."

ამით დამთავრდა მწუხარება ქალისა.. გაიჩინა აბალი მეგობარი.

ახლი გაეხსენოთ აკაკი წერეთლის „გოგია მეჩონგურე“. აი, „ცოლის სიმღერა“:

ჩათხარით, ლამაზ ცოლისთვის
ნეტა რა არის ქმარიო?
ადვილად გამოსაცეალი
გერცხლის რამ ქმარიო.
ლამაზი ქვრავი ცრემლებსა
დამშვენებისთვის დაღერისო,
და რომ შენიშნავს ლამაზ ვაჟს,
ქელუცხად თავს ძირს დაჰხრისო.

ახლად იწყება სატრფიალო რომანი...
მაგრამ დედა? დედა ვერასოდეს დაივიწყებს შვილს. წავეითხოთ „დედის სიმღერა“. აი, რას ამბობს ბრძენი მკვლახი:

ქალი მანას ქმარში გაცელოს,
ცალი ქვრავი სხვას წაჰყვება,
მაგრამ დედას შვილის ტრფობა
სანარეში თან ჩაჰყვება.

გაგეხსენოთ იეთიმ გურჯის ლექსიც „რას მორთულხარ შავად, ჩემო დედაო“.

რას მორთულხარ შავად, ჩემო დედაო,
რას დაჰტირი მწარედ საფლავზედო,
მიწაში ვარ, თვალთ ვეღარ მხედავო,
ქვა და ლოდი მათორია ზედაო.

ასე დაიტირებს დედა შვილს. დედის გარეშეც უფერულია სინარული, ცნობრებას აღარა აქვს ის სიატკბილე, რაც მაშინ ჰქონდა, როცა დედა გვერდით გმგულეზობდათ. გიორგი ლეონიძე დედის სუვედილს ისე მწარედ დასტირის, რომ იმ ლექსს უცრემლოდ



ვერ წაიკითხავ. არაერთი და ორი ლექსი დამიწერია დედამზე.
„დედის ბაღჩა“, რომელიც ომამდე დავბეჭდე, ჩემი საყვარელი ლექსია „დედის ნანა“.

გზაში ჩადრი და სახლში კი
 მას თავშალი სულ ებურა,
 სულ ცეცხლივით იწებოდა,
 მაგრამ ჩაქრა უწებურად.
 ჩაქრა, მაგრამ მის შავ თვალებს,
 ჩემ წინ თითქოს ეციენბა,
 მისი ღიმილი ნაპერწკალი
 მზის ნაპერწკალს ეცალებდა,
 მისი ენა მოწკარუნე
 ასი სიმი მეგონებდა,
 ასევე ლექსში შემოღვინდა,
 ასე მივის-შეგონებდა.
 იმღერებდა ნანას ასე,
 ქართულ ნანას ძილის წინა,
 თითქოს გიბნავს და ვარეთ კი
 მოჩქრილებს, მოჩქედს წვიმა,
 ნან ცისკარი ვარსკვლავებს ჰყრას.
 ნან მზემ მთები ააბრწყინა.
 თ. რა ტიბილი იყო ნანა,
 დედის ნანა ძილის წინა,
 შვიდი წლისაც რომ ვიყავი.
 მის ნანაზე ჩამეძინა...
 თ, ასეთი ტიბილი დედა
 ღვართქაფს უხდა ჩაეძინა?!
 აღრე წასვლით გული დამწვა,
 თუმც კი ვალი მოიხადა,
 ქართველ დედის სახელით და
 ვარდით გული მოიხატა.
 სხვა რა ექნა, ერისათვის
 გული მომცა, ენა მომეცა,
 სხვა რა ექნა იმ ანგელოზს,
 უცებ ნისლში გაიტყორცნა,
 მოსწყდა ქვეყნის ყვავილნარებს,
 დამემალა, ვედარ ვუმწერ,
 საწყალს მისი ჭირიც ჰყოფნის,
 არ დააწვე მიწავ გულზე!

საქართველოს სიყვარულზე
მე რომ ასე მემღერება
ყველა ეს მე დედამ მომცა,
სტრიაქონს ფუნჯით არა ვღებავ,
აწ კი ვერვინ შემიცვალოს
ცხელი გული და ფიქრები,
ცოცხალი ვარ და თუ მიწა...
მიწის ფერფლი შევიქნები,
ჩემო დედა—მიწაწყალს,
ჩემი გული შენ იქნები,
თაიგული მეგონება
გულზე მედოს შენი ქვები.

1956

მთარგმნელმა პოლიო აბრამიამ ერთხელ მითხრა: ყოველ კვირას სოფელ—ქალაქში ვურეკავ მშობლებს. დედა მარჯვენაა ჩემი, მამა კი მარცხენა. როცა მამა გარდამეცვალა, თითქოს მომკვთეს მარცხენა ხელი, როცა გარდამეცვალა დედა, თითქოს მარჯვენა ხელიც მომკვთეს. ამრიგად დაერჩი მარტოდმარტო, თბლად და დარდებმა გული ამომჭამაო.

დედა რომ მყოლოდა, არ ვიწვდილებდი არასოდეს, სახლ-კარიც კარგი მექნებოდა და ცხოვრებაც. დამაცოლწვილებდა და მხარშიც ამომიდგებოდა. დედაზე უტკბილესი არავინ არის. არავინ არის დედაზე საიმედო. ცოდვას ბავშვი, რომელსაც დედა მოუკვდებდა, დედინაცვალი დედობას როგორ გაუწევს თბოლ ბავშვს?! როცა თავისი შვილები გაუჩნდება დედინაცვალს, გერი რა სახსენებელია მერე!... რას იზამ, ევატიოს დედინაცვალსაც, რამეთუ გული გვატკინა. დედას, დედას მოგუაროთ შვილებმა! გული არ ვატკინოთ დედას! ყური გუგდოთ დედის შეგონებას, ჩემს სიტყვას დედაზე სომეხი პოეტის სარქიზ ხარაზიანის ლექსით დავასრულებ:

• • •

გაზაფხული მოვიდოდა, ნეტა,
ჩვენთან რომ არ მოდიოდეს დედა?!
ქვეყანაზე დედა რომ არ იყოს,
სახარული რას ერქმევა, ნეტა?!
ვინ დაწერდა სიყვარულის სტრიაქონს,
დედა რომ არ დღეგრძელობდეს მეტად?!
• • •

გული როგორ გაუძლებდა სევდას,
დედა რომ არ არსებობდეს, დედა?!
ერთმანეთს თუ ვიპოვიდით ნეტა,
ჩვენთან რომ არ ყოფილიყო დედა?!

15. თქვენს სახელგანთქმულ პოემას „ხიხანის არწივები“ — ჩვენმა ბაბუამ იბოლიტე ვართაგავამ, როგორც ლიტერატორმა და კრიტიკოსმა, აკაკი წერეთლის „თორნიკე ერისთავსა“ და ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონს“ ამოუყენა გვერდით. ეს იმიტომ, რომ სამივე ამ ქმნილებას სამშობლოს სიყვარულისა და მისი დაცვის ბადალი იდეალი ასაზრდოებს. ვთქვათ, წამიერად რომ უკან შემოვტრიალებთ დრო ისტორიას, ე. ი. გადავეყვანეთ წარსულში და ამ წარსულის ფონზე კვლავ ატეხილიყო სისხლისმღვრელი ბრძოლები, ხიხანის ციხის მიდამოებში, დადგებოდით თუ არა ხმლით თქვენი გმირის გვერდით და შეეწირებოდით თუ არა დიად მიზანს. სხვა არის, როცა კალმით შეეხმიანება მწერალი ამ იდეას და სხვა, როცა გმირის როლში თვითონ გამოდის იგი არენაზე.

პასუხი: კრიტიკოსი შოთა ქურიძე თავის ერთ-ერთ წერილში (მონოგრაფია) ჩემზე წერს: „კრებული „მებრძოლის სიმღერები“ იხსნება ლექსით „მამულს“. ამ ლექსში მამია ვარშანიძემ მთელი სიცხადით გამოხატა სამშობლოსა და ადამიანის განუყოფლობის იდეა, რომელიც წითელ ზოლად გასდევს მთელ მის პატრიოტულ პოეზიას. სამშობლო მარტო ლამაზი მთა და ბარი კი არ არის, იგი თვით სიცოცხლეა. ადამიანის ბედნიერების უშრეტი წყარო... სიცოცხლე მამის არის ტკბილი და სანატრელი, როცა სამშობლოს ერწყმის და ედუღაბება“, ჩემთვის სამშობლო ყველაფერია, სიცოცხლეა, ერთ-ერთ ლექსში აკი ვამბობ:

• • •

მაბურებს და წყაროს მსმევს,
ბაღნარია ნუგზარ-ნუგზარ ხილთა,
ნუ ვამიგებ ასე,
მე მამული განა
ერთი ლუკმა პურისათვის მინდა?!
მოეკვდები და... ვაი, კუბოს დიცარს
გამითლიან მამულეთის ხიდან.
მოეკვდები და მიმიბარებს მიწა,
მე მამული განა
საფლავისთვის მინდა?!

ო, სიცოცხლე მამულ-ღვდულია
ხატებად რომ სულში აღმბეჭდვია,
აი, მთაზე წყარონი რომ დიან,
ღაეწაფე... და სამარია კაა,
თვით იქცევა მიწად.
განა მზე აქ ეფარება გორას?
გულს ვაბარებთ მზის ამოსვლის დიდ წამს.
თეთრ აკვანის ვერ გადაჭვარტლავს გლოვა.

ჩემი პოემის „ხიხანის არწივების“ მთავარი მოქმედი პირობი, სელიმ ფაშა, ქერამ გაბაიძე და ჯემალ ირემაძე ჭეშმარიტი მამული-შვილებია, სელიმმა თავი გასწირა სამშობლოსათვის. მეც ასე გაგსწირავდი თავს. იმის ბედს უყოყმანოდ გავიზიარებდი. განა არ ეობრძოდი მეორე მსოფლიო ომში? განა ფრონტზე არ აღმოგჩენილგარტ ტრადიკულ სიტუაციებში? ორი თვის განმავლობაში ალყაში ვიყავით მოქცეული, მაგრამ შიში არ გაგვკარებია. ფრონტზე სიკვდილზე ფიქრი ამათა და არც მე მიფიქრია, მაგრამ ომი ეროვნულ-პატრიოტული როდი იყო, რაც ასე დამახასიათებელია ჩემი „ხიხანის არწივებისათვის“. ერთგული ბრძოლა კი ყველა ბრძოლაზე აღმატებულია; მთელი შენი ნერვიული სისტემა დაძაბულ-დამთხტულია, აღსაყვ ხარ სამშობლოს მგზნებარე სიყვარულით. რა ვუყოთ თუკი დაიდრუკები. შანდორ პეტეფმა განა სამშობლოს არ შესწირა თავი? ამიტომაც უყვარს იგი მშობელ ერს. პოეტი უნდა უყვარდეს შენს ხალხს შენი გულწრფელობით, ერთგულებით, სინდის-ნამუსით, სამშობლოსათვის რაინდულად თავდადებით.

16. როდენის ქანდაკებას „კოცნას“ გერონტი ქიქოძემ სქესობრივი სიყვარულის პიზნი უწოდა. მართლიც ასეა, თუ ყველაფერი მწერლის გადაჭარბებული ფანტაზიათა ნაკარნაგევი?

პასუხი: გერონტი ქიქოძეს მხოლოდ ნაწილობრივ ვეთანხმები. არ შეიძლება კოცნას სქესობრივი სიყვარულის პიზნი ვუწოდოთ. წარმოვიდგინათ, მამაკაცი უგონოდ ლომის მკერდშიშველ, ძუძუებგადმოყრილ ქალს? ამას უზნეობა უნდა ერქვას მამაკაცის მხრივ. რუსთაველი განსაკუთრებით ზომიერებას უხვამს ხალხს, გაიხსენოთ ავთანდილი და თინათინი, ტარიელი და ნესტანდარეჯანი. შეიმჩნევა კი რაიმე მსგავსი ამისა მათ ქცევაში? ისინი თავშეკავებულნი არიან. ფატმანხათუნი ხომ მსუბუქი ყოფიქცევის ქალიდ დაგვიხატა პოეტმა, მაგრამ ავთანდილის ლტოლვა მისდამი განა ზიზღს იწვევს? კოცნა სიღამაზეა მაშინ, როცა ფაქიზად კოცნი მიჯნურს, ქალს, რომელსაც ეტრფი და დასაძრახია ზღვარს გადაცილებული ყოველი ქმედება. კოცნა — სიამტკბილობაა, როცა მიჯნურისაკენ



ძალუმიდ მიგელტვის გული. კოცნა აძლიერებს ქალსა და ვაჟს შორის სულრერ დავიზ გრძნობას. კოცნა სიამონებაა და ძვირფასი სია მაშინ, როცა გულწრფელობის მონაგარია, კოცნა, მაშასადამე, სინდის-ნამუსის შებილწვა რღობია. როცა წმინდაა იგი, სიყვარულის მსახურია მაშინ. როცა ეშმაკისეული ბოროტების თესლი დევს ამ კოცნაში, იგი აღარაა რუსთველური, რომელსაც მძულს უფულო ხვევნა-კოცნა, მტლამა-მტლუში.

მოვესმინოთ რუსთაველს:

ხამს მიწნური ხანიერი, არ შექავი, ბილწი, მრუში.
 რა ნიშორდეს მოყვარესა, გაამრავლოს სულთქმა, უში,
 გული ერთსა დააფროს, კუში მიხედეს, თუნდა ქუში,
 მძულს უფულო სიყვარული, ხვევნა, კოცნა, მტლამა-მტლუში.

ქნებ ავმა ენამ თქვას შ. რუსთაველი მეთორმეტე საუკუნის მორალისტია, ახლა სხვა დროათ. ზომიერება ყველა დროისათვის დამახასიათებელია და ამ წმინდა ცნებას არც უნდა ვუღალატოთ, უნდა ვიყოთ რაინდული სულისა, რაც ნიშნავს ჭეშმარიტ ადამიანობას, სიწმინდეს, მშვენიერებას. ვიყოთ ამ ღეთაური მშვენიერების მარად დამცველნი...

17. აბა ვის არ ახსოვს შექსპირის ჰამლეტის შეგონება. ოფელიას მიმართ რომაა ნათქვამი, რომელიც ასე ფიქრობს: — მარტო მთვარეს რომ გადაუშალოს ქალმა გულმკერდი, უბიწოებას იგა თვისას მაინც შელახავს... აქაც, აღბათ, უბიწოებასა და უმანკობაზეა მხოლოდ ლაბარაკი, ქალის უმანკობაზე. საერთოდ, რას იტყვიოთ ქალის უმანკობაზე?

ბასუხი: გენიოს შექსპირს აქ მართლაც ვერაფერს შევეუსწორებთ. დეზდემონა, ეს უმანკო ქალი, ეჭვიანობის გამო ხელით მოახრჩო ოტელომ. ოტელო მალაღი ზნეობის კაცია და იგი ვერასოდეს შეუტრიგდებოდა იმ აშბავს, რომელიც ბოროტმა ენებმა მიუტანეს. ისტორიიდან ვიცით, რომ პირველყოფილ ადამიანთა ყოფა უზნეობის კომშარი იყო. მერე ამაღლდა საზოგადოება და ხატად, ფიცად აქცია წმინდა ზნეობრიობა. დღეს, მაგალითად, ზოგიერთ ქვეყანაში, როგორც ტურისტები გადმოგვცემენ, ქალები შიშვლადაც როკავენ მამაკაცებთან ერთად, თანაც ამაცობენ ამით, შენებო, რა ტანი მაქვს, რა ფეხებიო. ამას მე ყოველგვარი ზნეობრიობის დარღვევად ვთვლი. დღეს თურქეთში ქართველი ქალებიც დადიან, ლამაზები კაბარებში დროს ატარებენ. თურქი მამაკაცების თოჯინებად და სასაცილოდ ქცეულან, ამაზე ბევრი მითქმა-მოთქმაა ერთმა თურქმა კაცმა თქვა: — ოდეს ცოლად ნატრობდნენ ქართ-



ველ ქალს, ახლა კი დოლარებზე ჰყიდიან თავის სინდის-სამაჟიკოს და ვინდა ანატრებს მათ ცოლობასო. ვერც ერთი ქვეყნის მამაკაცი ვერ აიტანს მსუბუქე ყოფაქცივის ქალს. ვისაც უნდა შექმნას თჯახი, პატიოსნება უნდა შეინახოს. თუკი ვერ იოკებს მოზღვავებულ ემოციას და მოხოვნელი არა ჰყავს, ისეირნოს, ბატონო, მაგრამ ისიც კარგად ასსოვდეს, რომ ასეთი ქალი, ცოლად არავის უნდა. მაშასადამე, ჩვენ გვინდა ქალი ქალწული, ქალი პატიოსანი, მესავეები, კაბარეებში ბატონო, ჩვენ გვინდა წმინდა ქალები, რომლებიც შიშველ სხეულს მიფარესაც კი არ უჩვენებენ ღმერთ. კაცი დედას რომ იფიცებს, მაშასადამე, სწამს მისი სიწმინდე.

სწამს პატიოსნება, პატიოსნება და კიდევ პატიოსნება...

18. წაკითხულს ვიხსენებთ: ფლორენციაში სანტა რეპარატას ეკლესიაში საზეიმოდ შეკრებილ ხალხში უმწვენიერეს მანდილოსნებს შორის იმპერატორ ოტონ მეოთხეს ყველაზე მეტად ბელნტო ბელტის ასული ვუალდრადა მოეწონა. მაშინ მამამ იმპერატორს მოახსენა, რომ იგი როგორც მშობელი, ნებას რთავს აკოცოს თავის ასულს, მაგრამ ასულმა უპასუხა — ვერცერთი მამაკაცი ვერ აკოცებს მას, თუ იგი მისი მეუღლე არ გახდა.

მეფემ შეაქო ქალწული. თვითონ თქვენ მამის ადგილზე ან როგორ მოიქცეოდით, იმპერატორი რომ ყოფილიყავით?

პასუხი: ქალიშვილის მამას სიერთოდ არ ჰქონია თავმოყვარეობა. მან შეურაცხყო შვილი, უფრო მეტიც, იმდენად ლაჩარი ყოფილა, ფეხთმლოკავია, ოღონდაც მეფემ, იმპერატორმა პატივი მიავოს და ყველაფერ სისაძაგლეს ჩაიდენს! ეს სულმდაბლობაა! აღმზრდელი მამის იმედი ნუ მოაქვოს ქალიშვილს, იგია მისი პატრონი და დამცველი. ამ შემთხვევაში მამამ უფლება მისცა იმპერატორს, რომ სარტყელი გაუყოს თავის ქალიშვილს. მაგრამ იმპერატორიც რაინდულად მოქცეულა, როცა ქალწული შეაქო. მაგრამ მე ქალიშვილს ასე ვეტყოდი: — სიყვარულის ღირსი ყოფილხარ შენ! დღეიდან მე, ოტელო და შენ დეზდემონა! ოღონდ იფოც ვეახსოვდეს. და თუ კი შემოყვარებთ, სიცოცხლეს სიამტკბილად გავლევთ სიკვდილამდე!

19. გვსმენია, მხოლოდ მიჯნურთ შეუნდობენ ფიცის გატეხას, რადგან მიჯნურის ფიცს ფიცი არ ეთქმისო. მართლა ასეა ეს სინამდვილეში თუ არა? დაუფარავად, გულახდილად გვიამბეთ თქვენს პირველ გამიჯნურებაზე. განა ამოდდა ნათქვამი: ვინ არ ყოფილა მიჯნური, სახმილი ვის არ სდებია.

პასუხი: უპირველესად გიპასუხებთ მიჯნურთა ფიცის გატეხის შესახებ. თუ კი ჭეშმარიტად უყვარს ერთმანეთი ქალ-ვაჟს.

ფიცს არ გატეხენ, მაგრამ ადამიანები სხვადასხვა ხასიათისა და გრძობისანი არიან. ვაჟი ვატაცებით შეიყვარებს ქალიშვილს, მერე მობეზრდება და სხვაზე შეუჩერდება თვალი. ამას მიჯნურობა არა პქვია, როგორც რუსთაველი ამბობს, დღეს ერთი უნდოდეს და ხვალ სხვაო. უმთავრესად ვაჟები ღალატობენ ქალიშვილს; შეაცდენენ და ნიატოვებენ უსულგულოდ, ანარ ენადვლებათ ამ ქალიშვილის გამწარებელი ბედი. სიკვდილის ღირსია ასეთი ვაჟი. ჩემს წიგნში „ასეთი იყო“, რომელიც 1995 წელს გამოვეცი, ასეთი ფაქტია ფიქსირებული: ოსმა მწერალმა თუ ყურნალისტმა, რომელიც მოსკოვის თრწლიან ლიტერატურის ინსტიტუტში სწავლობდა, შეაცდინა რუსი გოგონა, თითქოს უცოლო იყო და ცოლად შეგირთავო, შეპირდა, ინსტიტუტის დამთავრების წელს მოსკოვში ცოლმა ჩამოაკითხა. ვაიგო ეს იმ გოგონამ და არამზადა ხანჯლით განგმირა. ქალს სასამართლომ მხოლოდ სამი წელი მიუსჯა. ასე რომ ფიცის გატეხას მხოლოდ არამზადები იკადრებენ, არაკაცები, უგულონი და უზნენონი. ზოგიერთი ტკბილმოუბარია, თითქოს კეთილიცაა, თითქოს ჭეშმარიტი ვაჟაცაა, მაგრამ დადგება გადამწყვეტი წუთები და გაშიშვლება ბინძური სული, სატანად იქცევა და ათასნაირ ნიღაბს მოიშველიებს.

ომამდე მქონდა ორი ფაქტი, გული რომ ამითრთოლა ქალმა. ერთს ნადია ერქვა. ქმარი გადასახლებული ჰყავდა. ღამაში იყო, თითქოს შემიყვარდა, მაგრამ განშორებისას სულაც არ აუტეხია დავიღარაბა, პირიქით დამიფიწყევო, მევედრებოდა, სწორედ ამ ქალს მიუფიქვენი გულიდან ამოვარდნილი ლექსი — „სიმღერა სიღამაზისა“, (დაბეჭდილია წიგნში „ასეთი იყო“)

როცა, როცა დაზამთრდება,
ციდან ფიფქი დაშვავდება,
რა ქნაა, რა ქნას თეთრმა ფიფქმა,
შენს თეთრ ფერთან გაშავდება.
ეკ თვალები ღამაზ-ღამაზ
მძივებრეთ ვინათებენ,
ღამით გარეთ ნუ გამოხვალ,
ვარსკვლავები ვინატრებენ.
თოვლის მოსვლა მინატრია,
მის თეთრ ფიფქებს ვუთხრა ქება,
სიდ ხარ, ქალო თოვლისფერო,
ჩემი გულის უკვდავებაჲ!

1940 წელს მიწვეული ვიყავი საჯავახოს საშუალო სკოლაში — მე, პარმენ ლორია, ნესტორ მაღასთონია და ლიტერატურის კრიტიკოსი, ხელთგნებამცოდნე ლადო შარაშიძე. იქ წავიკითხე პოემა „გელის ბოდან“, რომელიც მხოლოდ ახლა დავბეჭდე. 1995 წელს გამოცემულ წიგნში „ასეთი იყო“, მომიწონეს, ტაში დამიკრეს მასწავლებლებმა. მასწავლებელთა შორის იყო ერთი მეგრელი, შავკვრემანი, ლამაზი გოგონა ანა შენგელია. მომეწონა. მოვეწონე და წერილებსაც ვწერდი ერთმანეთს. ერთ-ერთი ლექსი გავუგზავნე კიდევ — „დამლოცე ანა“. ამ ლექსს თან ახლავს ნაწყვეტი მისივე წერილიდან მოგიტან ამ ლექსს მთლიანად:

დამლოცე ანა!

„როგორ მინტერესებს რომ შემხვდე!
ნეტავ თუ გიცნობ?! მე კი
აუტილებლად“.

ანა შენგელია

ნეტავ თუ გიცნობ?!
როგორ არა, ჩემო ბედწერავ,
ჩემს გულში განა შენი ზარის რეკვა
მიწყდება?!
თუნდაც შევიქნე მე ასრ წლის კაცი,
თეთრწვერა,
შენი თვალუბი არასოდეს დამივიწყდება.
ო, როგორ მინდა ისევ ვნახო,
შენ წინ ვდეთქავდე,
მაგრამ, ვაი, თუ ვერ
დაგიბრუნდი...
დამლოცე, ანავ, გენაცვალე,
ღვთის მადლი დამდე,
ნამუსიანი დამილოცე ქართული ქუდი.
ნუ დამივიწყებ, თუკი, ანა, ვერ
დაგიბრუნდი!

1941

ასე დასრულდა ჩვენი ნატვრა და ოცნება...



1945 წელს, 10 ოქტომბერს დემობილიზაციით გამოვედი ჯარისკაცების რაიონიდან. დამნიშნეს მასწავლებლის სახლის დირექტორად. მასწავლებლის სახლი საგანმცებლოდ შედიოდა აჭარის პროფკავშირების საოლქო კავშირში, რომლის ხელმძღვანელი იყო მარიკა ქორიძე. ეს სხვათაშორის, მისი და ლიუდმილა ქორიძე ჩემს სოფელში პრებში მასწავლიდა ოთხწლედში. მარიკა ცოტა ანაზღვი და ამაყი იყო, მედიდურად იტყუოდა საერთოდ, არც მე ვუხბრიდი ქედს და ხიდი ჩატყდა ჩვენს შორის. იძულებული გავხდი გადავსულიყავი აჭარის: ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ კულტურულ-საგანმანათლებლო სამმართველოში (მერე სამინისტროდ გადაკეთდა), რომლის უფროსი იყო, ჩემი ძმის მეგობარი, კაცი შესანიშნავი, სპეციალობით გეოგრაფი, ნადიმ ნიჭარაძე; იგი შ. რუსთაველის სახელობის ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის (ახლა უნივერსიტეტი) რექტორიც გახდა ბოლოს. ჩვენს სამმართველოში შემოდისდა ყველა ბიბლიოთეკა, კლუბი, კულტურის სახლი, საავიტაციო პუნქტი, ამ უკანასკნელს მთებში, საზღვრულ იალღებში ვკმნიდით ზაფხულობით. ვიყავი ინსპექტორი და დავდიოდი ყველგან — რაიონებში. მაშინ გავიცანი ხულოს ცენტრალური ბიბლიოთეკის გამგე თინა გიგინეიშვილი, რომელიც ზომეწონა, შემიყვარდა და... 1946 წლის 19 ოქტომბერს ხელი მოვაწერეთ ხულოს ერთ-ერთ სასოფლო საბჭოს აღმასკომში. ჩემი წიგნი „ასეთი იყო“ სამახსოვრო წიგნია ჩემი ოჯახისთვისაც. ყდის ოთხივე გვერდი ჩვენი ოჯახის წევრების სურათებს უჭირავს. სამახსოვრო ლექსიც დავებეჭდე. აი, ის ლექსიც...

სამოციანო რომანტიკიდან

თბილისი — მეუღლეს

მე არც ნანანი არ მყავდი არსად,
 ორმოცდაექვსში შეგხვდი და ჯველს
 გული ტრფილით ამიფანცქალე,
 ასლაც ისე ვარ თუ დანიჯვრებ.
 ოთხმოც წელს მხარზე ხელი დავკარი,
 ვუთხარი: მალე მე შენთან მოვალ!
 სამოცდათხუთმეტს შენც გავცალე:
 ლხინს მოვუხმით თუ მოვუხმით გლოვას?!
 სიცოცხლე ისე ტკბილზე-ტკბილია,
 რომ არასოდეს ისურვებ გაყრას,
 აწ დაგვშენდება ოქროს ქორწილი



და ბადიშები გაწყობნი მაყრად.
 სიკვდილ-სიცოცხლე ერთმანეთს ჯიჯენის,
 ვით წარაძარა მიტომ სისხლი გვდის,
 ლექსებს ვწერ და ვწერ მე მისი გიბრით,
 რომ დამჩნეს ძეგლად ბატარა წიგნი,
 მე ლამაზებზე სიმღერა მიყვარს,
 შენც იმათ შორის
 დგახარ ბრწყინვალედ,
 ნეტავი ვიყოთ ახალგაზრდები
 და ჩვენ სიყვარულს თავს შევწირავდეთ.

1994

უკაცს თრი ვაჟიშვილი და ხუთი ბადიში, მათ შორის ერთი გოგონაა. ეს გოგონა ამაღამ, 1995 წლის 13 მარტს, ჩემთანაა. და ამ სტრიქონებს რომ ვწერ, მას სძინავს...

მინაწერი: ზევით მქონდა ლაპარაკი ჩემს სატრფიალო ლექსებზე, რომლებიც დაბეჭდილია წიგნებში — „ჩემი ტაძარი“ (1960 წ.). „უუუუუნა წვიმა“ (1962 წ.) და საუბარსაც აქა ვწყვეტ, აღარ გავაგრძელებ.

20. რამდენად სარწმუნოა არ ვიცი, მაგრამ ვგსმენია, რომ აბითურაინტ ვაჟს, მომავალ მსახიობს, თეატრალურ ინსტიტუტში შესვლისას მისაღებ გამოცდებზე ერთ-ერთ დავალებად ეძლევა მანდილოსნისათვის ყვავილის გადაცემის ცერემონიალის შესრულება. ყველაფერი ეს მან უნდა გააყეთოს უბრალოდ, ყოველგვარი ძალდატანების, მორიდებისა და მორცხვობის გარეშე, ამასთან, არტისტულად, მოკლედ ისე, რომ საქმეს კარგად გაართვას თავი და გამარჯვებულად გამოვიდეს. ეს ხელოვნებაში, მაგრამ ყოველდღიურ ცხოვრებაშიც ხომ გვიხდება ნამაკაცებს მანდილოსნისათვის ყვავილის მირთმევა და მისი ყოველგვარი ცერემონიალის გარეშე გადაცემა?

მანდილოსნისათვის ყვავილი იქნებ არაფერსაც არ ნიშნავდეს, მაგრამ რაიონდული ბუნებით კი ნამდვილად უნდა მოიხიბლოს, დიან, ყვავილი აქ მეორე ხარისხოვან როლს ასრულებს.

და აი, თქვენ ამ ასაკშიც მოგეცათ ბედნიერი შემთხვევა და ყვავილის გადაცემა მოგიხდათ ძველი სიმბატის ან შემთხვევით ვაცნობილი მანდილოსნისათვის. ყვავილი გაქვთ. გამოცდილებაც არ გაცლიათ და, აჰა, ეს ბურთი და მოედანიც, ბატონო მამია. ჩქარობს მანდილოსანი, თქვენს გამოჩენას ელოდება, თქვენს სი-



უხეცს, თქვენს ყვავილს, თქვენს რაინდულ და არტისტულ ბუნებას...

პასუხი: როგორ მოვიქცეოდი ამ დროს? უპირველესად ჩემს იუბილეს გავიხსენებდი, ი. ჭავჭავაძის საბელობის ბათუმის დრამატულ თეატრში რომ გადამიხადეს. საღამო დამთავრდა. ყვავილების ერთი დიდი თაიგული შემრჩა ხელში. გამოვდივარ ფლოიში და იქ ერთი ცისფერკაბიანი ქალი მხედება, შემაჩერებს და მეტყვის: — ბატონო მამია. შენს იუბილეს ცისფერი კაბით მოვედი. ერთ კვირას დავლიოდი მკერავთან და ვქპარობდი, რომ შენი იუბილეს დღისთვის ჩამეცვა. ხომ კარგია?

— მე მიყვარს ცისფერი. მაშასადამე, ცისფერი კაბაც მიყვარს და თქვენც, მე კი ამ წამიერი სიყვარულის ნაპერწკლებით ვულგარული, საჩუქრად გაძლევთ ამ თაიგულს... და თქვენზე დავწერ სიყვარულის ლექსსაც!

თაიგული გადავიცი. გადამკონცნა... და ერთად გამოვედი თეატრიდან. შერე მართლაც დავწერე ლექსი, რომელიც მას მივუძღვენი და იგი დაგბეჭდე წიგნში „პოეტის წუთისოდელი“, სადაც იბოლიტე ვართავავას მონოგრაფიაცა დაბეჭდილი ჩემზე. ბარემ ეს ლექსიც მოგიტანოთ აქ:

მხოლოდ ცისფერი

შენ შემაჩერე ლამაზო ქალი,
შემაჩერე და ასე მითხარი:
— ამ კაბას, ჩემო, მე ვიკერავდი
ამ შენი დღისთვის „ასე მიზარის
შენი დღე, ბიჭო, სამოცდაათს,
ლალ არწივო ჩვენი ხიხანის!“ —
თვალს შეეავლე შენს ცისფერ კაბას
მხრებზე ნაირფრად მორთულს, მოთქვილს,
ქალო ლამაზო, რა გითხრა აბა,
ვით განვიქურნავ ამ ხანს — ბოლო ჭირს!
რა ჯენა, ასეა წუთისოდელი,
ასე იყო და ვერავინ შეცვლის,
უბრალოდ ვიტყვი: კი არ დავებრდი,
გადმომაყარა ცამ მუჭა ვერცხლი.
შენ ხომ აღმაგნე ოქრომედით,
ჩემზე მართლაც ღიქრობდი თურმე,
დაგლოცავ ხშიარ ჩემი სიმებით:

სულ ატყდენოდეს ფიქრები მრუმე,
 ჩემთვის ხატი ხარ ცისფერ სისავსით,
 ახველოზივით ცისკენ მიროკავ,
 ნაზო არსებავ „ვეფხისტყაოსნის“,
 ვენაცვალე შენს ჩაქრულ კილოკავს.
 სიზმარში, ცხადად მე მეღანდება
 მხოლოდ ცისფერი, მხოლოდ ცისფერი,
 და ვუცქერ ნატებით, ვუცქერ ოცნებით
 ლაყვარლს მიხედილს, მთებზე მიფენილს.
 იმ ცისფერ კაბით ხშირად მეჩვენე,
 ჩამოუარე ამ ჩემს საბრძანისს.
 ჩემი სარკმლის წინ წამით შეჩერდი,
 თვალს მოვაღვლებ და მერე წაბრძანდი.
 იქნებ ისარი გამკრას საწუთრომ,
 ფაფურაკი ხომ ყველგან თანა ვედევს,
 ვემუღარები შენ ცისიერო,
 ერთი მიზაკი ნულზე დამადე.
 თან მიხუტჩულე: — ჩემო მგოსანო,
 შენ რომ გიყვარდა, ისე მაცვია! —
 მერე ჩამოვქე ჩემს თავთან ახლოს
 და შენც მიტირე შენებრ განცდითა,
 შემეკლოს, ჩემი სიცოცხლისათვის
 შენს გრძნულ კაბას მოვიპარავდი...
 ანლა სიდა ხარ ჩემო ცისფერო,
 ჩემო ნატრულო აწ და მარადის?!

1987

ეს წიგნი ვაჩუქე, თან ვუთხარი — ესა და ეს ლექსი შენ მოვიძღვენი-თქო. წაიკითხა, ყველაფერი გაიხსენა და მისაყვედურა — რატომ ჩემი სახელ-გვარი არ მიაწერეთო...

ამ ლამაზი, ცისფერი ოცნებიდან დასკვნა შენ გააკეთე, ჩემო მეგობარო!

21. კიდევ ერთი შეკითხვა ქალის შესახებ და ამით დავამთავროთ.

წაიკითხულს ვიხსენებთ: ქალი, ესაა ძალი, რომელიც იძლევა სიცოცხლეს და ანადგურებს მასვე. დედა სიყვარულია, მარადიული სიკეთე და ბოროტება, ორი შეუსაბამობაა გვერდიგვერდ. ღმერთმა შექმნა სიკეთე და სილამაზე ამქვეყნად, ბოროტების მთეს-



ველმა ლუციფერმა კი — ჭუჭყისა და არაბობის სამყარო — მა-
ტერია. თქვენის აზრით, უფრო მეტად მოჭარბებული რომელია
ლში — ბოროტებანი თუ სიკეთე და რატომ?

პასუხი: აქ დიდი გერმანელი ფილოსოფოსის კანტის სიტყვებს
მოვიტან: — ადამიანი ბუნებით ბოროტია. უფრო ბოროტისადმი
მიდრეკილებაა მისთვის დამახასიათებელი და ეს მიდრეკილება შე-
ძენილი გვეგონია, მაგრამ თანშობილია იგი, თუმცა არც სიკეთის
თესლია მისთვის უცხო. მორალური აღზრდის მიზანი სწორედ ის
უნდა იყოს, რომ გავანოყიეროთ ნიადაგი კეთილი ჩანასახისათვის
და მეტი უფლებებიც მიენიჭოს მას, რათა განიდევნოს ადამიანში
დაბუდებული ბოროტი სული, ე. ი. ადამიანში ბუნებრივადაა მო-
ცემული კეთილიცა და ბოროტიც. ზოგში ბოროტება ჭარბობს,
ზოგში კეთილშობილება. ბოროტი სულის ადამიანი ვერ დასძლევს
იმ შინაგან ბოროტებას და ზიანი არ მიაყენოს ვისმეს, არც ეს
შეუძლია. მიტომა კანტი აღზრდას რომ ანიჭებს დიდ მნიშვნელო-
ბას, მაგრამ აქ არც აყავია ხელწინასაკრავი, როცა ამბობს:

მარტო წვრთნა კაცს არას უხამს
თუ ბუნებამც არ უშველაო:

ეს სტრაჟონები ბრძნულია... და შეუვალი. კოლხმა გრძნეულ-
მა მედემ და ბერძენ არისტოკრატთა ჩამომავალმა იაზონმა ძლი-
ერ შეიყვარეს ერთმანეთი, მაგრამ ქალის ბედი სულ სხვაგვარად და-
ტრიალდა, სამაგიეროც გადაუხადა იაზონს. კი შესცოდა, მაგრამ ეს
ცოდვა ხომ იაზონმა ჩაიდინა. კოლხმა გრძნეულმა ქალმა სიყვარულ-
ისთვის მამაც კი გასწირა... და გაჰყვა იაზონს. ამ უკანასკნელმა ტახ-
ტის გულისთვის მეორე ცოლი შეირთო და სამართლიანადაც მედემ
სამაგიერო მიუზღო მოღალატე ქმარს. დანიელ ჭონქაძის „სურამის
ციხის“ ერთ-ერთი თვალსაჩინო პერსონაჟია ვარდო, რომელიც
დურმიშხანს შეუღვარდა, მაგრამ მაინც უღალატა, ხოლო ვარდომ
როგორ გადაუხადა სამაგიერო, ვიცით. ბუნებაშიც ორი საწყისი
დომინირებს — კეთილი და ბოროტი. ბოროტია უხსენებელი, კურ-
დღელი, ჯიხვი, ირემი კი — კეთილი. ამ ორი ურთიერთსაწინააღ-
მდეგო ძალის არსებობის გარეშე ბუნება რაღაც ისეთს დაკარგავ-
და, რასაც ვერასდიდებით აღიდგენდა. ასეა საზოგადოებაშიც,
ორივე საწყისს თავისებურად აქვს არსებობის უფლება, მაგრამ
სიცოცხლეს აკნიებს, ჰკლავს, სბობს ბოროტი, დემონი, ამიტომ,
ბოროტს უნდა ვებრძოლოთ, კეთილი კი დავიცვათ. ჩემი აზრით
ქალში კეთილი სწონის, ეს იმიტომ, რომ იგი სიცოცხლეს აჩენს
და ზრდის მერე. ბავშვის აღზრდა თავისთავად სიკეთეა დადი, რა-

დგან თავად სიცოცხლეა ბავშვი, სიცოცხლე კი მარადიულია და ბავშვისთვის ყველაფერია და მისთვის თავსაც გასწირავს. ზია დედის ბუნება, სათნო, თბილი და მოხივარული, შემნდობი, დამთმობი, მიმტეგებელი, მარტო აღერსი რად ღირს დედისა ზვილისადმი. მე იმის თქმაც შემიძლია, რომ დედაში, ქალში, საერთოდ უფრო მეტი კეთილშობილებაა ვიდრე მამაკაცში? მამაკაცი ბუნებრივად უხეშია, გულჭგაა, შეიძლება იოლად გასწიროს ქაცი.

ქალი — პოეტების მუხაა საამო, ქალზე კლასიკური საგალობლებია შექმნილი. დიდ მგონებს ქალზე, რომ უწვრიათ და უწერიათ დიდი მგზნებარებითა და სიყვარულით, ისე მამაკაცზე არ დაიწერება. წაიკითხეთ შოთა რუსთაველი, რუდაკი, ნიჟამ განჯელი, ომარ ხაიამი, ჰაფიზი, პეტრარკა, პუშკინი, ესენინი, ლერმონტოვი, ბარათაშვილი, ვრ. თრბელიანი, გ. ტაბიძე... ვის უგალობენ ეს გენიოსები თაყვანისცემით? — მხოლოდ ქალს... ქალი მაგნიტია, რომელსაც დიდი მიზიდულობის ძალა აქვს. ასე რომ, ქალში სიკეთე შედარებით ჭარბადაა მოცემული. მას ბუნებით მოდგამს, ღჭერთს გამოუმეტებია ყოველივე ეს ქალისთვის... და თაყვანი ვცეთ ქალს.

22. ჩვენს ირგვლივ ხილული სამყარო სავსეა რომანტიკით, მაგრამ ცისა და ზღვის რომანტიკა მაინც სხვაა. ამასთან დაკავშირებით გვინდა გვითხოდ, — ამ ორიდან რომელი უფრო გიზიდავთ დღეს — ციური თუ ზღვის რომანტიკა, და თუ კი ცისას ზღვის რომანტიკა გირჩევნიათ, მაშინ რატომ არ გახდით მეზღვაური თავის დროზე, მოგზაური, რად არ დაიბყარით და შებოჭეთ ზღვის სტიქია პროსპეროს მსგავსად?

ბასუხი: რა თქმა უნდა, ზღვა სხვაგვარი რომანტიკითაა სავსე. მე მიყვარს, როცა ზღვა წყნარია და თითქმის ჩურჩულებს, მე მიყვარს ზღვა, როცა ვორთხ ტალღებს ნაპირისაკენ მოაგორებს. ზღვის სიყვარულმა არაერთი და ორი ლექსი დამაწერინა.

ცა დიდი, კოლოსალური რომანტიკაა. ცა ჩამოიქცევად, რომ იტყვიან — მაშასადამე, სიცოცხლე მოისპობაო დედამიწაზე. როცა გვალვაა, წვიმას შესთხოვენ დმერთს, რა ლამაზია ღრუბელიც აქეთ-იქით რომ მიერეკება ქარი ძლიერი. ცისაკენ ლტოლვას დიდება ცას — აღამიანთა შეუცნობელ ოცნებას და ზღაპარს...



ახლახან ერთმა ნაჭიერმა ლიტერატორმა დაწერა წერილი „მამია ვარშანიძის ეპოსი“, რომელიც დაიბეჭდება ერთ-ერთ ახალგა-
მომავალ ჟურნალში. დაწერა და გამაცნო. იგი თითქმის თანაბარ-
ჰყოფს ლირიკულ პოემებს და „ხიხანის არწივებს“. უფრო მე-
ტიც. ჩემს ლირიკულ პოემას, „ლილისფერი ცა“ მეტისმეტად ხო-
ტბას ასხამს და ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, თითქოს ეს ქმნი-
ლება სხვა ყველა ქმნილებაზე მაღლა დგას. ეს ცრუ ილუზიაა,
ლირიკული პოემა სხვაა და მონუმენტურ-საუყეცტიანი პოემა —
სხვა, შუა უზის დიდი ზღვარი. კარგ ლირიკულ პოემებს საშუალო
ნიჭის პოეტებიც კი ქმნიან, მაგრამ მონუმენტური, სიუჟეტური,
კარგი პოემის შექმნას კი საშუალო ნიჭით დაჯილდოებული პოე-
ტი ვერ შეძლებს, რაც არ უნდა ლექსის მაღალი ოსტატი იყოს.

ღიას, ამიტომ დავწერე ეს მინაწერი იმ კითხვის გაგრძელებად,
„ხიხანის არწივებს“, რომ ეხება თქვენს დიალოგებში.

უპირველესად ვთქვათ იმ ჩემს ლექსებზე, რომლებიც ჩემს
სალამურს სინდლეს ანიჭებენ. ესენია: „მოდო, ნახე!“ „იყო და მა-
რად იქნება“, „დედის ბაღია“, „ბათუმი“, „მინდა მიმდეროს ქალმა
ლამაზმა“, „გაზაფხულის ბაღნარიდან“, „ყელწითელა“, „მიწათ ვა-
რსკვლავიანო“, „პირიმზე“, „შენი ბაში-აჩუკი ვარ“, ჩემი სახელი“,
„ღვანოს წურავს შენი ქალი“, „მისი სახელი“, „სიზ-
მარეული მესხეთი ჩემი“, „ზარების გუგუნი“, „ქაშუე-
თის ლერწამი“, „მთავარდელა“... და შეიძლება ამ
რიცხვს კიდევ ამდენივე დავუმატოთ. ამ ლექსების და-
მახასიათებელია ჩქარმდინარება, ეპიკურობა, უშუალობა,
პატრიოტულ სულისკვეთება... და ამ მხრივ ისინი თითქოს „ხი-
ხანის არწივებს“ მოუკვეთელი შენაკადებია, „ხიხანის არწივები“
— ეს ძველი აჭარაა, დღევანდელი აჭარაა და მომავალი აჭარა.
რატომ? იმიტომ, რომ ამ პოემის დედაძარღვი, მძლავ-
რი ეროვნულ-პატრიოტული სულისკვეთებაა, რაც დამახასიათე-
ბელი იყო, არის და იქნება სამხრეთ საქართველოსათვის, კე-
რძოდ, აჭარისათვის. მეტამეტე საუკუნის სახელოვანი ბრძენი მწე-
რლის აბუსერიძე ტბელის მოდგმა რომ ებრძოდა მომხდურებს, ამ
კუთხის მკვიდრთა პატრიოტული სულისკვეთების ამონათება იყო...
და ეს სულისკვეთება ჩვენს წინაპრებს ვინ იცის რა დროიდან მოს-
დგამთ...

უადგილო არ იქნება თუ გავიხსენებთ ზოგიერთ გამოჩენილ

ლიტერატორთა აზრებს „ხიხანის არწივებზე“. ლიტერატორ-კრიტიკოსი მოთაქურძე წერს: „ხიხანის არწივება“ დიდად მოიწონეს მკითხველებმა, ხოლო ლიტერატურულმა კრიტიკამ ერთმანდად აღიარა მამია ვარშანიძის დიდ და ყველაზე თვალსაჩინო შემოქმედებით გამარჯვებად. დოც. ნ. ღუმბაძის სიტყვით „ხიხანის არწივები“ — ეს არის ფართო ეპიურა ტილო, რომელზეც სწორად, თანადროულობის პოზიციებიდან არის გამოსახული მშობლიური კუთხას ისტორიული ცხოვრება, ამისთან, პოემის პერსონაჟები, რომელთაგან ზოგი ისტორიულია და ზოგიც, „გამოგონილი“, ტიპიური არიან და ტიპიურ გარემოში მოქმედებენ“. აღფრთოვანებული ქება უძღვნა ამ პოემას იბ. ვართაგავამ, რომელმაც იგი „თორნიკე ერისთავის“, „დიმატრი თავდადებულისა“ და „ხატრიონის“ გვერდითაც კი დააყენა. ასეთი შეფასება ჩვენ გადაჭარბებულად გვეჩვენება. მაგრამ საესეებით მართალი იყო მსცოვანი კრიტიკოსი, როცა ამ პოემის შესახებ წერდა: „ხიხანის არწივები“ ავტორის პოეზიის ჩამოუგდები გვირგვინია, რომელსაც კიდევ უფრო დაამშვენებენ შემოქმედის მომავალი ყვაილები, რომლებსაც პოეტისაგან მოელის მკითხველი“, შემდეგ ავტორი განაგრძობს: „ასეთივე მამია ვარშანიძის ისტორიულ-პატრიოტული პოემა „ხიხანის არწივები“, მისი იდეური მიზანდასახულობა, ქებას იმსახურებს. იგი წმინდა მხატვრულ-პოეტური თვალსაზრისითაც, იგი მდიდარია მხატვრული სახეებით, პოეტური სამკაულებით. აფორისტული თქმებით. ბუნების მშვენიერი სურათებით, მკითხველს ალბათ ახსოვს ბრწყინვალე პეიზაჟი, რითაც პოემა იწყება“, (შ. ქურიძე, მხატვრული სიტყვის განვითარება აჭარაში, 1970, გამომც. „საბჭოთა აჭარა“, გვ. 143, 148, 149). მარტო რად ღირს დიდი ლიტერატორ-კრიტიკოსის ბატონ იბ. ვართაგავას შეუვალი აზრი „ხიხანის არწივების“ შესახებ! თუ არაფერია „ხიხანის არწივები“. ჩემი ლირიკაც არაფერია, თუ არაფერია ჩემი ლირიკა, მაშინ „ხიხანის არწივებიც“ არაფერია.

შესანიშნავმა ინტელიგენტმა ბატონმა ნიკოლოზ (ნური) ნიჟარაძემ, რომელსაც დიდი ავტორიტეტი ჰქონდა მწერლებთან ურთიერთობაში, ასე მითხრა: — ჩემო მამია, წავიკითხე შენი წიგნი „ჩემი ტაძარი“, საჩუქრად რომ მიბოძე. ძალიან მომეწონა ბევრი ლირიკული ლექსი და პოემებიდან განსაკუთრებით „ხიხანის არწივები“. ერთი კიდევ სმისთანა პოემა დაგვიწერე და მეტი შენგან არაფერი გვინდაო. ეს იყო 1960 წელს, როცა გამოვიდა ჩემი

სუთასგვერდიანი წიგნი „ჩემი ტაძარი“, რომელშიც დაბეჭდილია სხენებულო პოემაც... მე ბევრი ვიფიქრე შემექმნა ასეთი მონუმენტური პოემა დაღ მემედ აბაშიძეზეც, რომლის ბადალი პატრიოტი საზოგადო მოღვაწე, ინტელიგენტი, არ გვეოლია სამხრეთ საქართველოდან, მაგრამ ვერ კიდევ ვერ მოვახერხე. ძნელია ისეთი ფართო მასშტაბის პოემის შექმნა, მას მივუძღვენი კი ხალასი გულით აღდერებულო ცხრასსტრიქონიანი ლირიკული პოემა „გლოცავს შენი სავანე“, რომელიც პირველად დაიბეჭდა გაზეთში 1966 წელს. 1970 წელს კი ჩემს წიგნში „ფიცი“, ხოლო ძალიან დიდი განახლებით ცალკე წიგნად გამოვიდა 1992 წელს. ესეც ჩემი საყვარელი ქმნილებაა, ცამეტე სურისავან რომ შედგება და თითოეულ სურისაში მთავარი ფაქტებია აბეჭდილი მემედ აბაშიძის ცხოვრებასა და მოღვაწეობიდან. ლიტერატურულმა კრიტიკამ კარგად შეაფასა ეს პოემა, მაგრამ „გლოცავს შენი სავანე“, ლირიკული პოემაა და არა მონუმენტურ-სიუჟეტური. მონუმენტურ პოემას კი აუცილებლად აქვს მთავარი სიუჟეტი და შენაკადი ნაკადულებიც, წარმოჩენილია ხასიათები, ამ დიდ ადამიანზე მიძღვნილი ამ ლირიკული პოემის „გლოცავს შენი სავანე“ — მხარი მხარს მდგომი კი არა, მიმყოლი პოემაც ასპარეზზე ვერჯერობით არა ჩანს... ვიმეორებ სიუჟეტური დიდი და კარგი პოემის შექმნა კი ძალიან ძნელია... სიუჟეტის შექმნა ნიჭისმიერია და ყველა ლირიკოსს არ ძალუქს პოემის დაწერა. პოემა უნდა იყოს ჭეშმარიტი პოეზია და არა უბრალო თხრობა.

მახსოვს, ერთხელ რომ მითხარიო: — ჩვენ ძმები, ავთანდილი და მე, დიდ ბაბუჯ იბოლიტეს აზრს მთელი გულით ვაზიარებთ. რადგან გულმართლად და ღრმად შეაფასა შენი „ხიხანის არწივები“. საბჭოთა პერიოდში ქართულ პოეზიაში შეიქმნა რამდენიმე მონუმენტური, კლასიკური პოემის დარად სიუჟეტური პოემა... და მათ შორის, თამამად პირველის მხარიმხარს შენი „ხიხანის არწივები“, როგორც შენ ამბობ: ის აჭარის სურათხატია წარსულშიც, აწმყოშიც და მომავალშიც, აბეჭდილი მაღალი პატრიოტული სულისკვეთებით. გაუმარჯოს ჩვენს საყვარელ აჭარას და შენს „ხიხანის არწივებს“.

პოეზია მეტად სამძიმო ხელოვნებააო, უთქვამს ერთ დიდ ადამიანს... და რამდენჯერ მიფიქრია საკუთარ შემოქმედებაზე, ისეთი აზრიც გამჩენია, ლამის ცეცხლში ფერფლად მექცაა ჩემი ლირიკაც და ეპოსიც. ზოგიერთს ვავახსენებ შოთა რუსთაველის ბრძნულ სტრიქონებს: „ყვავი რა ვარდასა იშოვნის, თავი ბულებული ჰგონია“.

ამ სიბრძნეს ყველა პოეტი უნდა ჩაუფიქრდეს და უნაყოფო თავ-
 თავივით თავს მალღა არ უნდა სწევდეს. ზოგიერთ საშუალო ნი-
 კის პოეტს ბედი გაუღიმებს და მოაზერხებს კიდევ მეფე-მგონის
 ტახტის კიდევ მეფურად ჩამოჯდომას, რომ უსახლვროდ გააფარ-
 თოვოს თავისი ვაგლენა-დადასების სფეროები... და ასეთს, ბლო-
 მად ჰყავს მაანებელ-ქამელეონებიც... და ყველამ ვიცით თუ რა-
 ტომ... ხელოვანს, პოეტს მხოლოდ თავისი ადგილი უნდა ეჭიროს.
 ჭეშმარიტი ბულბულის საგანა ვარდების ბაღნარი, ხოლო ჩიო-
 რას — რომელიმე ხის ტოტა, საიდანაც მას თავისუფლად შეუძ-
 ლია ივალბოს... დემეტმა ნუ შემშალოს და ცრუ ზვიადობის წა-
 მიერ ოცნებასაც ნუ მახაროს, თუნცა „ხიხანის არწივების“ ავ-
 ტორს თავას საყვარელ გმირებთან ერთად რაინდულად გაუვლია
 მართონული ვარბენის დრო და მანძილი.

ქვემიანწერი: ამ დღეებში ჭიათურიდან, კერძოდ, სოფ. ბჟი-
 ნევიდან ტარიელ და ავთანდილ ვართაგაგების წერილი მივიღე, ასი-
 ნი მწერენ: — ბატონო მამია, ვიცით ვაგენხარდება და ამიტომ გაც-
 ნობებთ ერთ სასიამოვნო ამბავს: სათანადო ზემდგომი ორგანოების
 დადგენილებით ბაბუაჩვენის, იპოლიტე ვართაგაგას სახლი სოფელ
 ბჟინევიში გამოცხადდა მისეული სახელობის მუზეუმად. ალბათ, მა-
 ლე ყოველივე მოწესრიგდება და ოფიციალურად გაიხსნება კი-
 დეც, იმ საზეიმო დღეს აუცილებლად მოგიწვევთ...

მართლაცდა აღსაფრთოვანებელი ფაქტია, ბატონი იპოლიტე
 ვართაგაგა ამ დიდი დაფასების ღირსია...

მამია ვარზანიძე

1995, ივნისი.



შ ი ნ ბ ა რ ს ი

პ რ ო ზ ა, ვ ო ე ჯ ი ა

აღმესხნდროსი ჩხაიძე — ჩემი წილი საუკუნე (რომანი)	3
ამბაზი ჩხატარაიანი — ლექსები	41
ანსორი კუდაბა — ციმციმა (მოთხრობა)	47
ჯამალ დოგოგოვიანი — ლექსები	56
ჯონი ჯიჯიანი — ჭედის სურათები ((მოთხრობა)	58

ჭ ა შ ნ ი კ ი

სოფიო კობახიძე — სიყვარული აგვაშაღლებს (მოთხრობა)	67
---	----

მ ე მ ე ლ ა ბ ა შ ი ძ ე — 120

მამია ჯარჯანიძე — შარალ ხახხოვარი	50
-----------------------------------	----

9 მ ა ი ს ი — 50

მამია მამიაშვილი — ნომართა დღე	90
--------------------------------	----

თ ა რ გ მ ა ნ ი

როგორც გინისი — სამი ლექსი (თარგმანი გ. ძიგვაშვილის.)	95
---	----

ტ რ ი ბ ი ა ლ ა კ ა ლ ი დ ი ს ტ ი ბ ა

იური ბიკიანიშვილი — დრ. ხალვაშის ლირიკული პოემები	99
მილოცვა	108
გურამ ჩაპანაშვილი — „ოიდიბოს მეფის“ მითოლოგიური სიუჟეტი	100

წ ა რ ი ლ ე ბ ი

მრჩილე მესხია — განმათავისუფლებელი კომიტეტის დათარიღებისათვის	121
რევაზ ურუხაძე — ბათუმისათვის რუსეთის ბრძოლა	127

ზ ა ხ ს ე ნ ე ბ ა

ზაფხუა ურუხაძე — ლექსები	126
--------------------------	-----

ჩ ვ ე ნ ი კ ა ლ ე ნ დ ა რ ი

...დიდ ოცნებათა მომნიჭებელი

დიალოგი

სვტანდილ ვარტაგაძე,

ტარიელ ვარტაგაძე — გულახდილი დიალოგები

